

**ბიზნესდავეზი და  
სასამართლო პრაქტიკა**

**საქართველოს უზენაესი სასამართლო  
სამოქალაქო საქმეთა პალატა**

თბილისი  
2017

იდეის ავტორი და რედაქტორი

**გზია თოდუა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
თავმჯდომარის მოადგილე,  
სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე

კვლევა მოამზადა

**ილონა გაბუაშვილი**

სამართლის დოქტორი,  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
სამართლებრივი მხარდაჭერის სამოქალაქო  
საქმეთა პალატის სამდივნოს მწერალი თანაშემწე

სტილისტი

**სოფიო მამულაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

## საკიეპელი

**შესავალი** ..... 7

### **თავი I. კომპანიის პარტნიორისა და დირექტორის პასუხისმგებლობის პრობლემა**

2.1. მიმოხილვა	9
2.2. პარტნიორთა კრების მონვევის პრობლემა, პარტნიორის გარიცხვა	10
2.3. პარტნიორისა და დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა	10
2.4. კომპანიის მართვის პროცესში პარტნიორის მონაწილეობის მინიმალური სტანდარტი	12
2.5. პროცედურული საკითხები	13
2.6. სამართლებრივი ანალიზი	15

### **თავი II. კავიტალური ტიპის საზოგადოებისათვის დივიდენდის დაკისრების პრობლემატიკა**

3.1. მიმოხილვა	17
3.2. საზოგადოების მოგებიდან დივიდენდის გადახდის წინაპირობები, დივიდენდის ოდენობა	18
3.3. პროცედურული საკითხები	22
3.4. სამართლებრივი ანალიზი	25

### **თავი III. სამშენებლო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები**

4.1. მიმოხილვა	26
4.2. საკუთრების უფლების შეზღუდვის გონივრულობა და ობიექტურობა (ჩარევის პროპორციულობა)	27
4.3. განსაზღვრული სახელშეკრულებო ინტერესის განუხორციელებლობა (მშენებლობის დაუსრულებლობა, ფართის გადაუცემლობა)	29
4.4. ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგი	34
4.5. პასუხისმგებლობის საკითხი ამხანაგობის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას	37
4.6. მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები	40
4.7. სამართლებრივი ანალიზი	42

### **თავი IV. პირგასამტეხლოს სტანდარტი და სასამართლოს როლი მის რეგულირებაში**

5.1. მიმოხილვა	44
5.2. პირგასამტეხლოს სამართლებრივი ბუნება, მისი ფუნქცია და გამოყენების ფარგლები	46
5.3. პროცედურული საკითხები	51
5.4. სამართლებრივი ანალიზი	55

**თავი V. გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე  
ზოგიერთ დავებზე 2015-2016 წლებში მიღებულ  
გადაწყვეტილებათა მიმოხილვა**

6.1. მომსახურების „შელავათიან“ ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის განსხვავება .....	58
6.2. ვალდებულების დარღვევის გამო, ზიანის ანაზღაურება .....	60
6.3. პროცედურული საკითხები .....	62
6.4. სამართლებრივი ანალიზი .....	66

**თავი VI. 2015-2016 წლებში საბანკო სამართალურითიერთობიდან  
გამომდინარე დავებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა  
სამართლებრივი ანალიზი**

7.1. მიმოხილვა .....	68
7.2. სამართალურითიერთობის იურიდიული შინაარსი მოთხოვნის წარმატებულობის კვლევაში .....	69
7.3. საკრედიტო დანესებულების უფლების განხორციელების მართლზომიერების ფარგლები, სოლიდარული ვალდებულების მოსალოდნელი რისკი, შემხვედრი ვალდებულების შესრულების პრობლემა .....	72
7.4. სარგებლის დარიცხვის პერიოდი, მისი ოდენობის გონივრულობა და მოთხოვნის განხორციელებადობა (ხანდაზმულობა) .....	77
7.5. ვადამოსული ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდე- ბის პრობლემური საკითხები .....	80
7.6. საბანკო გარანტიის შესრულების აუცილებელი წინამძღვრები .....	81
7.7. ფულადი ვალდებულების შესრულების წესი .....	82
7.8. პასუხისმგებლობა გარდაცვლილი მოვალის სამკვიდრო აქტივის ფარგლებში .....	84

**თავი VII. 2015-2016 წლებში დაზღვევის  
სამართალურითიერთობიდან გამომდინარე დავებზე  
მიღებულ გადაწყვეტილებათა  
სამართლებრივი ანალიზი**

8.1. შესავალი .....	85
8.2. სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება .....	86
8.3. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიღებული ზიანის ანაზღაურება (საგამონაკლისო ნორმების განმარტება) .....	88
8.4. სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის ლეგიტიმურობის პრობლემა .....	95
8.5. პროცედურული საკითხები .....	98
8.6. საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულების წინაპირობები .....	99
8.7. საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების წარმოშობის დრო და ვალდებულების შესრულების წესი .....	100

**თავი VIII. კორკორაციული მართვის პროცესში საკადრო  
პოლიტიკის განსაზღვრა და სოციალური  
სამართლიანობის პრინციპი**

9.1. მიმოხილვა .....	102
9.2. ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ძიება .....	103
9.3. საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის პრობლემა .....	106
9.4. სოციალური დაცვის გარანტიები .....	108
9.5. პროცედურული საკითხები .....	109
9.5.1. მტკიცების ტვირთის გადანაწილება .....	109
9.5.2. საგნობრივი განსჯადობა .....	111

**თავი IX. საქართველოს ტარიტორიული იურისდიქციის  
ფარგლებში უცხო სახელმწიფოთა სასამართლო  
გადანყვეტილებების ცნობისა და აღსრულების  
პრაქტიკული საკითხები**

10.1. მიმოხილვა .....	111
10.2. საერთო და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია .....	113
10.3. დავის განხილვის ალტერნატიულ წესზე შეთანხმება .....	117
10.4. აღსრულებადობა .....	119
10.5. შემონმების ფორმალური ფარგლები .....	120
10.6. პროცესის მონაწილე მხარის ინფორმირებულობა .....	121
10.7. ნაცვალგების პრინციპი .....	121
10.8. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა .....	122
10.9. სამართლებრივი ანალიზი .....	123

## რედაქტორის გან

ბიზნესდავებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა სამართლებრივი კვლევის იდეა უკავშირდება ამ კატეგორიის დავებზე არსებული აქტუალური და ზოგიერთ შემთხვევაში, პრობლემური საკითხების წარმოჩენას.

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, განჭვრეტადი და გონივრული კანონმდებლობა წახალისებს ქვეყანაში ინვესტიციებსა და ბიზნესის წარმოებით დაინტერესებულ სხვა პირებს, რომელთათვისაც უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობა და კომპანიების საქმიანობაზე ზეგავლენის მქონე შიდა ფაქტორები – ეროვნული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა.

ვფიქრობ, ამ კატეგორიის დავებზე სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი პრაქტიკული საკითხებით დაინტერესდებიან, როგორც მოქმედი მოსამართლეები, ისე პრაქტიკოსი იურისტები და ბიზნესწრეების წარმომადგენლები.

განხორციელებული კვლევა დაეხმარება მათ სასამართლო პრაქტიკით დადგენილი სამართლებრივი საკითხების უკეთ გააზრებასა და აღქმაში, აგრეთვე, კონფლიქტური სიტუაციების მართებულად გადაწყვეტაში.

კვლევა ჩემი ხელმძღვანელობით განახორციელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მწერალმა თანაშემწემ – ილონა გაგუამ.

უთუოდ იქნება გათვალისწინებული საკითხით დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით, სამომავლოდ განსახორციელებელ არაერთ ნამოწყებაში.

### **მზია თოდუა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე,

სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე

## შესავალი

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ზრდისა და თავისუფალი მენარმეობის განვითარების მნიშვნელოვანი ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისა და სტაბილურობის მისაღწევად განუზომლად დიდია. ძლიერი ეკონომიკა ამყარებს სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას, კეთილდღეობასა და თავისუფლებას. მათი შემდგომი განვითარებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს შესაბამისი საინვესტიციო გარემოს შექმნას, რამდენადაც ბიზნესით დაკავებული პირისათვის მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობა და კომპანიის საქმიანობაზე მოქმედი შიდა ფაქტორი – ეროვნული კანონმდებლობა<sup>1</sup>.

ბიზნესსა და სამართალს შორის ჰარმონიული დამოკიდებულება განსაზღვრავს ეკონომიკური და სამენარმეო საქმიანობის წარმატებას ქვეყნის ფარგლებში. ბიზნესსაქმიანობისა და ვისი წარმოშობის შემთხვევაში, ინვესტორს<sup>2</sup> უფლება აქვს, ისარგებლოს დავის გადანაცვების ეფექტიანი საშუალებებით. სახელმწიფოს როლი კი, ამ მიმართულებით, პოზიტიური ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაა, რაც სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების შექმნას გულისხმობს [საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდეგში: ევროკონვენცია) მე-6 მუხლი].

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოში არსებობდეს უცხო ქვეყნის მენარმე სუბიექტთა საქმიანობის ხელშეწყობი, ნათლად ჩამოყალიბებული და განჭვრეტადი საკანონმდებლო ბაზა, აგრეთვე, სტაბილური სასამართლო პრაქტიკა.

ამჟამად, საქართველოში დანერგილია ქონებრივი დავების განხილვის როგორც სასამართლო, ისე – არასასამართლო (მედიაცია, არბიტრაჟი) საშუალებები.

განსახილველ შემთხვევაში, ყურადღება მახვილდება ბიზნესდავების გადანაცვების სასარჩელო ფორმასა და, შესაბამისად, სასამართლოში მათი განხილვისა და გადანაცვების სამართლებრივ პრობლემატიკაზე, როგორც მატერიალური, ისე – საპროცესო სასამართლებრივი თვალსაზრისით.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ინვესტიციები არის ეკონომიკური განვითარების წყარო, რომლის ერთ-ერთ სახედ საერთაშორისო ინვესტიცია წარმოდგება. საერთაშორისო ეკონომიკური ინვესტიციების გაღრმავების კვალობაზე კი, მძაფრი კონკურენციის პირობებში, უმთავრესი ყურადღების საგანი უნდა გახდეს ბიზნესდავებზე სტაბილური და განჭვრეტადი სასამართლო პრაქტიკის არსებობა. რაც, თავის მხრივ, გაადვილებს დავების განხილვის პროცესს და, იმავდროულად, დავათა მშვიდობიანი (მეგობრული) მოგვარების უპირატესობას თვალსაჩინოს გახდის, „რამდენადაც სასამართლოში დავის წარმოება და გადანაცვებითი მიღება დაკავშირებულია საუკეთესო შემთხვევაში, საპროცესო ვადებთან, ხოლო უარეს შემთხვევაში – კანონით დადგენილი ვადების გაჭიანურებასთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს, მხარეს უნევს საპროცესო ხარჯების (სასამართლოსა და სასამართლოს გარეშე) გაღე-

<sup>1</sup> იხ. **ნ. პეპანაშვილი**, „ბიზნეს სამართალი“, გამომცემლობა „ბონა-კაუზა“, თბ. 2011, 31, 32.

<sup>2</sup> „ინვესტორად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს საქართველოში“. „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ საქართველოს კანონი“, მუხლი 2.1. 12 ნოემბერი, 1996 წელი. №473-1ს; „ინვესტორად გვევლინებიან ან კაპიტალის მფლობელები, ან ის პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან, იურიდიული პირის სახელით მიიღონ საინვესტიციო და საფინანსო გადანაცვებითი“. იხ. **ნ. ჟვანია**, „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია“. თბ. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, 47.

ბაც, რომლებიც შეიძლება, მნიშვნელოვნად აღემატებოდეს დავის მშვიდობიანი გზით მოგვარებისას განეულ ხარჯებს“<sup>3</sup>.

საინვესტიციო საქმიანობა, უკავშირდება სამენარმეო საქმიანობას, ანუ კომერციულ მიზანს. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსჯადი დავები კი, რომლებშიც პროცესის თუნდაც, ერთ-ერთ მხარეზე წარმოდგენილი არიან კერძო სამართლის იურიდიული პირები, ექცევიან კომერციული, ე.წ. ბიზნესდავების<sup>4</sup> კატეგორიაში.

კვლევაში დასახული მიზნით შესწავლილია სასამართლო დავები, რომლებიც წარმოიშობა კომერციული, ბიზნესსაქმიანობის განხორციელების პროცესში.

დავათა განმაპირობებელი ფაქტორების წარმოჩენისა და სასამართლო პრაქტიკის უკეთ შესწავლის მიზნით, შესაძლებელია მათი კლასიფიცირება პირობითად ქვემოთ მოცემული სახით.

წარმოდგენილი კვლევა ხელს შეუწყობს დავათა მეგობრულად მოგვარების უპირატესობის ძიებას, ხოლო სასამართლო ხელმისაწვდომობის ფარგლებში<sup>5</sup>, დავის პერსპექტიულობის კვლევას.

იმავედროულად, თვალსაჩინოს გახდის არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობას; გამართული კანონმდებლობითა და განჭვრეტადი სასამართლო პრაქტიკით კი, შესაძლებელია ინვესტორისათვის სამართლებრივად მიმზიდველი გარემოს ფორმირება.

<sup>3</sup> იხ. **მ.თოდუა** „კერძო სამართლის ნორმების ფუნქციური კლასიფიკაციის მნიშვნელობა სამოქალაქო დავებზე გადაწყვეტილების მიღებისას“. თსუ, სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა №1, 2016, 156.

<sup>4</sup> ბიზნესი (ინგ. **business, enterprise**) აღნიშნავს კომერციულ ან სავაჭრო საქმიანობას; მატერიალური ფორმის პროდუქტის ან მომსახურების წარმოებასა და მის რეალიზაციასთან დაკავშირებულ საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მოგებას, ხოლო საერთაშორისო დონეზე, ეს საქმიანობა დაკავშირებულია, აგრეთვე, ინვესტიციებთან: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. იხ. <https://en.wikipedia.org/wiki/Business>. 07.02.2017.

<sup>5</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი - სსსკ-ის) მე-2 მუხლი და ევროკონვენციის მე-6 მუხლი.



## თავი I. კომპანიის პარტნიორისა და დირექტორის პასუხისმგებლობის პრობლემა

### 2.1. მიმოხილვა

კორპორაციული მართვის სრულყოფილი სისტემის არსებობა წარმოგვიდგება, როგორც ქვეყანაში კომპანიების<sup>6</sup> სტაბილური ფუნქციონირების, მეტადრე კი, უცხოური ინვესტიციების შეუფერხებელი შემოდინების განმაპირობებელი ფაქტორი.

კორპორაციულ მართვაში ვგულისხმობთ უფლება-მოვალეობების ურთიერთმიმართებას საზოგადოების პარტნიორებს/აქციონერებს, როგორც საზოგადოების მართვის კოლეგიურ ორგანოებსა და დირექტორებს შორის.

ამ პროცესში, განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დირექტორის მხრიდან კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების სტანდარტის დაცულობას. მით უფრო, იმ ვითარებაში, როდესაც საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში სრულყოფილ ნორმატიულ რეგულაციას, ამ უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებით, არ ვხვდებით. არადა, უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტორისათვის, რომელიც აპირებს ფულის დაბანდებას კონკრეტული სამენარმეო საქმიანობის/ბიზნესის სფეროში, განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა, თუ რომელი წესით მოწმდება კოლეგიური ორგანოებისა და დირექტორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერება, **სხვა სიტყვებით, ექვემდებარება თუ არა სასამართლო კონტროლს კომპანიის მართვის პროცესში წარმოქმნილი სადავო საკითხები.**

კორპორაციული სამართლის საკვანძო საკითხების გადასაწყვეტად სასამართლო პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იგულისხმება სამართლის სწორედ ის ასპექტები, სადაც ნორმატიული მოწესრიგების სიმწირის კვალობაზე სამართლებრივი რეგულაციის ტვირთი სასამართლოს აწევს.

კვლევის ეს ნაწილი დაეთმობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზს, რომელშიც წარმოჩენილია საწარმოთა მართვის პროცესში არსებული სამართლებრივი პრობლემები, ძირითადად კი, ყურადღება გამახვილდება მართვის კოლეგიური ორგანოებისა და დირექტორთა იმ საქმიანობაზე, რომლებიც იურიდიულ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების კოლეგიური ორგანოს ცალკეული წევრების (აქციონერი/პარტნიორი), გარეშე პირებისა და, მათ შორის, სახელმწიფოს ინტერესებზე.

<sup>6</sup> **შენიშვნა:** რომანულ-გერმანული სამართლის წვერი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები კომერციული იურიდიული პირის სრულყოფილ, საკანონმდებლო განმარტებას არ იძლევა, რაც იმითაა განპირობებული, რომ ამ ქვეყნების სამართლისათვის უპირატესი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივ ურთიერთობებში იურიდიული პირების მონაწილეობის ფორმები. ქართულ სამართალშიც იურიდიული პირის ნიშნები იმ სამართლის ნორმებიდან გამოჰყავთ, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონისა და საგადასახადო კოდექსის გარკვეულ მუხლებშია მიმოხილული და თავისი შინაარსით იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავენ, მაგალითად, საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის მიხედვით, საწარმოდ ითვლებიან წარმონაქმნები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან ან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად არიან შექმნილი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი კი, სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევს მართლზომიერ და არაერთჯერად საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

## 2.2. პარტნიორთა კრების მოწვევის პრობლემა, პარტნიორის ბარიცხვა

ერთ-ერთ საქმეში<sup>7</sup> საზოგადოების 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი იმ საფუძველით დადგა, რომ პარტნიორთა კრებას ესწრებოდნენ მხოლოდ საზოგადოების 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორები.

სააპელაციო სასამართლომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება უნარიანობა იმ მოტივით არ ცნო, რომ, ვინაიდან კრებას ესწრებოდნენ მხოლოდ საზოგადოების 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორები, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – მენარმეთა კანონი) მე-9<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტის 2011 წლის 24 ივნისამდე მოქმედი რედაქციით და საზოგადოების წესდების მიხედვით, კრება გადაწყვეტილება უნარიანი ვერ იქნებოდა მისი პირველივე მოწვევის შემთხვევაში.

განსახილველი საქმის ფარგლებში, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება უნარიანობის კვლევა მენარმეთა კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტის 2011 წლის 24 ივნისამდე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველით, რომლის მიხედვით პარტნიორთა კრება, რომელიც კონკრეტული დღის წესრიგით პირველად მოწვეული, გადაწყვეტილება უნარიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის (50%-ზე მეტი ხმის) მქონე პარტნიორი (პარტნიორები). პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება სწორედ იმ დასაბუთებით იქნა უარყოფილი, რომ არ დასტურდებოდა კრების განმეორებით მოწვევისა და საზოგადოებიდან 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის გარიცხვაზე უფლებამოსილება.

## 2.3. პარტნიორისა და დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა

პრეცედენტული მნიშვნელობის კორპორაციულ დავაში<sup>8</sup>, საკასაციო პალატამ იმსჯელა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის მისი პარტნიორების პირადი პასუხისმგებლობის საკითხზე და დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა მენარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ფაქტობრივი გარემოების დადასტურების პირობებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი იყო, ეკისრებათ თუ არა კომპანიის პარტნიორებს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ, დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია.

კვლევის აქტუალობა სწორედ იმ ნორმატიულმა მოწესრიგებამ განაპირობა, რომ კორპორაციული სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძველებს, სახელდობრ, მენარმეთა კანონის 44-ე მუხლის მოქმედების პირობებში საზოგადოების ვალდებულებებისათვის საზოგადოების პარტნიორები და, მით უფრო, დირექტორი, ჩვეულებრივ შემთხვევაში, პირადი ქონებით პასუხს არ აგებს. თუმცა, და-

<sup>7</sup> იხ. სუსგ №ას-764-715-2010, 18 აპრილი, 2011 წელი.

<sup>8</sup> იხ. სუსგ №ას-1158-1104-2014, 06 მაისი 2015 წელი; №ას-1307-1245-2014, 06 მაისი 2015 წელი.

სახელმწიფო დავა დაკვალიფიცირდა მითითებული ნორმიდან იმ საგამონაკლისო შემთხვევადად, როდესაც კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის ნორმატიული შინაარსი დაშვებად მიიჩნევა კომპანიის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას მათი პარტნიორებისათვისაც. ნორმიდან გამონაკლისს კი, ის ფაქტობრივი გარემოება წარმოშობდა, რომ დასტურდებოდა მათი მხრიდან პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოიყენება.

ამ თვალსაზრისით, დავის ფარგლებში განიმარტა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებაში ნაგულისხმევი ნორმატიული შინაარსი, რომელიც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, „...მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგალითად, კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმის დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა), არამედ, თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის კომპონენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით. პარტნიორის ამგვარი ქმედება ვლინდება მაშინ, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ, როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით“.

დავის ფარგლებში, აგრეთვე, განიმარტა კომპანიის დირექტორის ფიდეციუერი მოვალეობის დარღვევაში ნაგულისხმევი მენარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის ნორმატიული შინაარსიც, რომელიც, პალატის მოსაზრებით, „...საზოგადოების საქმიანობის კეთილსინდისიერად გაძღოლის მოვალეობასთან ერთად, დირექტორისაგან მოითხოვს, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება, იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა, „ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და, ამ გადაწყვეტილების მიღებისას, იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში, საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან“. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „...არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც, ხელმძღვანელი არ არის ვალდებული, კომპანიის მომგებიანობის გაზრდის მიზნით ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რომელიც საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას იწვევს: (ა) გადასახადებისათვის თავის არიდების სქემის განხორციელება იწვევს მისი განმარტებული პირად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; (ბ) გადასახადებისათვის თავის არიდების ფინანსური შედეგები შესაძლებელია კატასტროფული აღმოჩნდეს კომპანიისათვის და „მართებული ბიზნესგადაწყვეტილების“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას, არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების უკანონო საქმეებში. იმავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელების მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით კორუფციული ქმედებები, დირექტორთა იმგვარ საჯარო ვალდებულებებს, რომელიც გულისხმობს კანონის ფარგლებში მოქმედების ვალდებულებას, გარდაქმნის მას კომპანიის წინაშე ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებადაც“. შესაბამისად, კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორების პასუხისმგებლობა გავრცელდა გადაუხდელი გადასახადის ძირითად

თანხასა და იმავდროულად, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საურავზეც.

**უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფოს მიმართ კომპანიის ვალდებულებების გამო, დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხს, საკასაციო პალატა არაერთგვაროვნად უდგება.**

სხვა სამოქალაქო საქმეში<sup>9</sup>, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის დირექტორის პასუხისმგებლობის ფარგლებსა და მის სამართლებრივ პრობლემატიკაზე, რა დროსაც მიიჩნია, რომ დავის მოსაწესრიგებლად მენარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის გამოყენება არ არის მნიშვნელოვანი გარეშე პირის (იქნება ეს სახელმწიფო თუ სხვა) მხრიდან დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებისათვის. საკასაციო პალატამ, აღნიშნულ საქმეში განმარტა, რომ „...მითითებული ნორმა საწარმოს და არა სახელმწიფოს/მე-3 პირს ანიჭებს მეორე მოპასუხისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას („ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ...“). ამას გარდა, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრება საწარმოს და არა მის დირექტორს, ამიტომ მისთვის, საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ჯარიმა-საურავების დაკისრება დაუშვებელია“.

#### **2.4. კომპანიის მართვის პროცესში პარტნიორის მონაწილეობის მინიმალური სტანდარტი**

მენარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საზოგადოების ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით, გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით... კონტროლისა და შემოწმების ჩამოთვლილი უფლებები შეიძლება, შეიზღუდოს მხოლოდ ამავე კანონით, გაფართოება კი, შესაძლებელია წესდებით. მენარმეთა კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

საზოგადოების პარტნიორის აღნიშნული უფლების რეალიზებაზე პასუხისმგებელ სუბიექტებს წარმოადგენენ საზოგადოების დირექტორი, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი და, ბუნებრივია, თავად – საზოგადოება.

ნიშანდობლივია, რომ **საზოგადოების საქმიანობის ამსახველი** ინფორმაციის მიღებით დაცულია საზოგადოების მართვაში პარტნიორის მონაწილეობის მინიმალური სტანდარტი. **დირექტორის მხრიდან ამ ვალდებულების შესრულება ექვედებარება**

<sup>9</sup> შდრ: სუსგ №ას-176-163-2015, 4 ოქტომბერი, 2016 წელი.



სასამართლო კონტროლსაც<sup>10</sup>. ამ მხრივ, თვალსაჩინოა ქმედების დავალდებულების (საზოგადოების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გადაცემა) შესახებ სარჩელები, რომელთა დაკმაყოფილების გამომრიცხველ გარემოებად სასამართლო არ ითვალისწინებს საზოგადოების/დირექტორთა კვალიფიციურ შედავებას, თითქოს, უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის გამოყენებამდე პარტნიორი არ ცდილობდა სასურველი ინფორმაციის უშუალოდ მათთვის მიმართვის გზით მოპოვებას. მენარმეთა კანონი სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობად არ ითვალისწინებს საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წერილობითი მოთხოვნის აუცილებლობას, არამედ საკმარისია, გამოვლინდეს საზოგადოების დირექტორის მხრიდან საზოგადოების პარტნიორებისათვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გასაცნობად გადაცემაზე ნების არარსებობა, რომ სარჩელი დაკმაყოფილდეს.

სხვა საქმეში<sup>11</sup> პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებით შეიზღუდა აქციონერის ხელმისაწვდომის უფლება საზოგადოების ფინანსურ დოკუმენტაციაზე, იმ მოტივით, რომ დირექტორს უფლება არ ჰქონდა, გაეცა კომპანიისათვის საფრთხის შემცველი დოკუმენტები. თუმცა, სააპელაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში, სასამართლომ იმსჯელა მენარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტისა და 53-ე მუხლების შემადგენლობაზე, რომლებიც აქციონერის მიერ საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის (დოკუმენტაციის) მოპოვების უფლებასთან დაკავშირებით, ურთიერთშემზღუდველ დებულებებს არ შეიცავს, პირიქით – ერთმანეთს ავსებს და აზუსტებს. ამასთან, დოკუმენტაციის გაცნობის უფლება მოიცავს ამ დოკუმენტაციის ასლების გადაცემის მოთხოვნის უფლებასაც, ხოლო 53-ე მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტი – სადავო საკითხს არ ეხება. მითითებული ნორმა არეგულირებს აქციონერის მიერ საერთო კრების დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის განმარტებების მოთხოვნის წარდგენის წესს.

## 2.5. პროცედურული საკითხები

**2.5.1.** აღსანიშნავია, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის მტკიცების ტვირთი ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ პარტნიორთა ნაწილს. სახელდობრ, დავაში, რომელშიც სადავო იყო მენარმეთა კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლისა და საზოგადოების წესდების მიხედვით კრების მოწვევის პროცედურული წესების დაცულობა და, შესაბამისად, კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, საკასაციო პალატამ იმ გარემოების მტკიცების მოვალეობა, რომ კრება განმეორებით იყო მოწვეული, დააკისრა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე მიმთითებელ მხარეს.

**2.5.2.** ზიანის ანაზღაურების შესახებ დავას, მტკიცებულებათა შეფასებისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის თვალსაზრისით, ჯერჯერობით საკასაციო პალატა არაერთგვაროვნად უდგება. მხედველობაშია, სამოქალაქო საქმეები, რომლებშიც კომპანიის დირექტორისა და პარტნიორისათვის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები იქნა განხილული და სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ ემყარებოდა კანონიერ ძალაში შესულ გამამტყუნებელ განაჩენს (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით, რაც დიდი ოდენობით გადასახადებისათვის თავის არიდებაში გამოიხატა).

<sup>10</sup> იხ. სუსგ №ას-31-28-2015, 24 მარტი, 2015 წელი; №ას-800-759-2013, 24 იანვარი, 2014 წელი.

<sup>11</sup> იხ. სუსგ №ას-698-664-2015, 06 აგვისტო, 2015 წელი.

ერთ შემთხვევაში<sup>12</sup>, სამოქალაქო საქმე, რომელშიც სარჩელის საგანი იყო სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მოსარჩელე დირექტორისა და პარტნიორისათვის მისი ანაზღაურების დაკისრების მიზნით, ეყრდნობოდა კანონიერ ძალაში შესულ გამამტყუნებელ განაჩენს, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსსკ-ით გათვალისწინებული ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესით ხელმძღვანელობა რელევანტური არ იყო (თავი XXXIV<sup>3</sup> 15.12.2010. №4075), რამდენადაც დავა შეეხებოდა საზოგადოების დირექტორისა და პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრას, რომლის სპეციალურ რეგულაციას შეიცავდა არა სსკ-ის 992-ე მუხლი (დელიქტური პასუხისმგებლობა), არამედ მენარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი (პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოიყენება) და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი (ზრუნვის მოვალეობა). შესაბამისად, სსსკ-ის 309<sup>17</sup> მუხლის საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით განაჩენში მითითებულ ფაქტებს სპეციალური ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნისათვის, ვერ მინიჭებოდა უტყუარად დადასტურებულის მტკიცებულებითი მნიშვნელობა და იგი წარმოადგენდა მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც სსსკ-ის 105-ე მუხლის მონესრიგების პირობებში საჭიროებდა მტკიცებულებათა ერთობლივ შეფასებას, მათი უტყუარობისა და სარწმუნოობის თვალსაზრისით.

**სხვა სამოქალაქო საქმეში<sup>13</sup> კი, რომელშიც სადავო იყო კომპანიის დირექტორის მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანის სოლიდარულად დაკისრების საკითხი და მოთხოვნა ემყარებოდა კანონიერ ძალაში შესულ გამამტყუნებელ განაჩენს,** საკასაციო პალატამ დავა მოანესრიგა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გათვალისწინებული დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვის სსსკ-ის XXXIV<sup>3</sup> თავით დადგენილი ნორმებით, რამდენადაც მიიჩნია, რომ ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება ისაა, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნიათ (სსსკ-ის 309<sup>20</sup> მუხლის მეორე ნაწილი), რაც იმას გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორციელებულად ითვლება დელიქტური სამართლის დამფუძნებელი ნორმის, სსსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამძღვარი: მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი.

**2.5.3. სხვა სამოქალაქო საქმეშიც<sup>14</sup>, საკასაციო პალატამ იმსჯელა საზოგადოების დირექტორის მხრიდან მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების შედეგად საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის საზოგადოების სასარგებლოდ დაკისრების მართლზომიერებაზე** [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა: მენარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი]. საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას, მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: საზოგადოებას დაეკისრა დირექტორის მოქმედების შედეგად საზოგადოებისათვის შესაბამისი ოდენობის ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცების, ხოლო დირექტორს – ზიანის წარმოშობაში არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი.

ამდენად, მტკიცების თვალსაზრისით, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელე საზოგადოების ვალდებულებაა ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, მან უნდა მიუთითოს და წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საწარმოს მატერიალური დანაკლისის ფაქტს, რომელიც დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგია,

<sup>12</sup> შდრ: სუსგ №ას-1158-1104-2014, 06 მაისი 2015 წელი; №ას-1307-1245-2014, 06 მაისი 2015 წელი.

<sup>13</sup> შდრ: სუსგ №ას-176-163-2015, 4 ოქტომბერი, 2016 წელი.

<sup>14</sup> იხ. სუსგ №ას-245-230-2014, 23 ოქტომბერი, 2015 წელი.

ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია, გააქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და, თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი.

**2.5.4. ზემოთ მითითებულ საქმეში<sup>15</sup> საკასაციო პალატამ გადანყვიტა მოპასუხე დირექტორის უფლებამონაცვლის (მემკვიდრის) სათანადოობის პრობლემა, სახელდობრ, არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითება გარდაცვლილის მემკვიდრის მიმართ სარჩელის აღძვრით (მხედველობაშია არა სამართალწარმოების ეტაპზე გარდაცვალების გამო უფლებამონაცვლეობა, არამედ – სარჩელის აღძვრისას სამკვიდროს მიღების ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით მოპასუხის განსაზღვრა) პროცესუალური თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევის თაობაზე<sup>16</sup> და მიიჩნია, რომ, ვინაიდან უდავო იყო გარდაცვლილის მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტობრივი გარემოება, ხოლო სსკ-ის 1328-ე მუხლის დანაწესი ითვალისწინებდა მამკვიდრებლის ვალდებულებების სამკვიდრო პასივად ტრანსფორმირებას, დირექტორის ქმედებით ზიანის მიყენებაში არაბრალეულობის მტკიცება, გადაულახავ სტანდარტად ვერ შეფასდებოდა.**

## 2.6. სამართლებრივი ანალიზი

ვინაიდან სასამართლო პრაქტიკის როლი განსაკუთრებით თვალსაჩინოა აბსტრაქტული ფორმულირების ნორმათა შინაარსის განმარტებისას, ამიტომ კორპორაციული მართვის პროცესში პარტნიორისა და დირექტორის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევისა და საზოგადოების პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლის ბოროტად გამოყენების ნორმატიულად ნაგულისხმევი შინაარსი სწორედ სამოსამართლო საქმიანობის პროცესში უნდა განიმარტოს. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ინვესტორისათვის, რომელიც აპირებს ფულის დაბანდებას კონკრეტულ ბიზნესში, საინტერესოა საზოგადოების მართვის ორგანოების ფუნქციონირებაზე სასამართლო კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის არსებობა.

ამ თვალსაზრისით, პრეცედენტული მნიშვნელობისაა უზენაესი სასამართლოს მიერ მენარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის იმ ნორმატიული შინაარსის განმარტება, რომელიც ანებს დირექტორის მოქმედების კეთილსინდისიერებას იმ რწმენით, რომ მისი ამგვარი ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. ამ ვალდებულების დარღვევისათვის კი, დგება დირექტორის მხრიდან ზიანის სოლიდარული და, იმავდროულად, პირადი პასუხისმგებლობის საკითხი. მხო-

<sup>15</sup> იხ. სუსგ №ას-245-230-2014, 23 ოქტომბერი, 2015 წელი.

<sup>16</sup> ამ ასპექტში, სააპელაციო პალატა მიუთითებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე: საქმე „დომბო ბეჰერი ნიდერლანდების წინააღმდეგ“, რომელშიც განიმარტა, რომ „ერთიერთსაწინააღმდეგო კერძო ინტერესებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესში მხარეთა თანასწორუფლებიანობა გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის, მათ შორის, მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით, ხოლო საქმეში „J.L. ლაგარდერი საფრანგეთის წინააღმდეგ“, სასამართლო აღნიშნავდა, რომ გარდაცვლილი პირის მემკვიდრეს, რომელსაც საფრანგეთის სასამართლომ დააკისრა გარდაცვლილის მიერ უკანონოდ მითვისებული კორპორაციული თანხები, შეეზღუდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, რადგან მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, კანონიერი საშუალებებით შესდევნებოდა თანხის ოდენობაზე ან მის საერთოდ არსებობაზე.

ლოდ კანონის აღნიშნული დანაწესი იმდენად ზოგადია, რომ არ შეიცავს მითითებებს თუ, რომელ კონკრეტულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების მართებულობა როგორ მოწმდება. ამიტომაც ნორმის დაზუსტებისა და შინაარსის სწორად გაგების ფუნქცია სასამართლო პრაქტიკას აქვს მინდობილი.

ამ თავში მოხმობილი საქმე<sup>17</sup> პრეცედენტულია სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ მასში საკასაციო პალატამ, ქართულ სამართლებრივ სივრცეში პირველად განმარტა საკორპორაციო სამართალში არსებული დირექტორის ე.წ. ფიდუციური მოვალეობისა და საზოგადოების პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლის ბოროტად გამოყენების შინაარსი.

**საზოგადოების მხრიდან სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივი შეფასებისას, სსკ-ის 992-ე მუხლისა და მენარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტებს შორის კონკურენციის საკითხს საკასაციო პალატა ჯერჯერობით არაერთგვაროვნად უდგება, ერთ შემთხვევაში, გამოიკვეთა მოსაზრება, რომ დავის მოსაწესრიგებლად არსებითია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვის სსსკ-ის XXXIV<sup>3</sup> თავით დადგენილი ნორმების გამოყენება, ხოლო, მეორე შემთხვევაში – იმის გათვალისწინებით, დავა წარმოშობილია სამენარმეო საქმიანობის განხორციელებიდან ზიანის ანაზღაურების დამფუძნებელ ნორმას მენარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი წარმოადგენს და, მაშასადამე, დავის ფაქტობრივი გარემოებები დადგენას საჭიროებს სსსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.**

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვამ წარმოაჩინა ის გამოწვევებიც, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე კორპორაციული მართვის საკანონმდებლო რეგულირება იმ პირობებში, როდესაც მოქმედი მენარმეთა კანონის ნორმატიული მონესრიგება არ აწესებს საზოგადოების მართვის პროცესში დირექტორის მიერ სრულყოფილ ინფორმაციის მიღების გარანტიებს, თუმცა მენარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის დარღვევისათვის შესაძლოა, მისი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი წამოიჭრას. ამასთან, საკითხს აქტუალობას ისიც სძენს, რომ უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით საზოგადოებასა და დირექტორს შორის ურთიერთობა შეფასებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (**შემდეგში – სსკ-ის**) გათვალისწინებული დავალების ხელშეკრულებად<sup>18</sup>, სადაც მოქმედებს ავტონომიის პრინციპი და, მაშასადამე, საერთო ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებს გარეთ დარჩენილ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საზოგადოებას გააჩნია დირექტორის მართვის ერთგვარი მექანიზმი.

რაც შეეხება მტკიცების ტვირთის გადანაწილებას: მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს დირექტორის მხრიდან ფიდუციური მოვალეობის დარღვევის ფაქტობრივი გარემოება, მისი მხრიდან კეთილსინდისიერად ქცევის მოვალეობის დარღვევა, ხოლო მტკიცების ტვირთი იმისა, რომ დირექტორი მოქმედებდა მენარმეთა კანონის მოთხოვნათა და

<sup>17</sup> იხ. სუსგ №ას-1158-1104-2014, 06 მაისი 2015 წელი; №ას-1307-1245-2014, 06 მაისი 2015 წელი.

<sup>18</sup> **შენიშვნა:** კორპორაციული მართვის პროცესში საზოგადოებასა და დირექტორს შორის არსებული სამართლებრივი რეგულირების მატერიალური საფუძვლები განხილულია კვლევის IX თავში, სადაც მხარეთა ამგვარი ურთიერთობა შეფასებულია ე.წ. „სასამსახურო ხელშეკრულებად“ და მონესრიგებულია დავალების სახელშეკრულებო ნორმებით. საგულისხმოა ისიც, რომ დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს, ნებისმიერ დროს შეუძლიათ და სხვაგვარი შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია (სსკ-ის 720-ე მუხლი). კანონმდებლის ამგვარი მიდგომის ფარგლებში კი, საზოგადოებას დირექტორზე ზეგავლენის მოხდენის ძლიერი ბერკეტი გააჩნია.



საწარმოს ინტერესების შესაბამისად, ეკისრება დირექტორს<sup>19</sup>. ამ გარემოების დადასტურების შემთხვევაში, მენარმეთა კანონით მისი ინტერესები დაცულია.

**ნიშანდობილივია, საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის მინიმალური სტანდარტების დაცულობის პრობლემაც.** როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონი პარტნიორს/აქციონერს ანიჭებს შეუზღუდავ წვდომას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ საფინანსო და საბუღალტრო დოკუმენტებთან. **საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა დაუშვებელია იმაზე მითითებით, რომ ეს უარი საწარმოს არსებითი ინტერესებიდან გამომდინარეობს ან ამ ინფორმაციის გაცემა საფრთხეს შეუქმნის საწარმოს მხოლოდ იმის გამო, რომ შეიძლება, ნარედგინოს მესამე პირებს.**

**დაუსაბუთებელია აქციონერისათვის წმინდა საბუღალტრო ხასიათის დოკუმენტაციის გადაცემის დაუშვებლობაც, რადგან ამგვარ დიფერენცირებასა და შეზღუდვას მენარმეთა კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი არ აწესებს.** იმავდროულად, კომპანიის მითითება იმის შესახებ, რომ აქციონერის მიერ ნახსენები დოკუმენტაციიდან გარკვეული ნაწილი საწარმოში შესაძლოა, არ არსებობდეს, არ არის გასაზიარებელი, იმ მოტივით<sup>20</sup>, რომ, რადგანაც ვინდიკაციური მოთხოვნა არ არის წამოყენებული, მისი დაკმაყოფილებისთვის არ არის აუცილებელი, დადგინდეს სადავო დოკუმენტაციაზე მოპასუხის მფლობელობის ფაქტი, ურომლისოდაც ვერ იქნება გამოტანილი გადაწყვეტილება მათი გამოთხოვის თაობაზე. ამდენად, თუ ამ დოკუმენტაციის გარკვეული ნაწილი, რაიმე ობიექტური მიზეზის გამო, საწარმოს არ გააჩნია, ეს გაირკვევა გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე.

## თავი II. კავიტალური ტიპის საზოგადოებისათვის დივიდენდის დაკისრების პრობლემატიკა

### 3.1. მიმოხილვა

სამენარმეო სუბიექტის დაფუძნების მიზანია მოგების მიღება; პარტნიორის ინტერესიც, როდესაც იგი ხდება საწარმოს განსაზღვრული წილის მესაკუთრე, არის სწორედ საწარმოს მოგებიდან მისი წილის პროპორციული მოგების მიღება დივიდენდის სახით. სხვა სიტყვებით, საწარმოს მიერ მიღებული მოგების შესაბამის წილზე პარტნიორს წარმოეშობა საკუთრების უფლება, რომელიც დაცულია ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით<sup>21</sup>.

**„დივიდენდი“<sup>22</sup>** ეს არის მოგების ნაწილი, რომელსაც კომერციული იურიდიული პირი

<sup>19</sup> ამ გარემოების დასადასტურებლად მხოლოდ ის არ არის საკმარისი, რომ ტრანზაქციის მიმართ მას ფინანსური ინტერესი არ ჰქონია.

<sup>20</sup> იხ. სუსგ №ას-698-664-2015, 06 აგვისტო, 2015 წელი.

<sup>21</sup> ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მიხედვით: „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება, ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში..“ დივიდენდზე, როგორც აქტივზე უფლებას საკმარისი საყრდენი გააჩნია შიდა სამართალშიც, სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით უზრუნველყოფილია საკუთრებით სარგებლობა.

<sup>22</sup> დივიდენდი [ლათ. დივიდენდუს – გასაყოფი] – (ეკონ.). აქციონერთათვის კომპანიის მოგების ნაწილის გადახდა. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2008, 18.

სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით ანაწილებს პარტნიორთა შორის, აგრეთვე, იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციების გამოსყიდვისას ქონების განაწილებით მიღებული შემოსავალი, გარდა სანესდებო და საემისიო კაპიტალის ქონებისა ან/და იმ ქონებისა, რომელიც პარტნიორმა ადრე განახორციელა სანესდებო კაპიტალში შენატანის სახით.

მენარმეთა კანონის ნორმატიული მონესრიგების პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პარტნიორს გააჩნია დივიდენდის მიღების უფლება, მხოლოდ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ისინი წარმოადგენენ საწარმოს პარტნიორებს, მათ მხოლოდ მაშინ გააჩნიათ დივიდენდის მოთხოვნის უფლება კონკრეტული სამეურნეო წლის მოგებიდან, თუ პარტნიორთა კრება მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას მოგების განაწილების შესახებ. სახელდობრ, მენარმეთა კანონის მე-8 მუხლი შეიცავს რეგულაციას კაპიტალურ საზოგადოებაში მოგების განაწილების წინაპირობებთან დაკავშირებით და ადგენს ქცევის წესს, რომლის თანახმად: „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება, დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება“. აღნიშნული ნორმა არ შეიცავს კონკრეტულ, პროცედურულ წესზე მითითებას, რომლის დაცვაც აუცილებელია კომპეტენტური ორგანოს მიერ დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და მათ მონესრიგებას კანონი მთლიანად მიახლოებს კომპანიის წესდებას.

იმავედროულად, უნდა აღინიშნოს, რომ დივიდენდის სამართლებრივი ბუნება განუყოფელს ხდის მას პარტნიორის სტატუსისაგან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა საწარმოში წილისაგან დამოუკიდებლად არ დაიშვება. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდება.

### 3.2. საზოგადოების მოგებიდან დივიდენდის გადახდის წინაპირობები, დივიდენდის ოდენობა

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა სამართლებრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ არაერთი სამოქალაქო დავის საგანია კაპიტალური ტიპის საზოგადოების მოგებიდან დივიდენდის გადახდის დაკისრება.**

ამ მოთხოვნით აღძრულ სარჩელებზე იმგვარი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პირობებში, როგორცაა, მოსარჩელეთა პარტნიორად ყოფნა და საზოგადოების მიერ სადავო პერიოდში მოგების მიღება, საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება წარმოადგენს უალტერნატივო გზას დივიდენდის მისაღებად. საზოგადოებაში მოგების არსებობა, უპირობოდ მისი დივიდენდის სახით განაწილების საფუძველი არ არის.

დივიდენდის განაწილების მიზნებისათვის პირველ რიგში, უნდა არსებობდეს **პარტნიორთა ნება მოგების პარტნიორებს შორის გაყოფის თაობაზე**<sup>23</sup>. პარტნიორთა/აქციონერთა საერთო კრების ან საწარმოს მენეჯმენტის დისკრეციაში, სასამართლო, როგორც წესი, არ იჭრება, თუ არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

ამ მიმართულებით, არსებული სასამართლო პრაქტიკა ეყრდნობა იმგვარ პოზიციას, რომ საზოგადოების მოგების დივიდენდად განაწილება რჩება საზოგადოების პარტნი-

<sup>23</sup> იხ. სუსგ №ას-771-732-2013, 31 იანვარი, 2014 წელი; №ას-378-359-2015, 21 დეკემბერი, 2015 წელი.

ორთა დისკრეციად, იმგვარად, რომ სასამართლოს მხრიდან ჩარევა ამ უფლებამოსილებაში გაუმართლებელია. სასამართლო მხოლოდ პარტნიორთა კრების კომპეტენციას მიაკუთვნებს გადაწყვეტილების მიღებას წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილების შესახებ. ამ მიმართულებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკა<sup>24</sup>.

**როგორც აღინიშნა, დივიდენდის განაწილება რჩება პარტნიორთა კრების დისკრეციულ უფლებამოსილებად, თუმცა საკითხის პრობლემურობას ის გარემოება წარმოაჩენს, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, საზოგადოების პარტნიორები (წილის უპირატესი ნაწილის მქონენი, მაჟორიტარი პარტნიორები), დირექტორები საზოგადოების კრების მოწვევას თავს არიდებენ საზოგადოების მოგების განაწილებისათვის თავის არიდების მიზნით, საზოგადოების პარტნიორთა/დირექტორთა მოქმედება განაპირობებს დივიდენდის განაწილებისა და მიკუთვნების მიზნით სასარჩელო წარმოების დაწყებას.**

საინტერესოა, რა მიდგომაა დადგენილი სასამართლო პრაქტიკით, მეტადრე იმ ვითარებაში, რომ პარტნიორთა კრების დისკრეციის შეზღუდვა სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

ერთ-ერთ საქმეში<sup>25</sup>, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ: მენარმეთა კანონის მე-8 მუხლის შინაარსის მიუხედავად, სასამართლო ყოველთვისაა უფლებამოსილი, გადაწყვიტოს დივიდენდის განაწილების საკითხი, რათა დომინანტ პარტნიორს არ მიეცეს შესაძლებლობა, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, არაპროპორციულად შეზღუდოს მცირე პარტნიორის საკუთრების უფლება“. **საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამენარმეო საზოგადოების პარტნიორს გააჩნია დივიდენდის მოთხოვნის უფლება, თუმცა, ყველა შემთხვევაში, ეს არ შეიძლება იქნეს მიჩნეული საწარმოს ხელძღვანელობით უფლებამოსილებაში სასამართლოს მხრიდან ჩარევის ლეგიტიმურ საფუძვლად.**

უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო პარტნიორთა კრებაა, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს, მათ შორის, წლიური შედეგების დამტკიცებისა და შედეგების გამოყენებაზე, ხოლო მე-8 მუხლით დივიდენდი ნაწილდება, შესაბამისად, ყოველი სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით (მენარმეთა კანონის 8.2. მუხლი). შეიძლება ითქვას, რომ, როგორც კანონის, ისე საწარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეციაა, რაც გულისხმობს განაწილებელი მოგების ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც და ამ გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლო უნდა შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ უფლებამოსილ პირთა მხრიდან გამოვლინდება არაკეთილსინდისიერი ქმედებები, პარტნიორის უფლებების განზრახ უგულებელყოფა ან დისკრეციის ბოროტად გამოყენება**<sup>26</sup>.

ამდენად, დივიდენდის განაწილებისას საწარმოს პარტნიორთა დისკრეციის ფარგლებში სასამართლო ვერ შეიჭრება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარტნიორთა კრებამ, განაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისას, საკუთარი უფლებამოსილება არამართლზომიერად გამოიყენა.

**პარტნიორთა კრების მოწვევის დავალდებულების მოთხოვნასთან მიმართებით, საკასაციო პალატამ ჩამოაყალიბა შემდეგი მიდგომა:** ვინაიდან დივიდენდის გაცემის საკითხი სცილდება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას [მენარმეთა კანონის მე-9<sup>1</sup> მუხ-

<sup>24</sup> იხ. სუსგ №ას-822-780-2013, 3 თებერვალი, 2014 წელი; №ას-863-813-2015, 17 დეკემბერი, 2015 წელი.

<sup>25</sup> იხ. სუსგ №ას-863-813-2015, 17 დეკემბერი, 2015 წელი.

<sup>26</sup> შდრ: სუსგ №ას-1063-1018-2014, 08 აპრილი, 2015 წელი.

ლის მე-7 პუნქტი] და კრების მოწვევის დავალდებულება იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელია ყველა პარტნიორის მონაწილეობით კრების ჩატარება, კონკრეტული ვითარებისა და ფაქტობრივი გარემოებების მთლიანობაში შეფასების გზით, შეიძლება, განვიხილოთ საწარმოს საქმიანობაში სასამართლოს ლეგიტიმურ ჩარევად<sup>27</sup>.

**ზოგიერთ შემთხვევაში, სადავოა დივიდენდის სახით გასანაწილებელი თანხის ოდენობა.** ეს ის შემთხვევაა, როდესაც საზოგადოების პარტნიორს, მართალია, მიღებული აქვს დივიდენდად გარკვეული თანხა, თუმცა, მისი მტკიცებით, ეს არ არის საზოგადოების მოგებაში მისი წილის პროპორციული.

ერთ-ერთ საქმეში<sup>28</sup> სასარჩელო პრეტენზია ეფუძნებოდა განაწილებული დივიდენდის საწარმოს მოგებასთან შეუსაბამობას, რის გამოც, პარტნიორი მოითხოვდა კომპანიისათვის დივიდენდის სახით, დამატებითი თანხის დაკისრებას. მისი მოსაზრებით, **კრებაზე გასანაწილებლად გამოტანილი დივიდენდი არ ასახავდა საწარმოს რეალური მოგების წლიურ შედეგებს**, კერძოდ, პარტნიორთა კრების გადანყვეტილებებით განაწილებულ იქნა დივიდენდი 2012 წლის შედეგების მიხედვით, რაც დეკლარაციიდან გამომდინარე, შეადგენს საწარმოს დასაბეგრ მოგებას, 419 393 ლარს, ამ თანხას უნდა გამოჰკლებოდა მოგების გადასახადი 15% – 62 909 ლარი, რის შემდეგაც რჩება რა წმინდა მოგების სახით (419 393 – 62 909) 356 484 ლარი, სწორედ აქედან უნდა განაწილებულიყო პარტნიორთა წილების შესაბამისად. აღნიშნული **პრეტენზია არ იქნა გაზიარებული იმ დასაბუთებით, რომ** დივიდენდად შესაძლებელია, გაიცეს საზოგადოების მოგება, რომელიც დადგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი ბალანსის მიხედვით. აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს, რომ გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა-დაანგარიშება ხორციელდება არა დასაბეგრი (როგორც ამას კასატორი უთითებდა), არამედ საწარმოს ფინანსური მოგებიდან. ამრიგად, გასაცემი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისათვის საწარმოს დასაბეგრი მოგებაზე მითითება არარელევანტურად შეფასდა.

**არაერთი სამოქალაქო დავის საგანია დივიდენდის გადახდის დაკისრება საწარმოში წილის გასხვისების შემდეგ, რომელთა უმეტესობის წარუმატებლობა განპირობებულია წილის გასხვისების ხელშეკრულებასა თუ აუქციონის პირობებში საგამონაკლისო შემთხვევების (სსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილი) გაუთვალისწინებლობით.**

**ამ ტიპის სარჩელებზე მოთხოვნის მართლზომიერება მოწმდება პარტნიორად ყოფნის ფაქტის დადგენით,** ვინაიდან, საკასაციო პალატის მოსაზრებით, „...დივიდენდზე უფლების სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. ამ უფლების გადაცემა, შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლებასაც თმობ. სხვა საკითხია დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ვინაიდან, იგი დამოუკიდებელი უფლებაა და, წილის გადაცემის შემთხვევაში, ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამდენად, წილის დათმობის (გასხვისების) დროს ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა აღინიშნოს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემის თაობაზე. მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება, საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისევე, როგორადაც ძველი მფლობელის ხელში იყო (სსკ-ის 198-ე მუხლი)“<sup>29</sup>.

<sup>27</sup> იხ. სუსგ №ას-863-813-2015, 17 დეკემბერი, 2015 წელი.

<sup>28</sup> იხ. სუსგ №ას-378-359-2015, 21 დეკემბერი, 2015 წელი.

<sup>29</sup> იხ., სუსგ №ას-747-707-2015, 28 სექტემბერი, 2015 წელი.



ერთ-ერთ საქმეში<sup>30</sup> საზოგადოების გაუნანილებელი დივიდენდის დაკისრებისა და მისი მიუღებლობით მიყენებული ზიანის (სსკ-ის 412-ე მუხლი) მოთხოვნას მოპასუხემ დაუპირისპირა მოთხოვნის განხორციელების შემწყვეტი შედავება იმ კუთხით, რომ საზოგადოების პარტნიორმა (მოსარჩელე) 11%-იანი კუთვნილი წილი საზოგადოებაში დათმო შპს-ში გარკვეული რაოდენობის აქციების მიღების სანაცვლოდ და წილთან ერთად დათმო დივიდენდის მიღების უფლებაც. პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა დივიდენდის უფლებისა და დივიდენდის მიღების უფლების არასწორი განმარტების შედეგად მოცემულ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს (მოსარჩელეს მიაკუთვნეს, როგორც დივიდენდი სადავო პერიოდზე, ისე – მიუღებელი შემოსავალი), იმ დასაბუთებით, რომ წილის პროპორციული მატერიალური ან არამატერიალური პასივისა და აქტივის გადაცემა გულისხმობდა ხელშეკრულების დადების თარიღიდან მოყოლებული ყველა უფლებისა და მოვალეობის, პასივისა და აქტივის მხარის (სუბიექტის) შეცვლას. რაც შეეხებოდა უფრო ადრე, წილის მესაკუთრეობიდან გამომდინარე მოთხოვნას დივიდენდზე, იგი გადაცემულად ვერ ჩაითვლებოდა საამისოდ სპეციალური დათქმის არარსებობის გარეშე. ვინაიდან დასტურდებოდა სადავო პერიოდში საზოგადოების მიერ წმინდა მოგების მიღების ფაქტი, სწორედ მაშინ, როდესაც მოსარჩელე ჯერ კიდევ, საზოგადოების პარტნიორს წარმოადგენდა, მას, როგორც საზოგადოების გარკვეული წილის მესაკუთრეს, წარმოეშვა დივიდენდის მიღებაზე მოთხოვნის უფლება. ეს კი, არა საზოგადოების პარტნიორობიდან გამომდინარე უფლებას, არამედ მის ნაყოფს წარმოადგენდა (სსკ-ის 154-ე მუხლი).

**საკასაციო პალატამ იმსჯელა საკითხზე: საზოგადოებაში ე.წ. წმინდა მოგების არსებობა წარმოუშობდა თუ არა სამართლებრივ საფუძველს პარტნიორს წილის გასხვისების შემდეგაც მიეღო იგი<sup>31</sup>:** საზოგადოებაში სამეურნეო წლის ბოლოს მოგების ნაწილს მოთხოვნის (დივიდენდის მოთხოვნა) უფლების წარმოშობა აუცილებლად საჭიროებდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას, აქედან გამომდინარე, ყოფილ პარტნიორს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით საწარმოს წლიური მოგება გადანაწილდებოდა დივიდენდის სახით. საკასაციო პალატამ ერთმანეთისაგან გამიჯნა დივიდენდის უფლება და დივიდენდის მიღების უფლება, კერძოდ, წილის პროპორციულ მატერიალურ აქტივზე უფლება საკასაციო პალატამ მიიჩნია არა ზოგადად დივიდენდის მიღების უფლებად, არამედ დივიდენდის მოთხოვნის უფლებად, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში გააჩნდა „წილის დამთმობს“. სხვაგვარად, წილთან ერთად დივიდენდის მიღების უფლების დათმობის თაობაზე ხელშეკრულებაში სპეციალური მითითების აუცილებლობა არ არსებობდა, ვინაიდან დივიდენდის მიღების უფლება განუყოფელია პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუმეგებელია. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდება. **სხვა საკითხია დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ვინაიდან იგი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამდენად, წილის დათმობის (გასხვისების) დროს ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა აღინიშნოს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემის თაობაზე.** მოცემულ საქმეში, ეს პირობა დაცული იყო, კერძოდ, წილის დათმობის ხელშეკრულებაში მითითებული იყო არა მხოლოდ წილის დათმობის, არამედ ამ წილის პროპორციული მატერიალური აქტივის დათმობის თაობაზეც, რაც, უპირველესად, გულისხმობს ხელშეკრულების დადებისას არსებულ და არა სამომავლო აქტივს. წილის დათმობის ხელშეკრულების დადების მომენტში კი, წილის პროპორციულ მატერიალურ აქ-

<sup>30</sup> იხ. სუსგ №ას-1328-1170-2010, 06 ივნისი, 2011 წელი.

<sup>31</sup> იხ. სუსგ №ას-1328-1170-2010, 06 ივნისი, 2011 წელი.

ტივის შეიძლება, წარმოადგენდეს სწორედ დივიდენდის მოთხოვნის უფლება. ამდენად, მოსარჩელემ წილთან ერთად დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობით დაკარგა მოპასუხისაგან მისი მოთხოვნის უფლება.

ამდენად, ამ ტიპის დავებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ გაასხვისა თავისი წილი კომპანიაში, სასამართლო იმგვარ შეფასებას აძლევს, რომ წილის გასხვისების მომენტიდან პარტნიორმა დაკარგა დივიდენდის მიღების ზოგადი უფლება, ხოლო საკითხი იმის შესახებ, ყოფილი პარტნიორი შეინარჩუნებდა თუ არა დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, დამოკიდებულია ამის თაობაზე სპეციალური შეთანხმების (დათმობის) არსებობაზე ან პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაზე<sup>32</sup>.

### 3.3. პროცედურული საკითხები

**კაპიტალური ტიპის საზოგადოებისათვის დივიდენდის დაკისრების მოთხოვნით აღძრულ სარჩელებზე დადასტურებას საჭიროებს ფაქტობრივი გარემოება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით დივიდენდის განაწილების თაობაზე.**

ამ ფაქტობრივი გარემოების დადასტურება, სსსკ-ის 102-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის მიხედვით, ეკისრება მოპასუხე საზოგადოებას. ერთ-ერთ საქმეში<sup>33</sup> საკასაციო პალატამ მხარეთა შორის ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების მნიშვნელობასთან ერთად განმარტა მათი მტკიცების ვალდებულების მხარეთა შორის განაწილების წესი და მოპასუხე კაპიტალურ საზოგადოებას დააკისრა იმ გარემოების მტკიცების მოვალეობა, რომ პარტნიორთა კრებას არ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება სადავო პერიოდზე დივიდენდის განაწილების შესახებ.

როგორც წესი, მოსარჩელის მტკიცების საგანში სწორედ ის ფაქტობრივი გარემოებები შედის, რომ სარჩელით სადავო პერიოდში საზოგადოებამ მიიღო მოგება და მიღებული მოგების დივიდენდად განაწილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო საზოგადოების პარტნიორთა კრებამ [სსსკ-ის 102-ე მუხლი]

ერთ-ერთ საქმეში<sup>34</sup> კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ „დივიდენდების სახით პარტნიორთა შორის ნაწილდება საფინანსო მოგება და არა საგადასახადო მოგება, ხოლო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პარტნიორისათვის მიკუთვნებული თანხა იყო კომპანიის კონკრეტული პერიოდის საგადასახადო მოგება“, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა, იმ დასაბუთებით, კასატორის მითითებული პოზიცია შესაგებლით შესადავებელი ფაქტი იყო, რომელზე შედავების პროცესუალური უფლებამოსილება მოპასუხემ (კასატორმა) დაკარგა პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობით [სსსკ-ის მე-4, 201-ე მუხლები].

ზოგიერთ შემთხვევაში, სარჩელის მოთხოვნად დივიდენდის განაწილებასთან ერთად მოსარჩელეები აყენებენ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციის გადაცემის საკითხსაც<sup>35</sup>.

<sup>32</sup> იხ. სუსგ №ას-747-707-2015, 28 სექტემბერი, 2015 წელი; სუსგ №ას-696-666-2014, 08 აპრილი, 2015 წელი; სუსგ №ას-31-28-2015, 24 მარტი, 2015 წელი.

<sup>33</sup> იხ. სუსგ №ას-771-732-2013, 31 იანვარი, 2014 წელი.

<sup>34</sup> იხ. სუსგ №ას-1063-1018-2014, 08 აპრილი, 2015 წელი.

<sup>35</sup> იხ. სუსგ №ას-1104-1061-2016, 01 თებერვალი, 2017 წელი.

სხვა სამოქალაქო საქმეში<sup>36</sup> პარტნიორი მოითხოვდა კომპანიაში მისი კუთვნილი წილის შესაბამისი დივიდენდის დაკისრებას და საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციის გადაცემის დავალდებულებას (რადგან მისი უქონლობის გამო, სარჩელში თანხის დაზუსტებას მოსარჩელე ვერ ახერხებდა). სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო პარტნიორის შუამდგომლობით კომპანიისაგან გამოთხოვილ დოკუმენტაციას: ა) მოგების გადასახადის დეკლარაციას; ბ) პარტნიორთა კრების ოქმს, რომლის თანახმად, კომპანიის მიმართ ფინანსურ პოლიციაში დაწყებული გამოძიების დასრულებამდე შეჩერდა დივიდენდების გაცემა; გ) ბუღალტრის ცნობას, რომლის თანახმად, დგინდებოდა საწარმოს გასანაწილებელი წმინდა მოგების ოდენობა და ხელზე გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობა.

იმავედროულად, სააპელაციო საჩივრისა და, შესაბამისად, სარჩელის წარმატებულობის კვლევა გაადვილდა კომპანიის მიერ სააპელაციო შესაგებლის წარმოუდგენლობით, რომლის დროსაც, სსსკ-ის 232<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, მოპასუხისაგან (მონინააღმდეგე მხარისაგან) მტკიცებულებები არ მიიღება. სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მოპასუხეს უფლება მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენაზე გააჩნია, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება, მხოლოდ სარჩელის მოთხოვნასთან მიმართებით, მოპასუხის სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება და დამტკიცებულად მიიჩნევა სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები. მოცემულ საქმეში საკასაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე კომპანია სადავოდ ხდიდა სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ დაუსაბუთებლობას, რაც არ იქნა გაზიარებული, იმ დასაბუთებით, რომ „დივიდენდი“, რომლის მიღების უფლებასაც სადავოდ ხდიდა კასატორი, წარმოადგენდა იურიდიული პირის ფინანსური მოგების ნაწილს, რომელზე უფლებაც მოპოვებული იყო ამ კომპანიაში წილის ფლობით (საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტი) და, ამდენად, მასზე „უფლება“ უკავშირდებოდა პარტნიორის სტატუსს, ხოლო, თავის მხრივ, მოგების განაწილების შესაძლებლობა გათვალისწინებული იყო მენარმეთა კანონის მე-8 მუხლით. იმავედროულად, განიმარტა, რომ მენარმეთა კანონის მუხლები, რომლებიც კაპიტალურ საზოგადოებებს ეხება, არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმ დოკუმენტებსა და მეთოდებზე, რომლებსაც დივიდენდად გასანაწილებელი თანხის ან მოგების გაანგარიშება უნდა დაეყრდნოს. ამდენად, მოცემულ საქმეზე დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებებისა და, აგრეთვე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დივიდენდის გადახდის კომპეტენციას კანონი პარტნიორთა კრებას აკუთვნებს, დაუშვებლად იქნა მიჩნეული ამ უფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვა<sup>37</sup>.

ერთ-ერთ საქმეში<sup>38</sup> შპს-ს 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორების მოთხოვნის უარყოფა (პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში) მოპასუხე საზოგადოების დირექტორისათვის და, იმავედროულად, საზოგადოების 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორისათვის საზოგადოების გაუნაწილებელი მოგების დაკისრების თაობაზე მოსარჩელეთა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებების დაუდასტურებლობამ განაპირობა.

ამ ტიპის დავაში მტკიცების საგანში შედის სადავო პერიოდზე არა მხოლოდ საზოგადოების შესაბამისი ოდენობით მოგების არსებობა (სავარაუდო მტკიცებულება: ექსპერტიზის დასკვნა, შიდა აუდიტორული შემოწმება და სხ.), არამედ ის გარემოებაც, რომ საზოგადოების ეს მოგება საზოგადოების საჭიროებისამებრ კი არა, დირექტორის (მოპასუხე) პირადი მიზნებისათვის განიკარგა.

<sup>36</sup> იხ. სუსგ №ას-1063-1018-2014, 08 აპრილი, 2015 წელი.

<sup>37</sup> იხ. სუსგ №ას-1063-1018-2014, 08 აპრილი, 2015 წელი.

<sup>38</sup> იხ. სუსგ №ას-764-715-2010, 18 აპრილი, 2011 წელი.

მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებები კი, მხარეთა შორის შემდეგნაირად ნაწილდება: საზოგადოების მოგების არსებობა მოსარჩელის მტკიცების ტვირთია, ხოლო საზოგადოების მოგების ხარჯვის კანონიერება (დირექტორის მხრიდან მისი პირადი მიზნებისათვის მოუხმარებლობა) – მოპასუხის.

მოსარჩელის პრეტენზიასთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა საზოგადოების წინაშე ყოფილი დირექტორის პასუხისმგებლობის, კერძოდ, მის მიერ საწარმოს მოგების დაუსაბუთებელ ხარჯვასა და ამით საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებას, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სამენარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებზე, რომელსაც აწესრიგებს მენარმეთა კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძღოლისას შპს-ს დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას, ასევე, ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში, საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობას (მე-9 მუხლი). კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდა კორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. **საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას, მტკიცების ტვირთი მათ ეკისრებათ, ესე იგი, დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.**

რაც შეეხება დივიდენდის მოთხოვნის სარჩელის ხანდაზმულობის ვადას, სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზი გვიჩვენებს<sup>39</sup>, რომ მოსარჩელის ამ უფლების რეალიზებაზე სსკ-ის 129.1 მუხლით დადგენილი 3-წლიანი ვადის გავრცელება არ არის ნორმატიულად ნაკარნახევი, ვინაიდან, დავა შეხება სპეციალურ ურთიერთობას, რომლის ნორმატიული რეგულირება მოცემულია მენარმეთა კანონში და, ამ კანონის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, ამ ტიპის დავებზე ვრცელდება ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა.

ერთ-ერთ საკორპორაციო დავაში<sup>40</sup>, სასარჩელო მოთხოვნას საწარმოთა სამართალმემკვიდრეობის დადგენა და ამავე პერიოდიდან გასაცემი დივიდენდის დაანაგრიშება წარმოადგენდა. საწარმოთა სამართალმემკვიდრეობის დასადგენად, მოსარჩელე ეყრდნობოდა აუდიტის დასკვნას, რომლითაც დასტურდებოდა პირველი საწარმოს მიერ მეორე საწარმოს დაარსებისა და ამოქმედებისას პირველი საწარმოს ადამიანური და მატერიალური რესურსების ექსპლოატაცია, პირველი საწარმოს აქციების უცხოურ კომპანიაზე გასხვისებით აქციების გაუფასურება და სხვა. ახლად შექმნილი საწარმოს სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხის კვლევისას, ყურადღება გამახვილდა **მტკიცების სტანდარტზე – სპეციალური მტკიცებულება, რომელიც გამომდინარეობს მენარმეთა კანონის 14<sup>4</sup> პირველი ნაწილის დანაწესიდან** და საწარმოთა უფლებამონაცვლეობის განმაპირობებელ ფაქტორად მიიჩნევს საწარმოს იმგვარ რეორგანიზაციას, რომლის დროსაც, მიმდინარეობს გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), რომლის დამადასტურებელ არსებით მტკიცებულებას აუდიტის დასკვნა არ წარმოადგენს, რამდენადაც საწარმოთა უფლებამონაცვლეობა არის სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობა და იგი გამომდინარეობს კანონიდან. სადავო შემთხვევაში, დგინდებოდა, რომ მეორე სა-

<sup>39</sup> იხ. სუსგ №ას-1328-1170-2010, 06 ივნისი, 2011 წელი.

<sup>40</sup> იხ. სუსგ №ას-1179-1109-2015, 20 მაისი, 2016 წელი.



წარმო არ იყო შექმნილი პირველი საწარმოს რეორგანიზაციის შედეგად. ეს უკანასკნელი მეორე საწარმოს დამფუძნებელი იყო, რაც გამორიცხავდა მეორე საწარმოს მისი დამფუძნებელი საწარმოს სამართალმემკვიდრედ ცნობის სამართლებრივ შესაძლებლობას. თითოეული საწარმო დამოუკიდებელი სუბიექტის სახით ირიცხებოდა სამეწარმეო რეესტრში.

### 3.4. სამართლებრივი ანალიზი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა სამართლებრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ არაერთი სამოქალაქო დავის საგანია კაპიტალური ტიპის საზოგადოების მოგებიდან დივიდენდის გადახდის დაკისრება. ამ მხრივ, საყურადღებოა დავები, რომლებიც შეეხება საზოგადოების მოგებიდან გაუნაწილებელი დივიდენდის გაცემას (1) და დავები, რომლებიც წარმოშობილია კაპიტალური საზოგადოებაში წილების გასხვისების შემდეგ გაუნაწილებელი მოგების დივიდენდად გაუცემლობასთან (2).**

მოცემულ თავში, მიმოხილულია პრაქტიკის პრობლემური შემთხვევები და მათი შეფასების შედეგად ჩამოყალიბებულია სამართლებრივი ანალიზი, რომელთა **გათვალისწინებამ შესაძლოა, შეამციროს, ამ კატეგორიის დავების რაოდენობა და, ასევე, ხელი შეუწყოს დავის წარმომშობი ფაქტორების შემცირებას პროცედურული ნესების დაცვისა და საგამონაკლისო შემთხვევების წინასწარი გათვალისწინების გზით.**

**მართალია, დივიდენდის მიღების შესაძლებლობა ინვესტორებისთვის საწარმოში ფულის ჩადების ერთ-ერთი უმთავრესი მოტივია, თუმცა, ზემოთ განხილული პრაქტიკული მაგალითები თვალსაჩინოს ხდის დივიდენდის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე რისკებს, რომლებიც ძირითადად უკავშირდება დივიდენდის განაწილების წინარე პროცედურების დაუცველობას (პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების არარსებობა). მენარმეთა კანონის მე-8 მუხლის ის ნორმატიული დანაწესი, რომელიც დივიდენდის მიღების უფლებას წარმოშობს საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო დივიდენდის მოთხოვნის უფლება – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან, არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს **საწარმოში მოგების არსებობა ავტომატურ რეჟიმში პარტნიორებს შორის მის განაწილებას გულისხმობდეს.****

დივიდენდი შესაბამისი პროცედურის დაცვით გაიცემა. ეს პროცედურა კუმულაციურ ერთობლიობას ქმნის, ესაა – მოგება და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის თაობაზე. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებაში მოგების არსებობა, უპირობოდ მისი დივიდენდის სახით განაწილებას არ გულისხმობს. დივიდენდის განაწილების მიზნებისათვის უნდა არსებობდეს პარტნიორთა ნება მოგების პარტნიორებს შორის გაყოფის თაობაზე.

საგულისხმოა, დივიდენდის „მოთხოვნის უფლების“ დამოუკიდებლად არსებობა, რაც განაპირობებს იმ იურიდიულ შედეგს, რომ წილის გადაცემის შემთხვევაში, იგი ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე, თუ ეს სპეციალურად არ იქნება აღნიშნული წილის დათმობის ხელშეკრულებაში.

იმავედროულად, სასამართლო პრაქტიკამ წარმოაჩინა, რომ სასამართლო მხოლოდ პარტნიორთა კრების კომპეტენციას მიაკუთვნებს გადაწყვეტილების მიღებას წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილების შესახებ, რაც ამ მოთხოვნით

აღძრული სარჩელების უარყოფას იწვევს.

მართალია, დივიდენდის უფლებით თითოეული პარტნიორი სარგებლობს, თუმცა, მოგების განაწილება საწარმოს ქონების გადინებას გულისხმობს, შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, ლოგიკურია დივიდენდის განაწილებისათვის განკუთვნილი სახსრების განთავსება კომპანიის პასივის, ვალდებულებების მხარეს. ეკონომიკური ბრუნვის მონაწილენი, მოგების ან სარგებლის მიღების ოპტიმიზირების მიზნით, რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებენ. სწორედ ამგვარ გადაწყვეტილებათა ერთ-ერთ მაგალითს რეინვესტირებაც მიეკუთვნება. სავსებით შესაძლებელია, რომ წმინდა მოგების გაუნაწილებლობით დაზოგილი თანხა მიმართულ იქნეს სწორედ საწარმოს შემდგომი განვითარებისათვის. **ამგვარი გადაწყვეტილების მიღების დისკრეციული უფლებით მხოლოდ კაპიტალური საზოგადოების პარტნიორთა კრება სარგებლობს, რაც გამორიცხავს ამ მიმართულებით სასამართლოს ჩარევის ლეგიტიმურობას.** თუმცა, უნდა ითქვას ისიც, სასამართლოს გააჩნია მცირედი სამართლებრივი ბერკეტი საზოგადოების მაჟორიტარ და მინორიტარ პარტნიორებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის გადაწყვეტისათვის, ჩარევის იმგვარი პროპორციული ზომით, როგორცაა – პარტნიორთა კრების მოწვევის დავალდებულება, რომელიც იმ საგამონაკლისო შემთხვევებშია დასაშვები, თუ დადგენილია მაჟორიტარი პარტნიორების მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაუსაბუთებლად შეიზღუდოს მესაკუთრე მინორიტარი პარტნიორის უფლება დივიდენდზე (საწარმოს წმინდა მოგებაზე). **მენარმეთა კანონში იმპერატიული შინაარსის ნორმების სიმნიშვნელობა კვალდაკვალ კი, დივიდენდის განაწილების პრობლემის მოგვარება შესაძლებელია სადამფუძნებლო დოკუმენტში შესაბამისი საკითხის იმპლიმენტირებითაც.**

## თავი III. სამშენებლო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები

### 4.1. მიმოხილვა

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა<sup>41</sup>. მის ხელშეწყობ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად სრულფასოვანი საინვესტიციო გარემოს შექმნა წარმოგვიდგება. ამაში იგულისხმება ინვესტორის საქმიანობასთან დაკავშირებული უხარვეზო საკანონმდებლო რეგულაციის არსებობა, გონივრული და ობიექტური მოცემულობით ნაკარნახევი ნორმატიული შეღავათები, ხოლო დავის სასამართლო წესით განხილვის შეთხვევაში, ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.

იმგვარი საინვესტიციო პროექტის განხორციელებისას, რომელიც გულისხმობს მუნიციპალური ქონების განაშენიანებას, სავაჭრო ცენტრების, მრავალფუნქციური შენობებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, ძველი შენობების რეკონსტრუქციას, წარმოიშობა შესაბამისი თვითმმართველი ერთეულისაგან მშენებ-

<sup>41</sup> „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამენარმეო საქმიანობაში“. საინვესტიციო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი. 12 ნოემბერი, 1996 წელი, №473 -1ს. მუხლი 1.1.

ლობის ნებართვის მოპოვების, პროექტის შეთანხმების, მისი ექსპლოატაციაში გაშვების აუცილებლობა, რომლის პროცედურული საკითხების მოწესრიგება საჯარო მმართველობის კომპეტენციაა და მისგან გამომდინარე სადავო საკითხები განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, ამ სამართლებრივ საკითხებზე არ შევჩერდებით.

წინამდებარე კვლევაში მიმოვიხილავთ იმგვარ სამართლებრივ საკითხებსა და სასამართლო წესით მათი გადაწყვეტის პროცედურულ წესებს, რომლებიც შეეხება ინვესტორსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის წარმოშობილ დავას საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, სამუშაოს შესრულებასთან/მომსახურების განწევასთან და შესრულებული სამუშაოს ხარისხთან (კეთილსაიმედობა) საზღაურის ანაზღაურებასთან და სხვა სახელშეკრულებო სამართალურ თეორიასთან დაკავშირებით.

პრაქტიკული კვლევა მცირეოდენ წვლილს შეიტანს ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით სწორი რეკომენდაციების მომზადებაში.

## 4.2. საკუთრების უფლების შეზღუდვის გონივრულობა და ობიექტურობა (ჩარევის პროპორციულობა)

4.2.1. ზოგიერთ შემთხვევაში, სამშენებლო პროექტის განხორციელება ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საკუთრებით სარგებლობის უფლებაზე. თვალსაჩინო მაგალითია სამოქალაქო საქმე<sup>42</sup> რომელშიც მომჩივანი, მინის ნაკვეთის სარგებლობის უფლების შეზღუდვის სანაცვლოდ, ყოველთვიურ კომპენსაციას ითხოვდა. აღნიშნულ დავაში, ფიზიკურმა პირმა აუქციონის წესით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის შეძენისა და მისი ფუნქციური დატვირთვის მიზნით შეასრულა შემდეგი იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებები: (1) თვითმმართველი ერთეულის ბრძანებით დამტკიცდა მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის სამშენებლოდ მინის ნაკვეთის გამოყენების პირობები; (2) თვითმმართველი ერთეული მერიის ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და განისაზღვრა მისი დაწყების ვადა; (3) მესაკუთრემ მენარმე სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებით დაუკვეთა სამშენებლო სამუშაოების შესრულება. მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ დაგეგმილი სამუშაოები, ტექნიკური თვალსაზრისით, შეუძლებელი იყო მინის ნაკვეთის შუაგულში, ათეული წლების წინ თუჯის მაგისტრალური მილის არსებობის გამო, რომლითაც ქალაქის ძირითად ნაწილს წყალი მიეწოდებოდა და ირიცხებოდა ერთ-ერთი კერძო კომპანიის სახელზე (რეესტრში დაურეგისტრირებელი სახით) და თავისი განლაგებით, ხელს უშლიდა მშენებლობის დადგენილი პროექტის განხორციელებას. იმ პირობებში, რომ წყალგამტარი მილის არსებობა განპირობებული იყო მწვავე ობიექტური საჭიროებით – მისი მეშვეობით მარაგდებოდა ქალაქის ძირითადი ნაწილი, მესაკუთრე იძულებული იყო, ეთმინა საკუთრებაზე იმგვარი უარყოფითი ზემოქმედებანი, რომლის თმენის ვალდებულება ეკისრებოდა სსკ-ის 170.1 და 180.1 მუხლების სამართლებრივი საფუძვლით და ამგვარი ზემოქმედების თმენის საკომპენსაციოდ, ლეგიტიმური უფლება გააჩნდა ყოველთვიურ კომპენსაციაზე.

**კომპენსაციის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების ძიებისას** სასამართლომ იმსჯელა სსკ-ის 411-ე მუხლსა და სსკ-ის 992-ე მუხლს შორის კონკურენციაზე, ვინაიდან, არ არსებობდა დელიქტური სამართლის მთავარი ნორმის, სსკ-ის 992-ე მუხლით

<sup>42</sup> იხ. სუსგ №ას-529-503-2013, 08 ნოემბერი, 2013 წელი.

გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი ნაწილად: მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი. პირიქით, დგინდებოდა, რომ მესაკუთრემ თავის დროზე შეიძინა ნაკლიანი ნივთი – აუქციონზე შეძენის მომენტისათვისაც მიწის ნაკვეთზე სადავო წყალგამტარი მილი უკვე გადიოდა (ბრალის გამომრიცხველი გარემოება), რაც არ წარმოშობდა სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით ზიანის ანაზღაურების უფლებას და ეს მხოლოდ მესაკუთრის მაკომპენსირებელ ხასიათს იძენდა, რისთვისაც არსებითი იყო სსკ-ის 411-ე მუხლის ნორმატიული საფუძვლის გამოყენება.

**კომპენსაციის განსაზღვრის ინდიკატორად**, სასამართლომ აიღო წლიური შემოსავლის ის ოდენობა, რასაც მესაკუთრე მიიღებდა, მოპასუხის მხრიდან სადავო ზემოქმედების არარსებობის შემთხვევაში, გეგმა რომ განხორციელებულიყო.

**4.2.2.** სასამართლოს შეფასების საგანი არაერთხელ გამხდარა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებით სარგებლობის მართლზომიერება (სსკ-ის 170-ე და 115-ე მუხლების ურთიერთმიმართება)<sup>43</sup>.

სადავო შემთხვევაში<sup>44</sup>, სამართალწარმოების ერთ მხარეზე იდგა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, ხოლო მეორეზე – ამავე ნივთზე განსახორციელებელი სამშენებლო პროექტი. დაპირისპირებულ უფლებათა შორის საკითხი გადაწყდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განხორციელების სასარგებლოდ: ამ შემთხვევაში, თავად მესაკუთრე გასცდა საკუთრების უფლების კანონით დადგენილ ფარგლებს და მისი მოქმედება აშკარად ზიანის მომტანად შეფასდა.

მოცემული დავის გადაწყვეტის ამოსავალ დებულებად უფლების კეთილსინდისიერებისა და მართლზომიერების საფუძვლებზე განხორციელება იქნა მიჩნეული. **ამ თვალსაზრისით, სასამართლომ ხაზი გაუსვა მესაკუთრის უფლებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას, რაც არა მარტო კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებად, არამედ მესაკუთრის ზნეობრივ მოვალეობად იქნა წარმოჩენილი.**

სადავო შემთხვევაში, თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, ცენტრალური გზის მიმდებარედ მოსარჩელემ კონკურსის შედეგად შეიძინა ძველი ამორტიზებული შენობა, მისი დემონტაჟისა და მის ნაცვლად თანამედროვე ტიპის „ა“ კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად, რომელიც გააერთიანებდა სავაჭრო და საცხოვრებელი ფუნქციის სივრცეებს. პროექტის განხორციელებას აფერხებდა ამ მისამართზე მდებარე მოპასუხის საკუთრებაში არსებული გარაჟი, რომელიც იმგვარად იყო შეჭრილი მიწის ნაკვეთზე, რომ შენობა ვერ აშენდებოდა.

ურთიერთდაპირისპირებულ უფლებებს დაცვის ღირსი თანაბარი ინტერესები გააჩნდათ, **თუმცა, საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, მესაკუთრის უფლებას გარაჟით სარგებლობაზე, დაუპირისპირდა რა თანამედროვე ტიპის მრავალფუნქციური და მრავალსართულიანი ნაგებობის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა ქალაქის ცენტრალური უბნის იერსახეს, დაასაქმებდა არა-**

<sup>43</sup> შდრ: სუსგ №ას-722-684-2013, 20 ოქტომბერი, 2014 წელი, რომელშიც საკუთრების უფლებით სარგებლობა (სახელდობრ, მესაკუთრის უმოქმედობა, დუმილი მისი საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე წლების მანძილზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით და მხოლოდ მშენებლობის დასრულების შემდეგ მის დემონტაჟსა და გამოთავისუფლებულის დაბრუნებაზე მოთხოვნა) შეფასდა უფლების ბოროტად გამოყენებად.

<sup>44</sup> იხ. სუსგ №ას-274-596-09, 02 ივლისი, 2009 წელი.



ერთ საქართველოს მოქალაქეს და იმავდროულად, შექმნიდა სავაჭრო და სხვა სახის მრავალფუნქციური დანიშნულების საქესპლოატაციო ობიექტებს და ისიც იმ პირობებში, როდესაც მესაკუთრის მიერ კუთვნილი ავტოფარეხით დათმობის სანაცვლოდ, მოსარჩელე მესაკუთრეს სთავაზობდა ახლად აშენებულ შენობაში, იმავე ფართის ორ ავტოსადგომზე საკუთრების უფლების გადაცემას, შეფასდა საკუთრებით იმგვარ სარგებლობად, რომლის დროსაც არ იყო გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და, ამდენად, საკუთრებით სარგებლობის უფლებაში ჩარევა იყო პროპორციული და მიზნის ადეკვატური<sup>45</sup>.

#### 4.3. განსაზღვრული სახელშეკრულებო ინტერესის განუხორციელებლობა (მშენებლობის დაუსრულებლობა, ფართის გადაუცემლობა)

საინვესტიციო საქმიანობა ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია სამშენებლო ხასიათის პროექტების განხორციელებასთან. ამ მიმართულებით, სამოქალაქო დავებს მეტნაკლებად განაპირობებს ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად და დადგენილ ვადში შეუსრულებლობა. სასამართლო პრაქტიკის უკეთ წარმოჩინების მიზნით, სადავო პრაქტიკულ შემთხვევებს მიმოვიხილავთ დავათა საერთო ნიშნების მიხედვით.

მშენებლობის დაუსრულებლობა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ფართის გადაუცემლობა არაერთი სამოქალაქო დავის დაწყების საფუძველია. ასეთ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა, გადაცემულის უკან დაბრუნება (სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლები) და ზიანის ანაზღაურება (უძრავი ნივთის შესაძენად ბანკიდან აღებული კრედიტის სარგებელი და შეთანხმებულ ვადაში უძრავი ნივთის განკარგვის შეუძლებლობა, სსკ-ის 407-ე, 408-ე, 411-ე მუხლები; პირგასამტეხლო – სსკ-ის 417-ე მუხლი).

**საინტერესოა, რა შემთხვევებშია მოთხოვნა წარმატებული ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ და რომელი ფაქტობრივი გარემოებები განაპირობებს მოთხოვნის**

<sup>45</sup> შდრ: სუსგ №ას-1200-1129-2012, 29 ოქტომბერი, რომელშიც სადავო იყო სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებისაგან თანხმობის მიღება. დადგენილი ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება არ ლახავდა ამხანაგობის მოპასუხე წევრთა უფლებებს და არ აყენებდა მათ ზიანს. შესაბამისად, იქმნებოდა ისეთი ვითარება, როდესაც ერთ მხარეზე იდგა ამხანაგობის წევრთა უფლება, არ მიეცათ თანხმობა საპროექტო სამუშაოების წარმოებისათვის, ხოლო მეორე მხარეს – ამხანაგობის წევრი მოსარჩელის ინტერესი, შეესრულებინა იმგვარი საპროექტო სამუშაოები, რომელიც აუცილებელი იყო მის საკუთრებაში არსებული ფართის ნორმალურად სარგებლობისათვის. სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკუთრება ბოროტად იქნეს გამოყენებული, უნდა არსებობდეს კუმულაციური ერთობლიობა: ა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები არ უნდა მიუთითებდნენ თავიანთი უფლების გამოყენების შედეგზე და სრულიად უმოტივაციოდ უნდა ამბობდნენ უარს მის გაცემაზე; ბ. მეორე მხარეს, უნდა გააჩნდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრების ამ უფლების შელახვის რაიმე კანონისმიერი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, ვლინდებოდა ორივე პირობა: მოსარჩელეს არ გააჩნდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრების თანხმობა (რაც აუცილებელი იყო საპროექტო სამუშაოების ჩასატარებლად), ხოლო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები ვერც პირველი და ვერც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ვერ მიუთითებდნენ რაიმე არგუმენტზე თავიანთი ინტერესების უპირატესობის დასადასტურებლად. ამ მოცემულობაში, მიჩნეულ იქნა, მოპასუხეები მარტოდენ იმ მიზნით იყენებდნენ თავიანთი უფლებას, უარი ეთქვათ თანხმობის გაცემაზე, რომ ზიანი მიჰყენებოდა მოსარჩელეს, მათი ამგვარი მოქმედება მიზნად არ ისახავდა უფლების განხორციელებისათვის აუცილებლობით ნაკარნახევი ინტერესის დაცვას, რაც თავისთავად უთანაბრდებოდა უფლების ბოროტად გამოყენებას.

### წარმატებულობას ზიანის, მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში [სსკ-ის 407-ე, 408-ე, 411-ე მუხლები].

ერთ საქმეში<sup>46</sup> მოსარჩელემ წინარე ხელშეკრულებიდან გასვლა დაუკავშირა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის უმთავრესი სახელშეკრულებო ინტერესი ფართის უნიკალური მახასიათებლებით იყო მოტივირებული (იგი გეგმავდა მასში ერთ-ერთი პრესტიჟული ბრენდის – „K.-ის“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკლუზიური ობიექტის მონაცხობა). თუმცა, მისივე ინტერესების საზიანოდ, გაუქმდა ფართში შესასვლელი ქუჩის მხრიდან, აგრეთვე, გაუქმდა საერთო სარგებლობის ფოიე და მის თავზე არსებული სივრცე; მოპასუხის მიერ დამატებითი კომერციული ფართობის მონაცხობის გამო, შეიზღუდა ობიექტში პოტენციური მომხმარებლის თავისუფლად მოხვედრის შესაძლებლობა, სარეკლამო სივრცე.

ხელშეკრულებიდან გასვლისათვის (სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები) საკმარის საფუძვლად ის გარემოება იქნა მიჩნეული, რომ მხარის უმთავრესი სახელშეკრულებო ინტერესი ფართის უნიკალური მახასიათებლებით იყო მოტივირებული, სახელდობრ, **შესრულების საგანი მკაცრად ინდივიდუალიზებული იყო, იდენტიფიცირებული იყო მისი განლაგება მრავალფუნქციურ კომპლექსში და უკავშირდებოდა ხელშემკვრელი მხარის კომერციულ ინტერესს.** მაშასადამე, წინარე ხელშეკრულების ეს მახასიათებლები ხელშეკრულების იმ უმთავრეს საფუძვლად იქნა მიჩნეული, რომელთა დარღვევით იკვეთებოდა ნივთობრივი ნაკლი – შეთანხმებულისაგან განსხვავებული საგანი.

ხელშეკრულებიდან გასვლით კი, მონაწილეთა შორის წარმოშვა ახალი ვალდებულება: მიღებული შესრულებისა და სარგებლის ერთმანეთისათვის დაბრუნების შესახებ ე.წ. რესტიტუციის მოთხოვნის უფლება, რაც მოპასუხეს წარმოუშობდა მიღებული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულებას<sup>47</sup>.

სხვა სამოქალაქო საქმეში<sup>48</sup>, ხელშეკრულებიდან გასვლისა და გადაცემულის უკან დაბ-

<sup>46</sup> იხ. სუსგ №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი.

<sup>47</sup> **შენიშვნა:** საგულისხმოა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლისა და გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნას ერთ-ერთ საქმეში მოპასუხემ დაუპირისპირა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შედეგება (ხანდაზმულობა), რაც მოკლებულია ვარგის სამართლებრივ საფუძველს, გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის, სამართლებრივ შედეგებს არეგულირებს სსკ-ის 352-ე, ხოლო წინაპირობებს - 405-ე მუხლები (იხ. სუსგ №ას-1189-1119-2015, 23 მარტი, 2016 წელი). თუ ვერ ხერხდება კრედიტორის პირველადი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის მიერ (ვალდებულების შესრულება), მის ადგილს მეორადი მოთხოვნა იკავებს. პირველადი ვალდებულებებისაგან უნდა განვასხვავოთ მეორადი ვალდებულებანი. ეს უკანასკნელი უშუალოდ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან არ გამომდინარეობს. მეორადი ვალდებულება პირველადი ვალდებულებების (ქმედების განხორციელების) დარღვევის შედეგად წარმოიშობა და იკავებს ან მათ ადგილს, ანდა მათთან ერთად არსებობს. ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, მხარეს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი. ხელშეკრულებიდან გასვლის დამახასიათებელი ნიშანი მხარეთა შორის ორმხრივი რესტიტუციის განხორციელებაა, რესტიტუცია კი, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას გულისხმობს, რადროსაც მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის გადაცემული ქონების უკუქცევა ხდება. საგულისხმოა, რომ **ხელშეკრულებიდან გასვლა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ერთობლივი, განუყოფელი და მყისიერი ქმედებაა, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა, არც მისი თანმდევი შედეგი (ნატურით დაბრუნება) ექვემდებარება ხანდაზმულობას.** ვინაიდან, ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმული მოთხოვნა სარჩელის (რომლითაც მოთხოვნილია ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება) დაკმაყოფილების პერსპექტივას გამორიცხავს, მაგრამ ხელშეკრულებას ძალადაკარგულად ვერ აქცევს.

<sup>48</sup> იხ. სუსგ №ას-945-895-2015, 14 მარტი, 2016 წელი.

რუნების დამაბრკოლებელ გარემოებად არ იქნა მიჩნეული სამუშაოების მხოლოდ არარსებითი ნაწილის შეუსრულებლობაზე აპელირება იმ ვითარებაში, როდესაც მშენებლობის დასრულების ვადა ხუთი წლით იყო დარღვეული და დავის განხილვის დროსაც არ იყო დასრულებული. მხოლოდ ის ფაქტი, რომ შენობაში ლიფტი არ იყო დამონტაჟებული, ხელშეკრულებიდან გასვლისთვის საკმარის წინაპირობად წარმოჩნდა იმის გათვალისწინებით, რომ გადასაცემი ბინა მე-13 სართულზე მდებარეობდა. იმავდროულად, სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების დამაბრკოლებელ გარემოებას ქმნიდა კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობაც, სახელდობრ, კომპანიაზე რიცხვული დავალიანება და მოვალეთა რეესტრში აღრიცხვა.

ნიშანდობლივია, რომ, მტკიცების თვალსაზრით, ხელშეკრულებიდან გასვლისა და გადაცემის უკან დაბრუნების ნაწილში, მოთხოვნის საფუძვლიანობის კვლევა განსაკუთრებულ სამართლებრივ პრობლემას არ წარმოშობს, რასაც ვერ ვიტყვით ხელშეკრულებიდან გასვლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხზე.

ზემოთ განხილულ სამოქალაქო საქმეში, რომელშიც ხელშეკრულებიდან გასვლა მკაცრად ინდივიდუალიზებული საგნის მახასიათებლების შეცვლამ და, მაშასადამე, სახელშეკრულებო ინტერესის დაკარგვამ განაპირობა, მოსარჩელეს უარი ეთქვა უძრავი ნივთის შესაძენად ბანკიდან აღებული კრედიტის სარგებელის, ზიანის სახით დაკისრებაზე (სსკ-ის 407-ე მუხლი). სასამართლომ მიიჩნია, რომ კომერციული ფართის შესაძენად ბანკიდან აღებულ კრედიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, ვერ განიხილებოდა ზიანად, რადგან მყიდველისთვის დასაშვებ ტვირთს წარმოადგენდა, რომელზედაც თვითონ იყო პასუხისმგებელი და მოპასუხისთვის მისი დაკისრება სცდებოდა მოპასუხისათვის დასაშვები პასუხისმგებლობის ფარგლებს<sup>49</sup>.

ფაქტობრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საკითხზე ნამსჯელი საკასაციო პალატის არაერთ გადაწყვეტილებაში, სახელდობრ, ერთ-ერთ საქმეში<sup>50</sup> კასატორის პრეტენზია ფაქტობრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, იმ გარემოებას ემყარებოდა, რომ კასატორმა/მოსარჩელე (ა) საცხოვრებელი სახლის შესყიდვის მიზნით ბეს სახით გადაიხადა 7000 აშშ დოლარი, ხოლო (ბ) ბეს გადასახდელად აილო სესხი, რომელზედაც დარიცხული სარგებელი (პროცენტი) შეადგენდა – 4200 აშშ დოლარს. მითითებული ფაქტები არ იქნა განხილული ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ იმგვარ გარემოებად, რაც შესაძლოა, მოქცეულიყო სახელშეკრულებო რისკის ფარგლებში. საკასაციო პალატის განმარტებით, ხელშეკრულები მხარისაგან შეიძლება, მოთხოვნილი იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგს წარმოადგენს და რომლის გათვალისწინებაც, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევს მხარეს შეეძლო ევარაუდა. სწორედ ეს აზრია გატარებული სსკ-ის 412-ე მუხლის სამართლებრივ მიზანში, რომელიც მხოლოდ გონივრული წინდახედულობის ფარგლებში მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მოვალეობას ითვალისწინებს, რომელიც სავარაუდო იქნებოდა და ეს ზიანი ხელშეკრულების დამრღვევი მხარის მოქმედების ან უმოქმედობის პირდაპირი და გარდაუვალი შედეგია. დასახელებულ საქმეში, ზიანის ა) და ბ) შემთხვევას ვარგისი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა, გამომდინარე იქიდან, რომ, ბეს ხელშეკრულების გაფორმებისას, პირველი ხელშეკრულების შესრულების ვადა ჯერ კიდევ გასული არ იყო, აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე არც მოპასუხისთვის არ იყო ცნობილი და, შესაბამისად, ამგვარი გარიგებისგან (ბეს დაკარგვა და ბეს თანხის სესხად ასაღებად გადახდილი სარგებელი) წარმოშობილი ზიანის სავარაუდობა, მისი არსებობის შემთხვევაშიც კი, სცილდებოდა ხელშეკრუ-

<sup>49</sup> იხ. სუსგ №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი.

<sup>50</sup> იხ. სუსგ №ას-167-163-2016, 01 ივლისი, 2016 წელი.

### ლებით ნაკისრი რისკის ფარგლებს.

სხვა სამოქალაქო საქმეში<sup>51</sup> სესხზე დარიცხული პროცენტის ზიანად კვალიფიკაციის იურიდიული შესაძლებლობა საკასაციო პალატამ შემდეგნაირად განმარტა: „სავარაუდოა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო. ამდენად, გასათვალისწინებელია არა კონკრეტული მოვალის, არამედ ზოგადად გონიერი და შეგნებული მოვალის მიერ იმ შედეგების გაცნობიერება, რაც განპირობებული შეიძლება იყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ანუ გასათვალისწინებელია ობიექტურად არსებული კრიტერიუმები.

ამასთან ერთად, ზიანი, გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი და პირდაპირი შედეგი უნდა იყოს. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, „მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი“ არ უნდა გავიგოთ მოვალის სუბიექტური შესაძლებლობების მიხედვით. გონივრულად სავარაუდო ზიანი ფასდება ობიექტური კრიტერიუმებით. ამ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის, რომ მითითებული ნორმის მიხედვით ანაზღაურდება პირდაპირი და არა არაპირდაპირი ზიანი“. **ხელშემკვრელმა მხარემ ნებაყოფლობით იკისრა სესხის აღება, რაც არ უკავშირდებოდა მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, სადავო ხელშეკრულებით, საიდანაც გასვლას ითხოვდა მოსარჩელე, არ იყო დაცული აღნიშნული ინტერესი.** ამ მსჯელობის გათვალისწინებით, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი პროცენტი არ წარმოადგენს პირდაპირ ზიანს და, ასევე, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის უშუალო, აუცილებელ და პირდაპირ შედეგს.

სხვა სამოქალაქო საქმეშიც<sup>52</sup>, იმსჯელა საკასაციო პალატამ ბინის შესყიდვის მიზნით, ბანკიდან აღებული კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტის ზიანად კვალიფიკაციის სამართლებრივ პრობლემაზე და მიიჩნია, რომ, ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელე მიიღებდა ბინას და არა თანხას. მაშასადამე, ბინის ნასყიდობის თანხის კრედიტით აღება მისთვის დასაშვები ტვირთი იყო, რისთვისაც პასუხისმგებლობა მოპასუხეს ვერ დაეკისრებოდა, თუმცა ამ გადაწყვეტილებაში საყურადღებოა იურიდიული მნიშვნელობის მქონე შემდეგი საკითხი: **იმ დღიდან, როცა მოსარჩელე გავიდა ხელშეკრულებიდან, მოპასუხეს წარმოეშვა მის მიმართ უკვე არა ბინის სათანადო მდგომარეობაში გადაცემის, არამედ მისი ღირებულების დაბრუნების ვალდებულება (ე.წ. ორმხრივი რესტიტუციის ფარგლებში), რომლის შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელეს, თავის მხრივ, მიეცემოდა ბანკისათვის დარჩენილი საკრედიტო დავალიანების დაბრუნების შესაძლებლობა.** მოსარჩელეს გადახდის შესაძლებლობა არ ეძლეოდა დავის სასამართლოში განხილვის ეტაპზე. შესაბამისად, ბინის ღირებულების დაბრუნებამდე, ბინის ღირებულების სახით გადახდილი თანხის წლიური სარგებელი (საბანკო კრედიტზე) წარმოადგენდა მოსარჩელის ზიანს, თუმცა, არაუმეტეს იმ თანხისა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის დროისათვის გადასახდელი ჰქონდა მას პროცენტის სახით.

სამოქალაქო საქმეში<sup>53</sup>, მოსარჩელემ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება მხოლოდ მინიმალური საანაბრო პროცენტის კუთხით დააყენა, რამაც სარჩელის წარუმატებლობა განაპირობა სსკ-ის 411-ე მუხლის ყველა სამართლებრივი წანამდღვრის არარსებობის გამო. **მოსარჩელემ ვერ შეძლო სახელშეკრულებო თანხის ანაბარზე შეტანისა და აქედან სარგებლის მიღების რეალური შესაძლებლობის მტკიცების ტვირთის რეა-**

<sup>51</sup> იხ. სუსგ №ას-899-845-2012, 22 ნოემბერი, 2012 წელი.

<sup>52</sup> იხ. სუსგ №ას-945-895-2015, 14 მარტი, 2016 წელი.

<sup>53</sup> იხ. სუსგ №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი.



ლიზება. შესაბამისად, სასამართლომ პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში არსებული კომერციული ფართის შესყიდვის ინტერესი უცვლელად მიიჩნია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაშიც, ვინაიდან საქმის მასალებით უტყუარად დასტურდებოდა ქონების კომერციული მიზნებისთვის გამოყენების პირდაპირი სახელშეკრულებო მიზანი – განსაზღვრულ კომერციულ ფართში ერთ-ერთი ბრენდის – „K.-ის“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკლუზიური, პრესტიჟული ობიექტის მონყოლა. ამგვარი მოცემულობა, ფართის კომერციული დანიშნულებით გამოყენება, გამორიცხავდა სარჩელის წარმატებას მინიმალური საანაბრო პროცენტის კუთხით მიუღებელი შემოსავლის ნაწილში, რადგან სასამართლოს შეხედულებით, ხელშეკრულების მხარეს – მყიდველს თანხა გადახდილი ჰქონდა უძრავი ქონების შეძენის მიზნით, შესაბამისად, მის ინტერესს წარმოადგენდა უძრავი ქონების შეძენა და არა ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაბარზე განთავსება და ამ გზით, სარგებლის მიღება. შესაბამისად, მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი (სსკ-ის 408-ე, 411-ე) არ ვლინდებოდა, რამაც გამორიცხა საანაბრო პროცენტის ზიანად პრეზუმირება.

სამოქალაქო დავაში<sup>54</sup> ხელშეკრულებიდან გასვლისა და გადახდილი თანხის უკან დაბრუნების სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლების სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ ის ფაქტობრივი გარემოებაც საკმარისად მიიჩნია, რომ დავის განხილვის მომენტშიც კი, მოპასუხე სამშენებლო კომპანიას სამშენებლო სამუშაოები არ ჰქონდა დაწყებული. სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლების გამოყენების დამაბრკოლებელ გარემოებად სასამართლომ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის არასწორი შეფასების შედეგად წარდობის კვალიფიკაცია მიიჩნია, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას ეს უკანასკნელი სახელშეკრულებო ურთიერთობაც ითვალისწინებდა.

ამავე გადაწყვეტილებაში ერთმანეთისაგან გაიმიჯნა წარდობისა და ამხანაგობის სამართალურთიერთობები, რა დროსაც, მხედველობაში იქნა მიღებული სხვა სამოქალაქო დავის (იხ., სუსგ №482-458-2013, 16 იანვარი, 2014 წელი) განხილვის დროს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები.

სხვა სამოქალაქო საქმეში<sup>55</sup> ხელშეკრულების საგნის, საცხოვრებელი ბინის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით გაქირავებიდან მისაღები შემოსავალი პრეზუმირებულ იქნა იმ მინიმალურ ზიანად, რომელიც მოსარჩელეს მიადგა ხელშეკრულებიდან გასვლით. მტკიცების საგანში შედიოდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, იძლეოდა თუ არა ხელშეკრულების საგანი გაქირავების შესაძლებლობას ამგვარი პრეზუმფციის – მტკიცების განსხვავებული სტანდარტის დაშვებისათვის. 411-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ მოპასუხის მიერ ბინის გადაცემასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, რა შემოსავალს მიიღებდა და ვალდებულების დარღვევის შედეგად არ მიიღო მოსარჩელემ. მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ ბინის გაქირავება, თუ პირს ბინა საცხოვრებლად არ სჭირდება, წარმოადგენს უძრავი ქონებით შემოსავლის მიღების ყველაზე ფართოდ დამკვიდრებულ და აპრობირებულ ფორმას. შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებიდან მისი შეუსრულებლობის მოტივით ურთიერთობიდან გასვლამდე პერიოდი მიჩნეულ იქნა დროის იმ მონაკვეთად, რა ვადაშიც, ბინის გაქირავებით პირი მიიღებდა შემოსავალს.

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სსკ-ის 411-ე და 412-ე მუხლებით

<sup>54</sup> იხ. სუსგ №ას-636-597-2014, 28 ივლისი, 2015 წელი.

<sup>55</sup> იხ. სუსგ №ას-195-183-2014, 21 ოქტომბერი, 2016 წელი.

გათვალისწინებულ ყველა წანამძღვართან დაკავშირებით განმარტა, რომ მოსარჩელეებისთვის გადასაცემი უძრავი ქონების ნაწილი წარმოადგენდა არასაცხოვრებელ ფართს, რაც უდავოდ მეტყველებდა, რომ იგი თავიდანვე განკუთვნილი იყო სამენარმეო საქმიანობისთვის. შესაბამისად, **მოპასუხეებისთვის სავარაუდო უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი დანიშნულების უძრავი ქონების დროულად მიუღებლობა მოსარჩელეს მიაყენებდა ფულად ზიანს**<sup>56</sup>.

**განსხვავებულია მიდგომა ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებულ ზიანთან, რაც განპირობებულია ფულის განსაკუთრებული თვისებებით, კერძოდ, სყიდვითი უნარიანობის მაღალი ხარისხით, რაც ყველა შემთხვევაში ანიჭებს ფულს სარგებლის მოტანის უნარს. ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. ამგვარად, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტისა და არც მისი ოდენობის დადგენას**<sup>57</sup>.

პრაქტიკულ შემთხვევაში<sup>58</sup>, ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა და ფიზიკური პირი თავად შეთანხმდნენ (კრების ოქმის საფუძველზე) ამხანაგობის წევრად გახდომის სანაცვლოდ განხორციელებული შენატანის – მიწის ნაკვეთის ნატურით დაბრუნებაზე. შესაბამისად, სსსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი – მიწის ნაკვეთის კვლავ ფიზიკური პირის საკუთრების უფლებით აღრიცხვა განხორციელდა, თუმცა სასამართლოში ამხანაგობის მხრიდან დაწყებული სასარჩელო წარმოების საფუძველი გახდა ე.წ. ორმხრივი რესტიტუციის ფარგლებში ფიზიკური პირის მიერ ამხანაგობის მხრიდან გადაცემული 10,000.00 აშშ დოლარის დაუბრუნებლობა. მოთხოვნა თანხის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, თუმცა, უარი ეთქვა ძირითად თანხის დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ არგუმენტს დაემყარა, რომ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილისა და 115-ე მუხლით დადგენილი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის კეთილსინდისიერების სტანდარტი დაცულად ვერ ჩაითვლებოდა, იმ ვითარებაში, როდესაც მხარეთა შორის შემდგარი გარიგებით (კრების ოქმი) ხელშემკვრელ მხარეებს ხელშეკრულებიდან გასვლის საგამონაკლისი ნორმით სარგებლობისას წარმოეშვათ ე.წ. ორმხრივი რესტიტუციის უფლება-მოვალეობა, ხოლო ამხანაგობამ უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის გამოყენებით მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოითხოვა მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურება გასულ პერიოდზე. საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ ამ წლების მანძილზე ამხანაგობას არ უცდია თანხის უკან დაბრუნება და თანხის დაბრუნებას არც ფიზიკური პირი დაჰპირებია. შესაბამისად, მიუღებელი შემოსავალი, რომელზედაც მოსარჩელე აპელირებდა, და რომელიც სსკ-ის 412-ე მუხლთან ერთობლიობაში მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანად არის მიჩნეული, არ ვლინდებოდა.

#### 4.4. ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგი

**4.4.1. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეში იმსჯელა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად უკუგებაზე პასუხისმგებელი სუ-**

<sup>56</sup> იხ. სუსგ №ას-482-458-2013, 16 იანვარი, 2014 წელი.

<sup>57</sup> იხ. სუსგ №ას-992-950-2013, 4 მარტი, 2014 წელი.

<sup>58</sup> იხ. სუსგ №ას-197-184-2015, 17 მაისი, 2015 წელი.

**ბიექტის** პასუხისმგებლობის ფორმასა და სამართლებრივ საფუძველზე.

ერთ-ერთ საქმეში<sup>59</sup>, რომელშიც სადავო იყო მენარმე სუბიექტის მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლა და ე.წ. რესტიტუციის გზით, გადაცემულის უკან დაბრუნება, **საკასაციო პალატამ იმსჯელა ხელშეკრულებიდან გასვლისა და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგის ნორმატიული რეგულირების თავისებურებებზე.**

სასამართლოს შეხედულებით, ვინაიდან მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობა სპეციალურ ნორმატიულ რეგულირებას ექვემდებარებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან მხარის გასვლის წარმატებულობის კვლევა სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლების სამართლებრივ წინაპირობებთან მიმართებით მნიშვნელობას ვერ იძენდა.

აღნიშნულ საქმეში, მენარმე სუბიექტი გახდა იმ დროისათვის შექმნილი ბინათმშენებლობის ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი. ამხანაგობის მიზანს განსაზღვრულ ტერიტორიაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის დასრულებისა და ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ, მის წევრებს შორის, წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად, ფართების განაწილება და საკუთრებაში მიღება წარმოადგენდა. მენარმე სუბიექტმა ამხანაგობაში მონაწილეობა იკისრა შესატანით (როგორც ფულადი, ისე ნატურით – სამშენებლო მასალა, რომლის რეალიზაციასაც იგი ეწეოდა), რომელიც საერთო მიზნის მიღწევასა და მიზნის მიღწევის შედეგად მისთვის კონკრეტული ფართის გადაცემას უზრუნველყოფდა. **ვინაიდან მშენებლობა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ დასრულდა, მენარმე სუბიექტმა ბინათმშენებლობის ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გასვლა და ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის დაბრუნება მოითხოვა. იმავდროულად, დააყენა მოთხოვნა ნასყიდობის საფასურის დაკისრების შესახებ, რაც თავის დროზე ამხანაგობისათვის სამშენებლო მასალის მიწოდებიდან იყო წარმოშობილი.**

ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის მართლობიერება საკასაციო პალატამ შეამოწმა სსკ-ის 938-ე მუხლის წინამძღვრებთან, ვინაიდან მიიჩნია, რომ განსახილველი **სამართალურითიერთობა ერთობლივ საქმიანობაში ექცეოდა და წევრის ამხანაგობიდან გასვლისა და წილის კომპენსაციის საკითხიც არა სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების ზოგად, არამედ სპეციალურ რეგულაციას ექვემდებარებოდა.**

სასარჩელო მოთხოვნა მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმდა სსკ-ის 938-ე მუხლის დანაწესთან: „ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ხელშეკრულება შეიძლება, ითვალისწინებდეს ერთ-ერთი მონაწილის გასვლას ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტლად. ასეთ შემთხვევაში, გამსვლელი მონაწილის წილი ნაწილდება სხვა მონაწილეებს შორის. გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები. თუ გასვლის მომენტისათვის საერთო ქონება ველარ ფარავს საერთო ვალებს, გამსვლელი ვალდებულია, დანარჩენ მონაწილეებს გადაუხადოს თავისი წილის შესაბამისი თანხა. გამსვლელის ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია“.

კონკრეტულ შემთხვევაში, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ხელშეკრულება, მართალია, უშვებდა მონაწილის უფლებას გასვლაზე, თუმცა, მხოლოდ ეს გარემოება არ იყო საკმარისი მოსარჩელის ინტერესის მისაღწევად, რადგანაც სარჩელი არ შეიცავდა მითითებას იმ წინაპირობებზე, რომელსაც ხელშეკრულებიდან გამსვლელ მხარეს უდ-

<sup>59</sup> იხ. სუსგ №ას-195-183-2014, 21 ოქტომბერი, 2016 წელი.

გენდა კანონი, სახელდობრ, რას შეადგენდა გამსვლელი მონაწილის წილი (რომელიც უნდა განაწილებულიყო სხვა მონაწილეებს შორის და გამსვლელ მონაწილეს მისცემოდა წილის კომპენსაცია); არსებობდა თუ არა გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები და სხვა იმგვარი საკითხები, რომელსაც აქტუალობას ის გარემოებაც სძენდა, რომ მენარმე სუბიექტის, როგორც წევრის, შენატანი იყო ფულადი და ნატურის სახითაც. წილის ღირებულება და კომპენსაციის ოდენობა კი, დამატებით მტკიცებას საჭიროებდა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მენარმე სუბიექტი თვითონაც წარმოადგენდა ამხანაგობის წევრს და, მაშასადამე, იმგვარი ვითარება იქმნებოდა, რომ იგი ანაზღაურებას მოითხოვდა ამხანაგობისა და მისი დანარჩენი წევრებისაგან. **შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მის შენატანს წარმოადგენდა არა მხოლოდ თანხა, არამედ ნატურით – სამშენებლო მასალის მიწოდება**, რომელიც ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე უნდა შეტანილიყო, ნასყიდობის საფუძველზე მიწოდება და შენატანის განხორციელების ვალდებულება, სწორედ, სსკ-ის 442-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 444-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ურთიერთობის გაქვითვის გზით შეწყვეტად დაკვალიფიცირდა<sup>60</sup>.

სხვა საქმეში კი, სადაც მოსარჩელე (ამხანაგობის წევრი, ფიზიკური პირი) მოითხოვდა ამხანაგობიდან გასვლასა და შენატანის უკან დაბრუნებას, მოთხოვნის **წარმატებულობა შემომწდა არა ამხანაგობის სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სპეციალურ რეგულაციასთან** [სსკ-ის 938-ე მუხლი], **არამედ დელიქტური სამართლის მთავარ ნორმის შემადგენელ კომპონენტებთან** [სსკ-ის 992-ე მუხლი], **რაც განპირობებული იყო საქმის ფაქტობრივი გარემოებებით**<sup>61</sup>, სახელდობრ, საქმის მასალებით დადგენილ იქნა, რომ გამოიკვეთა ე.წ. „ფიქტიური ამხანაგობა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამხანაგობა, იმთავითვე არ არსებობდა, ხოლო მისი სახელით მოქმედი წარმომადგენელი, პირველი მოპასუხე, არარსებულ სუბიექტს წარმოადგენდა. „ფიქტიური ამხანაგობის“ შემთხვევაში კი, ვერ იარსებებს ერთობლივი საქმიანობის მიზანი და გარიგება მოჩვენებით ხასიათს ატარებს ან დასახული მიზანი იმთავითვე მართლსაწინააღმდეგოა. მაგალითისათვის, საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ განაჩენში მითითებული იყო, რომ „2007 წელს პირველმა მოპასუხემ, გამოძიებისათვის ამ ეტაპზე დაუდგენელ პირთან ერთად განიზრახა, ფიქტიურად შეექმნა სამშენებლო კომპანია და მშენებარე კორპუსში საცხოვრებელი ფართების შექმნის მსურველ მოქალაქეთა ნდობის ბოროტად გამოყენებით თაღლითურად დაუფლებოდა მათ კუთვნილ თანხებს“. ამდენად, აღნიშნული ამხანაგობის მიზანი იმთავითვე მართლსაწინააღმდეგო იყო, ხოლო მართლსაწინააღმდეგო მიზნით დადებული გარიგება – უცილოდ ბათილი.

**საკვანძო საკითხი, თუ ვისგან უნდა მიეღო ამხანაგობიდან გამსვლელ წევრს შენატანი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინ იყო უკუგებაზე პასუხისმგებელი – ამხანაგობა სოლიდარულად თუ ამხანაგობის ის წევრი, რომლის მიმართაც კანონიერ ძალაში იყო შესული განაჩენი** [დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“], **გადაწყდა დელიქტური სამართლის მომწესრიგებელი ნორმებით, იმ არგუმენტით, რომ, თუკი ამხანაგობა ფიქტიურ საფუძველზე იყო შექმნილი და, მაშასადამე, ხელშეკრულება თავიდანვე არ დადებულა, სახელშეკრულებო მოთხოვნის წარმოშობის საფუძველიც ვერ იარსებებდა** (სახელშეკ-

<sup>60</sup> შდრ: ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით შეწყვეტასთან დაკავშირებული სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხებზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა 2017 წლის 27 იანვარის გადაწყვეტილებაში - №ას-708-678-2016, რომელშიც სსკ-ის 442-ე და 51-ე მუხლების წინამძღვრების განხორციელებულად მიჩნევის შედეგად მოთხოვნა შეწყვეტილად იქნა მიჩნეული (მოთხოვნის შემწყვეტი შედეგების წარმატება).

<sup>61</sup> იხ. სუსგ №ას-251-239-2016, 14 ივნისი, 2016 წელი.



რულებო ურთიერთობის არარსებობის ფონზე) და, ამდენად, გასვლის შედეგად განსახორციელებელ რესტიტუციაზე მსჯელობა უმართებულოდ იქნა მიჩნეული.

**4.4.2.** აქტუალურია სამართლებრივი ურთიერთობები, რომლის ერთ მხარეზე წარმოდგენილი არიან ბინათმშენებლობის ამხანაგობები (დამფუძნებელი წევრები) და მეორე მხარეზე – მშენებელი კომპანია ან ე.წ. „წევრი-ინვესტორი“.

ამ მიმართულებით, ერთი ტიპის რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ყურადღება ვერ გამახვილდება, რამდენადაც მონაწილეებს შორის არსებობს შერეული ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობა [სსკ-ის 340-ე მუხლი]; გვხვდება ნარდობის, ნასყიდობის, საკუთრების დათმობის, საცხოვრებელი ადგილით დროებითი უზრუნველყოფის (ქირის გადახდა) და ა.შ. გარიგებები. ის, რაც აერთიანებს სადავო სამართალურითობებს, ესაა საერთო მიზანი – მინის ნაკვეთზე მშენებლობის შედეგად საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ფართების საკუთრებაში მიღება. ერთ-ერთ საქმეში<sup>62</sup>, მოთხოვნას ამხანაგობის ე.წ. „წევრი – ინვესტორისათვის“ იმ თანხის დაკისრება წარმოადგენდა, რომლითაც ამ უკანასკნელს ახლადაშენებულ სახლში ფართის გადაცემამდე უნდა უზრუნველყო ბინათმშენებლობის ამხანაგობის იმ წევრის დროებითი გაყვანა (ქირით), რომელსაც მინის ნაკვეთზე არსებულ ძველ სახლში კუთვნილი საკუთრების უფლება გადაცემული ჰქონდა ინვესტორისათვის ე.წ. ნატურით შენატანის ფორმით. ამ ნაწილში, მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

ამავე საქმეში განიხილებოდა ამხანაგობის სხვა წევრის მოთხოვნა ახლადაშენებულ სახლში კონკრეტული ფართის გადაცემის შეუძლებლობის გამო (კრედიტორის პირველადი ინტერესი ხელშეკრულების დადების მიმართ<sup>63</sup>) მისი ღირებულების დაკისრების (ზიანის ანაზღაურება – კრედიტორის მეორადი მოთხოვნა) შესახებ. მართალია, მოსარჩელე წარმოადგენდა ბინათმშენებლობის ამხანაგობის წევრს, რომელსაც ახლადაშენებულ საცხოვრებელ სახლში უნდა მიეღო შენატანის საკომპენსაციოდ განსაზღვრული ფართი, თუმცა, მოგვიანებით, ამხანაგობის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომელსაც თვითონაც ესწრებოდა და დაეთანხმა [სსკ-ის 50-ე, 52-ე მუხლები] – შეასწორეს ფართები (დაკორექტირდა) და მისი ოჯახის წევრზე – ძმაზე განაწილდა ორი სხვადასხვა ფართი და ავტოფარეხი, მოსარჩელემ დაკარგა მიღების უფლება (ხელშეკრულების პირველადი მოთხოვნის შესრულების მიმართ) და თავისთავად გამოირიცხა მოთხოვნის უფლება ზიანზე – კომპენსაცია.

#### **4.5. პასუხისმგებლობის საკითხი ამხანაგობის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას**

**განსახილველ დავაში<sup>64</sup> საკასაციო პალატამ იმსჯელა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას პასუხისმგებლობის სუბიექტის განსაზღვრის პრობლემაზე.**

დავა წარმოშობილი იყო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მესაკუთრე წევრებსა (რომელთა შენატანი ამხანაგობაში განისაზღვრა საბაზისო მინის ნაკვეთით, რომელ-

<sup>62</sup> იხ. სუსგ №ას-115-109-2013, 01 ივლისი, 2013 წელი.

<sup>63</sup> იხ. მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, „ვალდებულებითი სამართალი“, 2016, 40.

<sup>64</sup> იხ. სუსგ №ას-482-458-2013, 16 იანვარი, 2014 წელი.

ზედაც უნდა აშენებულიყო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი) და ამხანაგობის სხვა ე.წ. „წევრ-ინვესტორებს“ შორის (რომელთა შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენდა პროექტის განხორციელებისთვის ფინანსური სახსრები, ექსპლოატაციაში მიღება და ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია).

ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ზიანისა და გადაუხდელი ქირის ანაზღაურების თაობაზე მესაკუთრე წევრების მოთხოვნის შემწყვეტ შედავებაში ე.წ. „წევრ-ინვესტორმა“, რომელიც იმავდროულად, ამხანაგობის თავმჯდომარესაც წარმოადგენდა, უარყო მისი, როგორც წევრ-ინვესტორის სტატუსი, რაც ამხანაგობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებზე მის პასუხისმგებლობას გამორიცხავდა.

**ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას, პასუხისმგებლობის სუბიექტის განსაზღვრის მიზნით, საკასაციო პალატამ ერთმანეთისაგან გამიჯნა ერთობლივი საქმიანობისა (ამხანაგობისა) და ნარდობის სამართალურთიერთობები:**

„ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელია შემდეგი: ამხანაგობის მონაწილე უნდა იყოს არა ნაკლებ ორი პირი, რომლებიც მოქმედებენ ერთობლივად, შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ არ წარმოეშობათ დაპირისპირებული ინტერესები, ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, მის მონაწილეებს შორის შეიძლება, განაწილდეს უფლება-მოვალეობები, თუმცა ეს ხორციელდება არა, როგორც დამოუკიდებელ პირთა შორის, რომელთაც ერთმანეთის სანინააღმდეგო ინტერესები და მოვალეობები გააჩნიათ, არამედ, როგორც სუბიექტებს შორის, რომელთა შორის უფლება-მოვალეობები ნაწილდება ამხანაგობის ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით. ამხანაგობის მონაწილეთა შეთანხმება და ერთიანობის გამოვლენა უნდა მოხდეს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნის მისაღწევად, რაც გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. მონაწილეები ერთობლივი მიზნის მისაღწევად მოქმედებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით მათ მიერ განხორციელებული შენატანების საფუძველზე და იურიდიული პირის შეუქმნელად. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის მართვა ყველა მონაწილის მიერ ერთობლივად ხორციელდება, რაც ამ საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ყველა მონაწილის თანხმობით მიღებას გულისხმობს.

იმავდროულად, გადაწყვეტილებათა განხორციელება შეიძლება ერთ-ერთ მონაწილეს ან სხვა მესამე პირსაც დაევალოს, რაც გარიგების შინაარსს არ ცვლის. ამხანაგობის საქმიანობიდან მიღებული სარგებელი და ზიანი მონაწილეთა წილების შესაბამისად გადანაწილდება, რისთვისაც რაიმე მნიშვნელობა არა აქვს შენატანი ქონებით თუ მომსახურების განვითარებას იქნა განხორციელებული“<sup>65</sup>.

**„ერთობლივი საქმიანობა, რომლის მიზანია სახლის აშენება, შეიცავს ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ კომპონენტებს, რომლის მიზანია კონკრეტული ნაკეთობის დამზადება. როგორც ნარდობის შემთხვევაში, იგი ორიენტირებულია კონკრეტული შედეგის მიღწევაზე. უფრო მეტიც, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ერთ-ერთი წევრი შეიძლება, იყოს მენარდე, რომელიც თავისი საქმიანობით მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ, როდესაც რამდენიმე პირი (ორი ან მეტი) თანხმდება ერთობლივი ძალებით თუნდაც სახლის აშენებაზე ან სხვა ნაკეთობის დამზადებაზე (რაც შეიძლება, განხორციელდეს ნარდობის ხელშეკრულებით), ერთმანეთს შორის და, ასევე, მესამე პირებთან ურთიერთობები მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ მოწესრიგებას. შესაბამისად, ერთობლივი საქმიანო-**

<sup>65</sup> იხ. სუსგ №ას-839-890-2011, 8 ნოემბერი, 2011 წელი.

ბის ხელშეკრულების საფუძველზე იდება არა ერთობლივად ან ცალ-ცალკე ნარდობის ხელშეკრულება, არამედ ისეთი ერთეული ყალიბდება, რომლითაც წესრიგდება ერთმანეთთან, ასევე, მესამე პირებთან არსებული ურთიერთობები და, საბოლოოდ, უზრუნველყოფილია, კონკრეტულ შემთხვევაში, ნარდობის ხელშეკრულებაში ერთობლივი მონაწილეობა. ამ ხელშეკრულების მონაწილეების მიერ დასახულ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო ე.წ. „ინვესტორი“ წევრების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რის შედეგად, ისინი მიიღებდნენ დანარჩენ ფართს. ხელშეკრულებაში მითითებული ტერმინი „ინვესტორი“ არ ნიშნავს იმას, რომ ის არ არის ერთობლივი საქმიანობის მონაწილე (წევრი). ხელშეკრულებაში მონაწილეების დაყოფა „მესაკუთრეებად“ და „ინვესტორებად“ განპირობებულია ხელშეკრულებით დასახული მიზნის მისაღწევად მონაწილეთა მიერ განსახორციელებელი საქმიანობის სპეციფიკით. ამის სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს სსკ-ის 932-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ის, რომ მხარეთა შორის დადებულია ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება და „ინვესტორები“ წარმოადგენენ ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს, ასევე, მიუთითებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-ვალდებულებები, რომლებიც დამახასიათებელია ერთობლივი საქმიანობისათვის და არა ნარდობის ხელშეკრულებისათვის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა შეფასდა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სამართალურთიერთობად, ხოლო მოპასუხე ე.წ. „წევრ-ინვესტორად“, რომელიც ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი იყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ამხანაგობის მესაკუთრე წევრების მიმართ. საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) წევრების ინტერესები მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი არ შეიძლება, გამოდიოდნენ, როგორც კრედიტორი და მოვალე. ზუსტად ეს წარმოადგენს იმ შემთხვევას, როდესაც ჩვენ უნდა გავმიჯნოთ საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად ამხანაგობის წევრების უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები იმ უფლება-ვალდებულებებისაგან, რომელიც შემდეგ მათ წარმოემოხა ერთმანეთის მიმართ, კერძოდ, ერთ შემთხვევაში, საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველი მონაწილისაგან [სსკ-ის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი] არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ. მეორე შემთხვევაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს [სსკ-ის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 ნაწილი]. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებულია დანაწესი, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობის საკითხი დგება ერთმანეთის მიმართ. საერთო საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების განაწილება (მაგალითად, საერთო საქმიანობის შედეგად აშენებული მრავალბინიანი სახლის ბინები) წარმოადგენს საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა იმ უფლებების დაკმაყოფილებას, რომლისთვისაც იქმნება ამხანაგობა, ასევე, ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ამხანაგობის მონაწილეებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება ერთმანეთთან მიმართებით. ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ყველა მონაწილის უფლებები დაკმაყოფილდება. ამ შემთხვევებში, ამხანაგობის მონაწილეები ერთმანეთის მიმართ გამოდიან, როგორც კრედიტორი და მოვალე და მონაწილეობენ სასამართლოში არა ამხანაგობის, არამედ თავისი სახელით<sup>66</sup>.

<sup>66</sup> იხ. სუსგ №ას-885-831-2012, 28 იანვარი, 2014 წელი.

საგულისხმოა, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით, სსკ-ი ერთმანეთისაგან არ განსხვავებს ამხანაგობის ე.წ. „დამფუძნებელ“ და „ჩვეულებრივ“ წევრებს. მით უფრო, მაშინ, როდესაც ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან საერთო მიზნის მისაღწევად ერთობლივ მოქმედებაზე. ამხანაგობის წევრები პასუხს აგებენ, პირველ რიგში, ამხანაგობის საერთო ქონებით. მითითებული დასკვნა იმ სამართლებრივი რეგულირების შედეგია, რომლითაც ყველა შენატანი ამხანაგობის წევრთა (ამხანაგობის) საერთო საკუთრება ხდება. ამხანაგობის საერთო საკუთრება, გარდა იმისა, რომ ერთობლივი მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს, იგი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების გარანტიასაც წარმოადგენს. რალა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამხანაგობის წევრები ამხანაგობის ვალდებულებებისათვის საკუთარი ქონებით არ არიან პასუხისმგებელნი, თუმცა ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობას დამატებით სუბსიდიური ხასიათიც აქვს და მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ ამხანაგობის ქონება ამხანაგობის მიერ ნაკისრ ვალდებულების დაფარვას ვერ უზრუნველყოფს [სსკ-ის 932-ე მუხლი].

#### 4.6. მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები

4.6.1. სამშენებლო საქმიანობის განხორციელება დაკავშირებულია ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება-მართვასთან, სამუშაოს შესრულებასა და სამშენებლო მასალის შესყიდვა-მიწოდებასთან. ამდენად, ამ სამართალურთერთობების კომბინაციაში ხვდება სსკ-ის 930-ე, 629-ე, 477-ე მუხლები.

საკასაციო პალატამ იმსჯელა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგებსა და მის სამართლებრივ რეგულირებაზე, რომელიც გამოკვეთილია სსკ-ის 631-ე მუხლში და რომელთან დაკავშირებითაც განიმარტა მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები<sup>67</sup>:

ხარჯთაღრიცხვა, შეიძლება, ასევე იყოს მყარი, როდესაც ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის. მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნისას ვერ დაეყრდნობა სსკ-ის 631-ე მუხლს, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა<sup>68</sup>. საერთო წესის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ვალდებულ პირს. თუ მოვალეს ვალდებულების შესრულება გაურთულდა ან მან დაკარგა ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, ეს მას არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან. მან თავად იკისრა ვალდებულების შესრულება და თავადვე უნდა ატაროს მისი შეუსრულებლობის რისკი. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 398-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებში, გართულებული ვალდებულების მოდიფიცირების შესაძ-

<sup>67</sup> იხ. სუსგ №ას-362-344-2015, 31 ივლისი, 2015 წელი; სუსგ №ას-226-213-2015, 18 მაისი, 2015 წელი; №ას-888-834-2012, 30 დეკემბერი, 2013 წელი.

<sup>68</sup> იხ. ზ. ძლიერიშვილი, „ნარდობის ხელშეკრულება“ გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016, 188.



**ლებლობას<sup>69</sup>.** შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამამართლებელი საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე – მისი შემცირებით. „მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. **თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება<sup>70</sup>.**

**ერთ-ერთ საქმეში<sup>71</sup> მენარმე სუბიექტი ამხანაგობისაგან მოითხოვდა ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას, რაც გამოიწვია გადახარჯვის ანაზღაურებაზე მხარეთა წინასწარმა შეთანხმებლობამ. მით უფრო, იმ მოცემულობაში, რომ მენარდემ არც სსკ-ის 398-ე მუხლითა და ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებით ისარგებლა და არ მოითხოვა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. შესაბამისად, მენარდეს (მოსარჩელეს) შესრულებული სამუშაო აუნაზღაურდა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასში.**

პრაქტიკულ შემთხვევაში<sup>72</sup> ხელშეკრულებით მხარეებმა **ზუსტად განსაზღვრეს საზღაურის ოდენობა, რომელშიც შემკვეთს უნდა გადაეხადა მენარდისათვის შესრულებულ სამუშაოში, კერძოდ, შენობის 1მ<sup>2</sup>-ში – 105 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებით განისაზღვრა მყარი ხარჯთაღრიცხვა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 631-ე მუხლი, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მენარდეს შეეძლო, ესარგებლა სსკ-ის 398-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და მოეთხოვა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. მენარდემ არც ამ საქმეში ისარგებლა მითითებული უფლებით.** დასახელებულ საქმეში, საკასაციო პალატამ დამატებით მიუთითა: „ხელშეკრულებაში მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, მენარდის მოთხოვნა გადახარჯვის ანაზღაურების თაობაზე მაინც უარსაყოფი იქნებოდა სსკ-ის 631-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი წინაპირობის არარსებობის საფუძველით, სახელდობრ, სწორედ მოსარჩელე (მენარდე) იყო ვალდებული, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა შემკვეთისათვის“. საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელესმ არც სარჩელში მიუთითა და არც შემდეგში წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რომელიც ზემოაღნიშნულ გარემოებას დაადასტურებდა. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ შენობის კარკასის 1მ<sup>2</sup>-ის აშენებაში შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 105 აშშ დოლარი, შესაბამისად, მენარდეს, უპირველესად, ის უნდა დაედასტურებინა, რომ სწორედ პროექტის კორექტირებამ გააძვირა 1მ<sup>2</sup>-ის აშენების ღირებულება და შემკვეთი თანახმა იყო სამუშაოების გაგრძელებაზე გაძვირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

<sup>69</sup> იხ: ნ. ჩიტაშვილი, „შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება“, „სამართლის ჟურნალი“ №2 2014, თსუ-ს გამომცემლობა.

<sup>70</sup> იხ. ზ. ძლიერიშვილი, „ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება“, გამომცემლობა „მერია-დიანი“. თბ., 2011, 65.

<sup>71</sup> იხ. სუსგ №ას-226-213-2015, 18 მაისი, 2015 წელი.

<sup>72</sup> იხ. სუსგ №ას-888-834-2012, 30 დეკემბერი, 2013 წელი.

ასეთი მტკიცებულება მენარდეს არ წარმოუდგენია. **სსკ-ი კი, სწორედ მენარდეს ავალდებულებს, დაუყოვნებლივ აცნობოს შემკვეთს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ** [მტკიცების ტვირთის სპეციალური სტანდარტი]. ამ მოქმედებით მენარდე შემკვეთს აცნობინებს, რომ მას სურს, მიიღოს გადახარჯვის ანაზღაურება, თუ გადახარჯვის მიუხედავად, შემკვეთი მაინც მოისურვებს სამუშაოების დასრულებას.

ამდენად, მენარდე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს გადახარჯვის ანაზღაურებას, თუ ამგვარი შეტყობინების მიღების შემდეგ, შემკვეთი მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას გაზრდილი ხარჯთაღრიცხვით, ანუ იგი დაეთანხმება გადახარჯვის ანაზღაურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა დროსაც, იგი ვალდებული იქნება, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მხოლოდ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

#### 4.7. სასამართლო პრაქტიკა ანალიზი

მესაკუთრებსა და ე.წ. „წევრ-ინვესტორებს“ შორის წარმოშობილი არაერთგავროვანი სამართლებრივი ურთიერთობის მიზნად წარმოჩნდა მიწის ნაკვეთის დატვირთვა-განაშენიანება, მასზე საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ფართების საკუთრებაში მიღება. ამ კატეგორიის დავებში, ხელშემკვერელ მხარეებს, მიუხედავად მათი სტატუსისა, გააჩნიათ თანაბარმნიშვნელოვანი უფლებები და ვალდებულებები.

განხილული პრაქტიკული შემთხვევები სამშენებლო პროექტების განხორციელების დამატკიცებელ გარემოებად, რაც შემთხვევაში, წარმოაჩენს საკუთრებით სარგებლობის უფლების ბოროტად გამოყენებას.

**მწვავე სოციალური საჭიროებისა და ინვესტორთა ქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გამოვლინდა საკუთრების დაცულ სფეროში ჩარევის აუცილებლობა. რა დროსაც, დავის გადანყვეტის ამოსავალ დებულებად უფლების კეთილსინდისიერებისა და მართლზომიერების საფუძვლებზე განხორციელება იქნა მიჩნეული. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ ხაზი გაუსვა მესაკუთრის უფლებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას, რაც არა მარტო კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებად, არამედ მესაკუთრის ზნეობრივ მოვალეობად იქნა წარმოჩენილი.**

სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში, ყურადღების საგნად სახელშეკრულებო ვალდებულების სწორად გაგება, ხელშეკრულების შესრულების გართულებისა (შემხვედრი ვალდებულების შეუსრულებლობა, მასალის გაძვირება, ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების მოსალოდნელობა და სხვა) და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში<sup>73</sup>, ხელშემკვერელ მხარეთა მართლზომიერი და კანონმდებლობით ნაკარნახევი მოქმედების აუცილებლობა წარმოჩნდა.

პრაქტიკულად, ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესის დაკარგვა, ხელშეკრულების შესრულების მიზნით ქმედითი ღონისძიებების გაუტარებლობა, ნაკლიანი მიწოდება და სხვა, მიჩნეულია სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებით გათვალისწინებული იმ საგამონაკლისო უფლების გამოყენების წინაპირობად, რაც ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის უფლებაში გამოიხატება.

იმავედროულად, ხელშეკრულებიდან გასვლა და ე.წ. ორმხრივი რესტიტუციის გზით გა-

<sup>73</sup> იხ. მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, „ვალდებულებითი სამართალი“, თბ., 2016, 40.

დაცემულის უკან დაბრუნება, თუკი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი და დამატებითი ვადის დაწესების აუცილებლობა არ იკვეთება, წარმატებულია.

როგორც ვხდავთ, მტკიცების თვალსაზრით, ხელშეკრულებიდან გასვლისა და გადაცემულის უკან დაბრუნების ნაწილში, მოთხოვნის საფუძვლიანობის კვლევა განსაკუთრებულ სამართლებრივ პრობლემას არ წარმოშობს, რასაც ვერ ვიტყვით ხელშეკრულებიდან გასვლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხზე; არადა, სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული სახეა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, როდესაც პასუხისმგებლობა გამოიხატება დამრღვევი მხარის ვალდებულებაში – ანაზღაუროს მიყენებული ზიანი ნატურით ან ფულადი სახით.

ხელშეკრულებიდან გასვლის დროისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების მტკიცების კუთხით წარმოიშობა საბანკო კრედიტზე გადახდილი პროცენტის ზიანად კვალიფიკაციის სამართლებრივი პრობლემა (სსკ-ის 408-ე მუხლი), კომერციული მიზნის განუხორციელებლობასა და დაკარგულ მოგებას შორის მიზეზმდეგობრივი კავშირის პრობლემა (სსკ-ის 411-ე მუხლი), ვალდებულების დამრღვევი მხარის რისკის განსაზღვრის არეალი (სსკ-ის 412-ე მუხლი) და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ამ მიმართულებით, მოთხოვნის წარმატებულობა დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ წარმატებულ მტკიცებაზე.

იმავდროულად, სსკ-ის 394-ე, 407-ე, 408-ე, 412-ე მუხლების ყველა წანამძღვრის მტკიცებისას, არ უნდა დაგვავიწყდეს რეალურად მიღებულ ზიანსა და მოვალის ქმედებას შორის პირდაპირი და გარდაუვალი კავშირის არსებობის მტკიცება<sup>74</sup>. ვინაიდან საკითხი ეხება სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევის შედეგად, რამდენად სავარაუდოა კრედიტორის მიერ მითითებული ზიანი და ამ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის უშუალო, აუცილებელი და პირდაპირი შედეგი. სასამართლო, უპირველესად, აფასებს ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმის ფაქტობრივი გარემოებებით იკვეთება თუ არა ხელშეკრულებო მხარის გონივრულ მოლოდინს მიღმა არსებული იმგვარი ქონებრივი დანაკლისი, რომლის მიმართაც სსკ-ის 394-ე და 412-ე მუხლის სამართლებრივი დანაწესი ზიანის გონივრულ პრეზუმფციას ავრცელებს.

მტკიცების ტვირთს აადვილებს მოსალოდნელი რისკების სახელშეკრულებო ურთერთობაში გათვალისწინება, რადგან სსკ-ის 412-ე მუხლით დაცულ ზიანში ექცევა მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი და, პრაქტიკულად, კრედიტორის მიერ ნავარაუდები სახელშეკრულებო ინტერესი.

რაც შეეხება მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის წარმატებულობის კვლევას, ნიშანდობლივია, რომ საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ფართის გადაცემის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ზიანის – როგორც მიუღებელი შემოსავლის სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა წანამძღვრის მტკიცების მოვალეობა მოსარჩელეს ეკისრება და სარჩელის პერსპექტივა გარკვეული ასპექტით დამოკიდებულია სწორედ მტკიცების ტექნიკაზე.

მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის მიღების მტკიცებისას, მხედველობაში მიიღება ვალდებულების დარღვევის დროისათვის არსებული კონკრეტული ფაქტობრივი გარე-

<sup>74</sup> იხ. ი. გაგუა, „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2013, 22.

მოებები და არა დეკლარაციული ფორმით აბსტრაქტულ გარემოებებზე დაყრდნობა სწორედ განსაზღვრულ დროს, განსაზღვრული ვითარების/გარემოების შეფასებით, სასამართლოს ექმნება მტკიცე და ურყევი რწმენა ზიანის შემადგენლობის კომპლექსური ნიშნების დასადგენად.

საგულისხმოა, ისიც, რომ არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, უკუგებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის პასუხისმგებლობის ფორმისა და სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა.

განხილული პრაქტიკული შემთხვევები წარმოაჩენს, რომ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი საფუძვლების კვლევისას, უპირატესობა ენიჭება სპეციალურ რეგულაციას [შდრ: ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნორმებთან სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლები] და ამხანაგობიდან გასვლისა და შენატანის უკან დაბრუნების მოთხოვნის წარმატებულობა მოწმდება სსკ-ის 938-ე მუხლით გათვალისწინებულ წანამძღვრებთან, რამაც, ზემოთ მოყვანილ პრაქტიკულ შემთხვევაში [შდრ: სუსგ №ას-115-109-2013, 01 ივლისი, 2013 წელი], შედეგობრივი თვალსაზრისით, სარჩელის წარუმატებლობა განაპირობა, ვინაიდან სსკ-ის 938-ე მუხლის ყველა წანამძღვარი – მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები მოცემულ საქმეზე არ დასტურდებოდა. უფრო მეტიც, მასზე ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარე არც მიუთითებდა (ფაქტებზე მითითების ტვირთი), ხოლო სხვა საქმეში სარჩელის მოთხოვნა ამხანაგობიდან გასვლისა და ე.წ. ორმხრივი რესტიტუციის განხორციელებით შენატანის უკან დაბრუნების შესახებ, შემონმდა დელიქტური სამართლის დამფუძნებელი ნორმის – სსკ-ის 992-ე მუხლის წანამძღვრებთან, რაც საქმის ფაქტობრივი გარემოებებით იყო განპირობებული, რომლითაც დგინდებოდა, რომ თუკი ამხანაგობა ფიქტიურ საფუძველზე იყო შექმნილი და ხელშეკრულება თავიდანვე არ არსებობდა, მაშასადამე, სახელშეკრულებო მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი ვერ იარსებებდა და ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად განსახორციელებელ რესტიტუციაზე მოთხოვნა, უარყოფილი იქნა.

## თავი IV. პირგასამტეხლოს სტანდარტი და სასამართლოს როლი მის რეგულირებაში

### 5.1. მიმოხილვა

ვინაიდან სასამართლო პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განვითარებაში, წინამდებარე კვლევა დაეთმობა სახელშეკრულებო სამართალურთიერთობაში პირგასამტეხლოს ფუნქციის სწორად გაგებას და, აქედან გამომდინარე, მისი ოდენობის განსაზღვრის პრობლემურ საკითხებს.

პირგასამტეხლო სახელშეკრულებო მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებაა, ფულია, რომელსაც მოვალე უხდის კრედიტორს ვალდებულების შეუსრულებლობის ან მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის [სსკ-ის 417-ე მუხლი].

პირგასამტეხლო აქცესორული ბუნებისაა. მისი ნამდვილობა დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების ნამდვილობაზე. არანამდვილი (ბათილი) ძირითადი ვალდებულების შემთხვევაში, არ არსებობს ის ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფასაც პირგასამტეხლო ემსახურება, შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება არ



წარმოიშობა. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება არსებობს იქამდე, სანამ არსებობს ძირითადი ვალდებულების შესრულების მოვალეობა.

შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაც აღარ არსებობს, სსკ-ით არ არის დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის ინდიკატორი: მინიმალური ან მაქსიმალური ზღვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს განსაზღვრა მთლიანადაა მოქცეული სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში [სსკ-ის 319-ე, 427-ე მუხლები].

იმავედროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელშემკვრელ მხარეთა მოქმედება მართლწესრიგით დაცულ სფეროშია მოქცეული, სადაც საჯარო წესრიგის დაცულობისა და ზნეობის შესაბამისი მოქმედების კონტროლის ფუნქციას ზოგიერთ შემთხვევაში, ასრულებს მატერიალური სამართლის ზოგადი ნორმები, როგორცაა: სსკ-ის 54-ე, მე-8.3, 115-ე, 346-ე და ა.შ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, სპეციალური ნორმები – სსკ-ის 420-ე მუხლი და ა.შ. მათ შორის, განსხვავება ისაა, თუ როდის ექცევა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში გამოვლენილი ნება სასამართლო კონტროლის სფეროში.

მოქმედი სსკ-ით შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას [417-ე, 418-ე მუხლები]. მაშასადამე, პირგასამტეხლოს გადახდის წინაპირობები, როგორცაა, ვალდებულების დარღვევა, შესრულების ვადის გადაცილება და სხვა. გარდა ამისა, პირგასამტეხლოს ოდენობა – მისი განაკვეთი განსაზღვრულია ხელშემკვრელ მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებისა და კანონით დადგენილი ფორმით მისი გაფორმებისას. შესაძლოა, პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან იყოს დაანგარიშებული ან ვალდებულების მხოლოდ დარღვეული ნაწილიდან.

ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, კრედიტორის მტკიცების ტვირთი შედარებით მსუბუქია. მის სტადიაზე მოწმდება ვალდებულების დარღვევის ან მისი არაჯეროვნად შესრულების გარემოება და კანონით დადგენილი ფორმით პირგასამტეხლოზე შეთანხმება, ხოლო პირგასამტეხლოს გონივრულობის კვლევა კი, ხორციელდება მოპასუხის სტადიაზე. თუკი სადავოდ არ არის პირგასამტეხლოს მოცულობა, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით შეამციროს იგი.

სასამართლო კონტროლის ამგვარი შეზღუდვა განპირობებულია მატერიალურსამართლებრივი ნორმის – 420-ე მუხლის კონსტრუქციით: „სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“. თავის მხრივ კი, სამართალწარმოების შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების მოქმედების გარგლებში საქმის გარემოებათა დადგენას სასამართლო ახორციელებს მხარეთა მტკიცების რეალიზების პროცესში. ეს კი, გამორიცხავს პირგასამტეხლოს გონივრულობის შემოწმებას სასამართლოს შეხედულებით.

იმავედროულად, დავის არსებობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გონივრულობის შესწავლა და მისი შემცირების მიზანშეწონილობა მოპასუხის მტკიცების ტვირთია, რაც იმას ნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს შეუსაბამობა ვალდებულების<sup>75</sup> დარღვევის ხარისხთან, მისი არათანაბარ ზომიერება, მოპასუხემ უნდა ადასტუროს. საგულისხმოა, ფუნდამენტური ვალდებულების შესრულებაში ნომინალიზმის პრინციპი, რომელიც დაცული უნდა იყოს პირგასამტეხლოს შემთხვევაშიც.

ამასთან, პირგასამტეხლოს გონივრულობის სადავოობაზე მითითება შეზღუდულია საქ-

<sup>75</sup> შდრ: ი.გაგუა, „სამართლის როლი და ფუნქცია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებისას“, სამართლის ჟურნალი №1 2013, თსუ-ს გამომცემლობა, 49.

მისწარმოების ეტაპებით, სახელდობრ, მასზე ისევე, როგორც დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითების პროცესუალური შესაძლებლობა დასაშვებია საქმისწარმოების მომზადების ეტაპზე, გარდა, საპატიო გარემოებებისა [სსსკ-ის 219-ე, 215-ე მუხლები].

**ამდენად, იქმნება იმგვარი ვითარება, რომ მართლწესრიგით დაცულ სფეროში საჯარო წესრიგის, ზნეობის, უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის, კეთლსინდისიერების დაცულობა სრულყოფილად ვერ მიიღწევა და იგი მთლიანადაა დამოკიდებული მოპასუხის/მოვალის პოზიციის – შედავების დროულად განხორციელებასა და მის ხარისხზე [ფაქტების მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთი].**

ქვემოთ მიმოვიხილავთ სამოქალაქო დავებს, რომლებშიც წარმოდგება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს შემცირების აუცილებლობა, რაც განხორციელებულია მოპასუხის ეტაპზე კვალიფიციური შედავებით.

აღნიშნულ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი ანალიზი წარმოაჩენს ამ მიმართულებით სასამართლო პრაქტიკის შეცვლისა და საკანონმდებლო ცვლილებების წინადადებების შემუშავების საჭიროებას.

## 5.2. პირგასამტეხლოს სამართლებრივი გუნება, მისი ფუნქცია და გამოყენების ფარგლები

**5.2.1. უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ნამსჯელი პირგასამტეხლოს ფუნქციასა და მისი გამოყენების ფარგლებზე:** პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორის ერთისა და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენაა მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩება.

პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა შესრულებულიყო დარღვეული ვალდებულება ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხ-

ლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაა. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად.

წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ კანონისმიერ და სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს და ამ კუთხით, მისი კანონისმიერ ან სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდ კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით).

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედეგების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით (სსკ-ის 420-ე მუხლი). სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფი ვალდებულება და, რაც უმთავრესია, მხედველობაში მიიღება ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სახელდობრ, ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და ა.შ.<sup>76</sup>

„ის წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა უკავშირდება ვალდებულების დარღვევას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია, ვალდებულების დარღვევის ფაქტი...“, „პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა“<sup>77</sup>.

**ამდენად, პირგასამტეხლოს გონივრულობის შემონახვის ინდიკატორი ყოველთვის უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის ხასიათი, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, კრედიტორის ინტერესი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიმართ, ნომინალიზმის პროცეპი და სხვა. ყველა იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოება უნდა შეფასდეს ხელშეკრულების დადებიდან პირგასამტეხლოზე შედავების პერიოდში, რომელიც დაეხმარე-**

<sup>76</sup> იხ. სუსგ №ას-1199-1127-2015, 13 აპრილი, 2016 წელი; სუსგ №ას-222-209-2015, 06 მაისი, 2015 წელი.

<sup>77</sup> შდრ. სუსგ №ას 848-814-16, 28 დეკემბერი, 2016 წელი; №ას-816-767-15, 19 ნოემბერი, 2015 წელი.

### ბა სასამართლოს საკითხის სამართლიან, გონივრულ და კანონიერ გადაწყვეტაში.

პირგასამტეხლოს გონივრულობის კრიტერიუმის არარსებობა, უმრავლეს შემთხვევაში, განაპირობებს სასამართლოთა არაერთგვაროვან მიდგომას მისი განაკვეთის შემცირების კვლევისას.

ერთ-ერთ საქმეში<sup>78</sup> სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება კრედიტორი ბანკის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს შემცირების ნაწილში და მსესხებელს სრულად დააკისრა პირგასამტეხლო – 4,808.67 აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც სესხის ძირითადი თანხა იყო **8,385.19 აშშ დოლარი, ხოლო სარგებელი/ პროცენტი – 1,553.16 აშშ დოლარი** და სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შემცირების უფლების არასწორ გამოყენებად იმგვარი გარემოებები მიიჩნია, როგორცაა: „პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებით არაკეთილსინდისიერი გადამხდლების ნახალისება, რათა პირგასამტეხლოს შემცირების იმედით მათ აღარ შეასრულონ ვალდებულება, რაც, ხელს შეუშლის სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას და არ წაადგება სახელმწიფოში არსებული სამოქალაქო ბრუნვის პროგნოზირებადი ხასიათით განხორციელებას“. **სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას საკასაციო პალატა არ დაეთანხმა და განმარტა შემდეგი: „აღსრულების ვადების გაჭიანურებაზე და სხვა არაკეთილსინდისიერ მოვალეთა პასუხისმგებლობისაგან უსაფუძვლო გათავისუფლების შესახებ დეკლარირებული სახის მსჯელობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელი და ობიექტური არბიტრის როლს, ისე – სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქციის სრულფასოვან განხორციელებას, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული „სამართლიანი სასამართლოს უფლება“ მოითხოვს ყოველ კონკრეტულ საქმეზე უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას და არა ზოგადი ხასიათის პრევენციების გატარებას. კანონისმიერი პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოსაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ნიშნად მისი კონკრეტული ხასიათი გვევლინება. ყოველი ასეთი კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია იმ კონკრეტული შემთხვევისათვის, რომლისთვისაც კანონმდებელმა დაადგინა. მეორე განმასხვავებელი ნიშანია მისი განსაზღვრულობა – კანონმდებელი ყოველთვის ადგენს მის კონკრეტულ ოდენობას, ანდა წესს, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს კანონისმიერი პირგასამტეხლო.**

**5.2.2. სხვა სამოქალაქო საქმეზე<sup>79</sup>** სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკისრა მოვალეს კრედიტორი ბანკის სასარგებლოდ განვადების ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასატეხლო (რაც ორჯერ აღემატებოდა ძირითად თანხას), მისი შემცირებით არაკეთილსინდისიერი გადამხდლების ნახალისებისა და ამით სტაბილური სამოქალაქო ბრუნვისათვის ხელშეშლის აღკვეთის მოტივით, **რაც არ იქნა გაზიარებული და დავის ახლებურ გადაწყვეტაში საკასაციო პალატამ იმსჯელა პირგასამტეხლოს, როგორც ვალდებულების დარღვევის მინიმალური ზიანის თანაფარდობის აუცილებლობაზე [სსკ-ის 419-ე მუხლი] და განმარტა: „ფუნქციური დანიშნულებით, მინიმალური ზიანი არ წარმოადგენს ფაქტობრივად მიღებული ზიანის სრულ ანაზღაურებას, არამედ ესაა თანხა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნის მინიმალურ დაკმაყოფილებას, სწორედ ამითაა გამართლებული პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო ბუნება, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის საკვალდებულოა მხარეთა მიერ შესაბამისი ფორმით შეთანხმების მიღწევა, რაც რეგულირებულია სსკ-ის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილით. განსხვავებით ზიანის ანაზღაურების ვალ-**

<sup>78</sup> იხ. სუსგ №ას-1199-1127-2015, 13 აპრილი, 2016 წელი.

<sup>79</sup> იხ. სუსგ №ას-914-864-2015, 4 დეკემბერი, 2015 წელი.



დებულებისაგან, რომელიც, სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ საჭიროებს მხარეთა წინასწარი შეთანხმების არსებობას, პირგასამტეხლო ყოველთვის სახელშეკრულებო პირობად გვევლინება. ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო პირობის ერთადერთი გამონაკლისია ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას პროცენტზე შეთანხმება (სკ-ის 403-ე მუხლი), თუმცა, ეს შემთხვევა სახეზე არ გვაქვს“. შესაბამისად, დასახელებულ საქმეში მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი გარემოებები: საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომელიც **სსკ-ის 867-ე მუხლის თანახმად, ყოველთვის სარგებლიან სესხს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც კრედიტორი, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იბრუნებს, როგორც სესხად გაცემული თანხის ძირს, ისე – ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტს**. ამ ნაწილში, სარჩელი დაკმაყოფილებული იყო და გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში, რაც შეეხება მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების საკითხს, პალატამ ამ დარღვევის თანაზომიერ, გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიიჩნია არა პირგასამტეხლოს მოთხოვნილი ოდენობა (1 926,22 ლარი), არამედ 250 ლარი, რაც სავსებით უზრუნველყოფს მინიმალური ზიანის ანგარიშში კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილებას.

**5.2.3. სხვა საქმეში<sup>80</sup>** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მენარმე სუბიექტს ვალდებულების დარღვევის გამო, **პირგასამტეხლოს სახით სთხოვდა 239 670,73 ლარს**. ხელშეკრულების მიხედვით, მენარმე სუბიექტმა ვალდებულება იკისრა: პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა ცურვის საერთაშორისო ფედერაციის – „FINA“-ს სტანდარტების საცურაო კომპლექსი გასართობი ინფრასტრუქტურით (1), სასტუმროთი, საცხოვრებელი, დასასვენებელი, სავაჭრო, ბიზნესის ზონებით, კაფეთი და ბარით (2); ობიექტი ექსპლუატაციაში შეეყვანა და არანაკლებ 1,500,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიცია განეხორციელებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის ვადაში (3); ობიექტში დასაქმებულთა არანაკლებ 80% შეეყვას ადგილობრივი კადრებით (4). **ვალდებულების შესრულება საცურაო აუზის მოწყობის ნაწილში, დადასტურდა აუდიტის დასკვნით**, რომლის თანახმად, 2010 წლის 30 ოქტომბრის მონაცემებით, ფაქტობრივად დასრულდა საცურაო აუზის სამუშაოები, გაიმართა და დაიტესტა აუზის სრული საინჟინრო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა.

**საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ფართების მოწყობის ნაწილში, ვალდებულების შესრულება დადასტურდა ექსპერტიზის დასკვნით.**

**სამშენებლო ობიექტზე ადგილობრივთა დასაქმების უზრუნველყოფის ნაწილში, ვალდებულების შესრულება აგრეთვე დადასტურდა ექსპერტიზის დასკვნით**, რომლის მიხედვით, სადავო პერიოდში შრომის ანაზღაურებას იღებდა და, შესაბამისად, 100%-ით დასაქმებული იყო 72 საქართველოს მოქალაქე.

**ინვესტირების განხორციელების ნაწილში** საქმეში არსებული მინერილობით ირკვეოდა, რომ გარკვეული პერიოდისათვის განხორციელებული ინვესტიციები შეადგენდა 22,208,948 ლარს, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული (1,500,000 აშშ დოლარის) ინვესტიციის მთლიან მოცულობას.

**ზემოაღნიშნულ ნაწილში, ვალდებულების შესრულების მიუხედავად, ისიც დასტურდებოდა, რომ ვალდებულება ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ვადაში არ შესრულდა, რაც კრედიტორს აძლევდა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებას, რომლის ოდენობის შესაბამისობის გათვალისწინებისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ვალდებულების დარღვევის ხასიათი, ამით გამონვეული ზიანი, მისი თა-**

<sup>80</sup> იხ. სუსგ №ას-853-817-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი.

ნაფარდობა, მხარეთა ფინანსური მდგომარეობა, მოსარჩელის ეკონომიკური ინტერესი, აგრეთვე, სხვა ობიექტური გარემოებები და, ნაცვლად სარჩელით მოთხოვნილი 239,670.73 ლარისა, მოსარჩელეს მიაკუთვნა – 89,815.14 ლარი.

**5.2.4. სხვა სამოქალაქო საქმეშიც<sup>81</sup> საკასაციო პალატამ იმსჯელა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების აუცილებლობაზე** და თავისი გადაწყვეტილება სსკ-ის 420-ე მუხლის ლეგიტიმური საფუძვლით დაასაბუთა, რომელიც სასამართლოს უფლებას აძლევს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამ საქმეზე მხედველობაში იქნა მიღებული საქმის კონკრეტული გარემოებები, შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან: **პირგასამტეხლო გადაიხდებოდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, ხოლო შესრულების საგანს წარმოადგენდა უძრავი ნივთის – სახლისა და ავტოსადგომის აშენება, რომელიც შემკვეთს დაგვიანებით, მაგრამ ვარგისი გადაეცა.** იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენდა 97,132 აშშ დოლარს, მის ღირებულებასთან მიმართებით ვადის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით, 21,521.94 აშშ დოლარი შეუსაბამოდ მაღალი იქნებოდა, რის გამოც, იგი შემცირდა 16,000 აშშ დოლარამდე.

**5.2.5. საკასაციო პალატის** გადაწყვეტილებაში ერთმანეთისაგან გაიმიჯნა ჯარიმა და საურავი, როგორც პირგასამტეხლოს სახეები<sup>82</sup>: „საურავი, ისევე, როგორც ჯარიმა, პირგასამტეხლოს ერთ-ერთი სახეა. იგი უმეტესად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებული პირი არ ასრულებს ვალდებულებას დადგენილ დროში. ჯარიმისაგან განსხვავებით, შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის სახით დადგენილი პირგასამტეხლოს თავისებურება ისაა, რომ იგი იძლევა ვალდებულების შესრულებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის კუმულაციის შესაძლებლობას. საურავი იცავს კრედიტორის იმ ინტერესს, რომელიც მას ვალდებულების დროული შესრულების მიმართ გააჩნია. საურავის თავისებურება კი ისაა, რომ, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოვალეს კონკრეტული ოდენობით ან პროცენტებით დადგენილი საურავი ერიცხება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და ამით აიძულებს, შეასრულოს ვალდებულება. ჯარიმისაგან განსხვავებით, საურავის დროს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფი ფუნქცია უფრო ნათლად ჩანს, რაც იმაში გამოიხატება, რომ დარიცხვა გრძელდება ვალდებულების დარღვევის შემდეგაც. საურავი ირიბი იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა: ვალდებულმა პირმა იცის, რაც უფრო მეტი დრო გავა და რაც უფრო გვიან შეასრულებს ვალდებულებას, მით მძიმე იქნება მისი ფინანსური ტვირთი. საურავი ერიცხება გადაუხდელი გადასახადის თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც მიმართულია ბიუჯეტის მიერ მისაღები კუთვნილი თანხის გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაკენ. იგი გადაიხდება გადასახადის ძირითად თანხასთან ერთად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დამატებითი თანხის სახით, შეადგენს კანონით განსაზღვრული გადასახდელი თანხის გარკვეულ პროცენტს“.

**5.2.6. საგულისხმოა, რომ პირგასამტეხლოს გონივრულობის კვლევის კომპეტენცია** სასამართლოს არ გააჩნია იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორის მიერ მოთხოვნილია ნორმატიულად განსაზღვრული პირგასამტეხლო, შესაბამისად, სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება ლეგიტიმურია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით<sup>83</sup>.

<sup>81</sup> სუსგ №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017 წელი.

<sup>82</sup> სუსგ №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი.

<sup>83</sup> შდრ: სუსგ №ას-1199-1127-2015; 13 აპრილი, 2016 წელი; №ას-1205-1132-2015, 26.02.2016წ.

კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია სხვადასხვა ნორმატიული აქტებით, მაგალითად: საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სშკ-ის) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას, გადაუხადოს დასაქმებულს ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტი<sup>84</sup>.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ შრომის ანაზღაურების დაყოვნებისათვის ნორმატიულად განსაზღვრული პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება წარმოშობილად მიიჩნია და განმარტა, რომ მის მართლზომიერებაზე, ახალი კანონის ამოქმედება ზეგავლენას ვერ მოახდენდა და ვერც მის უარყოფას ვერ დაედებოდა ლეგიტიმურ საფუძველად.

სშკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 53-ე მუხლის ანალიზი, მოცემულ შემთხვევაში, დაუშვებელია ამავე კოდექსის 34-ე მუხლის გარეშე.

ამდენად, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: საბოლოო ანგარიშსწორების დაყოვნების გამო, კანონით განსაზღვრული პროცენტის გადახდა მოპასუხეს ეკისრებოდა არა მხოლოდ იმ შეუსრულებელი ვალდებულების პროპორციულად, რაც ახალი კანონის ამოქმედების შემდგომ წარმოიშვა, არამედ იმ თანხაზეც, რომელიც ამ კანონის ამოქმედების დროისათვის არ იყო ანაზღაურებული.

### 5.3. პროცედურული საკითხები

**პირგასამტეხლოს შემცირებას ანდა მისგან განთავისუფლებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობის პირობებში ესაჭიროება მოპასუხის მხრიდან სწორად შერჩეული საპროცესო საშუალება.** შედარების მიზნით განვიხილავთ ორ სამოქალაქო საქმეს. განხილულთაგან ერთ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის შემწყვეტი შედავება [ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა – სსკ-ის 51-ე და 442-ე მუხლები] საკმარისი იყო სარჩელის უარსაყოფად, ხოლო, მეორე საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს გონივრულობა მხოლოდ შესაგებელი პოზიციის ფარგლებში [სსკ-ის 201-ე მუხლი] ვერ შემოწმდებოდა, რადგან სარჩელის საგანს აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა წარმოადგენდა [სსკ-ის 301-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-8 პუნქტი].

**პირველ შემთხვევაში<sup>85</sup>, საკასაციო პალატამ მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლის ფარგლებში იმსჯელა მენარდის ძირითადი ფულადი მოთხოვნის გაქვითვის გზით შენ-**

<sup>84</sup> შენიშვნა: საგულისხმოა, რომ სშკ-ის 31-ე მუხლის სამართლებრივი საფუძველი არ გამოიყენება იძულებითი განაცდურის სახით მიუღებელი ხელფასის დამსაქმებელზე დაკისრებისას, რადგან დამსაქმებელს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის გადახდის ვალდებულება წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელმა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება არ შეასრულა ანუ გადახდის ვალდებულება არსებობს და საბოლოო ანგარიშსწორების გადაუხდელობა – ხელფასის, გამოუყენებელი შვებულების სახით, რაც შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გასაცემ თანხას წარმოადგენს. ნებისმიერ ანაზღაურებასა თუ ანგარიშსწორებაში, რომლის დაყოვნებასაც კანონი უკავშირებს დაყოვნებული თანხის 0.07%-ის ყოველი დაყოვნებული დღისათვის გადახდის ვალდებულებას, არ იგულისხმება განაცდური, ვინაიდან იგი არა სახელშეკრულებო შეთანხმება, არამედ დასაქმებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი სახეა. შდრ: სუსგ №ას-1283-1210-2012, 30 ოქტომბერი, 2013 წელი და სუსგ №ას-166-156-2017, 21 აპრილი, 2017 წელი.

<sup>85</sup> სუსგ №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017 წელი.

ყვეტის მართლზომიერებაზე და პასუხი გასცა საკვანძო საკითხს იმის შესახებ, საჭიროებს თუ არა შეგებებული სარჩელის აღძვრას იმგვარი შედავება, როდესაც მოპასუხე მოთხოვნის შემწყვეტი მოქმედების განხორციელებაზე მიუთითებს [სსკ-ის 442 მუხლი].

დავის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მხარეებს შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა სახლისა და ავტოსადგომის აშენება, მისი ექსპლოატაციაში მიღება და მასზე საკუთრების უფლების შემკვეთისთვის გადაცემა [სსკ-ის, 629-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები}. მხარეები შეთანხმდნენ საფასურის ნაწილ-ნაწილ გადახდაზე. ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ორივე შემთხვევაში, უზრუნველყოფდა პირგასამტეხლო, რომელიც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.05%-ს შეადგენდა {სსკ-ის 417-418-ე მუხლები}.

**მენარდის მიერ ვალდებულების დარღვევა გამოიხატა შემდეგში: ნარდობის საგანი შემკვეთს საკუთრებაში ანუ ვადის დარღვევით გადაეცა მაშინ, როდესაც 2012 წლის 30 აგვისტო ბოლო დღე იყო, ანუ ვადას 240 დღით გადასცილდა.** მან დაარღვია მრავალბინიანი სახლის ექსპლოატაციაში მიღების ვადაც, ნაცვლად, არაუგვიანეს 2012 წლის 30 დეკემბრისა, სახლი 2013 წლის 12 დეკემბერს იქნა ექსპლოატაციაში მიღებული, ანუ თითქმის ერთი წლით, 350 დღით, გადასცილდა ვადას.

**შემკვეთის მიერ ვალდებულების დარღვევა გამოიხატა შემდეგში: მენარდეს არ გადაუხადა ნარდობის საგნის ღირებულების დარჩენილი ნაწილი.**

**მენარდემ სარჩელი აღძრა** სასამართლოში შემკვეთის წინააღმდეგ ნარდობის საგნის ღირებულების დარჩენილი ნაწილის, განუული მომსახურების დავალიანებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით.

**შემკვეთმა შეგებებული სარჩელით ურთიერთმოთხოვნათა** გაქვითვის გზით (28,708.00 – 7,132.00) 21,576.00 აშშ დოლარის მენარდისათვის დაკისრება და ავტოფარების საკუთრებაში გადაცემა მოითხოვა.

**საგულისხმოა, რომ** სარჩელის აღძვრამდე მხარეებმა ერთმანეთს შეატყობინეს თავიანთი პრეტენზიები, სახელდობრ, მენარდის მოთხოვნას საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდაზე შემკვეთმა საპასუხო წერილობითი პრეტენზიით დაუპირისპირა სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და, სსკ-ის 442-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მენარდეს მოსთხოვა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვას ესაჭიროებოდა შეგებებული სარჩელის აღძვრა, რომელი უფლებაც შემკვეთს, მოპასუხეს რეალიზებული არ ჰქონდა, რაც საკასაციო პალატამ არასწორად შეაფასა და განმარტა შემდეგი: „**გაქვითვა წარმოადგენს პირის მატერიალურ-სამართლებრივ აღმჭურველ უფლებას და ამ უფლების რეალიზაციას ერთ-ერთი მხარე მეორე მხარისათვის შეტყობინებით ახდენს.** შესაბამისად, მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა ან დაწყებულ პროცესში შეგებებული სარჩელის აღძვრა და ზედმეტი სასამართლო ხარჯების განწევა“. პროცესუალურსამართლებრივი თვალსაზრისით, მას შეუძლია, წარადგინოს მოთხოვნის მომსპობი შესაგებელი. ის, რომ განსახილველ საქმეში შეტყობინების მიმღები მხარე (მენარდე) არ დაეთანხმა გაქვითვას, ვერ შეცვლის სამართლებრივ სურათს. აღნიშნული დასკვნა შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარეობს: მენარდის ძირითად ფულად მოთხოვნას შემკვეთმა დაუპირისპირა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, რომელიც ვადამოსული და შესაგებლისაგან თავისუფალი იყო, სახელ-



დობრ, შემკვეთმა წარადგინა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი. მის მიერ გამოვლენილ ცალმხრივ ნებას (სსკ-ის 51-ე მუხლი) შესაბამისი სამართლებრივი შედეგი მოჰყვა, რადგანაც ვლინდებოდა გარიგების ნამდვილობის ყველა წინაპირობა: უფლებამოსილი პირის მიერ გაქვითვაზე გამოვლენილი ნება, რომელიც ადრესატს მიუვიდა, გასაქვითი მოთხოვნების ერთგვაროვნება (ორივე მათგანი ფულადი ხასიათისაა), ურთიერთმოთხოვნათა შესრულების ვადის დადგომა და სსკ-ის 447-ე მუხლით გათვალისწინებული გაქვითვის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა (მოთხოვნათა გაქვითვა დაუმკვეთელია: ა. თუ მოთხოვნათა გაქვითვა შეთანხმებით წინასწარ იყო გამორიცხული; ბ. თუ ვალდებულების საგანზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა ან ვალდებულების საგანს შეადგენს სარჩო; გ. თუ ვალდებულება ითვალისწინებს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამონვეულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით ან სიკვდილით; დ. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში).

**მაშასადამე, შემკვეთის მხრიდან 7,132.00 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების შეწყვეტა უკავშირდებოდა მენარდის შეტყობინების გაგზავნის მომენტს – სარჩელის აღძვრამდე სსკ-ის 442-ე მუხლით მინიჭებული უფლების რეალიზების დროს.**

სსკ-ის 442-ე მუხლის პირველი ნაწილი შემკვეთს ანიჭებდა უფლებას, შესაბამისი წინაპირობების განხორციელების შემთხვევაში, მთლიანად ან ნაწილობრივ შეეცვალა მენარდის უფლებრივი მდგომარეობა და, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, 7,132.00 აშშ დოლარის გადახდისაგან გათავისუფლებულიყო, მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდა თუ არა ამას მეორე მხარე.

**დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ სარჩელის იურიდიული ბედი განაპირობა სწორად მოძიებულმა მატერიალურმა სამართლებრივმა ნორმამ, სსკ-ის 51 და 442-ე მუხლებმა, რომლით განსაზღვრული ყველა წინაპირობები, განხორციელებულად ჩათვალა სასამართლომ.**

საგულისხმოა, რომ ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაა. ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, ამ კარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამონვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივი საშუალებაა ნების გამომვლენის განმარტება. კონკრეტულ საქმეში სწორად იქნა გაგებული მხარის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება – ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, რომლის მიღება მეორე მხარის მიერ სსკ-მარისი იყო სსკ-ის 442-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის განპირობებისათვის.

საბოლოოდ კი, სასარჩელო წარმოების ეტაპზე განხორციელებული კვალიფიციური შედავებით (მოთხოვნის გაქვითვის გზით შეწყვეტილად აღიარება) კრედიტორის მოთხოვნა შეწყვეტილად იქნა მიჩნეული.

სხვა სამოქალაქო საქმეში<sup>86</sup> სასამართლომ იმსჯელა პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ შეგებებული სარჩელის აღძვრის აუცილებლობაზე, რასაც განაპირობებდა სარჩელში დავის საგანი.

ამ შემთხვევაში, კრედიტორი მოითხოვდა აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლას, იმ მოტივით, რომ მხარეებს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია აღსრულების პროცესში ვერ მოხერხდა, რის გამოც, რეგისტრირებული იპოთეკა უძრავ ნივთზე გაუქმდა და ნივთი დაუბრუნდა მოვალეს. ხელშეკრულების მიხედვით კი, კრედიტორს უფლება გააჩნდა მოვალის მიმართ გამოეყენებინა მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა კანონმდებლობით დადგენილი ზომები და გადახდა მიექცია მოვალის სხვა ქონებაზეც [სსკ-ის 301-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-8 პუნქტი].

**მოპასუხემ კვალიფიციური შედავებით პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალ განაკვეთად მიიჩნია.** მას შეგებებული სარჩელი არ აღუძრავს, რის გამოც, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული, აღსასრულებელი პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულობის საკითხი ვერ შემოწმდებოდა, რადგან, **მოპასუხეს დავალიანების შემცირების მოთხოვნით, პირველი ინსტანციის სასამართლოში შეგებებული სარჩელი არ აღუძრავს, ხოლო აღძრული სარჩელის ფარგლებში იხილებოდა დავა აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლის შესახებ,** რაც გულისხმობდა ახალი სააღსრულებო ფურცლის მოპოვებას მოპასუხის სხვა ქონებაზე. ამავე სარჩელის მიხედვით, მოთხოვნის იურიდიულ მართებულობას უზრუნველყოფდა 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მე-5 პუნქტის ჩანაწერი, რომ იპოთეკარს უფლება აქვს, მოთხოვნის სრულად დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გამოიყენოს მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების კანონმდებლობით დადგენილი სხვა ზომები მოვალის მიმართ და გადახდა მიაქციოს მოვალის სხვა ქონებაზე. **შესაბამისად, სსსკ-ის 201-ე მუხლის კონტექსტში შესაგებლის არგუმენტი უნდა მიმართულიყო იმისაკენ, რომ მითითებული მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულიყო, კერძოდ, არ შეცვლილიყო აღსრულების საშუალება და წესი და მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სარეალიზაციოდ არ მიქცეულიყო მოვალის სხვა ქონება.**

რაც შეეხება სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხების შემცირებას იმ მოტივით, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი განაკვეთის იყო, სსსკ-ის 189-ე მუხლის მიხედვით, ნიშნავდა მოთხოვნის ჩათვლას ან გამორიცხვას. **ასეთ შემთხვევაში, მოპასუხეს სარჩელისაგან თავის დაცვის სხვა საპროცესო საშუალება უნდა აერჩია, კერძოდ, მას ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხების შესამცირებლად შეგებებული სარჩელი უნდა აღედრა.**

**ამ დავაში, მოპასუხის მხარის მხრიდან არასწორად შერჩეულმა საპროცესო თავდაცვის საშუალებამ (შესაგებლით შემოფარგვლა, შეგებებული სარჩელის წარუდგენლობა) განაპირობა მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული აღსრულებადი სარჩელის დაკმაყოფილება<sup>87</sup>.**

<sup>86</sup> იხ. სუსგ №ას-1286-1224-2014, 19 თებერვალი, 2015 წელი

<sup>87</sup> შდრ: სუსგ №ას-506-479-2014, 18 მარტი, 2015 წელი.

#### 5.4. სამართლებრივი ანალიზი

მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობა პირგასამტეხლოს ნამდვილობას მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეულ შეთანხმებას უკავშირებს, თუმცა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ დათქმას და, მოვალის შესაგებლის არსებობის პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობის თანხის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან, კერძოდ, სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. **ნორმის დანაწესი სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს და, ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და სხვა.**

პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მხარე მითითებულ პირობას ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას, ამდენად, თუ მხარეს ჰყავს ადვოკატი, სამეწარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია და ა.შ. ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში, შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, შეესაბამება მხარეთა ნამდვილ ნებას და შემცირებას არ ექვემდებარება. პირგასამტეხლოს შემცირება დაუშვებელია მაშინაც, როდესაც პირგასამტეხლო უკვე ნებაყოფლობითაა გადახდილი<sup>88</sup>.

**სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვამ ცხადყო, რომ საჯარო წესრიგის მიღწევის იურიდიული კონსტრუქციები (მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი ნორმები) ამორალურ შეთანხმებებზე სასამართლო კონტროლის ეფექტიანობის თვალსაზრისით, უფრო მეტ მოქნილობას მოითხოვენ.**

საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში სასამართლო მხოლოდ ხელმძღვანელობს მხარეთა შეჯიბრს. ამ პროცესში მონაწილეობს მოთხოვნის კრედიტორი, რომლის მიმართაც დარღვეულია ვალდებულება და მოვალე/მოპასუხე, რომელიც მოთხოვნის უზრუნველყოფის სახელშეკრულებო საშუალებას – პირგასამტეხლოს მიიჩნევს შეუსაბამოდ მაღალ განაკვეთად. ამ დროიდან, უკვე სასამართლო ინყებს პირგასამტეხლოს მართლზომიერებისა და გონივრულების შეფასებას. ცხადია, მოპასუხის მიერ საპროცესო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, სასამართლო შეამოწმებს პირგასამტეხლოს თანაზომიერებას ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, მხარემ უნდა ამტკიცოს, თუ რატომ არის პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის თაობაზე წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის პირობებში, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა თუ სხდომაზე გამოუცხადებლობა, მოთხოვნილი პირგასამტეხლოს დაკისრებას გამოიწვევს თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალის, ვინაიდან შეთანხმებული პირგასამტეხლოს „შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ“ შეფასებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, პროცესუალური თვალსაზრისით, შეცილება და მტკიცება ესაჭიროება.

<sup>88</sup> შდრ: ქ.მესხიშვილი, „პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა)“. [http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo\\_k.meskhishvili.pdf](http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf), 14.03.2017.

იმ შემთხვევაში, თუ მხარე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას არ მოითხოვს ან მოითხოვს სამართალწარმოების იმ ეტაპზე, როდესაც ახალი მოთხოვნის წარდგენა დაუშვებელია, სასამართლო თავისი ინიციატივით, შესაბამისი პროცესუალურად ნამდვილი შეცდომების უფლების გარეშე, პირგასამტეხლოს ვერ შეამცირებს.

თუ მხარე სადავოდ არ ხდის პირგასამტეხლოს ოდენობას (გონივრულობას), მაგრამ საერთოდ გამორიცხავს მისი დაკისრების წინაპირობების არსებობას, **უპრიანია, სასამართლომ პირგასამტეხლოს ოდენობა შედავებულად მიიჩნიოს და შეაფასოს მისი გონივრულობა**, რამეთუ ასეთ ვითარებაში, **ამოსავალი დებულება უნდა იყოს მხარის ნება**, რომ იგი არათუ პირგასამტეხლოს დაკისრებას ხდის სადავოდ, არამედ მის ოდენობასაც არ ეთანხმება<sup>89</sup>.

**დაისმის კითხვა: რამდენად რელევანტურია მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების პირობებში, ვალდებულების დარღვევასა და შეთანხმებული პირგასამტეხლოს თანაბარზომიერების კვლევა, თუკი მოპასუხე/მოვალე მარტივი შესაგებლით შემოიფარგლება; აქვს თუ არა სასამართლოს ამგვარ ვითარებაში, თვითონ განახორციელოს ფაქტებზე მითითებისა და მისი მტკიცების ტვირთი.**

საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები ზღუდავს სასამართლოს ამგვარ აქტიურობას და მხოლოდ ცალკეულ საქმეთა განხილვაშია დასაშვები დავის თავისებურებიდან გამომდინარე (მაგალითად, საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურება).

**განსხვავებულ მოწესრიგებას არც მატერიალური სამართალი არ შეიცავს.**

საგულისხმოა, რომ კანონმდებლის დუმილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნაახალისებს არაკეთილსინდისიერ კრედიტორთა ქმედებას, საბოლოოდ კი, საჯარო წესრიგი მართლწესრიგით დაცულ სფეროში სრულყოფილად ვერ მიიღწევა.

**სწორედ მართლწესრიგის უზრუნველყოფითა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის საწყისებზე განსაზღვრით იყო არგუმენტირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება<sup>90</sup>, რომელშიც მხარეთა მიერ შეთანხმებული სარგებლის – სესხზე დარიცხული პროცენტის გონივრულობა შეამოწმა სასამართლომ. კანონმდებლის დუმილის პირობებში, სახელშეკრულებო თავისუფლებაში სასამართლოს ჩარევა მოტივირებული იყო მწვავე სოციალური საჭიროებითა და მართლწესრიგით დაცულ სფეროში საჯარო წესრიგის უზრუნველყოფით.** მითითებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ აღნიშნა შემდეგი: „მხარეებს მართლაც გამოვლენილი აქვთ მსგავსი ნება. რა თქმა უნდა, არსებობს მხარეთა ნების ავტონომია, რომელიც ყოველთვის ანგარიშგასაწევია სამოქალაქო სამართალურთიერთობათა შეფასების დროს, მიუხედავად ამისა, ნების გამოვლენა არ არის შეუზღუდავი. არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით ზღუდავს მხარეთა ნებას. ამის მაგალითად შეიძლება, მოვიყვანოთ მთელი რიგი ნორმები, რომლებიც არარად მიიჩნევენ მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებას. ასეთ ნორმებს განეკუთვნება, თუნდაც მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან კანონსაწინააღმდეგო გარეგნობები, ასევე, ზნეობის საწინააღმდეგო ნორმები [სსკ-ის 54-ე მუხლი]. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ დაწესებული პროცენტი მნიშვნელოვნად აღემატება ზოგადად კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დაწესებულ ოდენობას, შესაძლებელია, ასეთი ნების გამოვლენა ბათილადაც ჩაითვალოს“.

<sup>89</sup> შდრ: ქ.მესხიშვილი, „პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა)“. [http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo\\_k.meskhishvili.pdf](http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf), 14.03.2017.

<sup>90</sup> იხ. სუსგ №ას -231-216-2014, 09 თებერვალი, 2015 წელი.



**პრაქტიკულად, სასამართლომ სარგებლის (პროცენტის) განსაზღვრის სახელშეკრულებო თავისუფლების ინდიკატორად ზოგადად კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დაწესებული ოდენობა მიიჩნია, რითაც სახელშეკრულებო თავისუფლებასა და ამორალურ გარიგებას შორის ზღვარი გაავლო.**

უპრიანია, პირგასამტეხლოს გონივრულობის კვლევამ მოპასუხის საპროცესო მოქნილობის სფეროდან გადაინაცვლოს სასამართლო კონტროლის სფეროში, როგორც საჯარო წესრიგის უზრუნველყოფისა და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების განმაპირობებელმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტორმა. ამგვარი ტრანსფორმაციის მწვავე საჭიროებას განაპირობებს მოპასუხის მარტივი შედავება ან, ზოგიერთ შემთხვევაში, შედავების არარსებობაც კი, რაც საბოლოოდ, ლეგიტიმაციას ანიჭებს ხელშეკრულების კაბალურ პირობებს და ხელს უშლის საჯარო წესრიგის მაღალი სტანდარტით დაცულობას.

სსკ-ის 54-ე მუხლში განმტკიცებული მართლწესრიგი ადამიანის ღირსებას, მის თავისუფლებას იცავს. მას, აგრეთვე, მორალური დაცვის ნორმებსაც უწოდებენ<sup>91</sup>. საგულისხმოა, რომ „ordre public“ მოიცავს სოციალურ და ეკონომიკურ საჯარო წესრიგსაც. მისი მნიშვნელობა გამომდინარეობს სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის – სოციალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისაგან. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სსკ-ის კონკრეტული გამოვლინება – 420-ე მუხლი. ნორმის დანაწესით, სასამართლო მხედველობაში ღებულობს როგორც შესრულების ღირებულების, ასევე – შეუსრულებლობისა თუ არასათანადოდ შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობას პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

საჯარო წესრიგთან მიმართებით, უპრიანია ზნეობისა და მორალის საკითხის წამოწევა სახელმწიფოში. ნებისმიერი საზოგადოება მორალის (ზნეობის) განსაზღვრულ ნორმებს ეფუძნება. როგორც სამართალი, ასევე, მორალი აწესრიგებს ადამიანებს შორის ურთიერთობას<sup>92</sup>. მართალია, ზნეობის ზუსტი და ამომწურავი განმარტება არც არსებობს. მით უმეტეს, არ არსებობს მისი საკანონმდებლო მონესრიგება. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება, ზნეობის ნორმებს არ გააჩნდეს გარკვეული სამართლებრივი მნიშვნელობა. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, სსკ-ის 54-ე მუხლი, რომელიც ზნეობის საწინააღმდეგოდ დადებული გარიგების იურიდიულ შედეგს აბათილებს (სსკ-ის 54-ე მუხლი). აქედან აშკარა ხდება, რომ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება შებოჭილია და გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებშია მოქცეული. მაშასადამე, არსებობს ურთიერთობანი, რაც არ შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო ავტონომიის საქმე. სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ყოველი მხარე იმ ტვირთის მატარებელი შეიძლება იყოს, რომლის ზიდვაც მას შეუძლია. როცა მტკიცდება, რომ იგი უძღურია, ზიდოს ეს ტვირთი, პასუხისმგებლობის საკითხიც იხსნება. ზემოთ მოყვანილ სამართლის ნორმებში ერთმანეთის პირისპირ დგას საჯარო წესრიგის უზრუნველყოფა და ხელშეკრულების პირობათა კერძო ავტონომიის საფუძვლებზე განსაზღვრის უპირატესობა. თუმცა, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის განხორციელებისას, არ უნდა დაგვავინწყდეს გარიგების მონაწილე სუსტი მხარის ინტერესი<sup>93</sup> და, თუკი ვალდებულების დამრღვევ მხარე ვალდებულია, ანაზღაუროს დარღვევით მიყენებული ზიანი, უპრიანია, მეორე მხარეს მიეკუთვნოს არც მეტი,

<sup>91</sup> იხ. ლ. ჭანტურია, „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“. გამომცემლობა „სამართალი“. თბ. 1997, 363.

<sup>92</sup> იხ. გ. ხუბუა, „სამართლის თეორია“. გამომცემლობა „მერიდიანი“; თბ, 2004. 62.

<sup>93</sup> შდრ: ი.გაგუა, „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013, 186, 187.

არც ნაკლები<sup>94</sup> და, მაშასადამე, მიზანშეწონილია, სასამართლოს მიეცეს შესაძლებლობა, საკუთარი ინიციატივითაც შეამციროს პირგასამტეხლო.

ნიშნდობლივია, რომ სასამართლო პრაქტიკა ძლიერ ზეგავლენას ახდენს კანონმდებელზე, ვინაიდან სწორედ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოჩნება საკანონმდებლო მონესრიგების სიზუსტე და მასში გამოვლენილი არსებული ხარვეზები. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, სასამართლოს დანიშნულებას მხოლოდ არსებული ნორმების გამოყენება როდი წარმოადგენს, კანონმდებლობის ახლებურად მონესრიგების საჭიროება სწორედ ნორმის გამოყენების პრაქტიკულ შემთხვევაში გამოვლინდება და ამ კუთხით, სასამართლოს როლი განუზომლად დიდია.

განხილულ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის არსებული რედაქცია: „სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“, მოითხოვს დაზუსტებას სსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლების არსებობის პირობებში, ვინაიდან ეს უფლება სასამართლოს უნდა ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, თუ პირგასამტეხლოს ოდენობას მხარე სადავოდ არ ხდის, თუმცა სასამართლო პირგასამტეხლოს ფუნქციური დანიშნულებისა და ვალდებულების დარღვევის ხასიათისა და მისი ოდენობის გათვალისწინებით აზუსტებს ხელშეკრულებაში გამოვლენილ მხარეთა ნებას, იმგვარად, რომ არ იქნეს აღქმული მხარეთა სახელშეკრულებო ავტონომიის შელახვად, ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის პრინციპის დარღვევად. არაერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში განიმარტა, რომ სამართალი უპირატეს უფლებას უდგენს ხელშემკვრელ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების თავისუფლებას, ნაახალისებს კერძო სამართლის სუბიექტებს თავისუფალი სახელშეკრულებო მონესრიგების პირობებში, ახალი ურთიერთობის წარმოქმნისაკენ, თუმცა, ხელშემკვრელ მხარეთა თავისუფლების პირობებში, არ უნდა დაგვავინყდეს თავად სამართლის როლი და ფუნქცია მართლწესრიგის სფეროში და, თუ გამოვლინდა, რომ ნორმატიულად განტკიცებული მართლწესრიგი გარკვეულ ასპექტში ახლებურ მონესრიგებას საჭიროებს, სასამართლო, სწორედ რომ, მისი ახლებურად მონესრიგების ნაწილში სამართალშემოქმედი.

## თავი V. გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზოგიერთ დავებზე 2015-2016 წლებში მიღებულ გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

### 6.1. მომსახურების „შელახვითიან“ ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის განსხვავება

ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ იმსჯელა სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მომსახურების შელახვითიან ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის არსებული სხვაობის ანაზღაურების საკითხზე<sup>95</sup>.

<sup>94</sup> შდრ: ნ.ოსელიანი, „შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში“, სამართლის ჟურნალი №1 2016, თსუ-ს გამომცემლობა, 68

<sup>95</sup> იხ. სუსგ №ას-1006-950-2015, 06 მაისი, 2016 წელი.

გადამზიდავი კომპანიის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა ექსპედიტორის მიერ გადაზიდვის საბაზრო ღირებულებასთან შედარებით შეღავათიანი ფასით სარგებლობის წინაპირობების – სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების იმ დათქმის შეუსრულებლობა, რომელიც განსხვავებული ტარიფით სარგებლობის უფლების მოპოვებისათვის ითვალისწინებდა (1) საბანკო გარანტიის წარდგენას; (2) განუვლი მომსახურების ღირებულების საფასურისა და ხელშეკრულების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს თანხის გადახდის უზრუნველსაყოფად დეპოზიტზე თანხის შეტანასა და (3) გადასაზიდი ტვირთის შეთანხმებული, მინიმალური ზღვრის მიღწევას.

დადგენილი გარემოებების მიხედვით, ექსპედიტორი ისე სარგებლობდა შეღავათიანი ტარიფით ტვირთის გადაზიდვისას, რომ დათქმის არცერთი პირობა არ შეუსრულებია. მოთხოვნის შემწყვეტ შესაგებელში ექსპედიტორმა სადავოდ გახადა ხელშეკრულების დათქმის შინაარსი და, ამდენად, საკასაციო პალატის წინაშე დაისვა საკითხი სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებაში გამოვლენილი ნების სწორი განმარტების აუცილებლობის შესახებ [სსკ-ის 52-ე მუხლი]. ამ მიზნით, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა გარიგებაში გამოვლენილი ნების განმარტების მეთოდებზე, რომელიც სასამართლოს ეხმარება გარიგების მონაწილე მხარის ნების გონივრულ განსჯაში და იგი, არცერთ შემთხვევაში, არ წარმოდგება ხელშეკრულების ტექსტის მარტოდენ სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ამგვარი „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენა უნდა განიმარტოს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

**ნების განმარტება იმ შემთხვევაშია საჭირო, როცა არსებობს ხელშეკრულება, რომელში აღნიშნული გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე, როცა ეს გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვს.**

განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: ერთი მხრივ, სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს. ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება, საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე, მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა. **კონკრეტულ საქმეში, ხელშეკრულების სადავო დათქმა არ განიმარტა ექსპედიტორის კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ეწინააღმდეგება ხელშემკვრელ მხარეთა თანასწორობის, სახელშეკრულებო თვითბოჭვის, ნების თავისუფალი გამოვლენის ფუძემდებლურ პრინციპებს, ასევე, მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების – სადავო დათქმის რეალურ მიზანს<sup>96</sup>.**

სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების სადავო დათქმის გონივრული და სწორი განმარტების საფუძველზე კი, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, შეთანხმებული პირობების დაუცველობის გამო, შეღავათიანი პირობებით სარგებლობა ხელშეკ-

<sup>96</sup> ხელშეკრულების ბუნდოვანი გამონათქვამების განმარტებასთან დაკავშირებით, იხ. სუსგ №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი.

რულების დარღვევად შეეცადა ექსპედიტორს, რაც, საბოლოოდ, გადამზიდავ კომპანიას წარმოუშობდა სხვაობის ანაზღაურების ვარგის სამართლებრივ საფუძველს.

## 6.2. ვალდებულების დარღვევის გამო, ზიანის ანაზღაურება

6.2.1. ერთ-ერთ საქმეში<sup>97</sup> საკასაციო პალატამ იმსჯელა, ვალდებულების დარღვევის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების იშვიათ სამართლებრივ პრობლემაზე [სსკ-ის 413-ე მუხლი].

შესაფასებელი დავის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: მოპასუხე ავიაკომპანიის უხეში გაუფრთხილებლობის გამო, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში სანკტ-პეტერბურგი, სტამბოლი-თბილისის ტრანზიტული რეისით ჩამოფრენილ თვითმფრინავში არ აღმოჩნდა მოსარჩელის გარდაცვლილი შვილის ცხედარი, რადგანაც ავიაკომპანიამ შეცდომით სამხრეთ კორეაში გააგზავნა (1); ვალდებულების დარღვევისთანავე მოპასუხე ავიაკომპანიამ მოსარჩელეს არ აცნობა მიზეზი, თუ რამ განაპირობა ნეშტის კონკრეტული რეისით ჩამოუსვენებლობა, სად იყო და დანიშნულების ადგილას როდის აღმოჩნდებოდა (2).

მართალია, შესაფასებელი სამართალურთიერთობა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ მორალური ზიანის ანაზღაურებას შეეხებოდა, თუმცა, სამართალურთიერთობის თავისებურების გათვალისწინებით იგი გადაზიდვის ტიპურ, სამოქალაქო ურთიერთობის ფარგლებს სცდებოდა და ხელშემკვრელ მხარეთა განსაკუთრებულ გულისხმიერებას საჭიროებდა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, ავიაკომპანიამ დაარღვია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სარჩელზე დართული მოპასუხე ავიაკომპანიის დირექტორის წერილის შინაარსის მიხედვით, მოპასუხემ განუმარტა ჭირისუფალს, რომ, ვალდებულების დარღვევის გამო, მას რაიმე პასუხისმგებლობა არ დაეკისრება და, ჰუმანურობიდან გამომდინარე, ადამიანური ტკივილის შესამსუბუქებლად, სთავაზობს ერთი წლის განმავლობაში ევროპის მიმართულებით სამი უფასო ბილეთით სარგებლობას. რაიმე მტკიცებულება, რაც, ამ შემთხვევის გამო, ავიაკომპანიის მხრიდან მოსარჩელის მიმართ ფსიქოლოგიური თუ სხვა მორალური დახმარების განევას დაადასტურებდა, საქმეში არ წარმოდგენილა.

დავის სამართლებრივი მონესრიგებისას, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა, მორალური ზიანის ანაზღაურების ზუსტად განსაზღვრულ ნორმატიულ აღწერილობაზე, რომლის ჩამონათვალშიც გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა არ გვხვდება და ამას გადაზიდვის სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი არცერთი ნორმა არ შეიცავს. დავის მონესრიგება არც სსკ-ის მე-18 მუხლით არ იყო მნიშვნელოვანი, რადგან სასამართლოს შეფასების საგანი ადამიანის ღირსების ხელყოფა და ამდენად, სსკ-ის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევის მართლზომიერების შეფასება იყო.

საბოლოოდ, სასარჩელო მოთხოვნა შემოწმდა მორალური ზიანის ანაზღაურების დამფუძნებელი ნორმის, სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელ ყველა სამართლებრივ წანამძღვართან. მისი შემოწმების

<sup>97</sup> იხ. სუსგ №ას-979-940-2014, 10 სექტემბერი, 2015 წელი



მიზნით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „...ადამიანის ჯანმრთელობა სამართლის მიერ დაცული ერთ-ერთ ის სიკეთეა, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება, მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება. სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა: უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო, ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), **თუმცა ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.** სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედება, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. იმ ვითარებაში, როდესაც მოსარჩელემ შვილის ცხედრის ადგილსამყოფელი არ იცოდა, ასევე, არც დროულად არ შეუტყობინებიათ, თუ რა მიზეზით არ აღმოჩნდა ნეშტი კონკრეტულ რეისზე, სასამართლოს აძლედა პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ ავიაკომპანიის მხრიდან ვალდებულების დარღვევით განცდილი ზემოაღნიშნული ნეგატიური ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსარჩელის ჯანმრთელობას მიადგა იმგვარი ზიანი, რასაც შედეგად პირის სულიერი ტანჯვა, ძლიერი ემოციური სტრესი მოჰყვა“.

იმის გათვალისწინებით, რომ **პრეზუმირებული ზიანის ფაქტი, მოპასუხე ავიაკომპანიას არ გაუქარწყლებია,** საკასაციო პალატამ განხორციელებულად მიიჩნია სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი ნანამძღვარი და მოსარჩელეს მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის მიაკუთვნა 10 000 ლარი.

**6.2.2. ერთ-ერთ საქმეში<sup>98</sup> ტვირთგამგზავნის მითითებათა შეუსრულებლობა, რაც ტვირთის ადრესატისათვის გადაუცემლობასა და გამგზავნთან უკან დაბრუნებას შეეხებოდა, საფუძვლად დაედო გადამზიდველისათვის სსკ-ის 680-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილის სამართლებრივი საფუძვლებით პასუხისმგებლობის დაკისრებას.**

პასუხისმგებლობის ფაქტობრივ საფუძვლად ის გარემოებები იქნა მიჩნეული, რომ გადამზიდველს **მიუვიდა გამგზავნის ნება** ტვირთის შეჩერებისა და უკან დაბრუნების შესახებ, რომლის უფლებაც ამ უკანასკნელს გააჩნდა სსკ-ის 680-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით და **რომლის მიღება გადამზიდველს წარმოუშობდა** აღნიშნულ მითითებათა შესრულების ვალდებულებას.

**ტვირთგამგზავნის მითითებათა შესრულების უზრუნველსაყოფად გადამზიდველის მოქმედებათა მყისიერება და ეფექტიანობა არ დადასტურდა, რამაც, საბოლოოდ, განაპირობა ადრესატის მიერ დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიღება, რაც სსკ-ის 680-ე მუხლის მე-7 პუნქტის სამართლებრივი საფუძვლით გადამზიდველს წარმოუშობდა ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.**

ზიანის ოდენობა განსაზღვრა სსკ-ის 409-ე და 412-ე მუხლების კომბინაციით, რომელიც მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აწე-

<sup>98</sup> იხ. სუსგ №ას-569-544-2016, 23 დეკემბერი, 2016 წელი.

სებს. წინასწარ სავარაუდო ზიანად კი, მიჩნეულ იქნა გადასახიდი ტვირთის ღირებულება.

მოთხოვნა გადაზიდვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა, იმ არგუმენტით, რომ გადაზიდვის ხარჯები სსკ-ის 668-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით იყო განეული გადაზიდვის სამართალურთიერთობის წარმოშობისას და მისი უკუგების ვალდებულებას გადამზიდველს გამგზავნის მითითებათა შეუსრულებლობა არ წარმოუშობოდა. პირიქით, სსკ-ის 684-ე მუხლი გადამზიდველს გამგზავნის მითითებათა შესრულების მიზნით განეული დამატებითი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასაც კი ანიჭებდა.

### 6.3. პროცედურული საკითხები

**6.3.1. ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ იმსჯელა საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის ტარიფის გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომის გასწორებისა და ანგარიშსწორების ხანდაზმულობის საკითხზე<sup>99</sup>.**

სასამართლომ მოთხოვნის განხორციელება საერთო სასარჩელო წესით შეუძლებლად მიიჩნია ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით (მოპასუხის შესაგებელი), **სახელდობრ, წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე გამოსაყენებელ მატერიალურსამართლებრივ ნორმად დასახელდა სარკინიგზო კოდექსი<sup>100</sup>, რომლის 55.1. „თ“ პუნქტი ბლანკეტურ დათქმას შეიცავს „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმებაზე<sup>101</sup>, როგორც საერთაშორისო გადაზიდვისას პრეტენზიის წარდგენის ნორმატიულად მარეგულირებელ აქტზე.** შეთანხმების 31-ე მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, რკინიგზის მოთხოვნები და სარჩელები გამგზავნების ან მიმღებებისადმი გადატანის გადასახდელების, ჯარიმების გადახდისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ შეიძლება, გაცხადდეს 9 თვის განმავლობაში. იმავე მუხლის მე-2 პარაგრაფის მე-3 ნაწილის თანახმად, 9-თვიანი ვადა იანგარიშება: პრეტენზიებისათვის, რომელიც ეხება დამატებით ანაზღაურებას ან პრეტენზიებისათვის გადატანის ღირებულების, დამატებითი მოსაკრებლის, ჯარიმების უკან დაბრუნების შესახებ ან პრეტენზიებისათვის გადატანის ღირებულების, დამატებითი მოსაკრებლის, ჯარიმების უკან დაბრუნების შესახებ ან პრეტენზიებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ტარიფების არასწორი გამოყენების, აგრეთვე – გადასახდელების გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომების შედეგად ანგარიშსწორების გამოსწორებასთან, გადახდის დღიდან ან, თუ არ გადახდილა ტვირთის გაცემის დღიდან. იმავე მუხლის მე-4 პარაგრაფის თანახმად, პრეტენზიები და მოთხოვნები, რომლებსაც გაუვიდათ ხანდაზმულობის ვადა, ვერ იქნება წარდგენილი, აგრეთვე, ვერც სარჩელების სახით.

**იმავედროულად, გასათვალისწინებელია „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების იურდიული ძალა და მისი იერარქიული ადგილი საქართველოს კანონმდებლობაში და ამ მიზნით, საკასაციო პალატამ მიუთითა „ნორ-**

<sup>99</sup> იხ. სუსგ №ას-754-714-2015, 10 სექტემბერი, 2015 წელი; სარკინიგზო გადაზიდვის ღირებულების ანაზღაურების ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, აგრეთვე, იხ. №ას-119-114-2014 7 ივლისი, 2014 წელი.

<sup>100</sup> საქართველოს სარკინიგზო კოდექსი, 2002 წლის 28 დეკემბერი, №1911-რს.

<sup>101</sup> „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ“ 1951 წლის 1 ნოემბრის საერთაშორისო შეთანხმება.

მატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 21 თებერვლის №01/7174 ნერილით ირკვეოდა, რომ 1951 წლის საერთაშორისო შეთანხმება „ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ“ საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 18 ივნისიდან. შესაბამისად, მითითებული შეთანხმების 31-ე მუხლს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს სსკ-ის ნორმების მიმართ.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარკინიგზო გადაზიდვის ტარიფის გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომის გამო, წარმოიშვა გადამზიდველის მოთხოვნა გამგზავნის მიმართ ანგარიშსწორების აუცილებლობის თაობაზე, იგი არ შეწყვეტილა, მაგრამ მოთხოვნის განხორციელება მუდმივად შეფერხდა მოთხოვნის ხანდაზმულობის 9-თვიანი ვადის გასვლის გამო.**

**6.3.2. არაერთი სამოქალაქო დავის წამოწყების საფუძველია გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობაში სარკინიგზო ვაგონების მოცდენა – ტვირთის მიწოდების ადგილზე მათი 24სთ-ზე მეტი ვადით დაყოვნება.** ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომელი გარემოებები შედის მტკიცების საგანში და როგორ ნაწილდება მათი მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის და ითვალისწინებს თუ არა ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა მტკიცების სტანდარტს – სპეციალურ მტკიცებულებას.

**პრაქტიკულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენდა საზღვაო სანავის გადაზიდვისას 24სთ-ზე მეტი ვადით ტვირთის დაყოვნებისა და, მაშასადამე, ვაგონების მოცდენისათვის თანხის დაკისრება. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლომ იმსჯელა ვაგონების მოცდენის ფაქტის მტკიცების სტანდარტსა და, ზოგადად, საქართველოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე<sup>102</sup>.**

პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძველად დაედო „საერთო ფორმის აქტი“ და სამახსოვრო ბარათი, რომლითაც ირკვეოდა, რომ მოსარჩელემ/გადამზიდვემა კომპანიამ მოპასუხეს/ტვირთგამგზავნს დანიშნულების სადგურში მიაწოდა დახურული ტიპის ვაგონებში განთავსებული ტვირთი, რომელიც, სასამართლოს მოსაზრებით, იმასაც ადასტურებდა, რომ ტვირთი დაყოვნდა 24 სთ-ზე მეტ ხანს, რაშიც ვლინდებოდა მოპასუხის ბრალეულობა.

სააპელაციო წესით დავის განხილვის ეტაპზე, „საერთო ფორმის აქტსა“ და სამახსოვრო ბარათს, რომელიც გაიხსნა დანიშნულების სადგურში ვაგონების შესვლისას, ვერ მიენიჭებოდა იმგვარი მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რომ დადასტურებულად მიჩნეულიყო დავის ფაქტობრივი გარემოება მოპასუხის მხრიდან ტვირთის 24 სთ-ზე მეტი ვადით დაყოვნებისა და მისივე ბრალეულობის შესახებ, მათში ასახული ინფორმაციის არასაკმარისობის მოტივით. „საერთო ფორმის აქტი“ სამართლებრივი შეფასდა „საქართველოს სარკინიგზო კოდექსის“ 52.1 მუხლით, რომლის თანახმად, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველია, უნდა დასტურდებოდეს კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. **მოცემულ შემთხვევაში, გადამზიდველი ტვირთგამგზავნის იურიდიული პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ დოკუმენტად მიუთითებდა საერთო ფორმის აქტზე, თუმცა ამ აქ-**

<sup>102</sup> იხ. სუსგ №ას-726-691-2015, 19 ნოემბერი, 2015 წელი; №ას-872-834-2014, 10 თებერვალი, 2015 წელი.

**ტიდან არ დგინდებოდა დავის მთავარი ფაქტი – 24 სთ-ზე მეტხანს ვაგონების დაყოვნება.** იმავდროულად, დაუდასტურებელი იყო მოცდენის სატარიფო განაკვეთი, რადგან გადამზიდავი კომპანიის სატვირთო გადაზიდვების ტარიფებისა და დამატებით საფასურების VIII მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის საფუძველზე ვაგონები, რომლებიც მოცდა, საკუთრივ რკინიგზის პარკის იყო და ფოთის სადგურიდან სადგურ „ფართო წყალში“ გაჩერდა, რაც, ზემოაღნიშნული რეგულაციის თანახმად, გამორიცხავს ერთი ვაგონის მოცდენისათვის 500 ლარის დაკისრებას თითოეულ დაყოვნებულ დღე-ღამეზე. მოსარჩელემ/გადამზიდავემ ვერ დაადასტურა ტვირთის 24 სთ-ზე მეტი ვადით დაყოვნება მიწოდების ადგილზე, რამაც საბოლოოდ, სარჩელის წარუმატებლობა განაპირობა.

სხვა სამოქალაქო საქმეშიც<sup>103</sup>, ტვირთმიმღებმა კვალიფიციური შედავებით უარყო ვაგონების 24 სთ-ზე მეტი ვადით დაყოვნების ფაქტი, ხოლო სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად გადამზიდავის მიერ წარდგენილ სამახსოვროებს, საერთო ფორმის აქტებსა და დარიცხვის აქტებს ვერ მიენიჭა იმგვარი მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რომ დადასტურებულიყო ფაქტობრივ გარემოება სადავო პერიოდში ვაგონების მოცდენის თაობაზე, სახელდობრ, საერთო ფორმის აქტში არ იყო აღნიშნული ამომწურავი ინფორმაცია სადავო გარემოების დასადასტურებლად, დარიცხვის აქტი კი, თავის მხრივ, ეფუძნებოდა სამახსოვროებისა და საერთო ფორმის აქტის მონაცემებს და, ამდენად, არ არსებობდა არც მისი გაზიარების საფუძველი.

**6.3.3. ერთ-ერთ საქმეში<sup>104</sup> საკასაციო პალატამ იმსჯელა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე რეკლამაციის (პრეტენზია) წარდგენის ვადებზე, ტვირთის დაზიანების ფაქტის მტკიცების სტანდარტსა და მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბების აუცილებლობაზე გადამზიდავის პასუხისმგებლობის დადგენის კონტექსტით.**

მითითებულ საქმეში ტვირთმიმღები გადამზიდავისაგან მოითხოვდა, გადასაზიდი ტვირთის (ჰელიუმის გამათხელებელი ხელსაწყო) დაზიანების გამო, მისი ღირებულების სრულად ანაზღაურებას.

მოთხოვნის საფუძვლიანობის რეკლამაციის (პრეტენზიის) წარდგენის ვადებსა და გადამზიდავის ბრალეულობის კვლევის ნაწილში, სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 698-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის სტანდარტით, რომელიც შეიცავს პრეზუმფციას გადამზიდავის სასარგებლოდ, რაც სწორედ ისაა, რომ, თუ მიმღები მიიღებს ტვირთს ისე, რომ მის მდგომარეობას არ ამომწებს გადამზიდავთან ერთად და არ უყენებს მას ზოგადი ხასიათის პრეტენზიას დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ, საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირთი ჩაიბარა ზედნადებში მითითებული მონაცემებით. პრეტენზია უნდა წარედგინოს ტვირთის ჩაბარების დღესვე, თუ გარეგნულად შესამჩნევია დანაკარგები და დაზიანებები, ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანებების შემთხვევაში – ჩაბარებიდან არაუგვიანეს შვიდი დღისა.

სადავო შემთხვევაში, ტვირთმიმღებმა ტვირთი შემოწმების გარეშე მიიღო, რაც, სადავოობის შემთხვევაში, მისი მტკიცების ტვირთს და, მაშასადამე, მისივე პროცესუალურ რისკს წარმოადგენდა. იმავდროულად, ტვირთმიმღების პრეტენზია შეეხებოდა, როგორც ტექნიკურ დაზიანებებს, ისე – გარეგან დაზიანებებს, რისი შემოწმებაც სწორედ

<sup>103</sup> იხ. სუსგ №ას-1033-968-2012, 11 ოქტომბერი, 2012 წელი

<sup>104</sup> იხ. სუსგ №ას-688-658-2014, 23 ოქტომბერი, 2015 წელი



გადაცემის მომენტში იყო შესაძლებელი. კონკრეტულ შემთხვევაში, ტვირთმიმღებს არ დაუცვია კანონით განსაზღვრული პრეტენზიის წარდგენის ვადა.

ტვირთის დაზიანებისა და ამაში გადამზიდავის ბრალეულობის (გაუფრთხილებლობა) დასადასტურებლად ტვირთმიმღები ეყრდნობოდა ექსპერტიზის დასკვნას (რომლითაც დასტურდებოდა ნივთის დაზიანება) და მოწმეთა ჩვენებებს, თუმცა ტვირთმიმღები ვერ ადასტურებდა ტვირთის მიღების დროისათვის ტვირთის (ხელსაწყო ან მისი შეფუთვა) მდგომარეობას. პალატამ არ გაიზიარა სპეციალისტის დასკვნა, როგორც მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთი საფუძველი, რადგანაც ნივთის მოსარჩელისათვის გადაცემიდან, სპეციალისტის მიერ შემოწმებამდე გასული იყო ერთ წელზე მეტი, რა დროსაც შესაძლებელიც იყო, დაზიანებულიყო ნივთი.

გარდა ამისა, გადამზიდავის პროცესუალურ მდგომარეობას ისიც ამსუბუქებდა მტკიცების თვალსაზრისით, რომ ტვირთგამგზავნმა არ დაიცვა სსკ-ის გათვალისწინებული ყველა ღონისძიება ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვისათვის, სახელდობრ, სსკ-ის 694-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ქცევის წესი, რომელიც დამატებითი საფასურის გადახდის საწესდოდ, ტვირთზე ტვირთმიმღების განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნასა და შესაბამის გარანტიებს აწესებს.

მოცემულ შემთხვევაში, ტვირთმიმღები მხოლოდ იმას უთითებდა, რომ ტვირთი იყო ფაქიზი, რაც გადამზიდავის გულისხმიერებას, მართალია, მოითხოვდა, თუმცა მისი ბრალეულობის ხარისხზე ვერ ზემოქმედებდა.

**საკასაციო პალატამ ამ დავაში, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბების პროცესუალურ პრობლემაზე** იმ საკანონმდებლო დანაწესის პირობებში, როდესაც სსკ-ის 693.1 მუხლი ტვირთის დაზიანებისას გადამზიდავს აკისრებდა იმ დანაკლისის ანაზღაურების (საზღაურის) ვალდებულებას, რომლითაც შემცირდა ტვირთის ღირებულება, ხოლო წარდგენილი სარჩელით მოთხოვნილი იყო ტვირთის მთლიანი ღირებულება ისე, რომ არ დასტურდებოდა ნივთის დაზიანების ხარისხი, მისი ხელახალი აწყობის მიზანშეუწონლობა, არც კალკულაცია ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯების თაობაზე, გადამზიდავის პასუხისმგებლობის დადგენის შემთხვევაში (ბრალეულობა), რამდენად იქნებოდა სარჩელი წარმატებული.

**6.3.4. ერთ-ერთ საქმეში<sup>105</sup> სასამართლომ იმსჯელა გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის მტკიცების სპეციალურ წესზე, მტკიცების სტანდარტზე, ასლის სახით წარმოდგენილი მასალის ავთენტურობაზე მტკიცებულებითი ძალის მინიჭების კონტექსტში [სსკ-ის 677-ე და სსსკ-ის 102.3 მუხლები].**

სსკ-ის მიხედვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ზედნადები (კონოსამენტი ან გადაზიდვებში მიღებული სხვა ფორმები) არის მტკიცებულება იმისა, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ტვირთი გადამზიდველს მიღებული აქვს. სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის დადასტურება კი, თავის მხრივ, წარმოშობს მის მონაწილეთა ორმხრივ უფლება-მოვალეობებს.

მითითებულ საქმეში, გადამზიდველის მოთხოვნას მომსახურების საფასურის ანაზღაურებაზე დაუპირისპირდა მოთხოვნის შემწყვეტი შედავება, რომელიც სადავოდ ხდიდა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობას. ამგვარი შედავების პირობებში, გადამზიდავს უნდა დაედასტურებინა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურ-

<sup>105</sup> იხ. სუსგ №ას-264-252-2015, 20 ნოემბერი, 2015 წელი.

თიერთობის წარმოშობის ფაქტი, რასაც იგი შეეცადა: გადაზიდვის განხორციელების მოთხოვნის შესახებ განაცხადითა (1) და ინვოისით, რომელთა ავთენტურობა მოპასუხემ სადავო გახადა (2).

წარმოდგენილ მასალათა ასლების ავთენტურობის სადავოობის პირობებში, სასამართლომ ისინი არ შეაფასა გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად [სსსკ-ის 105-ე, 135-ე, 102.3]; არც გადამზიდველის პოზიცია არ გაიზიარა, თითქოს, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის, კომპიუტერის მეშვეობით, „სკაიპით“ წარმოშობის გამო, დოკუმენტების დედანი არ არსებობდა, ვინაიდან სსსკ-ის 134-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის მოქმედების პირობებში მტკიცებულების ძალა გააჩნია „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ციფრული ხელმოწერით დადასტურებულ ან/და დამონმებულ ელექტრონულ დოკუმენტს, მოცემულ შემთხვევაში, ასეთი რამ არ დასტურდებოდა. პალატამ მიუთითა სსსკ-ის 672-ე და 673-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოცემული ნორმების შესაბამისად შედგენილი ზედნადები, რომელიც დაადასტურებდა ხელშეკრულების არსებობის ფაქტს, საქმეში წარმოდგენილი არ იყო.

#### 6.4. სამართლებრივი ანალიზი

საგულისხმოა, რომ უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის გამოყენება შეზღუდულია გარკვეული დროით, რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ მოვალე არ არის შეზღუდული ვალდებულების შესრულებით, თუმცა, მოვალის მხრიდან მოთხოვნის შემაფერხებელ გარემოებაზე (ხანდაზმულობა) მითითების შემთხვევაში (მოპასუხის შესაგებელი), კრედიტორის მოთხოვნის განხორციელება მუდმივად შეფერხდება.

ხანდაზმულობის ვადები დადგენილია სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურსამართლებრივი ნორმებით. მოხმობილ პრაქტიკულ მაგალითში (სუსგ №ას-754-714-2015, 10 სექტემბერი, 2015 წელი). **წარმოშობილი ურთიერთობა შეეხებოდა საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის ტარიფის გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომის გასწორებასა და შესაბამის ანგარიშსწორებას**, რომლის მომწესრიგებელ მატერიალურსამართლებრივ ნორმად მიჩნეულ იქნა „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმება“, რომელიც მოთხოვნის ხანდაზმულობას ზღუდავს 9 თვით და ამ ვადის გასვლითა და მასზე მოპასუხის მხრიდან განხორციელებული შედავებით, მოთხოვნა მუდმივად შეფერხებადია.

**რაც შეეხება გადაზიდვის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ იმ დავებს, რომლის საგანია ვაგონების მოცდენა**, მტკიცების საგანში შედის შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვისას ტვირთის მიწოდების ადგილზე ტვირთის 24 სთ-ზე მეტი ვადით დაყოვნება და ვაგონებიც მოცდენა, ტვირთის დაყოვნებაში ტვირთიმძღვრის ბრალეულობის არსებობა. ამ გარემოებების მტკიცების პროცესში ტვირთის განაწილებისას გამოიყენება სსსკ-ის 102-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესი და, მაშასადამე, გადამზიდავია ვალდებული, ამტკიცოს, როგორც ტვირთის დაყოვნებისა და ვაგონების მოცდენის ფაქტი, ისე – მათ დაყოვნებაში ტვირთიმძღვრის ბრალეულობა.

ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება სპეციალური მტკიცებულებით, რომელიც მოცემულია ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურსამართლებრივ აქტში – საქართველოს სარკინიგზო კოდექსში. ამ კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილი თანახმად, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებ-

ლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, „საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება, დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“. **მაშასადამე, ვაგონების დაყოვნების მიზეზები, მათი რაოდენობა, დაყოვნების დრო და ა.შ, შესაძლებელია, დადასტურდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული ნორმატიულ აქტში მითითებული, კონკრეტული შემთხვევის ამსახველი** (კომერციული, ტექნიკური, საერთო) აქტების მეშვეობით.

თავის მხრივ, საერთო ფორმის აქტი, როგორც სპეციალური დოკუმენტი, შედგენილი უნდა იყოს „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესებით“<sup>106</sup>, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ მონაწილეთა უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას. წესების მიხედვით, საერთო ფორმის აქტში, რომლის საფუძველზეც გადაიხდება რკინიგზის ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობის საფასური, აღნიშნება ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნების მიზეზი, მისი ნომრები, დაყოვნების დაწყებისა და დამთავრების, აგრეთვე, დაყოვნების ფაქტობრივი დრო [იხ. წესები – მუხლი 440 „ა“].

**მაშასადამე**, გადამზიდველის მიერ შედგენილი საერთო აქტი უნდა პასუხობდეს წესებით დადგენილ სტანდარტს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასში აღნიშნული ინფორმაციის არასაკმარისობის საფუძველზე, მას ვერ მიენიჭება სამართლებრივად დასაშვები მტკიცებულების მნიშვნელობა. საერთო აქტის მტკიცებულებითი ღირებულება განმარტებულია სასამართლო პრაქტიკითაც<sup>107</sup>.

გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთ დავათა მიმოხილვისას წარმოჩნდა, რომ ამ და ზოგადად სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოსავალ დებულებას, ხელშეკრულ მხარეთა ქცევის კეთლსინდისიერება, ხელშეკრულების შესრულებისადმი მზაობა წარმოადგენს. **ეს კი, კრედიტორის ინტერესსა და, მაშასადამე, მის პირველად მოთხოვნას უკავშირდება.** სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტად გვევლინება ხელშეკრულება, როგორც მხარეთა კერძო ავტონომიის კონკრეტული გამოვლინება. ხელშეკრულების ჩანაწერის ბუნდოვანების შემთხვევაში, ვლინდება ხელშეკრულებაში გამოვლენილი ნების განმარტების აუცილებლობა, ბუნდოვანი ადგილების დაზუსტება, რაც სასამართლოს კომპეტენციაა.

ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ნების განმარტების მეთოდების განუხრელად დაცვა. იმგვარად, რომ დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან და ეს არ უნდა ემსახურებოდეს რომელიმე მხარის კომერციულ ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, განმარტება შეზღუდავს **ხელშეკრულ მხარეთა თანასწორობის, სახელშეკრულებო თვითბოჭვის, ნების თავისუფალი გამოვლენის ფუძემდებლურ პრინციპებს.** საბოლოოდ, სასამართლო მხარეთა ნამდვილი ნების დადგენით ადგენს ხელშეკრულ მხარეთა უფლება-მოვალეობებს, დავის ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა სამართლებრივი შეფასებით დავა სწორად, დასაბუთებულად და მართლზომიერად წყდება.

სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას, სასამართლოს უპირველესი მოვალეობა მოსარჩელის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის სწორად განსაზღვრაა, ვინაიდან მოთხოვნის პერსპექტივას სწორედ მოძიებული ნორმის აბსტრაქტუ-

<sup>106</sup> წესები დამტკიცებულია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2003 წლის 16 აპრილის №26 ბრძანებით.

<sup>107</sup> იხ. სუსგ №ას- 455-769-09, 03 დეკემბერი, 2009 წელი.

ლი შემადგენლობის (ნორმის კომპონენტები) არსებობა განაპირობებს. სამოსამართლო საქმიანობა კიდევ ერთ ფუნქციას იტევს, ესაა დავის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პრეზუმფციებს. საგულისხმოა, რომ სამართალწარმოებაში პრეზუმფციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე, შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა, ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება, უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება, პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების განაწილების საფუძველს. მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო, ამ ფაქტების მეორე ნაწილი – მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმაც მხარემ, კონკრეტულად, რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში. ერთ-ერთ საქმეში, საქმის ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო პალატამ არ შეაფასა, როგორც მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ქრილში გამოიტანა [სსკ-ის 413-ე მუხლი] და მისი დაკმაყოფილების ერთ-ერთ წინაპირობად – ზიანის არსებობის ფაქტობრივი გარემოება, პრეზუმირებულ ფაქტად მიიჩნია და მისი გაქარწყლების ვალდებულება მოპასუხეს დააკისრა.

გადაზიდვის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა წარმოშობს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, რაც ზიანის ანაზღაურებას მოიცავს. განხილულ შემთხვევაში, გადაზიდვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა წარმოშვა მისი მხრიდან ტვირთგამგზავნის მითითებათა შეუსრულებლობამ, რასაც სსკ-ის 680-ე მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეს. საგულისხმოა, რომ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, გადაზიდველის მოქმედება უნდა იყოს მყისიერი და ეფექტიანი, იმგვარად, რომ გონიერი დამკვირვებლის თვალში პასუხობდეს სსკ-ის 680-ე მუხლით გამგზავნისათვის მინიჭებულ ტვირთის განკარგვის მიზნებს.

## თავი VI. 2015-2016 წლებში საბანკო სამართალსა და სსკ-ის მიხედვით დავებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი ანალიზი

### 7.1. მიმოხილვა

ქვეყნის წინაშე მდგარი ერთ-ერთი გამოწვევა საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ისეთი საბაზრო წინაპირობების არსებობა, როგორცაა: საკუთრება – კერძო და დაცული. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სასამართლო სისტემის ეფექტიანობა. იმავდროულად, აუცილებელია ბიზნესსექტორის წარმომადგენლების მონაწილეობა სტრატეგიის განხორციელებაში, რადგან საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის: იგი ასრულებს ყველაზე ეფექტიანი



შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. მაგალითად, კომერციული ბანკები, რომლებიც წარმოადგენენ საფინანსო სექტორის ძირითად რგოლს საქართველოში, იღებენ რა დეპოზიტებს მოსახლეობისა და კომპანიებისაგან, შემდეგ ასესხებენ სხვა შინამეურნეობებსა და საწარმოებს. ამავდროულად, კომერციული ბანკების მეშვეობით ხორციელდება როგორც უნაღდო, ისე ნაღდი ფორმით ანგარიშსწორება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, ამიტომ, ჩვეულებრივი კომპანიებისაგან განსხვავებით, კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება ეკონომიკაზე.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველყოფა, სხვადასხვა რისკების თავიდან აცილება. რისკების შესამცირებლად მოქმედი კოდექსით დაშვებულია სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დამოუკიდებელი გარანტიების ინსტიტუტი, რომელსაც ძირითადად გასცემენ ფინანსურად ისეთი საიმედო და მდგრადი ინსტიტუტები, როგორცაა – ბანკები.

ამ თავში მოცემულია 2015-2016 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საბანკო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი ანალიზი. პრაქტიკულ შემთხვევებზე დაყრდნობით განხილულია ის სამართლებრივი რისკები, რომლებიც თან ახლავს საფინანსო სექტორისა და კლიენტის (ფიზიკური თუ იურიდიული პირებს) ურთიერთობებს, მით უფრო, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში გონივრულობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცულობის ხარისხს, რომელზე კონტროლსაც სასამართლო ახორციელებს სსკ-ით დაშვებულ ფარგლებში.

## 7.2. სამართალურთიერთობის იურიდიული შინაარსი მოთხოვნის წარმატებულობის კვლევაში

**7.2.1.** კერძო სუბიექტებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს არა მარტო სსკ-ის ცალკეული დებულებები, არამედ უშუალოდ მხარეთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომელთაგან უპირატესი ხელშეკრულების შინაარსია<sup>108</sup>. განსახილველ საქმეში<sup>109</sup> სასამართლომ კლიენტის მოთხოვნა ბანკის წინაშე აღებული კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით შეწყვეტის თაობაზე არ დააკმაყოფილა<sup>110</sup>.

აღნიშნულ სამართალურთიერთობაში შემდეგი მოვლენები ვითარდებოდა: თავდაპირველად, 10 წლის ვადით წარმოიშვა არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება<sup>111</sup>. მოგვიანებით, გამქირავებელმა დამქირავებლისაგან აიღო კრედიტი სესხის ფორმით<sup>112</sup>. ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა ბანკის მიერ დაქირავებული არასაცხოვრებელი ფართი<sup>113</sup>. ქირავნობის სამართალურთიერთობის წარმოშობიდან ორი წლის შემდეგ, ბანკი დაეყრდნო რა ქირავ-

<sup>108</sup> (სსკ-ის 319-ე მუხლი)

<sup>109</sup> იხ. სუსგ №ას-738-700-2015, 18 დეკემბერი, 2015 წელი.

<sup>110</sup> (სსკ-ის 442-ე მუხლი)

<sup>111</sup> (სსკ-ის 531-ე მუხლი)

<sup>112</sup> [სსკ-ის 623-ე და 867-ე მუხლები]

<sup>113</sup> (სსკ-ის 286.1 და 289.1 მუხლები)

ნობის ხელშეკრულების იმგვარ ჩანანერს, რომელიც დამქირავებელს უფლებას ანიჭებდა „ცალმხრივად მოეშალა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა გამქირავებლებისათვის ორი თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე“, შეწყვიტა ხელშეკრულება და გაათავისუფლა ქირავნობის საგანი, ამ პერიოდისათვის ქირის გადახდის გათვალისწინებით.

**გამქირავებელმა/კლიენტმა წარადგინა მეორადი მოთხოვნა** ხელშეკრულების დარჩენილი პერიოდის ქირის დაკისრების, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვადამოსული ფულადი ვალდებულების ურთიერთგაქვითვის გზით შეწყვეტისა და რეგისტრირებული იპოთეკის გაუქმების თაობაზე.

სარჩელი წარუმატებელი აღმოჩნდა ერთდროულად ორი სამართლებრივი საფუძვლით:

ა) მხარეთა შორის თავდაპირველად წარმოშობილი ურთიერთობის (საცხოვრებელი ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემა) სამართლებრივი კვალიფიკაციის კვალდაკვალ მეორადი მოთხოვნის იურიდიული ბედი დამოკიდებულია იმაზე, ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის რა შემხვედრ ვალდებულებას უდგენს იგი ხელშეკრულებიდან გამსვლელ მხარეს.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა სსკ-ით გათვალისწინებული 531-ე და 581-ე მუხლების სამართლებრივი წანამძღვრები ქირავნობისა და იჯარის სამართალურითიერობის შემთხვევაში: მიუხედავად სამართალურითიერობის ამ ორი სახის მსგავსებისა (მათი საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი, ორივე შემთხვევაში ნივთი მხარეს გადაეცემა სარგებლობაში, ორივე სასყიდლიანია და ა.შ.), მათ შორის, არსებობს განსხვავება, რაც განაპირობებს საიჯარო ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტში განსხვავებულად, სსკ-ის 581-606-ე მუხლებით მოწესრიგების აუცილებლობას. საილუსტრაციოდ, სსკ-ის 531-ე და 581-ე მუხლების სამართლებრივი კონსტრუქციების შედარება სრულიად საკმარისია<sup>114</sup>. ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში – გადაეცემა ქონება, რომელიც, არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს [სსკ-ის 147-ე მუხლი], ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში, ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძღოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის (იჯარის) საფუძველზე („იურიდიული ნაყოფი“). ვინაიდან, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა კონკრეტული, ისეთი უძრავი ნივთი, რომელიც არ იძლეოდა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას, კერძოდ, დამქირავებელს საბანკო საქმიანობის მიზნით, ნივთის გამოყენება შეეძლო მას შემდეგ, რაც იგი საკუთარი სახსრებით გადააკეთებდა, გაარემონტებდა და შესაბამისი ინვენტარით აღჭურავდა ნაქირავებ საგანს, შესაბამისად, უმართებულო იყო ხელშეკრულებაში იმაზე მითითება, რომ დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება. სსკ-

<sup>114</sup> შდრ: სსკ-ის 531-ე მუხლის დისპოზიცია: „ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა“; სსკ-ის 581-ე მუხლის დისპოზიცია: „იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა, გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა, გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება, განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების ნესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“.

ის 588-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, საიჯარო ქირის გადახდა საიჯარო ურთიერთობის დამთავრებამდე, ნორმით გათვალისწინებული ყველა წინაპირობის შესრულების (განხორციელების) შემთხვევაში, გულისხმობს საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდას და არა მთელი დარჩენილი პერიოდის ქირის ზიანის სახით ერთდროულად დაკისრებას. შესაბამისად, რომც იყოს შესრულებული ამ ნორმით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი წანამძღვარი – **(ა) მხარეთა შორის განსაზღვრული ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულება, ბ) ხელშეკრულების ვადამდე მოშლაზე შეთანხმების არარსებობა, გ) მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, დ) მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების მეიჯარისათვის მფლობელობაში დაბრუნება, ე) ამ უკანასკნელის მიერ მეიჯარისათვის თავის სანაცვლოდ ახალი, გადახდისუნარიანი და მისაღები მოიჯარის შეუთავაზებლობა**), – ის სამართლებრივი შედეგი, რისი მიღწევაც კლიენტს/გამქირავებელს სურდა, მაინც ვერ მიიღწეოდა.

**ბ) სამართალურთიერთობის კვალიფიკაციის მიუხედავად, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო იმგვარი პირობა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, დამქირავებელს ანიჭებდა ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის უფლებას.** ამგვარი შეთანხმების არარსებობა იქნებოდა ის წინაპირობა, რომელიც დამქირავებლის მოქმედების ხელშეკრულების დარღვევად შეფასების შესაძლებლობას მისცემდა მოსარჩელეს. რადგანაც ქირავნობის ხელშეკრულება 10 წლით იყო დადებული, მოპასუხე, სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, არ იქნებოდა უფლებამოსილი, საპატიო მიზეზის გარეშე მოეშალა იგი (სსკ-ის 559.1-ე მუხლის შესაბამისად: ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით). შესაბამისად, სსკ-ის 531-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს შეეძლო სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება და შეთანხმებული ქირის ყოველთვიური გადახდა ან, სსკ-ის 531-ე და 394.1 მუხლის საფუძველზე, ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა.

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში ხელშეკრულ მხარეთა მიერ წინასწარ გამოხატული ნება (ხელშეკრულების შინაარსი) უპირატესად განსაზღვრავს სამართალურთიერთობის მართლზომიერ შედეგს. **სწორედ ამიტომ, კერძო სამართლის სუბიექტებმა ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის პირობებში<sup>115</sup> უნდა გაითვალისწინონ ყველა შესაძლო, მოსალოდნელი მოქმედება თუ ცდომილება, რაც მინიმუმადე დაიყვანს ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავათა შემთხვევებს.**

მოცემულ დავაში, სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც იჯარა იქნებოდა თუ ქირავნობა (ხელშეკრულების იურიდიული შინაარსის მიუხედავად), ხელშეკრულება დამქირავებელს აძლევდა უფლებას, ვადის გასვლამდე, ცალმხრივად მოეშალა იგი. **ქირავნობის ხელშეკრულების დარჩენილ ვადაში მისაღები ქირის გადახდის ვალდებულების წარმოუშობლობამ კი, თავის მხრივ, წარუმატებელი გახადა მოთხოვნა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვადამოსული ფულადი ვალდებულების ურთიერთგაქვითვის გზით შეწყვეტის თაობაზე<sup>116</sup>.**

<sup>115</sup> (სსკ-ის 319.1 მუხლი)

<sup>116</sup> დამფუძნებელი ნორმა: სსკ-ის 422-ე მუხლი.

### 7.3. საკრედიტო დანესახებულების უფლების განხორციელების მართლზომიერების ფარგლები, სოლიდარული ვალდებულების მოსალოდნელი რისკი, შემხვედრი ვალდებულების შესრულების პრობლემა

**7.3.1.** პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე საქმეში<sup>117</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა საკრედიტო დანესახებულების (მიკროსაფინანსო ორგანიზაციის) წინადახედულობის მასშტაბებსა და რისკებზე: პრაქტიკული შემთხვევა შეეხებოდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ფიზიკურ პირზე გაცემული სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის საშუალებად მსესხებლის შვილის – მცირეწლოვნის **საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე გამოყენებული იპოთეკის ბათილად ცნობის მოთხოვნას**<sup>118</sup>. მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კრედიტორის მოთხოვნით განხორციელებული იყო იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია<sup>119</sup>.

საკასაციო საჩივრის განხილვის არსებით ეტაპზე საკასაციო პალატამ იმსჯელა მშობლების მიერ არასრულწლოვნის ქონებრივი უფლებების განკარგვის საკითხსა და, აქედან გამომდინარე, იპოთეკის ხელშეკრულებების ნამდვილობაზე: ერთმნიშვნელოვანი იყო, რომ არასრულწლოვნის მშობლებმა (კანონიერმა წარმომადგენლებმა) დაარღვიეს შვილის ქონებრივი უფლებები. მათი უფლება ამ ნაწილში ქონების მართვითა და გამოყენებით შემოიფარგლებოდა<sup>120</sup>, სინამდვილეში კი, მათ იპოთეკით დატვირთეს ქონება, რამაც განაპირობა შემდგომში მისი რეალიზაცია და მასზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა, **ანუ ვლინდებოდა ინტერესთა კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს შორის**. შესაბამისად, საქმის განხილვის დროს მოსარჩელისათვის აუცილებელი იყო სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა კონკრეტული ამ საქმის წარმოების მიზნებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სახით. **საკასაციო პალატამ აღნიშნული მსჯელობა დააფუძნა, ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენციის მესამე მუხლის მიზანთან დაკავშირებით, საქართველოს წინააღმდეგ ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს განმარტებას:** „ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-3 მუხლის მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმარტებული, სახელმწიფო თუ კერძო დანესახებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები. ეს ნიშნავს, რომ ბავშვის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის იმ საპროცესო უფლების მსგავსი, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, ქმედების პროცესში დანერგოს ისეთი ნაბიჯები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება“<sup>121</sup>.

იმავდროულად, საკასაციო პალატამ იმსჯელა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებისა და საქმის განსახილველად დაბრუნების აუცილებლობაზე: სადავო იყო იპოთეკის გარიგება, რომელიც აღიარებითი ხასიათის იყო და, მაშასადამე, მისი დაკმაყოფილების

<sup>117</sup> იხ. სუსგ №ას-1221-1146-2015, 20 მაისი, 2016 წელი.

<sup>118</sup> (სსკ-ის 623-ე, 289-ე მუხლის პირველი ნაწილი, 3111 მუხლი, 1198-ე მუხლის მეექვსე ნაწილი).

<sup>119</sup> {სსკ-ის 301-ე მუხლის პირველი ნაწილი}.

<sup>120</sup> {სსკ-ის 1198-ე მუხლის მეოთხე ნაწილი}

<sup>121</sup> იხ. ნ. ნ. და სხ. საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №. 71776/12), 2 თებერვალი 2016 წელი.



მართლზომიერი ინტერესი უნდა ყოფილიყო ქონების დაბრუნება, თუმცა, თუ გავითვალისწინებდით იმას, რომ ქონება აუქციონის მეშვეობით შემძენის საკუთრებაში იყო. შედეგი გარიგების მხოლოდ ბათილობით ვერ მიიღწეოდა. თუ დაზუსტების შედეგად, მოსარჩელე მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებასაც, მაშინ **კვლევის საგანი იქნებოდა<sup>122</sup>, არსებობდა თუ არა ზიანის მიყენების ფაქტობრივი წინაპირობები, კერძოდ, კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედებდა თუ არა გამსესხებელი მიკროკრედიტის გაცემისას;** იყო თუ არა კრედიტუნარიანი მსესხებელი და არსებობდა თუ არა სესხის გაცემის წინაპირობები<sup>123</sup>. **თუ დადგინდებოდა, რომ მსესხებელს სესხის მიღების დროს არ გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავლები (ხელფასის ან სხვა შემოსავლების სახით), მაშინ, ცხადია, რომ გამსესხებელი მხოლოდ იპოთეკის საგნის იმედად რჩებოდა და, შესაბამისად, მის მოქმედებას ყველა კეთილსინდისიერი და სალად მოაზროვნე ადამიანი საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა.** საკასაციო პალატამ მიუთითა ერთ-ერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე: „სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სსკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა თავისი არსით საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც, შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს“<sup>124</sup>.

**7.3.2. სხვა სამოქალაქო საქმეში<sup>125</sup>, კრედიტორის ბანკის მეორადი მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალების არასწორმა არჩევანმა განაპირობა ბანკისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წაყენება:** მოვალის მოთხოვნას იმ ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა, რაც აუქციონზე გაყიდული უძრავი ქონების რეალიზაციის ფასსა და ამავე უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას შორის მნიშვნელოვანმა სხვაობამ შეადგინა, სახელდობრ, კასატორების მოსაზრებით, კრედიტორმა რეაგირება არ მოახდინა მესამე პირისგან ვალდებულების შესრულების შეთავაზებაზე და ბოროტად გამოიყენა მის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის უფლება, რამაც მოსარჩელეებს მიაყენა მნიშვნელოვანი ქონებრივი დანაკლისი.

**მოცემული დავის ფარგლებში, საკასაციო პალატამ მოთხოვნის საფუძვლიანობისათვის შეამოწმა, თუ რა სამართლებრივი საშუალებები გააჩნდა ბანკს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და, მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში, იყო თუ არა ბანკი ვალდებული, გვერდი აეველო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციისათვის:** კრედიტორი ბანკის ქმედების მარ-

<sup>122</sup> საოჯახო სამართალურთიერთობის სპეციალური მონესრიგების ფარგლებში – სსსკ-ის XLIII თავი

<sup>123</sup> საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, 2006 წლის 18 ივლისი. № 3482-რს, მუხლი 5.1. „მიკროკრედიტი არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობისა და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად, მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული თანხა“.

<sup>124</sup> იხ. სუსგ №ას-15-15-2016, 01 მარტი 2016 წელი.

<sup>125</sup> იხ. სუსგ №ას-1338-1376-2014, 29 ივნისი, 2015 წელი.

თლზომიერების შეფასების გზამკვლევი, კონკრეტულ შემთხვევაში, იმ ალტერნატივის შეფასება იყო, რაც მესამე პირის (სხვა ბანკის) წერილით კრედიტორს შესთავაზეს. ამ შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნა ის ვითარება, რომ მესამე პირი თავად წარმოადგენდა საკრედიტო დაწესებულებას – ქართულ საკრედიტო სივრცეში დამკვიდრებულ რენომირებულ, იურიდიულ პირს და არა გაურკვეველი რეპუტაციის მქონე პირს, რომლის წინადადებაც შესაძლებელია, აღქმულიყო ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციისათვის ხელშეშლის ანდა აღსრულების გაჭიანურების მცდელობად, ხოლო კრედიტორი ბანკისადმი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით წარდგენილი წერილის შინაარსით ერთმნიშვნელოვნად ვლინდებოდა ერთი საკრედიტო დაწესებულების მზადყოფნა, სრულად დაფარულიყო მეორე საკრედიტო დაწესებულების მიმართ მსესხებლის დავალიანება. შესაბამისად, დავის **სწორად გადაწყვეტისათვის გამოსაკვლევი იყო, დაცული იყო თუ არა კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტი (სსკ-ის 8.3; 36.2 მუხლები), რაც გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ლოგიკურია, რომ კრედიტორი ბანკის მხრიდან უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის – როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის გამოყენება შეფასებულიყო უფლების ბოროტად გამოყენებად<sup>126</sup>.**

**7.3.3. სხვა საქმეში<sup>127</sup> დავა შეეხებოდა ბანკიდან აღებული კრედიტის უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებათაგან, სწორედ, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის მოთხოვნის უფლების განხორციელების მართლზომიერებას.** მოცემულ საქმეზე დადგენილ იქნა იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, როგორიცაა: მხარეთა შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულება და მსესხებელზე გაცემული სარგებლიანი კრედიტი (სსკ-ის 867-ე, 623-ე მუხლები), პირგასამტეხლოზე მხარეთა შეთანხმება (სსკ-ის 417-ე მუხლი); ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად გაფორმებული იპოთეკისა (სსკ-ის 286-ე მუხლი) და გირავნობის ხელშეკრულების (სსკ-ის 254-ე მუხლი) საფუძველზე მსესხებლის კუთვნილი კონკრეტული მოძრავი და უძრავი ქონების შესაბამისი უფლებით დატვირთვა, მოპასუხეთა წერილობითი სოლიდარული თავდებობა (სსკ-ის 891-ე და 895-ე მუხლები), ქმნიდა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების სარეალიზაციოდ მიქცევის იურიდიულ შემადგენლობას.

მოპასუხეთა შედავება ეყრდნობოდა ხელშეკრულებაში არსებულ შემდეგ ჩანაწერს: „თუ მსესხებელი არ/ვერ შეასრულებდა ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, **სესხის დაფარვის წყაროს წარმოადგენდა მოპასუხე კერძო სამართლის სუბიექტის ანგარიშზე განთავსებული თანხა“.** შესაბამისად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გვერდი აეგლო კერძო სამართლის ამ კონკრეტული სუბიექტის ანგარიშზე განთავსებული თანხიდან მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის და დაედგინა ფიზიკურ პირთა ქონების რეალიზაცია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხეთა ამგვარი პოზიცია ეწინააღმდეგებოდა კრედიტის უზრუნველყოფის მარეგულირებელ ნორმატიულ დანაწესს და დაუსაბუთებელს ხდიდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მხოლოდ გირავნობის საგნიდან ამონაგები თანხის მიღებით უნდა შეწყვეტილიყო ვალდებულება. კრედიტორის შეხედულები-სამებრ შესაძლებელია, ერთდროულად რამდენიმე უზრუნველყოფის საშუალების გა-

<sup>126</sup> (სსკ-ის 115-ე მუხლი).

<sup>127</sup> იხ. სუსგ №ას-61-59-2014, 17 ივნისი, 2016 წელი.

მოყენება, ამასთანავე, ბანკის ქმედება სსკ-ის 115-ე მუხლის დარღვევად არ შეფასდა, რადგანაც საქმის განხილვის ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო განჭვრეტა იმისა, საკმარისობის თვალსაზრისით რამდენად იქნება გამართლებული მხოლოდ ერთ ან რამდენიმე უზრუნველყოფის საშუალებაზე ზღვევინების მიქცევა ვალის დასაფარად<sup>128</sup>.

#### **7.3.4. არანაკლებ მნიშვნელოვანია მენარმე სუბიექტსა და საკრედიტო დაწესებულებას შორის ანგარიშსწორების ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრობლემური შემთხვევები.**

ერთ-ერთ საქმეზე ბანკს დაეკისრა კლიენტის მითითების გარეშე გადარიცხული, კლიენტის ანგარიშიდან გადარიცხული თანხის შეტანა (აღდგენა)<sup>129</sup>. საბანკო მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშიდან ფულადი სახსრები უნდა ჩამოწერილიყო კლიენტის ნებართვისა და განკარგულების საფუძველზე. ბანკი ენდო კლიენტის სახელით მოქმედ პირს და იმედოვნებოდა, რომ მინდობილი პირი მოქმედებდა მისი მითითების შესაბამისად.

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ კრძალავს გარიგების დადებას წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე, საბანკო მომსახურების ხელშეკრულება შეიცავს დანაწესს იმის შესახებ, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ბანკის მიერ კლიენტისაგან ან სხვა უფლებამოსილი პირისაგან მიღებული დავალებებისა და ავტორიზაციის შესაბამისად ამ ხელშეკრულების პირობების საფუძველზე (საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 5.1. პუნქტი). მიუხედავად იმისა, რომ ბანკში წარდგენილი იყო მინდობილობა დამონმებული ნოტარიუსის მიერ, მითითებული ნორმატიული აქტებისა და საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკი ვალდებული იყო, მკაცრად დაეცვა და შეესრულებინა საბანკო ოპერაციის დროს, მითითებული წესებით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნები. ნოტარიუსის მიერ გაცემული მინდობილობის პირობებშიც, რა დროსაც მოქმედებს პრეზუმფცია, რომ წარმოდგენილი პირის მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილია, მითითებული წესები ბანკს აკისრებს ვალდებულებას, გამოიჩინოს საბანკო დაწესებულებისათვის აუცილებელი და სავალდებულო წინდახედულება და დაადგინოს კლიენტის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა, რაც სრულიად შესაძლებელი იყო იმ პირობებში, თუ ბანკი შეადარებდა მინდობილობაზე არსებულ დამფუძნებელი დირექტორის ხელმოწერას, ბანკში უკვე არსებულ მისი ხელმოწერის ნიმუშთან.

ბანკის ერთ-ერთი საკასაციო პრეტენზია სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის უტყუარობის პრეზუმფციას შეეხებოდა, რაც არ გაიზიარა საკასაციო პალატამ იმ დასაბუთებით, რომ მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს (სსკ-ის 312-ე მუხლი). ამასთან დაკავშირებით, არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმეზე №3კ/624-02), რომელშიც დიდმა პალატამ განმარტა, რომ სსკ-ი არ იცნობს სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას: სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობა თავისთავად არ ნიშნავს მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების მინიჭების ფაქტის არსებობას. უფლებამოსილება უნდა იყოს ნამდვილი<sup>130</sup>. ზემოაღნიშ-

<sup>128</sup> ამ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს და განმარტეს სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილი, 301-ე, 302-ე, 891-ე-893-ე მუხლები.

<sup>129</sup> იხ. სუსგ №ას-322-307-2016, 17 ივნისი, 2016 წელი.

<sup>130</sup> მინდობილობის ნამდვილობის პრეზუმირების არარსებობასთან დაკავშირებით, აგრეთვე, იხ. სუსგ №ას-813-764-2015, 28 ოქტომბერი, 2015 წელი.

ნულიდან გამომდინარე, კასატორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საბანკო ოპერაციის განხორციელების ნების ნამდვილობა დასტურდებოდა სანოტარო წესით გაფორმებული და გაცემული მინდობილობით, ისე, რომ **ბანკი ყოველგვარი დამატებითი გადამოწმებისა და აუცილებელი ყურადღებების გარეშეც იყო უფლებამოსილი, მინდობილობის საფუძველზე გადაერიცხა მოთხოვნილი თანხა**, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. მით უფრო, იმ ვითარებაში, როდესაც მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 2.2.11 პუნქტის შინაარსის მიხედვით, კლიენტი ვალდებული იყო, მინდობილობის გაცემიდან 5 დღის ვადაში წერილობით ეცნობებინა ბანკისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ, ხოლო შეუტყობინელობის შემთხვევაში, ბანკი არ იყო უფლებამოსილი, საბანკო ოპერაცია ჩაეტარებინა და, შესაბამისად, ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდებოდა.

**7.3.5. სხვა სამოქალაქო საქმეში<sup>131</sup>, საკრედიტო დანესებულებასა და კომერციულ იურიდიულ პირს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საქონლის მიწოდებისა და მომსახურების განწესის, კლიენტებთან ანგარიშსწორების განსახორციელებლად ბანკის ტერმინალის გამოყენების შესახებ<sup>132</sup>. საწარმოს კლიენტებისათვის, საბანკო ბარათების მეშვეობით, ბანკის ტერმინალმა დააფიქსირა თანხების ჩამონერა, ამოებქდა ქვითარი, რომ ტრანზაქცია შესრულებულია, თუმცა შესაბამისი თანხა (მომსახურების საფასურის გამოკლებით) მენარმე სუბიექტმა ბანკიდან ვერ მიიღო.**

თანხის დაკისრების შესახებ მენარმე სუბიექტის სარჩელზე საკრედიტო დანესებულებამ წარადგინა, მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი; ერთი მხრივ, მან მიუთითა კლიენტის მიერ ტერმინალით ჩატარებული ტრანზაქციისას საერთაშორისო საგადასახადო სისტემების წესების დარღვევაზე, რომელიც სხვა ორგანოში უნდა გარკვეულიყო და ამ დრომდე ბანკი ვერ აწარმოებდა ანგარიშსწორებას, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებდა საბანკო ოპერაციის რეალურად შეუსრულებლობაზე, იმაზე აპელირებით, თითქოს, გამოყენებული იყო ყალბი პლასტიკური ბარათები. ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს, ვერც ის დადასტურდა, რომ საერთაშორისო საგადასახადო წესებით არსებობდა დავა.

საბოლოოდ, სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო საკრედიტო დანესებულების საკასაციო პრეტენზია არ იქნა გაზიარებული: **მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შეფასდა საბანკო ანგარიშსწორებად, რომლის საფუძველზეც, ბანკი ვალდებული იყო, ტერმინალების მეშვეობით, მესამე პირთა მიერ საწარმოსათვის გადახდილი თანხა ჩაერიცხა ამ უკანასკნელის ანგარიშზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბანკს წარმოეშვა თანხის ჩარიცხვის ვალდებულება, იგი არ შეწყვეტილა და განხორციელებადა, რაც სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველია.**

**პრაქტიკული შემთხვევების სამართლებრივი ანალიზი:** უნდა აღინიშნოს, რომ ბანკისა და კლიენტის ურთიერთობა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში ეფუძნება სსკ-ის 867-ე მუხლს. შესაბამისად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა, მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით; 623-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამდენად, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მთავარი მიზანია სასყიდლიანი კრედიტის სახით მსესხებლისათვის ფულის სა-

<sup>131</sup> იხ. სუსგ №ას-1137-1069-2015, 22 იანვარი, 2016 წელი

<sup>132</sup> (სსკ-ის 859-ე, 860-ე, 861-ე მუხლები).



კუთრებაში გადაცემა, ხოლო შემდეგ მისგან სარგებელთან ერთად იმავე სახისა და რაოდენობის ფულის მიღება.

იმავედროულად, კრედიტორი ბანკები დიდ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა რისკების თავიდან აცილებას. რისკების შესამცირებლად გამოიყენება სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალებები. აქცესორული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს (მაგალითად: თავდებობა, სოლიდარული თავდებობა). უზრუნველყოფის პიროვნული საშუალების გამოყენება წინდახედულობის მაღალი ხარისხით მოქმედებას მოითხოვს თავდები პირების მხრიდან<sup>133</sup>.

**საკრედიტო დაწესებულებები უმეტეს შემთხვევაში, იყენებენ ქონებრივი უზრუნველყოფის ისეთ საშუალებას, როგორცაა, იპოთეკა, რომლის ამოქმედებაც ფულადი ვალდებულების შესრულებლობასთანაა დაკავშირებული. საბანკო საქმიანობის არსიდან გამომდინარე, მენარმე სუბიექტის – როგორც ბანკის ან სხვა საკრედიტო დაწესებულების (მიკროსაფინანსო ორგანიზაციის) უპირველეს ინტერესს წარმოადგენს ფულის და არა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საკუთრებაში მიღება, რაც უკავშირდება პირველადი მოთხოვნის – ვალდებულების შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესის დაკმაყოფილებას და მოთხოვნის განხორციელების რისკის გათვალისწინებას.**

პირველადი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის კრედიტორ ბანკს თუ სხვა საკრედიტო დაწესებულებას, როგორც მენარმეს, თავისი საქმიანობის სფეროში მართებს მეტი წინდახედულობის გამოჩენა, რათა მისი ქმედება არ იქნეს აღქმული მორალური ქცევის სტანდარტის დარღვევად და ამ თვალსაზრისით, არ დაუპირისპირდეს სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას. იმავედროულად, კრედიტორის ეს ვალდებულება განპირობებულია, როგორც, ზოგადად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკსა და კლიენტს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის შენარჩუნებით, ასევე – სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის აუცილებლობით.

#### **7.4. სარგებლის დარიცხვის პერიოდი, მისი ოდენობის ბონიფიკაცია და მოთხოვნის განხორციელება (ხანდაზმულობა)**

**7.4.1.** ცალკეულ შემთხვევებში, საკრედიტო დაწესებულებები სარგებლის (პროცენტის) დაკისრებას მოითხოვენ სახელშეკრულებო ურთიერთობის ამონურვის შემდეგაც<sup>134</sup>, რაც ეწინააღმდეგება კანონის ნორმატიულ დანაწესს და მხარეთა ნამდვილ ნებას. განსახილველ საქმეში<sup>135</sup> სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის არსებული საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტის ფაქტად არასწორად მიიჩნია საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი, მაშინ, როდესაც სარჩელი აღძრული იყო ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე. იმავედროულად, როდესაც კრედიტორი ბანკი სასარჩელო მოთხოვნას ამყარებდა მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევაზე და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტაზე, შესამონმებელი იყო, არსებობდა თუ არა სსკ-

<sup>133</sup> (სსკ-ის 254-ე, 286-ე და მომდევნო მუხლები)

<sup>134</sup> (სსკ-ის 625)

<sup>135</sup> იხ. სუსგ №ას-932-882-2015, 15 მარტი, 2016 წელი; სარგებლის დაკისრების პერიოდის შესახებ, ასევე, იხ. სუსგ №ას-570-541-2015, 11 ნოემბერი, 2015 წელი

ის 873-ე მუხლის წინაპირობები, რაც შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს, დაედგინა საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი და ის, თუ რამდენად სწორად იყო განსაზღვრული პროცენტის დაკისრების პერიოდი.

**7.4.2. პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეში<sup>136</sup> საკასაციო პალატამ იმსჯელა ხელშემკრულ მხარეთა შორის არსებული სესხის იმ პირობის სამართლიანობაზე, რომელიც სესხისათვის არაგონივრულ სარგებელს ითვალისწინებდა და ამით არღვევდა კრედიტორის ქცევის კეთილსინდისიერების სტანდარტს:**

სარჩელის მოთხოვნას მხარეთა შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარგებლის (პროცენტი) შემცირება წარმოადგენდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, გამსესხებელი, რომელიც ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, ეკონომიკურად უფრო ძლიერი მხარე იყო, უდავო იყო, რომ სწორედ მან განსაზღვრა სესხის სარგებელი სადავო ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ პირობას ფიზიკური პირი დაეთანხმა, ამით სამართლებრივი სურათი არ იცვლებოდა, რადგანაც კასატორი მოქმედებდა სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ქცევის წესის საწინააღმდეგოდ: „თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.“ ამ შემთხვევაში, შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის ამკარა შეუსაბამობა იკვეთებოდა და სარგებლის მიმღები მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად: მის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი რისკები და მან ბოროტად გამოიყენა საბაზრო ძალაუფლება. ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა. საბოლოოდ, ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებელი შემცირდა (წლიურ 48%-მდე).

**7.4.3. სხვა სამოქალაქო საქმეში<sup>138</sup> საკასაციო პალატამ იმსჯელა პირგასამტეხლოს სამართლებრივ ბუნებაზე, მისი ოდენობის განსაზღვრისა და დაკისრების მიზანშეწონილობის პრობლემაზე. ამ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ განმარტა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობად ვალდებულების დარღვევის ფაქტის აუცილებლობა<sup>139</sup>. იმავდროულად, განიმარტა, რომ კრედიტორი ერთდროულად ინარჩუნებს პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთისა და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული. უფრო კონკრეტულად, პირგასამტეხლო ეკისრება მოვალეს იმ დროიდან, როდესაც უნდა შესრულებულიყო დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს,**

<sup>136</sup> იხ. სუსგ №ას-663-629-2015, 28 ივლისი, 2015 წელი.

<sup>137</sup> დავის მოწესრიგებისას სასამართლომ იხელმძღვანელა მისი სამართლიანად გადაწყვეტისა და მონაწილეთა ინტერესების დაცვის პრინციპით, რომლის ამოსავალ დებულებას სამოქალაქო სამართალში ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერად ქცევის ვარაუდი განაპირობებს: ხელშემკრული მხარეები თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ [სსკ-ის 8.3 მუხლი]. „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონის იმპერატიული ნორმები“ [სსკ-ის 10-ე მუხლის მესამე ნაწილი] და განმარტა, რომ მხარეთა უფლება, თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი (სსკ-ის 319-ე მუხლი), აბსოლუტური არ არის.

<sup>138</sup> იხ. სუსგ №ას-1199-1127-2015, 13 აპრილი, 2016 წელი.

<sup>139</sup> (სსკ-ის 394-ე მუხლი)

როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

პრაქტიკულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ კრედიტორი ბანკის მოთხოვნის საფუძვლიანობა დაუკავშირა იმგვარ მოსაზრებას, რომ: „პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებით მოხდება კეთილსინდისიერი გადამხდელის ნახალისება, რათა პირგასამტეხლოს შემცირების იმედით მათ აღარ შეასრულონ ვალდებულება, რაც, პალატის მოსაზრებით, ხელს შეუშლის სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას და არ წაადგება სახელმწიფოში არსებული სამოქალაქო ბრუნვის პროგნოზირებადი ხასიათით განხორციელებას“. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა არ გაიზიარა საკასაციო პალატამ და დაუშვებლად მიიჩნია წინამდებარე სამართალწარმოების გახანგრძლივების შემთხვევაში, საბანკო კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებელისა და პირგასამტეხლოს გადახდის აღსრულების ვადების გაჭიანურებაზე და, ზოგადად, სხვა არაკეთილსინდისიერ მოვალეთა პასუხისმგებლობისაგან უსაფუძვლო განთავისუფლების, აგრეთვე, კეთილსინდისიერ მოვალეთა ნაქეზების საშუალებებზე სააპელაციო პალატის დეკლარირებული სახის მსჯელობა, რასაც შესაძლოა, საფრთხე შეექმნა სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელი და ობიექტური არბიტრის როლისათვის, ისე – სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქციის სრულფასოვანი განხორციელებისათვის, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, მოითხოვს ყოველ კონკრეტულ საქმეზე უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას და არა ზოგადი ხასიათის პრევენციების გატარებას.

**7.4.4.** საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნას, მთელ რიგ შემთხვევაში, მოვალე უპირისპირებს მოთხოვნის შემწყვეტ ან განხორციელების ხელისშემშლელ შესაგებელს<sup>140</sup>. იმის დასადგენად, შეწყდა თუ არა კრედიტორი ბანკის მოთხოვნის უფლება თანხის დაკისრებაზე და განხორციელებადია თუ არა იგი, სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნის წარმოშობის მომენტს იკვლევს<sup>141</sup>.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის მომენტი – როდის მოსთხოვა მსესხებელს ვალის დაბრუნება ან როდის აღძრა სარჩელი – უზრუნველყოფის საშუალებით მოთხოვნის დაკმაყოფილებისას – მისი თარიღი (თუ მოთხოვნის უზრუნველყოფის რამდენიმე სახეა გამოყენებული ან კრედიტორი ბანკი უფლებამოსილებას იტოვებს, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მოვალის სხვა ქონებიდან<sup>142</sup>), აგრეთვე, ის ფაქტობრივი გარემოება, როდის განხორციელდა სესხის ბოლო დაფარვა<sup>143</sup>.

**პრაქტიკული შემთხვევების სამართლებრივი ანალიზი:** მართალია, სესხისათვის სარგებლის (პროცენტის) გონივრულობამდე შემცირების უფლებას სასამართლოს არ ანიჭებს მოქმედი სსკ-ი, მსგავსად ზიანის სახით, პირგასამტეხლოს (ჯარიმის) კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა (სსკ-ის 420-ე მუხლი), თუმცა, კეთილსინდისიერების

<sup>140</sup> №ას-932-882-2015, 15 მარტი, 2016 წელი.

<sup>141</sup> (სსკ-ის 130-ე მუხლი).

<sup>142</sup> (სსკ-ის 319-ე მუხლი).

<sup>143</sup> იხ. სუსგ №ას-679-645-2015, 19 ნოემბერი, 2015 წელი.

უალტერნატივო ფუნქციიდან გამომდინარე, რომლის ნორმატიულ საფუძველს ქმნის სსკ-ის 8.3 და 10.3 მუხლების ერთობლიობა, სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს გამსესხებელი კრედიტორის ქმედების მართლზომიერებაზე იმგვარად, რომ მისი ეს ქმედება არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ ღირებულებებს და სუსტი მხარის ინტერესებს, შესაბამისად, ამით არ უნდა არღვევდეს ყველა მართლწესრიგისათვის ამოსავალ კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტს.

## 7.5. ვადამოსული ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების პრობლემური საკითხები

**7.5.1.** ერთ-ერთ საქმეში<sup>144</sup> საკასაციო პალატამ იმსჯელა კრედიტორი ბანკის პრეტენზიაზე სოლიდარულ მოვალეთა მიერ საბანკო კრედიტით ნაკისრი, ვადამოსული ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათა გამოყენებისათვის თავის არიდების მიზნით, გაფორმებული გარიგებების (ნასყიდობა და ჩუქება) შესაძლო მოჩვენებითობაზე<sup>145</sup>.

კრედიტორი ბანკის მოთხოვნა უზრუნველყოფილი იყო სოლიდარული თავდებობით<sup>146</sup>. მოგვიანებით, სოლიდარულ მოვალეთა მხრიდან არაერთი გარიგება გაფორმდა მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისა და სამენარმეო საზოგადოებაში არსებული წილების სასყიდლიანი და უსასყიდლო გარიგების საფუძველზე გადაცემის მიზნით. იმავდროულად, თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო ძირითადი მოვალის განცხადება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების თაობაზე, რა დროსაც, კრედიტორმა ბანკმა წარადგინა მოთხოვნა სესხის დაბრუნებაზე. მოგვიანებით კი, სარჩელი აღძრა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების, იპოთეკისა და გირავნობის საგნების რეალიზაციის მოთხოვნით.

დადგენილ იქნა, რომ სოლიდარული მოვალეები წარმოადგენდნენ ძირითად მოვალესთან დაკავშირებულ პირს. შესაბამისად, მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო კომპანიის ფინანსური პრობლემების შესახებ. დაჩქარებული წესით ქონება ოჯახის წევრებზე ფორმალურად გასხვისდა, რადგან თავდებების მიმართ თანხის დაკისრების შემთხვევაში, დადგებოდა მათი პასუხისმგებლობის საკითხი. სადავო გარიგებათა იურიდიული ძალის შეფასებისას, საკასაციო პალატამ შეამოწმა მათი შესაძლო მოჩვენებითობა და პირველ რიგში, ყურადღება მიაქცია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებაზე.

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** ძირითადი და სოლიდარული მოვალეების საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვადამოსული ფულადი ვალდებულების შესრულების გვერდით ავლის მიზნით გაფორმებული სასყიდლიანი თუ უსასყიდლო გარიგებათა მოტივის შემოწმება სასამართლოს კომპეტენციაა. ამ მხრივ, სსკ-ში თავმოყრილია გარიგების ბათილობის განმაპირობებელი არაერთი დანაწესი, მათ შორისაა, 56-ე მუხლი. ზემოთ მოხმობილი პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ გარიგების მოჩვენებითად დადებისათვის შესაძლოა, სასამართლოს მხრიდან შესამოწმებელი იყოს პრეზუმფციები, რომლებიც არ შედის მტკიცების საგანში. ამასთან, პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს იგი.

<sup>144</sup> იხ. სუსგ №ას-1341-1379-2014, 1 ივნისი, 2015 წელი.

<sup>145</sup> დამფუძნებელი ნორმა: 56.1 მუხლი.

<sup>146</sup> (სსკ-ის 463-ე მუხლი).



## 7.6. საბანკო გარანტიის შესრულების აუცილებელი წინამძღვრები

**7.6.1.** ერთ-ერთ საქმეში<sup>147</sup> საკასაციო პალატა შეეხო საკითხს საბანკო გარანტიის არსის, იურიდიული ბუნებისა და, ზოგადად, სახელშეკრულებო სამართალში, მისი როლის შესახებ. პალატის განმარტებით, **საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას ძირითადი, უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან** (პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდებულება), **განაპირობებდა მისი არააქცესორული ბუნება. თავად საბანკო გარანტია წარმოადგენდა დამოუკიდებელ ვალდებულებას**<sup>148</sup>. პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ იწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას, ამიტომაც, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები. **მოსმობილ საქმეში, გარანტი ბენეფიციარის წინაშე კისრულობდა უპირობო ვალდებულებას**, „ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღების მომენტიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში“ გადაეხადა გარანტიებით გათვალისწინებული თანხა.

განსახილველი საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ ბენეფიციარმა გარანტიების მოქმედების ვადაში წარუდგინა გარანტს წერილობითი მოთხოვნა და პრინციპალის მიერ წარდობის ხელშეკრულებიდან – სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების შესრულებლობის დარღვევის გამო, მოითხოვა საგარანტიო თანხების ანაზღაურება<sup>150</sup>, რითაც შეასრულა გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულება<sup>151</sup>. **რაც შეეხება ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების აუცილებელ წარდგენას, ასეთ პირობას გარანტია არ ითვალისწინებდა. მხოლოდ მათი არსებობის შემთხვევაში, წარმოეშობოდა ბენეფიციარს დოკუმენტების დართვის ვალდებულება.** სსკ-ის 887-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, გარანტი არათუ მოცემულ შემთხვევაში, არამედ მაშინაც კი არის ვალდებული შეასრულოს ბენეფიციარის მოთხოვნა, როდესაც მისთვის ცნობილია, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია. მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას. ამ სამართლებრივი საფუძვლით არ იქნა გაზიარებული ბანკის საკასაციო პრეტენზია გარანტიის დაკმაყოფილების წინამძღვრებად ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და დარღვევის ხასიათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობის შესახებ.

**7.6.2.** სხვა სამართალურთიერთობაში გამოყენებული საბანკო გარანტია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქონლის მიწოდების ვალდებულებას უზრუნველყოფდა<sup>152</sup>. ვალდებულების დარღვევისა და გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, პრინციპალმა სარჩელი აღძრა ბენეფიციარის მიმართ და გარანტის მიერ ანაზღაურებული თანხის, როგორც უსაფუძვლოდ მიღებულის, უკან დაბრუნება მოითხოვა<sup>153</sup>.

<sup>147</sup> იხ. სუსგ №ას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი.

<sup>148</sup> იხ. საქმე №ას-1038-999-2016, 01 თებერვალი, 2017 წელი.

<sup>149</sup> (ძირითადი ვალდებულება – სსკ-ის 629.1)

<sup>150</sup> (სსკ-ის 879-ე მუხლი)

<sup>151</sup> (სსკ-ის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი)

<sup>152</sup> იხ. სუსგ №ას-871-833-2014, 28 სექტემბერი, 2015 წელი.

<sup>153</sup> დამფუძნებელი ნორმები: 976-ე და 879-ე და 881-ე მუხლები.

ამ სამართალურთიერთობაში, პრინციპალის მიერ საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემდგომ, მხარეები შეთანხმდნენ უკვე დაზუსტებული (კორექტირებული) რაოდენობის საქონლის მიწოდებასა და ახალ ვადებზე. იმავდროულად, ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მხარეებმა აღმოაჩინეს, რომ წინამდებარე დანართის შესაბამისად მიწოდების/მიღების ვადებსა და პირობებში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, მყიდველი არ კარგავდა უფლებას წინამდებარე დანართის ძალაში შესვლამდე წარმოქმნილ მოთხოვნებზე (მათ შორის, ზიანის/ზარალის მოთხოვნაზე). სასამართლომ მიიჩნია, რომ პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, თავისთავად საკმარისი საფუძველი იყო გარანტიის ამოქმედებისათვის. ის გარემოება, რომ ბენეფიციარმა საერთოდ უარი არ თქვა ხელშეკრულებაზე და მცირე რაოდენობის საქონლის მიწოდებაზე განსაზღვრა ახალი ვადები, არ ცვლიდა უკვე დარღვეული ვალდებულებების სამართლებრივ შედეგებს. დადგინდა იქნა, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში, ბენეფიციარმა მიმართა გარანტს და მოითხოვა საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდა. ამდენად, ვლინდებოდა უზრუნველყოფილი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, რაც ქმნიდა საფუძველს, ბენეფიციარს მოთხოვნა წარედგინა გარანტისათვის სსკ-ის 881-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით. იმავდროულად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის არ არსებობდა სსკ-ის 385-ე, 976-ე და 991-ე მუხლებით გათვალისწინებული აუცილებელი წინამძღვრები.

**პრაქტიკული შემთხვევების სამართლებრივი ანალიზი:** კერძოსამართლებრივი ურთიერთობების თანმდევი რისკების შესამცირებლად გამოიყენება დამოუკიდებელი გარანტიების მდგრადი ინსტიტუტები, როგორცაა: ბანკები და სადაზღვევო კომპანიები. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ პრინციპალის მიერ ნაკისრი ძირითადი ვალდებულების (ხელშეკრულება) გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. მაშასადამე, მისი გაცემის მართლობიერად მიჩნევის მიზნებისათვის, აუცილებელია, რომ საბანკო გარანტია აკმაყოფილებდეს ორ მნიშვნელოვან წინაპირობას, კერძოდ: 1. ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს; 2. უნდა წარედგინოს მხოლოდ გარანტიით განსაზღვრულ ვადაში (სსკ-ის 887-ე მუხლის პირველ ნაწილი) ანუ ფორმალური სახით (დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენა ე.წ. დოკუმენტური ოპერაცია), ხოლო იმ გარემოების კვლევა რა სახით დაირღვა ვალდებულება და დასტურდება თუ არა იგი, არამართლობიერია.

## 7.7. ფულადი ვალდებულების შესრულების წესი

7.7.1. ერთ-ერთ საქმეში<sup>154</sup>, კრედიტორი ბანკის სარჩელის საფუძველზე, სასამართლომ იმსჯელა მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის უპირატესობასა და, იმავდროულად, ფულადი ვალდებულების არსებობის ნაწილობრივი დაფარვისას, მისი შესრულების ნორმატიულ წესზე<sup>155</sup>. ბანკის მოთხოვნას წარმოადგენდა

<sup>154</sup> იხ. სუსგ №ას-1232-1155-2015, 27 იანვარი, 2016 წელი

<sup>155</sup> (სსკ-ის 319-ე და 387-ე მუხლები)

მასა და ფიზიკურ პირებს (თანამსესხებლებს/კლიენტებს) შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი თანხის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს დაკისრება, დავალიანების დაფარვის მიზნით კი, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია.

მოთხოვნის ოდენობის ნაწილში, მცირედი კორექტირებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, ბანკსა და კლიენტებს შორის წარმოშობილი იყო სასყიდლიანი საბანკო კრედიტის სახელშეკრულებო ურთიერთობა<sup>156</sup>. ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ერთდროულად იქნა გამოყენებული პიროვნული<sup>157</sup> და სანივთო<sup>158</sup> საშუალება. ვალდებულება დაირღვა და ბანკმა სარჩელის აღძვრით, ფაქტობრივად შეწყვიტა კლიენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობა<sup>159</sup>.

მოთხოვნის ნაწილობრივ გამომრიცხველი შესაგებელი იმ გარემოებას და, შესაბამისად, თვალსაზრისს ეყრდნობოდა, რომ განსაზღვრულ პერიოდში, თანამსესხებელი ყოველგვარი დარღვევის გარეშე იხდიდა სესხს. ერთდროულად კი, მას გადახდილი აქვს მან სამი თვის დავალიანება, რაც გადაირიცხა ერთ-ერთი თანამსესხებლის დაყადაღებულ ანგარიშზე. მოგვიანებით, მის მიერ გრაფიკის მიხედვით შეტანილი თანხა მას ბანკმა მხოლოდ ჯარიმის სახით პროცენტებში ჩაუთვალა.

სადავო თანხის ბანკის ანგარიშზე მოხვედრის შესახებ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევის მიუხედავად, სასამართლომ არ გაიზიარა კლიენტის პოზიცია იმ ნაწილში, რომ სადავო თანხით ძირითადი ვალის ნაწილი დაფარულიყო. **ამ თვალსაზრისით, ყურადღება გამახვილდა უშუალოდ მხარეთა მიერ ხელმოწერილ დოკუმენტზე, ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ ფულადი ვალდებულების დაფარვის შემდეგ წესზე:** „საკრედიტო ვალდებულებების დასაფარავად შემოტანილი ან ჩარიცხული თანხიდან პირველ რიგში იფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ – კრედიტზე დარიცხული პროცენტი, ბოლოს – კრედიტის ძირითადი თანხა“.

**ვალის დაფარვის თანმიმდევრობის პრობლემასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ განმარტა:** ხელშეკრულებით „შესრულების“ ვალდებულებაზე, რასაც კრედიტორი პირველად მოთხოვნას უკავშირებდა და პირველ რიგში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის მიღებას გულისხმობს. იმავდროულად, პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობისას, წარმოიშობა ნაწარმოები შესრულების (ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლო) ვალდებულება. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლო<sup>160</sup>, რომელიც ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა შესრულებულიყო დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა პირგასამტეხლოზე ოდენობის განსაზღვრისას კრიტერიუმებზე, მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციაზე, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობაზე და კრედი-

<sup>156</sup> (სსკ-ის 867-ე-868-ე მუხლები)

<sup>157</sup> (სსკ-ის 891-ე, 895-ე მუხლები)

<sup>158</sup> (სსკ-ის 286-ე მუხლი)

<sup>159</sup> (სსკ-ის 873-ე მუხლი)

<sup>160</sup> (სსკ-ის 417-ე მუხლი)

ტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხზე; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხზე; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციაზე, მოიცვას ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** კერძო სამართლის სუბიექტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების უპირატესი ძალისა და, იმავდროულად, პირგასამტეხლოს ფუნქციის გათვალისწინებით, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციის სახით ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (სსკ-ის 394-ე, 417-ე, 418-ე 419-ე მუხლები). მოცემულ საქმეზე უდავო გარემოება იყო ვალდებულების დარღვევა, რის გამოც, კრედიტორის მიმართ წარმოიშვა დავალიანება ძირითადი თანხის, საპროცენტო სარგებლისა და პირგასამტეხლოსაგან. შესაბამისად, დაუსაბუთებელი იყო კლიენტის/მოვალის მოთხოვნა სსკ-ის 387-ე მუხლის ნორმატიული დანაწესის მიხედვით ფულადი ვალდებულებების დაფარვის რიგითობის დაცულობასთან მიმართებით, რადგანაც, ფულადი ვალდებულების დაფარვის ნორმატიული წესი მოცემულია სსკ-ის 387-ე მუხლებში და არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მოვალეს კრედიტორის მიმართ გააჩნია რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში კი, სადავო იყო არა რამდენიმე ვალდებულების შესრულება, არამედ ერთი ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, დამატებით წარმოშობილი პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობის შესრულება. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის, რომ კერძო სამართლის სუბიექტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ჩანაწერს ვალდებულების დაფარვის რიგითობის თაობაზე უპირატესი ძალა გააჩნდა.

## 7.8. პასუხისმგებლობა გარდაცვლილი მოვალის სამკვიდრო აქტივის ფარგლებში

**7.8.1.** პრაქტიკული შემთხვევა<sup>161</sup> შეეხება კრედიტორი ბანკის სარჩელს მოპასუხეებისათვის ვალის დაკისრებისა და გარდაცვლილის სამკვიდრო ქონების საჯარო რეესტრში აღრიცხვის დავალდებულების მოთხოვნით. პრაქტიკულ შემთხვევაში, მოპასუხეების მიერ წარდგენილი მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი, იმ მოსაზრებით იყო გამყარებული, რომ „საკრედიტო ხელშეკრულებით“ განხორციელდა იმავე მხარეებს შორის დადებული ავტოსესხის რეფინანსირება. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება, ხელშეკრულების მიზნობრიობიდან გამომდინარე, უნდა შესრულებულიყო უშუალოდ მსესხებლის მიერ და ამ უკანასკნელის გარდაცვალებით შეწყდა საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობები“. სასამართლომ დაასკვნა, რომ, მიუხედავად სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების რეფინანსირებისა, საკრედიტო ხელშეკრულება თავისი ბუნებით წარმოადგენდა რეფინანსირებული საკრედიტო ხელშეკრულებისგან დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, რომელიც მხარეთა შორის დამოუკიდებელ ურთიერთვალდებულებებს წარმოშობდა. საკრედიტო ხელშეკრულების მიზნობრიობის მიუხედავად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება არ იყო ისეთი, რომლის განხორციელებაც შეუძლებელი იქნებოდა მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე, მაშასადამე, სსკ-ის 453-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 1330-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით არ არსებობდა მოთხოვნის შემწყვეტი წინაპირობები მსესხებლის გარდაცვალების გამო. მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეებს სსკ-ის 1421-ე და 1424-ე მუხლებით დადგენილი წესით მი-

<sup>161</sup> იხ. სუსგ №ას-567-538-2015, 16 ოქტომბერი, 2015 წელი



ღებულ ჰქონდათ სამკვიდრო, შესაბამისად, განისაზღვრა მოვალის სამკვიდრო პასივზე პასუხისმგებელ პირთა წრეც.

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** მატერიალურსამართლებრივი უფლებამონაცვლეობის ყველაზე გავრცელებულ სახეს, სწორედ, სამემკვიდრეო ურთიერთობები წარმოადგენს და, პრაქტიკულ შემთხვევაში, მემკვიდრის პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრა სსკ-ის 1484-ე მუხლით. იმავდროულად, მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ წინამდებარე დავის საგანს იპოთეკის საწინააღმდეგო ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალეობები არ წარმოადგენდა, ამ დავის ფარგლებში, მოსარჩელეს უზრუნველყოფის საგნით მოთხოვნის დაკმაყოფილება არ მოუთხოვია (მოთხოვნის შეწყვეტის განმაპირობებელი საფუძველი). იმის გათვალისწინებით, რომ მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეებს სსკ-ის 1421-ე და 1424-ე მუხლებით დადგენილი წესით მიღებული ჰქონდათ სამკვიდრო, კრედიტორმა ბანკმა სწორად განსაზღვრა მოვალის სამკვიდრო პასივზე პასუხისმგებელ პირთა წრე (სოლიდარული მოვალეები).

## თავი VII. 2015-2016 წლებში დაზღვევის სამართალურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი ანალიზი

### 8.1. შესავალი

დაზღვევის დანიშნულებას მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს, რაც ისტორიულად, ე.წ. „status quo-ს“ აღდგენაში გამოიხატება. სწორედ მისი ფუნქციური დანიშნულება განაპირობებს მის მნიშვნელოვან ადგილს მოქმედ სსკ-ში.

**მზღვეველი არის** სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის შექმნილი იურიდიული პირი, რომელსაც დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია. სპეციალური კანონითვეა განსაზღვრული ამ იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაც<sup>162</sup>, ხოლო **დაზღვეული არის** პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა<sup>163</sup>.

დაზღვევის ხელშეკრულების არსისა<sup>164</sup> და მასში მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით, **დამფუძნებელ ნორმას** სსკ-ის 799-ე მუხლი წარმოადგენს<sup>165</sup>. **იმავდროულად**, ხელშეკრულებით მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა და განხორციელება დამოკიდებულია მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

<sup>162</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის 9.1 და 9.2 მუხლი (02.05.1997წ. №690).

<sup>163</sup> იქვე: 10.1 მუხლი.

<sup>164</sup> დაზღვევის ხელშეკრულების კონსენსუალურ თუ რეალურ ბუნებასთან მიმართებით, არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრებები დოქტრინასა და პრაქტიკაში, შდრ: **სუსგ №ას-1308-1246-2014, 03 აპრილი, 2015 წელი**; სსკ-ის კომენტარი 2016 წ. (**ინტერნეტ რესურსი** – 11.11.2016წ.) <http://www.gccc.ge/> ნიგნი-მესამე/დაზღვევა/ ზოგადი დებულებანი/მუხლი-799/.

<sup>165</sup> **შენიშვნა:** სსკ-ის 799-ე მუხლი აღმჭურველი ნორმაა, რომლის მისი ნორმატიული დანაწესით, დამზღვევს აქვს ზიანის ანაზღაურების მიღების უფლება, ხოლო მზღვეველს სადაზღვევო პრემიის მიღების) მოთხოვნის უფლება.

ბის (და არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანართების<sup>166</sup>) პირობებსა და დათქმებზე, იმგვარად, რომ კონკრეტული **სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს** სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს, მხარეების მიერ არსებითი პირობის სახით წინასწარ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა სამართლებრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკაში პრობლემატურია საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია, როგორც უშუალოდ სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობასთან, ასევე, პრემიის გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან. გასათვალისწინებელია იმ გარემოებების (დოკუმენტაციის ხარვეზიანობა) არსებობა, რაც გამორიცხავს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველ საგამონაკლისო შემთხვევებს (მზღვეველთა საზიანოდ).

პრაქტიკულ შემთხვევები გვიჩვენებს, რომ მზღვეველები მოთხოვნის გამომრიცხველ საგამონაკლისო დებულებებს სხვაგვარად განმარტავენ და უარს აცხადებენ ზიანის ანაზღაურებაზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, უხეში გაუფრთხილებლობისა და ხელშეკრულების ცალკეული გამონაკლისების არასწორი ინტერპრეტაციის პრაქტიკული შემთხვევები, რაც, საბოლოოდ, გადაწყდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით.

წინამდებარე კვლევაში, მიმოხილულია პრაქტიკის პრობლემური შემთხვევები და მათი შეფასების შედეგად ჩამოყალიბებულია ანალიზი.

## 8.2. სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება

**8.2.1.** როგორც წესი, მეწარმესთან/დამზღვევთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთშემხვედრი ვალდებულებების წარმოსაშობად უნდა ვლინებოდეს აუცილებელი ფორმალობები (არსებითი პირობებზე შეთანხმება, ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და ა. შ.). **ერთ-ერთ საქმეში<sup>167</sup>, მზღვეველმა/მეწარმემ სადავო გახადა გადაუხდელი პრემიისა და პრემიის გადაუხდელობით გამონვეული ზიანის, როგორც მიუღებელი შემოსავლის, ანაზღაურება<sup>168</sup>.**

მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი სადაზღვევო სამართალურთიერთობის 12-თვიანი ვადით არსებობას ეფუძნებოდა.

მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველ შესაგებელში მიუთითა ხელშეკრულების მხოლოდ ორი თვის ვადით დადებასა და მის მიერ ორი თვის სადაზღვევო პრემიის გადახდაზე, **რასაც, მოპასუხის მითითებით, ამყარებდა ფაქტობრივი გარემოება „ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ“ ძირითად ხელშეკრულებაზე დამზღვევის ხელმოწერის არარსებობაც.**

საბოლოოდ, სარჩელი წარუმატებელი აღმოჩნდა, რაც სწორედ იმ გარემოებამ განაპირობა, რომ საქმეში ხელშეკრულების სათაურით წარმოდგენილი დოკუმენტი (**სახელ-**

<sup>166</sup> სსკ-ის 427-ე მუხლი.

<sup>167</sup> იხ. სუსგ №ას-802-769-2016, 19 ოქტომბერი, 2016 წელი.

<sup>168</sup> მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები: სსკ-ის 799-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 394-ე და 411-ე მუხლები.

**წოდებით: „ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება“)** არ იყო ხელმოწერილი დამზღვევის მიერ. შესაბამისად, იგი ვერ შეფასდებოდა სადაზღვევო სამართალურთიერთობის ხანგრძლივობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

იმავედროულად, მზღვეველის პოზიცია ემყარებოდა ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერილ დანართებსაც, რომელიც, მზღვეველის მითითებით, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. საკასაციო პალატამ არც ეს არგუმენტი გაიზიარა, რადგან დათქმას იმის თაობაზე, რომ „დანართები ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია“, შეიცავდა სწორედ ის დოკუმენტი (ძირითადი ხელშეკრულება), რომელიც ხელმოწერილი იყო, ეს გარემოება კი, მას იურიდიულ ძალას ვერ მიანიჭებდა.

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** ვინაიდან სადავო სამართალურთიერთობა (დაზღვევა) არ მიეკუთვნება ფორმასავალდებულო გარიგებათა კატეგორიას, შესაძლოა, იგი სადავო ვადითაც დადებულად მიჩნეულიყო (ზეპირი ფორმით) და, ამდენად, ხელმოწერილ დოკუმენტზე, სახელწოდებით: „ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება“ დამზღვევის შესაგებელი პოზიციის დაფუძნება წარუმატებელი იქნებოდა. ამ ვითარებაში კი, ხელშეკრულების ისეთ არსებით პირობებზე შეთანხმების არსებობა, როგორცაა: მოქმედების ვადა, პრემიის ოდენობა, მისი გადახდის ვადა და სხვა, მზღვეველის რისკად და, მაშასადამე, მისივე პროცესუალურ ვალდებულებად (მტკიცების ტვირთი) გადაიქცა.

ასეთ მოცემულობაში, მზღვეველმა უნდა ადასტუროს ხელშეკრულების სადავო პერიოდზე არსებობის ფაქტობრივი გარემოება. მით უფრო, იმ პირობებში, როცა მზღვეველი, როგორც მენარმე სუბიექტი, არაერთ საქმიან ურთიერთობაში იმყოფება სამართლის სხვა სუბიექტებთან და, მაშასადამე, სწორედ მას ევალება სადაზღვევო დოკუმენტაციის ჯეროვნად შედგენისა და წარმოების ვალდებულება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ კი, მოთხოვნის უარყოფა განაპირობა.

**8.2.3. მომდევნო პრაქტიკული შემთხვევა შეეხება სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობით მიყენებული ზიანის – როგორც მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნას<sup>169</sup>.**

საქმის მასალებით<sup>170</sup> დადგენილი იყო, რომ მზღვეველი, რომლის მიმართაც არაერთგზის დაირღვა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, დაელოდა სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვას და მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მოითხოვა დარღვეული უფლების დაცვა, ისე, რომ მას დამზღვევთან სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში არცერთხელ არ გამოუყენებია კონტრაჰენტის/დამზღვევის წერილობითი გაფრთხილების ფორმა.

საკასაციო პალატამ დამზღვევის მხრიდან სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების დარღვევის შესახებ უდავო გარემოების სამართლებრივი შეფასებისას, იხელმძღვანელა სსკ-ის 817-ე და 818-ე მუხლებით, რა დროსაც, განმარტა, რომ მოხმობილ ნორმათა ნორმატიული დანაწესი, წარმოადგენდა უფლებადამდგენ ნორმას და სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდის შემთხვევაში, მზღვეველს ანიჭებდა დამატებითი ვადის განსაზღვრისა და შესაძლო შედეგებზე დამზღვევის გაფრთხილების უფლებას.

იმავედროულად, მზღვეველი უფლებამოსილი იყო, გაფრთხილების ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, მოეშალა ხელშეკრულება. სასამართლოს მოსაზრებით, მოხმობილ

<sup>169</sup> მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები: სსკ-ის 394-ე, 411-ე, 817-ე და 818-ე მუხლები.

<sup>170</sup> იხ. სუსგ №ას-1308-1246-2014, 03 აპრილი, 2015 წელი.

ნორმათა სამართლებრივი რეგულირების მიზანი სწორედ იმაშია, რომ სადაზღვევო პრემიის შეთანხმებულ ვადაში გადაუხდელობისას, მზღვეველს აკისრია გონივრულ ვადებში დამზღვევისათვის მოსალოდნელი შედეგების შეტყობინების ვალდებულება. **მზღვეველის ქცევის სტანდარტი მდგომარეობს კერძო სამართლის სუბიექტების კეთილსინდისიერ ქცევაში, რომლის ნორმატიული განმტკიცება მოცემულია სკ-ის 8.3 მუხლში** და რომლის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** მართალია, სსკ-ის 817-ე-818-ე მუხლები არ წარმოადგენს მავალდებულებელ ნორმებს, მაგრამ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპი (სსკ-ის 8.3 მუხლი) ავალდებულებს მზღვეველს, მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და, სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, დროულად გააფრთხილოს დამზღვევეი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას, იმგვარად, რომ სწორედ ამ პერიოდს არ დაუკავშიროს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაცია. **მზღვეველის უმოქმედობას, ამ ტიპის დავის გადაწყვეტისათვის არა მხოლოდ თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით<sup>171</sup>, თუკი მზღვეველი, რომლის მიმართაც არ სრულდება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, წერილობით არ გააფრთხილებს დამზღვევეს მოსალოდნელ შედეგებზე, იგი კარგავს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობის ამონაწერის შემდეგ. მზღვეველის ამგვარი უმოქმედობა, მით უფრო, წარუმატებელს ხდის მოთხოვნას ზიანის, როგორც მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ<sup>172</sup>, რადგანაც, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში განმარტა<sup>173</sup>, რომ: „მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, პირდაპირ და უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევას. პირდაპირი კავშირი გულისხმობს მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის იმ ლოგიკურ ბმას, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“.**

### 8.3. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიღებული ზიანის ანაზღაურება (საბამონაკლისო ნორმების განმარტება)

**8.3.1.** დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: დამზღვევემა უნდა ამტკიცოს სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის „causa proxima-ს“ არსებობა. **მეორე მხრივ, მზღვეველმა უნდა ამტკიცოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი წარმოადგენს**

<sup>171</sup> იხ. სუსგ №ას-85-81-2013. 21 თებერვალი, 2013 წელი

<sup>172</sup> დამფუძნებელი ნორმები: 394-ე და 411-ე, მუხლები

<sup>173</sup> იხ. სუსგ №ას-459-438-2015 ,07 ოქტომბერი, 2015 წელი; №ას-406-383-2014,17 აპრილი, 2015 წელი №ას-197-184-2015, 27 მაისი, 2015 წელი



**ხელშეკრულების გამონაკლისს, რის გამოც, მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო დაფარვა.**

მნიშვნელოვანია, ხელშეკრულების გამონაკლისზე მითითებით, სადაზღვევო შემთხვევით გამონწვეული ზიანის აუნაზღაურებლობის პრაქტიკული შემთხვევები, **თუმცა, ხელშეკრულების საგამონაკლისო შემთხვევის (სსკ-ის 829-ე მუხლი) არასწორის ინტერპრეტაციის გამო**, არაერთი სამოქალაქო სარჩელი დასრულებულია მზღვეველის სანინაალმდეგოდ.

**ქართულ სამართლებრივ სივრცეში სსკ-ის 829-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი, „უხეში გაუფრთხილებლობის“ დეფინიცია განმარტა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში<sup>174</sup>:**

მითითებულ საქმეში, სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მზღვეველის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელს, დაუპირისპირდა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის უხეში გაუფრთხილებლობით გამონწვევისა და, მაშასადამე, სსკ-ის 829-ე მუხლის საგამონაკლისო შემთხვევის არსებობის შესახებ.

საბოლოოდ, მზღვეველისათვის, დამზღვევის სასარგებლოდ, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება განაპირობა **სსკ-ის 829-ე მუხლის სწორმა, სისტემურმა, ლოგიკურმა და თანმიმდევრულმა განმარტებამ** (დისპოზიცია: მზღვეველი თვისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით).

**საკასაციო პალატის მოსაზრებით**, პასუხისმგებლობის ფარგლები (უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა), შეიძლება, გარიგებით ან კანონით დაწესდეს. სადავო სამართალურთიერთობაში მხარეებს ხელშეკრულებით არ დაუზუსტებიათ ეს ფარგლები, მათ არ გაუმიჯნავთ ერთმანეთისაგან უხეში და მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევები. შესაბამისად, სსკ-ის 829-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მზღვეველის პასუხისმგებლობა მხოლოდ მარტივი გაუფრთხილებლობით მიღებული ზიანისათვის დგება. გამორიცხვის მეთოდით, მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ არის აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევა, როგორცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზეზოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, დაუდევრად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანმხვედრი მიმართულებით წინ მოძრაობა ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე, სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის დაუთმობლობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე ან არაფხიზელი მესამე პირისათვის და ა.შ.

**განხილულ საქმეში, საკასაციო პალატამ მიმოიხილა სასამართლოს მიერ სხვა საქმეებზე დადგენილი პრაქტიკა, რომლებშიც დადგენილი იყო იმგვარი საგამონაკლისო შემთხვევების არსებობა, სადაც დამრღვევის მხრიდან იკვეთებოდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევა, რაც უპირობოდ გამორიცხავდა მზღვეველის პასუხისმგებლობას სსკ-ის 829-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით, ეს საქმეებია:**

– **სუსგ №ას-745-713-2014** – ამ საქმეზე დადგენილი იყო, რომ ავტომანქანის მძღოლმა სატრანსპორტო საშუალება უკნიდან შეაჯახა ავტობუსს, რომელსაც მგზავრები გადაჰ-

<sup>174</sup> იხ. სუსგ №ას-1306-1226-2015, 01, ივლისი, 2016 წელი.

ყავდა და გაჩერებული იყო მონიშნულ ადგილას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ეს ფაქტი იმაზე მიუთითებდა, რომ მძღოლმა საკმარისი დისტანცია არ დაიცვა, ასევე, სათანადო ყურადღებითა და სიფრთხილით არ ადევნებდა თვალყურს მგზავრების გადამყვან ავტობუსს, ანუ გამოვლინდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევა.

– **სუსგ №1217-1146-2012** – ამ საქმეზე დადგინდა, რომ ფაქტზე მოსარჩელის (დამზღვევის) მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში, მხედველობაში იყო მისაღები, რომ მოსარჩელე მოძრაობდა სწორ, 6.5მ. სიგანის ცალმხრივი მიმართულების მქონე უდევეტო გზაზე, მშრალ ამინდში, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე, რა დროსაც სამანქანე გზის გვერდით არსებულ ტროტუარზე ხეს შეეჯახა.

– **სუსგ №ას-943-901-2013** – ავტომობილის მძღოლმა, რომელიც მოძრაობდა გადაჭარბებული, 70 კმ/სთ სიჩქარით, მაშინ, როდესაც დასაშვები სიჩქარე 40 კმ/სთ იყო, ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოება, გადაკვეთა უწყვეტი ღერძულა ხაზი, გადავიდა საპირისპირო მიმართულებით სამოძრაო ზოლში და შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსს.

– **სუსგ №ს-1510-1425-2012** – ამ საქმეშიც გამოვლინდა წინდაუხედავი მანევრირებით გზის სავალი ნაწილიდან გადასვლა და ხეზე შეჯახების შედეგად ავტომანქანის დაზიანება.

**8.3.2.** სხვა სამოქალაქო საქმეშიც<sup>175</sup> დამზღვევის უხემ გაუფრთხილებლობაზე მითითებით, მზღვეველმა უარი განაცხადა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (მძღოლი მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით, მოძრაობდა მის სავალ ზოლში, ფხიზელი, მოძრაობისას არ არღვევდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს, მაგრამ გზაზე შექმნილი სავარაუდო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, იმოქმედა გაუფრთხილებლად, რაც გამოიხატა შემდეგში: საჭე მომართა მარჯვნივ, რის შედეგადაც ავტომანქანის მისაბმელმა გადაკვეთა შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზი. საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მეხამე ნაწილის შესაბამისად, საპირისპირო მიმართულებიდან მომავალი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ფარების შუქით თვალის მოჭრის შემთხვევაში მძღოლმა მოძრაობის ზოლის შეუცვლელად უნდა შეენელოს სიჩქარე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – გაჩერდეს და ჩართოს საავარიო შუქსიგნალიზაცია) **სამართლებრივი შეფასების შედეგად მიჩნეულ იქნა, რომ მძღოლი უხეში გაუფრთხილებლობით არ იქცეოდა და, მაშასადამე, არ არსებობს სსკ-ის 829-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით მზღვევლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.** ამავე საფუძვლით, მზღვევლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შემთხვევასთან დაკავშირებით **იხილეთ – სუსგ №ას-1319-1257-2014, 30 ოქტომბერი, 2015 წელი.**

**სამართლებრივი ანალიზი:** დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად, გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას, ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. **აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია სსკ-ის 829-ე მუხლით გათვალისწინებული დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევის ვიწრო განმარტება, იმგვარად, რომ მზღვევლების პასუხისმგებლობისა-**

<sup>175</sup> იხ. სუსგ №ას-1165-1110-2014, 23 იანვარი, 2015 წელი.

გან განთავისუფლების არაკეთილსინდისიერი ნახალისება არ მოხდეს და ამით, საფრთხე არ დაემუქროს სამართლებრივ სივრცეში დაზღვევის სამართლებრივ დანიშნულებასა და მიზანს.

**8.3.3. სხვა საქმეში<sup>176</sup> სადაზღვევო შემთხვევით მიღებული ზიანის (ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტომანქანის დაზიანება) ანაზღაურების მოთხოვნის გამომრიცხველ შედავებაში მზღვეველმა მიუთითა** ხელშეკრულების იმ დანაწესზე, რომლითაც ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმებით შეიცვალა მხარეებზე მტკიცების ტვირთის განაწილებისას მოქმედი ზოგადი პრინციპი და, დაზღვევის პირობების 5.3 მუხლის შესაბამისად, სწორედ დამზღვევი იყო ვალდებული, ემტკიცებინა ნეგატიური გარემოება – ფაქტი იმის შესახებ, რომ მძღოლი არ განიცდიდა ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედებას. მოსარჩელის მიერ კი, ამგვარი (შემთხვევის დროს ალკოტესტით შემოწმება, რომელიც დაადასტურებდა შემთხვევის ადგილზე მძღოლის სიმთვრალე/სიფხიზლის ფაქტს) მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი. **აღნიშნულის შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნის განხორციელებას გამორიცხავდა საავტომობილო დაზღვევის ის საგამონაკლისო პირობა, რომლის თანახმად, დაზღვევის ფარგლებში არ ანაზღაურდება:** „ნებისმიერი შემთხვევა, დაზიანება ან ზარალი, გამომწვეული შემდეგი გარემოებებით: დაზღვეული ავტომობილის მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ. მოპასუხის უარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამომწვეული ზარალის ანაზღაურებაზე, ემყარებოდა შემდეგ მოტივაციას – არ არსებობს მმართველი მძღოლის სიმთვრალე-სიფხიზლის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია“.

მოპასუხის შედავება არ იქნა გაზიარებული და სარჩელის წარუმატებლობა განაპირობა სწორედ იმ გარემოებამ, რომ **დამზღვევის მიერ ხელმოწერილი არ იყო ის დოკუმენტი, რომელიც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესზე შეთანხმებასა და, მაშასადამე, მტკიცების განსხვავებულ სტანდარტს ადგენდა.** მართალია, მზღვეველი ამ პირობაზე, როგორც ხელშეკრულების სტანდარტულ პირობაზე აპელირებდა (სსკ-ის 342-ე და 343-ე მუხლები), თუმცა დადგენილ იქნა, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გაცნობის შემდეგ მზღვეველი ყოველთვის აწერიანებდა ხელს დამზღვევს დასტურად იმისა, რომ დამზღვევისათვის ცნობილი იყო ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის შესახებ, **ამგვარი ხელმოწერა კი, განხილულ საქმეში არ მოიპოვებოდა.**

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** ამ საქმეში, დაზღვევის ხელშეკრულების ის საგამონაკლისო პირობა, რომლის არსებობის შემთხვევაში, **მზღვეველი თავისუფლდებოდა ზიანის ანაზღაურებისაგან, ვერ ამოქმედდა,** რადგან მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სპეციალურ წესზე შეთანხმების არსებობა მზღვეველმა ვერ დაადასტურა, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობაზე დამზღვევის ინფორმირებულობის არარსებობის გამო.

**ერთმნიშვნელოვანია, რომ** მეწარმე სუბიექტის მიერ ფორმალობის დაუცველობამ, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მეწარმის მტკიცების ტვირთს და, მაშასადამე, მისივე რისკს წარმოადგენდა, განაპირობა სარჩელის უარყოფა და დაზღვევის საგამონაკლისო წესის აუთორიტეტობა. **ამ ვითარებაში კი, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გაცნობის დადასტურება მზღვეველის რისკად და, მაშასადამე, მისივე პროცესუალურ ვალდებულებად (მტკიცების ტვირთად) გადაიქცა.**

**8.3.4.** აღსანიშნავია სხვა სამოქალაქო საქმე, რომელშიც, სადაზღვევო შემთხვევით გა-

<sup>176</sup> იხ. სუსგ №ას-368-349-2015, 3 ივნისი, 2015 წელი.

მონვეული ზიანის ანაზღაურებისაგან მზღვეველი იმ საფუძვლით გათავისუფლდა, რომ **დამზღვევმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება დაცვის ობიექტზე არსებული ნივთების დეტალური აღწერისა და მიღება-ჩაბარების გაფორმების შესახებ**<sup>177</sup>. სახელდობრ, მხარეებს შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა განსაზღვრულ ადგილზე განთავსებული კლიენტის საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დაცვა.

იმავედროულად, გაფორმებული იყო მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები (ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი), რომლის კონკრეტული მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2 კალენდარული დღისა, მხარეთა შორის უნდა გაფორმებულიყო მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც **განისაზღვრებოდა იმ მატერიალური ფასეულობების ზუსტი ჩამონათვალი და მდგომარეობა, რომელთა დაცვას ხელშეკრულების შესაბამისად უზრუნველყოფდა მიმწოდებელი**. რეალურად ეს იქნებოდა მზღვეველის პასუხისმგებლობის ფარგლები.

დამზღვევმა და მისმა კლიენტებმა დაარღვიეს დამატებითი პირობები, რაც იმაში გამოიხატა, რომ მხოლოდ ქურდობის ფაქტის აღმოჩენის შემდეგ (**სადაზღვევო შემთხვევა**), გააფორმეს მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები და **ჩაატარეს დასაცავად გადაცემული მიკროავტობუსების დეტალური აღწერა**. შესაბამისად, როდესაც მოსარჩელის თანამშრომლებისათვის ცნობილი გახდა ზოგიერთ მიკროავტობუსზე სათადარიგო საბურავების არარსებობა, რეალურად **შეუძლებელი იყო იმის დადგენა, ჰქონდათ თუ არა დაცვის ობიექტზე გაჩერებულ მიკროავტობუსებს სათადარიგო საბურავები მათი მოსარჩელისათვის დასაცავად გადაცემის მომენტისათვის**. მატერიალური ფასეულობა დამკვეთებმა აღურიცხავი სახით გადასცეს მიმწოდებელს, რომელმაც ასევე აღურიცხავად მიიღო.

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** დაზღვევის ხელშეკრულების ამ საგამონაკლისო პირობამ გამორიცხა მზღვეველის პასუხისმგებლობა, ანაზღაურებინა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული დანაკარგი (ქურდობა). **რეალურად, ხელშეკრულების იმ პირობით, რომლის თანახმად, დამზღვევი ვალდებული იყო, თავის კლიენტებთან განსაზღვრულ დროს გაეფორმებინა დაცვის ობიექტების დეტალური აღწერა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით, განისაზღვრებოდა მზღვეველის პასუხისმგებლობის ფარგლები (მტკიცების სტანდარტი), რომლის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელი იყო იმის დადგენა, რა ოდენობის ზიანი განიცადა დამზღვევმა**.

**8.3.5.** სხვა საქმეშიც<sup>178</sup>, დადგინდა, რომ იკვეთებოდა სწორედ ხელშეკრულების გამონაკლისი შემთხვევა (ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის პირობების 5.9. პუნქტით მხარეებმა დააზუსტეს, რომ ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა ის ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაშვებული, ზღვრული სიჩქარის გადაჭარბების შედეგად), **სახელდობრ, ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომენტში ავტომობილი მოძრაობდა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29.1 მუხლის დარღვევით – მან გადააჭარბა დასაშვებ სიჩქარეს, რამაც გამოიწვია საგზაო შემთხვევა (თბილისის სოხუმი-ლესელიძის საავტომობილო გზის 58-ე კილომეტრზე, ცალმხრივი მოძრაობისთვის განკუთვნილ მშრალ, მობეტონებულ, უდფეექტო საავტომობილო გზაზე დაზღვეული ავტომობილით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოძრაობისას, მძღოლმა გაშლილ მოსახვევში ვერ დაიმორჩილა საჭე, მოცურდა, გადავიდა მარცხენა მოხრეშილ გვერდულაზე და ჩავარდა სანიაღვრე არხში**. ამის შედეგად, დაზღვეული ავტომობილი

<sup>177</sup> იხ. სუსგ №ას-266-253-2016, 14 ივნისი, 2016 წელი.

<sup>178</sup> იხ. სუსგ №ას-92-88-2016, 11 მარტი, 2016 წელი



სრულად დაზიანდა). თავის მხრივ, მხარეთა შორის გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების პირობები გამორიცხავდა მზღვეველის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო შემთხვევა დამზღვევის უფლებამოსილი მძღოლის მიერ სიჩქარის გადაჭარბების შედეგი იყო.

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** ხელშეკრულების პირობები (სსკ-ის 327-ე მუხლი), რომელიც ხელშემკვრელთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას ასახავდა და ზღვრული სიჩქარის გადაჭარბების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებდა, სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, სსკ-ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამორიცხავდა. ნიშანდობლივია, რომ სსკ-ის 799-ე მუხლი დათქმას აკეთებს მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებზე და ანაზღაურების ვალდებულებას ხელშეკრულების გარკვეული პირობების დაცულობას უკავშირებს.

**8.3.6.** როგორც აღინიშნა, სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების (ხელშეკრულების გამონაკლისი) გამომრიცხველ დათქმას, ხშირ შემთხვევაში, შეიცავს დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება.

**პრაქტიკული მაგალითი<sup>179</sup> შეეხება დავას დაზღვევის ხელშეკრულების იმ დათქმის ბათილობას<sup>180</sup>**, რომლითაც დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის ვადის გადაცილების პერიოდში მიღებული სადაზღვევო შემთხვევა ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა (ხელშეკრულების გამონაკლისი პირობა)<sup>181</sup>.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებაში აღნიშნული დათქმა ეწინააღმდეგებოდა დაზღვევის მარეგულირებელ ნორმატიულ დანაწესს, გამომდინარე იქიდან, რომ მხარეები რჩებოდნენ რა სახელშეკრულებო ურთიერთობაში, მოქმედებდა ურთიერთშემხვედრი ვალდებულებები. ამ პირობებში კი, მზღვეველის უარი, ანაზღაურებინა პრემიის გადახდის ვადის გადაცილების მომენტში მიღებული ზიანი, არამართლზომიერი იყო.

ხელშეკრულების სადავო პირობა მართლაც მიჩნეულ იქნა კანონსაწინააღმდეგო დათქმად, რამდენადაც სამოქალაქო კანონმდებლობით აღიარებული უფლების მართლზომიერად და კეთილსინდისიერად განხორციელებისათვის (სსკ-ის 799-ე მუხლი) თავის არიდების კლასიკური მაგალითი იყო.

რაც შეეხება სანქციას, სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევებში, აღნიშნული რეგლამენტირებულია დაზღვევის სამართალურთიერთობების მომწესრიგებელ შემდეგ ნორმებში: 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები.

სადავო შემთხვევაში, მზღვეველს წერილობით არ გაუფრთხილებია დამზღვევი პრემიის გადახდის თაობაზე, არ განუსაზღვრავს ორკვირიანი ვადა და დამზღვევმა, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ გადაიხადა გრაფიკით გათვალისწინებული თარიღიდან რამდენიმე დღეში. შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სადაზღვევო ურთიერთობა არ შეწყვეტილა, რის გამოც, მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების პასუხისმგებლობისაგან ვერ გათავისუფლდებოდა.

<sup>179</sup> იხ. სუსგ №ას-896-858-2014, 16 მარტი, 2015 წელი.

<sup>180</sup> დამფუძნებელი ნორმები: სკ-ის 54 და 799-ე მუხლები.

<sup>181</sup> სახელდობრ, სადავო, ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დამზღვევის მიერ პრემიის (ხოლო განვადებისას მისი ვადამოსული შენატანის) ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დაზღვევა ჩერდება. შეჩერებული დაზღვევა ავტომატურად უქმდება (წყდება), თუ დამზღვევი ერთ თვეში არ დაფარავს დავალიანებას. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება შეჩერების პერიოდში დამდგარი შემთხვევა (ზიანი)“.

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** სახელმეკრულებო ურთიერთობის ამოსავალი პრინციპი მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიღწევაა. სსკ-ი ორიენტირებულია პირველადი მოთხოვნის – ვალდებულების შესრულების მიღწევაზე, რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლასა თუ ხელშეკრულებიდან გასვლას (როგორც მეორადი მოთხოვნის რეალიზაცია), თავისთავად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, თუმცა კანონმდებელი ამომწურავად ადგენს მათი გამოყენების წინაპირობებს (სპეციალური რეგულაცია: 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები; ზოგადი რეგულაცია: სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლები).

სსკ-ის 817-ე მუხლით დადგენილი ნორმატიული რეგულირების პირობებში, მზღვეველს შეუძლია, წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა. ამასთანავე, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება. ნორმის მეორე ნაწილით კი, დადგენილია მზღვეველის მიერ შეტყობინების უფლების გამოუყენებლობისათვის ერთგვარი სამოქალაქო სამართლებრივი სანქცია, კერძოდ ის, რომ სადაზღვევო შემთხვევა მისთვის წარმოშობს სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. მაშასადამე, სსკ-ის 817-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ამავე ნორმის პირველ ნაწილს, იმგვარად, რომ მზღვეველის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანია წერილობით გააფრთხილებს დამზღვევეს პრემიის გადახდის თაობაზე და 2-კვირიანი ვადის გასვლის შემდეგ იქნება სადაზღვევო შემთხვევა.

**8.3.7.** სხვა საქმეშიც<sup>182</sup>, დამზღვევის მოთხოვნას სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ<sup>183</sup>, მზღვეველმა დაუპირისპირა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებობდა კონკრეტული რისკებისაგან დაზღვევის ხელშეკრულება. ერთ-ერთ ასეთ რისკს წარმოადგენდა ხანძარი. ის ფაქტი, რომ დაზღვეულის ქონება დაზიანებული იყო არა უშუალოდ ხანძრით, არამედ წყლის ზემოქმედებით, რომელიც გამოიყენებოდა ხანძრის ჩასაქრობად (სახელდობრ, ხანძრის ლოკალიზაცია-ჩაქრობის მიზნით, სახანძრო ბრიგადები იყენებდნენ წყლის ძლიერ ჭავლს, რომლის ზემოქმედების შედეგად დაზიანდა შენობა-ნაგებობის ყველა სართული, მათ შორის, პირველ სართულზე არსებული მზღვეველის კუთვნილი მაღაზიის მოპირკეთება, რემონტი და მაღაზიაში განლაგებული საქონელი), ხოლო ხელშეკრულება წყლის ზემოქმედებით დაზიანების მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებს ითვალისწინებდა: წყალდიდობა და წყალგაყვანილობის სისტემების მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლა, მზღვეველი თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატის დასკვნით, წყლის ჩამოშვებამ ზიანი ნაწილობრივ მართლაც გამოიწვია, თუმცა, თუკი მოვლენათა ერთობლიობიდან ამოვიღებთ ხანძარს, აღმოჩნდება, რომ მეხანძრეთა მოქმედება, კერძოდ, ისინი წყალს არ ჩაუშვებდნენ რომ არა ხანძარი, ხელშეკრულების მიხედვით, არის დაზღვეული რისკი, შესაბამისად ხანძარი, როგორც ფიზიკური მოვლენა და როგორც (ხელშეკრულებით განსაზღვრული) ცდომილება, არის უმთავრესი და შეუცვლელი მიზეზი მიღებული ზიანისა. სადაზღვევო რისკის (ხანძარი) ფარგლებში კი, დაზღვეული ქონება სწორედ სადაზღვევო ცდომილების ფარგლებში დაზიანდა და ამ მხრივ წარმოიშვა მზღვეველის ვალდებულება.

იმავდროულად, მზღვეველი უარს აცხადებდა პოლისის გაცემის შემდგომ შექმნილი მარაგების განადგურებით მიღებული ზიანის ანაზღაურებაზე, ხელშეკრულების იმგვარ ჩანაწერზე მითითებით, რომლის თანახმად, დაზღვევას არ ექვემდებარება ისე-

<sup>182</sup> იხ. სუსგ №ას-535-511-2016, 8 ივლისი, 2016 წელი.

<sup>183</sup> დამფუძნებელი ნორმა: სსკ-ის 799-ე მუხლი.

თი საქონელი, რომელიც მარაგის სახით არის დასაწყობებული მათი შექმნიდან 1 წელზე მეტი ვადით.

მზღვეველის პოზიცია არც ამ ნაწილში იქნა გაზიარებული შემდეგი დასაბუთებით, კერძოდ, დაზღვეული მარაგების მოცულობის განსაზღვრა იმდაგვარად, რომ თითოეული კონკრეტული ნივთის რეალიზების შემდეგ ხდება ამ ერთეულის ამორიცხვა სადაზღვევო დაფარვიდან, ხოლო, სანაცვლოდ შემოტანილი საქონელი არ იზღვევა, დაზღვეული კი, იხდის ერთსა და იმავე პრემიას 600 000 აშშ დოლარის ღირებულების მარაგის დაზღვევისათვის, სცილდება გონივრული განსჯის სტანდარტს. დაზღვევის ხელშეკრულების 2.9 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი იმგვარად იქნა განმარტებული, რომ დაზღვევას არ ექვემდებარებოდა და დაზღვევით არ იფარებოდა ისეთი საქონელი, რომელიც მარაგის სახით იყო დასაწყობებული დაზღვეულის საწყობში დაზღვევის მომენტში და მისი შექმნიდან 1 წელზე მეტი ვადა იყო გასული, ხოლო დაზღვეულ მარაგში შედიოდა, როგორც დაზღვევის მომენტში ერთ წელზე ნაკლები ვადით დასაწყობებული საქონელი, ისე – შემდგომ შექმნილი საქონელი, მაგრამ არა უმეტეს მხარეთა შეთანხმებული ოდენობისა (მოცემულ შემთხვევაში 600 000 აშშ დოლარისა). **დამზღვევის ინტერესს წარმოადგენდა არა კონკრეტული ნივთის, არამედ იმ საქონლის დაზღვევა, რომლის ჯამური ღირებულებაც განისაზღვრებოდა 600 000 აშშ დოლარით და დასაწყობებული იყო ხელშეკრულების დადებამდე არაუმეტეს ერთი წლისა, ასევე, ყველა ის გვარეობითი ნივთი, რომელიც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, სადაზღვევო ღირებულების ფარგლებში ჩაანაცვლებდა მანამდე დასაწყობებულ და რეალიზებულ ნივთებს.**

პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი: მოცემულ საქმეშიც, მხარეთა მიერ ხელმოწერილი აქტის – დაზღვევის ხელშეკრულების იმ ჩანაწერების განმარტებისათვის, რომელზე დაყრდნობით, მზღვეველი უარს აცხადებდა ზიანის ანაზღაურებაზე, გამოყენებულ იქნა სსკ-ის 52-ე, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილების დანაწესით განმტკიცებული გონივრულობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი, იმგვარად, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების მხრიდან გამორიცხულიყო უფლების ბოროტად გამოყენება ე.წ. „shikana“. სასამართლო დავათა უმეტესობა შეეხება განეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებას. **დავათა აღნიშნულ კატეგორიაში სარჩელის გამომრიცხველ შედეგებად მენარმე სუბიექტები/სადაზღვევო კომპანიები შესრულებული სამუშაოს ამსახველი შესაბამისი საანგარიშგებო და სამედიცინო დოკუმენტაციის ხარვეზიანობას, მათ დადგენილ ვადაში წარუდგენლობას, ასევე, ხელშეკრულების ზოგიერთი პუნქტის ბათილობას, განეული სამედიცინო მომსახურების უხარისხობასა და „სამედიცინო ჩარევის აუცილებლობის“ პრინციპის დაუცველობაზე მიუთითებენ.**

#### 8.4. სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის ლეგიტიმურობის პრობლემა

ამ კატეგორიის დავებში, მხარეთა შორის სამედიცინო მომსახურების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობა შეფასებულია ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობად<sup>184</sup>, რომელი ურთიერთობის მონაწილე მხარეებსაც ეკისრებათ ორმხრივი უფლებები და მოვალეობები, სახელდობრ, ერთი მხრივ, მენარმე (სამედიცინო დაწესებულება) ვალდებულია, გაუწიოს შეთანხმებული სამედიცინო მომსახურება „შემკვეთს“ / „სადაზღვევო კომპანიებს“ (შემკვეთის მიერ დაზღვეულ პირებს), ხოლო, მეორე მხრივ,

<sup>184</sup> დამფუძნებელი ნორმა: სსკ-ის 629-ე მუხლი.

„შემკვეთი“ ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო.

**განეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე უარის ლეგიტიმურობის დასადგენად სასამართლო ამონებებს, რა სახის სპეციალურ წესებსა და პირობებს ითვალისწინებდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება.**

**8.4.1. ერთ-ერთ საქმეში<sup>185</sup> შემკვეთის შედავება იმასთან დაკავშირებით, რომ მენარდის მიერ არ იყო წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ამსახველი შესაბამისი საანგარიშგებო და სამედიცინო დოკუმენტაცია დადგენილ ვადასა და დადგენილი წესით, არ იქნა გაზიარებული იმ მოსაზრებით, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელშიც იყო მითითება სპეციალურ წესზე, სადავო პერიოდში გასული იყო და ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად გრძელდებოდა ერთი წლის ვადით, შესაბამისად, ანგარიშსწორების სპეციალური წესი, მოქმედებდა მხოლოდ ხელმოწერილი ხელშეკრულების არსებობის პერიოდში.**

**8.4.2. სხვა საქმეში<sup>186</sup>, მზღვეველი დაზღვეული პირებისათვის განეული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე და ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარს იმ მოტივით აცხადებდა, რომ ხელშეკრულების დადების დროს არ არსებობდა სადავო პერიოდში განეული მომსახურების გადახდის ვალდებულება, ვინაიდან მენარდეს შემკვეთისაგან უკვე მიღებული ჰქონდა ამ პერიოდში განეული მომსახურების ღირებულება, თუმცა, რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა აღნიშნული გარემოება, საქმეში წარდგენილი არ იყო. პირიქით, საქმის მასალებით დასტურდებოდა შემკვეთსა და მენარდეს შორის ქ. თბილისის მოსახლეობისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების დადების ფაქტობრივი გარემოება, განსაზღვრული იყო ანგარიშსწორების წესიც. საქმეში განთავსებული დაფინანსების ცხრილით დგინდებოდა, რომ გარკვეულ პერიოდში (არა სადავო პერიოდი) შემკვეთს მენარდისათვის გადარიცხული ჰქონდა მომსახურების ღირებულება, თუმცა სადავო პერიოდში შემკვეთი დაზღვეული მოსახლეობის სასწრაფო სამედიცინო მომსახურებას არ ანაზღაურებდა.**

მენარდის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, შემკვეთს დაეკისრა დავალიანების ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს გადახდა.

**8.4.3. არცთუ იშვიათია დავები „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №177 დადგენილებით (შემდეგში: №177 დადგენილება) განსაზღვრულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ მხარეებს შორის.**

**დავას განაპირობებს სახელმწიფო სადაზღვევო და კორპორაციული პროგრამის ფარგლებში მზღვეველის მიერ დაზღვეული პირებისათვის განეული სამედიცინო მომსახურების აუნაზღაურებლობა.** მოთხოვნის გამორიცხველ შესაგებელში მზღვეველი ძირითადად ეყრდნობა საანგარიშგებო დოკუმენტაციის არასრულად წარდგენას (სახელდობრ, მზღვეველს წარედგინება მხოლოდ ფორმა №100, რაც არ ასახავს მკურნალობის სურათს) და სამედიცინო მომსახურების განევის პროცესში დაშვებულ დარღვევებს (სახელდობრ, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მოკვლევის შედეგად მოსარჩელე დანესებულებაში გამოვლინებულ სამედიცინო დარღვევებს).

<sup>185</sup> იხ. სუსგ №ას-549-521-2015, 18 ნოემბერი, 2015 წელი.

<sup>186</sup> იხ. სუსგ №ას-356-341-2016, 1 ივლისი, 2016 წელი.



**იმავედროულად**, მზღვეველი სადავოდ ხდის ვალდებულების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს განაკვეთის გონივრულობას.

**ამ მიმართულებით გამოიკვეთა შემდეგი<sup>187</sup>**: სადავო სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება №177 დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესებს და არეგულირებს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ შესაბამის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სუბიექტებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს და ამ პროგრამების ფარგლებში მიწოდებული სამედიცინო, ფარმაცევტული და სადაზღვევო მომსახურების სტანდარტებს.

**№177 დადგენილების თანახმად, მიმწოდებელი (მზღვეველი) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო შემთხვევის დროული და სრული ანაზღაურება.** გათვალისწინებულია სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებისაგან მზღვეველის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლებიც. ამავე დადგენილების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მზღვეველი ვალდებულია, საანგარიშგებო დოკუმენტაციის მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში ჩაატაროს საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირება და მიმწოდებელთან წერილობით ან ელექტრონულად გააფორმოს ურთიერთშედეგების აქტი, რომელსაც თან ერთვის რეესტრი შემთხვევების მიხედვით. რეესტრი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თითოეული შემთხვევის თაობაზე აღიარებული და კორექტირებული თანხის შესახებ. მზღვეველმა ურთიერთშეთანხმების აქტის საფუძველზე აღიარებული თანხა უნდა გადარიცხოს არაუგვიანეს ამ პერიოდის დამთავრებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში. **ამდენად, მზღვეველისათვის წარდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის საფუძველზე, კორექტირების უფლებამოსილება მზღვეველს გააჩნია მხოლოდ დოკუმენტის წარდგენიდან 15 დღის ვადაში. სწორედ ამ ვადაშია იგი ვალდებული, განახორციელოს ინსპექტირება.**

სადავო შემთხვევებში, მზღვეველის მიერ დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში არ განხორციელებულა დოკუმენტაციის ინსპექტირება და არც მიმწოდებელთან წერილობით ან ელექტრონულად ურთიერთშედეგების აქტი გაფორმებულა.

**იმავედროულად, დაუდასტურებელი იყო შედავება სამედიცინო დაწესებულების მიერ არაზუსტი კვლევებისა და მომსახურების განევის შესახებ**, რამდენადაც სამედიცინო რეგულირების სააგენტოს შემოწმების აქტი ამ გარემოების დამადასტურებელ არსებით მტკიცებულებად მიჩნეული არ იქნა. 177-ე დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარემოებები დადასტურებული უნდა იყოს მხარეთა მიერ მოწვეული ექსპერტების დასკვნით ან სამედიცინო მედიაციის სამსახურის აქტით ან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მართლზომიერადაა მიჩნეული მსგავს შემთხვევებში დაკისრებული პირგასამტეხლოც და სასამართლო არ იყენებს სსკ-ის 420-ე მუხლით მინიჭებულ გონივრულობის სტანდარტს, რაც განპირობებულია ურთიერთობის საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებით, სახელდობრ**, მსგავს შემთხვევებში, პირგასამტეხლოს ოდენობა განსაზღვრულია ნორმატიული აქტითა (სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში) და ხელშეკრულებით (კორპორაციული დაზღვევის ფარგლებში). სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება (გონივრულობის სასამართლოს მიერ კვლევის სტანდარტი) კი, გამოიყენება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინ-

<sup>187</sup> იხ. სუსგ №ას-859-809-2015, 19 ნოემბერი, 2015 წელი. (ასევე იხ. სუსგ №ას-1277-1198-2015, 15 მარტი, №ას-410-393-2016, 22 ივნისი, 2016 წელი; საქმე №ას-231-220-2016, 27 აპრილი, 2016 წელი; №ას-482-456-2015, 27 აპრილი, 2016 წელი).

ნებულ პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით და განსახილველი შემთხვევის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული, რადგან სასამართლოს არ შეუძლია, შეამციროს კანონით დადგენილი პირგასამტეხლო<sup>188</sup>.

## 8.5. პროცედურული საკითხები

განეული სამედიცინო მომსახურების საფასურის ანაზღაურების ვალდებულების არარსებობის ძირითად მოტივად მზღვეველი მიუთითებს: **ბენეფიციარებისათვის განეული მომსახურების უხარისხობაზე, სამედიცინო ჩარევის აუცილებლობის დაუკველობასა და ხარჯის არაეფექტურობაზე**<sup>189</sup> და შედავებულ გარემოებათა მტკიცებას სამედიცინო დაწესებულების ტვირთად მიიჩნევს. მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილების არგუმენტად აქცენტირებს იმ სასამართლო პრაქტიკაზე, რომელიც შეეხება სამედიცინო შეცდომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საკითხებს.

სასამართლო დავები, რომლებიც შეეხება სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, ექიმის ან საავადმყოფოს მიმართ, პაციენტს შეიძლება, წარმოეშვას, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე – დელიქტური ნორმებიდან [სსკ-ის 992-ე და 1007-ე მუხლები; დამხმარე ნორმები: საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“].

**მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად ჩატარებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი.** პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ: 1. სამედიცინო საქმიანობის მიზანი მიღწეული არ არის (ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენა და სიცოცხლის შენარჩუნება) და 2. მედიცინის მუშაკის ქმედება არ შეესაბამება სამედიცინო მაჩვენებლებს. არსებული სასამართლო პრაქტიკით ფაქტებზე მითითების ტვირთისა და მათი დამტკიცების ტვირთი ეკისრება პროცესის მონაწილე იმ მხარეს, რომელიც ითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მაშასადამე, დაზარალებულს (იხ., სუსგ №ას-874-1146-05, 2005 წლის 14 სექტემბერი; №ას-260-244-11, 2011 წლის 27 ივნისი).

წარმოშობილი სადავო ურთიერთობა კი, მიეკუთვნება სხვა სამართალურთიერთობას, სახელდობრ, მხარეთა შორის სადავოა არა ზიანის ანაზღაურება დელიქტური სამართალურთიერთობიდან ან ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე, არამედ, სადავოა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, რომელი ვალდებულება ც წარმოშობილია წარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან. შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულების მოთხოვნა აუნაზღაურდეს, სადაზღვევო კომპანიის ბენეფიციარებისათვის განეული მომსახურების ღირებულება უნდა შემოწმდეს სსკ-ის 629-ე მუხლით დადგენილ წინამძღვრებთან და არა სსკ-ის 1007-ე და 992-ე მუხლების წინაპირობებთან.

მაშასადამე, როდესაც დასტურდება **ბენეფიციარებისათვის** სამედიცინო მომსახურების განევის ფაქტი, რაც წარმოშობს სადაზღვევო კომპანიის შემხვედრ ვალდებუ-

<sup>188</sup> ნორმატიულად განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობის სასამართლოს მიერ შემცირების შეუძლებლობის შესახებ დამატებით იხ. სუს 02.02.2015წ.-ის განჩინება საქმე №ას-1171-1116-2014; სუს 24.03.2014წ.-ის განჩინება საქმე №ას-1284-1226-2013.

<sup>189</sup> იხ. სუსგ №ას-188-177-2017, 21 აპრილი, 2017 წელი; №ას-1206-1166-2016, 24 თებერვალი, 2017 წელი; №ას-1191-1151-2016, 24 თებერვალი, 2017 წელი.

ლებას განული მომსახურების ანაზღაურების თაობაზე, მოთხოვნის შემწყვეტი შედაგების – ბენეფიციარებისათვის განული მომსახურების უხარისხობის, სამედიცინო ჩარევის აუცილებლობის დაუცველობისა და ხარჯის არაეფექტურობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომსახურების ანაზღაურებაზე ვალდებულ ხელშემკვრელ მხარეს [მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი – სსსკ-ის 102-ე მუხლი].

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** განული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის გამომრიცხველი შედაგება, უმეტეს შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოს ამსახველი შესაბამისი საანგარიშგებო და სამედიცინო დოკუმენტაციის წარუდგენლობას ეფუძნება. ამ შემთხვევაში, მტკიცების სპეციალურ სტანდარტს (ინსპექტირების ვადებს, კორექტირების შემთხვევებს და სხვა) აწესებს სადავო სამართალურიერთობის მომწესრიგებელი აქტი – №177 დადგენილება; ზოგიერთ სადავო შემთხვევაში კი, უშუალოდ მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი (ხელშეკრულება).

**იმავდროულად, დაუშვებელია** პირგასამტეხლოს გონივრულობის კვლევა, რაც განპირობებულია დავის თავისებურებით და, მაშასადამე, პირგასამტეხლოს ნორმატიულად განსაზღვრული ბუნებით.

რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის შემწყვეტი შედაგებას, როგორცაა: **ბენეფიციარებისათვის განული მომსახურების უხარისხობა, სამედიცინო ჩარევის აუცილებლობის დაუცველობა და ხარჯის არაეფექტურობა**, როდესაც დასტურდება ბენეფიციარებისათვის სამედიცინო მომსახურების განევის ფაქტი, რაც წარმოშობს სადაზღვევო კომპანიის შემხვედრ ვალდებულებას განული მომსახურების ანაზღაურების თაობაზე [სსკ-ის 629-ე მუხლი], მოთხოვნის შემწყვეტი შედაგების **მტკიცების ტვირთი ეკისრება მომსახურების ანაზღაურებაზე ვალდებულ ხელშემკვრელ მხარეს** [მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი – სსსკ-ის 102-ე მუხლი].

ვერც პროტოკოლებისა და გზამკვლევების (გაიდლაინის) დაუცველობა, დიაგნოზის დასმის მიზნით კვლევებისა და მკურნალობის მიზნით შერჩეული მედიკამენტური თერაპიის შერჩევა მიიჩნევა ანაზღაურებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად, რადგან, თუ დასტურდება, რომ დადებულია ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე ჯეროვნად ასრულებს მას, **საინააღმდეგოს დადასტურებამდე**, წარმოიშობა შემხვედრი ვალდებულება შესრულებულის ანაზღაურებაზე.

## 8.6. საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულების წინაპირობები

სარჩელი აღიძრა<sup>190</sup> სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით<sup>191</sup>. ვლინდებოდა მოთხოვნის განმაპირობებელი ყველა წანამდღვარი:

ა) საბანკო გარანტიის ხელშეკრულების არსებობა, რომლითაც სადაზღვევო კომპანია უზრუნველყოფდა ხელშეკრულების შესრულებას პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში; ბ) პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუს-

<sup>190</sup> იხ. სუსგ №ას-782-739-2015, 19 ოქტომბერი, 2015 წელი.

<sup>191</sup> დამფუძნებელი ნორმა: სსკ-ის 879-ე მუხლი.

რულებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა; გ) საბანკო გარანტიით დადგენილ ვადაში ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენა გარანტორისათვის; დ) ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის ხელმეორედ წარდგენა.

**გარანტორის (სადაზღვევო კომპანიის) მხრიდან განხორციელდა მოთხოვნის შემწყვეტი შედავება იმაზე მითითებით, რომ საბანკო გარანტია უზრუნველყოფდა პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომელი ზიანის არსებობისა და ოდენობის ფაქტს ბენეფიციარი ვერ ადასტურებდა. იმავედროულად, გარანტორი უთითებდა ხელშეკრულების დარღვევის უმნიშვნელო ხასიათზე, რაც არ წარმოუშობდა ბენეფიციარს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.**

**ამდენად, ირკვეოდა, რომ** გარანტი, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდაზე უარს არ აცხადებდა **არცერთი ისეთი საფუძვლით, როგორცაა:** მოთხოვნის შეუსაბამობა გარანტიის პირობებთან და/ან, რომ მოთხოვნა გარანტს წარედგინა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ (სსკ-ის 887-ე მუხლის პირველი ნაწილი).

## 8.7. საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების წარმოშობის დრო და ვალდებულების შესრულების წესი

ერთ საქმეში<sup>192</sup>, საკასაციო პალატამ იმსჯელა საკითხზე, შეესაბამებოდა თუ არა ბენეფიციარისათვის ჩარიცხული ფულის ერთეული (ლარი) ჩარიცხვის მომენტისათვის არსებულ გაცვლით კურსს ამერიკულ დოლართან მიმართებით. გარანტორის ვალდებულების შეწყვეტილად მიჩნევას სსკ-ის 389-ე მუხლის ნორმატიულ დანაწესს აყრდნობდა, რაც უარყოფილ იქნა იმ არგუმენტით, რომ საგარანტიო ხელშეკრულებით საგარანტიო თანხა განისაზღვრა ამერიკული დოლარით, ხოლო ვალდებულება შესრულდა ეროვნული ვალუტით, ლარი ჩაირიცხა.

აქედან გამომდინარე, ვალდებულების შეწყვეტილად აღიარებისათვის სასამართლომ გამოარკვია საკითხი იმის შესახებ, ჩარიცხული ლარი იმ მომენტისათვის შეესაბამებოდა თუ არა გარანტიის ხელშეკრულებაში მითითებული უცხოური ვალუტის (ამერიკული დოლარი) გაცვლით კურსს, რაც მოცემული საქმის სამართლებრივ შეფასებას სსკ-ის 389-ე მუხლის ნორმატიული დანაწესით გამორიცხავდა.

ამავე დავაში განმარტა სსკ-ის 389-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი, რომელიც აწესრიგებს ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც ვლინდება ფულადი ვალდებულება, განსაზღვრულია ფულადი ვალდებულების რაოდენობა, თუმცა, ვალდებულების წარმოშობის დღიდან ვალდებულების შესრულების დღემდე ვალუტის კურსი ან ფულის ერთეული შეიცვალა. სასამართლოს მოსაზრებით, ნორმის მიზანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, ნორმა, როგორც სიტყვასიტყვით, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი, სწორედ აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით უნდა განიმარტოს. ნორმის სწორი ინტერპრეტაციისათვის კი, უნდა დადგინდეს ნორმაში გამოყენებულ ტერმინთა ზუსტი მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ურთიერთშეუსაბამობა. „ნომინალიზმის პრინციპის“ მიხედვით, მოვალე ვალდებულია, ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით (ნომინალით), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამებოდა. მსოფლიოს ცი-

<sup>192</sup> იხ. სუსგ №ას-130-122-2017, 24 მარტი, 2017 წელი.



ვილიზებული სამყაროს ქვეყნების კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპი, ვალის გადახდისას ყურადღებას უთმობს არა გადასახდელი ნომინალის მსყიდველობით უნარიანობას, არამედ თავად ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას. ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, ვალდებულების საგანი ფულადი ერთეულების რაოდენობაა და არა ფულის მსყიდველობითი უნარიანობა.

ნიშანდობლივია, რომ სასამართლო პრაქტიკაში 389-ე მუხლის შინაარსი განსხვავებული პრეცედენტის წყარო გახდა. სასამართლოს განმარტებით, 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვლინდება დენომინაცია, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდა ან შემცირება, ასევე, იცვლება ვალუტა და ეროვნული ვალუტა განიცდის ჰიპერინფლაციას. ვინაიდან, ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ ზემოთ მითითებული პროცესები არ მიმდინარეობდა, ფულადი ვალდებულებების შესრულების დროს დაუშვებელია სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება. ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია ფულის კურსის ნორმალური გაუარესების დროსაც, რადგანაც ეს პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება. შესაბამისად, ნორმის ფუნქციური და ნიშნულუბა შემდეგია: იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ფულის ნომინალს ცვლის ან კიდევ მაშინ, როდესაც მიმდინარეობს ჰიპერინფლაცია (ძალიან მაღალი ინფლაცია, რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც ინფლაცია, რომლის ყოველთვიური დონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში აღემატება 50 პროცენტს). თუ სახელმწიფოს მიერ ნომინალი არ შეიცვლება ან ჰიპერინფლაცია არ იარსებებს, 389-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია<sup>193</sup>.

გადაანგარიშების ვალდებულება კი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, წარმოიშვას, თუ ვადადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღე და ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღე ერთმანეთს არ ემთხვევა, ანუ – როდესაც ვადაა გადაცილებული. ასეთ შემთხვევაში, კონტრაჰენტს კურსთაშორის სხვაობის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. კონტრაჰენტისათვის მიყენებული ზიანი იმ დანაკლისში გამოიხატება, რაც მან ვალდებულების წარმოშობის დროიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო, ფაქტობრივ შესრულებამდე, ფულის ერთეულის (კურსის) მისთვის საუარესო ცვლილებით განიცადა. ასეთ შემთხვევაში, კურსთაშორის სხვაობა, როგორც ფაქტობრივად მიღებული ზიანი, ანაზღაურებას ექვემდებარება [სსკ-ის 408-ე მუხლი].

**პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი:** საბანკო გარანტიას აქვს განსაკუთრებული (არააქცესორული) ბუნება, რაც განაპირობებს მის დამოუკიდებლობას ძირითადი ვალდებულებისაგან. იმგვარად, რომ პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის სახისა და ხარისხის კვლევა გარანტის მხრიდან გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შესაძლებელი იყო მხოლოდ საბანკო გარანტიით შეთანხმებული მოთხოვნის ან თანდართული დოკუმენტების წარდგენის პირობების დაცვის კვლევის ფარგლებში, ანუ ფორმალური სახით (**დოკუმენტების ფორმალური შესაბამისობის დადგენა ე.წ დოკუმენტური ოპერაცია**). შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გარანტორის უარი საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს.

<sup>193</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის ელექტრონული ვერსია: <http://www.gccc.ge>

## თავი VIII. კორპორაციული მართვის პროცესში საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა და სოციალური სამართლიანობის პრინციპი

### 9.1. მიმოხილვა

საქართველოში შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი დასაქმებულის უფლებების დაცვა იყო. შრომის უფლება გარანტირებულია არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით, არამედ, აგრეთვე, საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებებით, როგორცაა, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“<sup>194</sup> და „ევროპის სოციალური ქარტია“<sup>195</sup>.

შრომის უფლების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, კონკრეტული ვალდებულებები ეკისრებათ შრომითი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს. დასაქმებულის განთავისუფლების საფუძვლების კვლევისას, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რა ღონისძიებები გაატარა დამსაქმებელმა, რათა უზრუნველყო დასაქმებულისათვის დაკავებული პოზიციის შენარჩუნება. ამგვარი მიდგომას ამკვიდრებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლი, რომელიც შრომის უფლების უფლების სრული განხორციელების მიზნით, პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაწესდეს პროფესიული და ტექნიკური სწავლებისა და წვრთნის პროგრამები, გაატარონ პოლიტიკა და შეიმუშავონ მეთოდოლოგია, რათა მიღწეულ იქნეს განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება და სრული შედეგიანი დასაქმება ისეთ პირობებში, სადაც თითოეული ადამიანის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება დაცული იქნება. აქედან გამომდინარეობს მეორე ერთმნიშვნელოვანი დასკვნა: თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას, გამოყენებული უნდა იყოს ე.წ. „favor prestatoris“ პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. ამ პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა „დამსაქმებლისა“ და „დასაქმებულის“ მოთხოვნებსა და ინტერესებს შორის ზომიერი ბალანსის დაცვა, სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტით შეფასება.

ნიშანდობლივია, რომ შრომის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის კონსტიტუციური უფლება, რამდენადაც მისი ნორმატიული შინაარსი ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია მისი გამოყენების გონივრულობისა და პროპორციულობის დაცვით.

<sup>194</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი ევროპის საბჭოს გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A(XXI) რეზოლუციით ძალაშია: 1976 წლის 3 იანვრიდან. პაქტის ქართულენოვანი ტექსტი იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577>. 18.04.2017.

<sup>195</sup> ევროპის სოციალური ქარტია ევროპის საბჭოს ხელშეკრულებაა, რომელსაც ხელი 1961 წელს მოეწერა, 1996 წელს კი მასში შესწორებები შევიდა. ეს არის უნიკალური სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელშიც დაცულია არსებითი ყოველდღიური უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები, როგორცაა: საცხოვრებლის უფლება, ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების უფლებები, სამართლებრივი და სოციალური დაცვის უფლება, ინდივიდთა გადაადგილების თავისუფლება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა. საქართველომ ევროპის სოციალურ ქარტიას ხელი 2000 წელს მოაწერა, მისი რატიფიცირება კი, 2005 წელს მოახდინა – ხელშეკრულება ძალაში იმავდროულად შევიდა. <http://www.coe.int/en/web/turin-european-social-charter>. 18.04.2017; ქარტის ქართულენოვანი ტექსტი იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1392164>. 18.04.2017.

კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი, შრომის კონსტიტუციური თავისუფლების მომწესრიგებელი ნორმის ნაწილია და სახელმწიფოს აკისრებს პიზიტიურ ვალდებულებას, ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, ხოლო მე-3 პუნქტით, შრომითი უფლებების დაცვა ორგანული კანონით განისაზღვრება.

შრომითი ურთიერთობის გარანტიების, მათი დარღვევის, მხარეთა უფლება-მოვალეობების დადგენისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ მსჯელობა დაუსრულებლად შეიძლება თემის აქტუალობიდან და ამ სფეროთი დაინტერესებულ სუბიექტთა სიმრავლიდან გამომდინარე, თუმცა კონკრეტული პრაქტიკული კვლევა წარმოდგენილია კორპორაციული მართვის პროცესში საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის თავისუფლების სოციალური სამართლიანობის პრინციპთან შეპირისპირების კუთხით, სამართლო პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე.

## 9.2. ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ძიება

საზოგადოების ხელმძღვანელი პირის (დირექტორის) მიერ განხორციელებული საქმიანობა არის სამენარმეო და მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან წესრიგდება მენარმეთა კანონის საფუძველზე<sup>196</sup>. ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე, სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით, მხოლოდ ის საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული სპეციალური კანონით, საზოგადოების წესდებით ან თავად დირექტორთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება, გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ, სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა.შ.);

სშკ-ის პირველი მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული დანაწესით ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო, მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, აძლევს უფლებას იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს.

რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, სამართლებრივად შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს და შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას დირექტორთან დადებული ხელშეკრულებისაგან.

<sup>196</sup> იხ. სუსგ 3/კ-259-01, 30 მარტი, 2001 წელი; №ას-68-767-03, 26 ივნისი, 2003 წელი.

იმ პირობებში, როდესაც სსკ-ის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და მენარმეთა კანონი არ შეიცავს პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს. თუ გადავავლებთ თვალს სსკ-ის დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს, არაერთ მსგავსებას ვნახავთ, სახელდობრ, სსკ-ის 709-ე მუხლის თანახმად, „დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე“.

დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც ინვესტს ამა თუ იმ შედეგს და, როგორც ნესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის აღრესატი ხდება წარმოდგენილი პირი.

საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების ვადასთან მიმართებით სსკ-ი ნორმატიულ მოწესრიგებას არ ითვალისწინებს და მისი პირობები (როგორცაა, ვადა) მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება (სსკ-ის 327-ე მუხლი). საგულისხმოა ისიც, რომ სსკ-ის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. არაერთ განჩინებაში საკასაციო პალატამ ამ ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობას უწოდა „სასამსახურო ხელშეკრულება“<sup>197</sup>.

ზემოთ მოხმობილ ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დამფუძნებელს (ნესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან. მესამე პირებისათვის კი, ამგვარი ნება ნამდვილი ხდება სამენარმეო რეესტრში მისი რეესტრაციის მომენტიდან.

ერთ-ერთ საქმეში<sup>198</sup>, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად მოსარჩელის დანიშვნის საკითხი საკასაციო პალატამ გამოიყვანა შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების სფეროდან, რადგან მიიჩნია, რომ ეს ურთიერთობა არ ეფუძნებოდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და საზოგადოების პარტნიორებს (დამფუძნებელ წევრებს) შორის არსებულ შრომით ხელშეკრულებას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამგვარი დასკვნის საშუალებას არც თავად „შრომის ხელშეკრულების“ სახელწოდებით ხელმოწერილი დოკუმენტი იძლეოდა, სახელდობრ, ხელშეკრულების ცალკეულ პუნქტებში ჩამოთვლილი დასაქმებულის ვალდებულებები მოიცავდა კომპანიის მენეჯმენტისათვის რჩევის მიცემას და დახმარებას კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მართვაში. **საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ „დახმარების აღმოჩენა“, ამ შემთხვევაში, გულისხმობდა მართვის პროცესში უშუალოდ მონაწილეობას ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავების გზით და აღნიშნა, რომ მსგავსად არც ხელშეკრულების შინაარსის ერთიანად შეფასებით არ განიმარტებოდა.**

სააპელაციო სასამართლოს მეორე არგუმენტი, რომ „მხარეთა შორის არსებობდა შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, დასაქმებულის ხელფასი იყო – 3000 ლარი (ხელზე ასაღები), რომლის ოდენობა, იძლეოდა იმის ლოგიკური დასკვნის საფუძველს, რომ ამ მოცულობის ანაზღაურება მხოლოდ რჩევების მიცემისათვის არ იქნებოდა გათვალის-

<sup>197</sup> იბ. სუსგ №ას-895-845-2015, 29.01.2016 წელი; №ას-240-228-2016, 28 სექტემბერი, 2016 წელი, №ას-131-127-2016, 23 სექტემბერი, 2016 წელი.

<sup>198</sup> იბ. სუსგ №ას-1634-1533-2012, 24 სექტემბერი, 2013 წელი.



წინებული“, საკასაციო პალატამ უარყო სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის მოტოვით და სსკ-ის 31-ე მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ შრომის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავდა დამსაქმებელი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით, რამდენადაც მას უღირდა ამ სამუშაოს შესრულება, მიუხედავად იმისა, რა სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებდა შრომის ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნულ საქმეში, მხარეთა შორის ურთიერთობის მატერიალურ საფუძვლად საკასაციო პალატამ დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობები მიიჩნია, რომელიც რეგულირების თვალსაზრისით ემიჯნება შრომით ურთიერთობებს.

არაერთ საქმეში<sup>199</sup>, განმარტა საკასაციო პალატამ, რომ დირექტორსა და საზოგადოებას შორის დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა არ არის ტიპური შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშაკს შორის. ეს არის თავისებური კორპორაციული ურთიერთობა, რომლის მიმართაც შრომის კოდექსის გავრცელება არ შეესაბამება მენარმეთა კანონის მოთხოვნებს. შრომის კოდექსით მოწესრიგებულია საწარმოს დირექტორსა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკს შორის შრომითი ურთიერთობა, რომელიც, ჩვეულებრივ, შრომითსამართლებრივი ხასიათისაა, ხოლო დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა კი, უნდა მოწესრიგდეს მენარმეთა კანონით.

მართალია, წინამდებარე კვლევა შეეხება მენარმე სუბიექტების საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის საკითხსა და სამართალურ ურთიერთობის ნორმატიულ რეგულირებას, თუმცა საინტერესოა ისიც, რომ საკასაციო პალატა იმავე მოსაზრებას ავითარებს არაკომერციული (არასამენარმეო) იურიდიული პირების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობის პირების (დირექტორის) განთავისუფლების საკითხთან მიმართებითაც, იხ. სუსგ №ას-379-363-2016, 30 ივნისი, 2016 წელი, რომელშიც საკასაციო პალატამ განმარტა: „ა(ა)იპ-ის წესდების თანახმად, ა(ა)იპ-ის გაერთიანების დირექტორის დანიშვნა-განთავისუფლების ფარგლებში უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ პირს (მერს) და ააიპ-ის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს (დირექტორს) შრომის დადებული დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს ნებისმიერ დროს ხელეწიფებოდათ და სხვაგვარი შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილი იყო [სსკ-ის 720-ე მუხლი].“

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სამართლებრივ საკითხებს არეგულირებს სსკ-ის 35-ე მუხლი, რომლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება მენარმეთა კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისათვის განსაზღვრული წესები.

ერთ-ერთ საქმეში<sup>200</sup> განიმარტა, რომ მენარმეთა კანონის მითითებული ნორმა მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის მატერიალურ საფუძვლად ინტერესთა კონფლიქტს, საზოგადოების საქმიანობის კეთილსინდისიერად გაძღოლის ვალდებულების დარღვევას მიიჩნევს, რაც მოცემულ კონკრეტულ საქმეზე მოპასუხეს არ მიუთითებია და, ამდენად, მითითებული ნორმა დირექტორის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის

<sup>199</sup> იხ. სუსგ №ას-23-23-2016, 09 მარტი, 2016 წელი; 2001 წლის 30 მარტის განჩინება №3კ/259-01, 2003 წლის 26 ივნისის განჩინება №ას-68-767-03.

<sup>200</sup> იხ. სუსგ №ას-1028-970-2015, 03 თებერვალი, 2016 წელი.

მატერილურ-სამართლებრივ საფუძვლად ვერ გამოდგებოდა.

საგულისხმოა, რომ ზემოთ განხილულ საქმეში, საკასაციო პალატამ მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის პროცედურული საკითხების მოსაწესრიგებლად **სშკ-ის ნორმებით ხელმძღვანელობის უკიდურესი საჭიროება იმით დააბუთა**, რომ ა(ა)იპ **ნეს-დება** დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, რაიმე მატერიალურ საფუძველს **არ შეიცავდა**, ხოლო დირექტორთან შრომითი ურთიერთობა მოწერილებული იყო მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ამიტომ დირექტორის თანამდებობაზე გამწესება-გამონვევისა და მასთან შრომითი ურთიერთობის რეგულირების **მოსაწესრიგებლად** სპეციალური კანონით – სშკ-ით ხელმძღვანელობა ლეგიტიმური იყო.

### 9.3. საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის პრობლემა

საკასაციო პალატის მიერ დაკავებული თანამდებობიდან დირექტორის განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამსახურში აღდგენის მოთხოვნით აღძრული სარჩელი უარყოფილ იქნა იმ არგუმენტით<sup>201</sup>, რომ, მენარმეთა კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალური საზოგადოების საქმიანობის ძირითადად მიმართულებებსა და მიზნებს, ხოლო დირექტორი კი, ახორციელებს მათ, კანონისა და საერთო კრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

თავის მხრივ, დირექტორის კომპეტენციის ფარგლებს განსაზღვრავს მენარმეთა კანონის მე-9 მუხლი. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: „დირექტორის მიერ საწარმოს პარტნიორებთან შეუსაბამობასა და დაპირისპირებაში ყოფნა კანონთან და, ბუნებრივია, პარტნიორებთან შეუსაბამოდ მიიჩნევა. სწორედ დირექტორის უნარ-ჩვევებსა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული საწარმოს განვითარება. ამ რისკის საკომპენსაციოდ კი, პარტნიორებს უფლება აქვთ, გაათავისუფლონ დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან და ამ შემთხვევაზე, შრომის კოდექსის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს. შრომის კოდექსით მოწესრიგებულია ურთიერთობა საწარმოს დირექტორსა და მის დაქირავებულ მუშაკს შორის, რომელიც ჩვეულებრივი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამენარმეო, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს მენარმეთა კანონით. შესაბამისად, საზოგადოების დირექტორის ფუნქციათა თავისებურებებიდან გამომდინარე, დავის გადასაწყვეტად საქართველოს შრომის კოდექსით ხელმძღვანელობა კანონმდებლობით ნაკარნახევი არ არის...“

სხვა საქმეში<sup>202</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „დამსაქმებლის მოთხოვნა კონკურენტულ ადამიანურ რესურსებზე, ბუნებრივია, შრომითი ურთიერთობების დინამიურობისა და შრომით ბაზარზე ყოველდღიურად მზარდი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, თუმცა სამენარმეო გადაწყვეტილება, რომელიც მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადებას, მიღებას უკავშირდება, ექვემდებარება სამართლებრივ კონტროლს სასამართლოს მხრიდან. იმავდროულად, გასათვალისწინებელია, საწარმოს მენეჯმენტის მიზნები, ამიტომ საწარმოს ბიზნესგადაწყვეტილებისა და სამენარმეო პოლიტიკის განსაზღვრის თავისუფლების კვალობაზე, საკადრო პოლიტიკაში სასამართლოს ჩარევას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი, უნდა იყოს გონივრული

<sup>201</sup> იხ. სუსგ №ას-240-228-2016, 28 სექტემბერი, 2016 წელი.

<sup>202</sup> იხ. სუსგ №ას-941-891-2015, 29 იანვარი, 2016 წელი.

და პროპორციული“.

პრაქტიკაში გავრცელებულ შემთხვევაში, სამუშაოდან განთავისუფლებას ფაქტობრივ საფუძველად ედება საკონკურსო პირობების დაუკმაყოფილებლობა, შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების უქონლობა. ზემოაღნიშნულ საქმეში, საკასაციო პალატამ ისიც აღნიშნა, რომ დასაქმებულის უფლება აქვს, იცოდეს მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დასაბუთებული საფუძველი, შესაბამისად, კვლევასა და შეფასებას საჭიროებს მენეჯმენტის გადაწყვეტილების, განსახილველ შემთხვევაში, ჩატარებული საკვალიფიკაციო ატესტაციის თაობაზე დასაქმებულის ინფორმირების საკითხი, რათა შემდეგ დადგინდეს, რა მოთხოვნები იყო წაყენებული დასაქმებულისადმი, რამდენად მოულოდნელი იყო მისთვის დამსაქმებულის გადაწყვეტილება საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო პირობების შესახებ.

სხვა საქმეში<sup>203</sup>, დამსაქმებელმა დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლებას საფუძველად დაუდო სწორედ გამოცხადებული კონკურსის პირობების შესაბამისად, მის მიერ მიღებული ტესტირების შედეგების შეუსაბამობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა. დასაქმებულის სარჩელის საფუძველიანობის კვლევის მიზნით სააპელაციო სასამართლომ შეისწავლა ჩატარებული კონკურსის კანონიერება და მისი შედეგების ადეკვატურობა და მიიჩნია, რომ დამსაქმებელმა ხელოვნურად შექმნა ისეთი პირობები, რომ მუშაკთა განთავისუფლების კანონით გათვალისწინებული საფუძველი „დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან“ (სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი) წარმოეჩინა. სასამართლომ განმარტა, რომ შრომითი ხელშეკრულების ვადის ფარგლებში, ნებისმიერი ხელოვნური მიზეზის შემოტანა, რაც მუშაკის განთავისუფლების საფუძველი გახდებოდა და ეწინააღმდეგებოდა შრომის კოდექსს, უკანონო და დაუშვებელი იყო.

იმავედროულად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სშკ-ის მე-9 მუხლის ნორმატიული აღწერილობა: „შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულთან შესაძლებელია, მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, არაუმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით“, დამსაქმებელს აძლევდა შესაძლებლობას, კარგად გარკვეულიყო დასაქმებულის შრომით შესაძლებლობებში და ისე გაეფორმებინა მასთან ხელშეკრულება. სადავო შემთხვევაში, დამსაქმებელმა ვერ დაასაბუთა საატესტაციო გამოცდების აუცილებლობა. ამასთან, მან არ შექმნა დასაქმებულებისათვის შესაბამისი პირობები და მესამე პირებს მისცა საშუალება, დასაქმებულებისათვის კონკურენცია გაენიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა განთავისუფლების პროცედურა და შესაბამისი გადაწყვეტილებები იყო უკანონო. საქმის საკასაციო შემონმების ეტაპზე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსჯელობა, რომელიც უკავშირდებოდა საკონკურსო გასაუბრების გაუმჭვირვალე პროცესს, დასაქმებულებისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის შესაძლებლობას და ვარაუდს, რომ მოპასუხემ კონკურსის შედეგების შეფასების უფლება არამართლზომიერად გამოიყენა, არ ეფუძნებოდა კონკრეტულ ფაქტებს, აგრეთვე, შეუსწავლელი იყო ის წინაპირობები, რომელიც წინ უძღოდა კონკურსს [სსსკ-ის 105-ე მუხლი].

ამდენად, მართალია, მენარმე სუბიექტები წარმართავენ საკადრო პოლიტიკას კონკურენტუნარიან კადრებზე გამოწვევის საპასუხოდ, თუმცა, უკიდურესად მნიშვნელოვანია მხარეთა შორის (დამსაქმებელი-დასაქმებული) სამართლიანი ბალანსის დაცულო-

<sup>203</sup> იხ. სუსგ №ას-941-891-2015, 29 იანვარი, 2016 წელი.

ბა, რაც დასაქმებულის შრომითი უფლების შეწყვეტის საფუძვლის დეტალურ შესწავლასა და შეფასებას მოითხოვს.

#### 9.4. სოციალური დაცვის გარანტიები

საგულისხმოა, ისიც რომ იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ამ ურთიერთობას, გააჩნია დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფი მოთხოვნებიც, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის.

„ევროპის სოციალური ქარტია“ აღიარებს დასაქმებულის დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებიდან გამომდინარეობს და შეეხება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორიცაა: შრომის უფლება, რომელიც მოიცავს შრომის თავისუფლებას, უფლებას შრომის სამართლიან პირობებზე, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, უფლებას შვებულებაზე და სხვა (იხ. ასევე „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის II „d“ ქვეპუნქტი), რაც, სსკ-ის 35-ე მუხლისა და მენარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შესაძლოა, უფრო დეტალურად მოწესრიგდეს არასამენარმეო იურიდიული პირის წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით. თუკი ამგვარ პირობებზე მხარეთა შეთანხმების ფაქტი არ დგინდება, ასეთ შემთხვევაში, დირექტორის სოციალური უფლებების რეგულირებისათვის შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს, როგორც ეროვნული, ისე – საერთაშორისო კანონმდებლობით გარანტირებული დასაქმებულის დაცვის მინიმალური სტანდარტის დამდგენი დანაწესები.

ერთ-ერთ საქმეში<sup>204</sup> საკასაციო პალატამ იმსჯელა დირექტორის განთავისუფლების შემდეგ, მის სოციალურ გარანტიაზე, მართალია, აღნიშნულ დავაში მოსარჩელე წარმომადგენდა ა(ა)იპ-ის დირექტორს, თუმცა განსახილველი უფლების დაცვის კონტექსტში, მისი განხილვა ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი რეგულირება შესაძლოა, მენარმე სუბიექტებთან წარმოშობილი დავის რეგულირებისათვისაც იქნეს გამოყენებული, დამხმარე ნორმების სახით.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დამსაქმებლის მიზეზით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურების საკითხი სრულად ექცევა „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციის რეგულაციის სფეროში<sup>205</sup>, რომლის პირველი მუხლით დადგენილია მისი გამოყენების სფერო, თუმცა, იგი არ არის ამომწურავი და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით მოცემული ჩამონათვალთ კონვენციის მოქმედების შეზღუდვა მისი სწორი განმარტებიდან არ გამომდინარეობს. კონვენცია მიღებულია 1936 წელს, მაშინ, როდესაც მრავალი სპეციალიზაცია და საქმიანობის სახე არ არსებობდა (იხ. სუსგ №ას-1222-1073-10, 13 იანვარი, 2011 წელი. მოხმობილ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მხრიდან „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციის ფართო განმარტება და არ დაუშვა განსახილველად დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი). კონვენციის მე-6 მუხლით რეგლამენტირებულია შემდეგი: პირი, რომელიც გათავისუფლებულია მენარმის მიზეზით, მაგრამ, ვიდ-

<sup>204</sup> იხ. სუსგ №ას-131-127-2016, 23 სექტემბერი, 2016 წელი.

<sup>205</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 22.02.1995 დადგენილებით, ძალაშია 22.06.1997 წლიდან.



რე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს. განსახილველი ნორმის თანახმად, დასაქმებულისათვის მინიჭებული გამოუყენებელი ფასიანი შვებულების კომპენსაციის მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის ერთობლივად უნდა არსებობდეს რამდენიმე წინაპირობა.

კონვენციის მე-3 მუხლი უფლების მქონე პირის კომპენსაციად განიხილავს ეროვნული კანონებითა და წესებით განსაზღვრული ხერხით გამოთვლილ ჩვეულებრივ ჯილდოს შესაბამისი ფულადი ეკვივალენტის დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში – ან ჯილდოს, რომელიც განსაზღვრულია კოლექტიური შეთანხმებით. კონვენციის დებულებათა სწორი ანალიზისათვის მოცემულ საქმეში საკასაციო პალატამ პარალელი გაავლო ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული საკითხის მონესრიგებასთან და აღნიშნა: „...სშკ-ის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება, მიეცეს ამ ვადის გავლამდეც. ამ მხრივ, ეროვნული კანონმდებლობა აწესებს კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ (1-წლიანი უწყვეტი მუშაობა) უფლების მოპოვების სტანდარტზე დაბალ სტანდარტს, ხოლო 24-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე – დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო“.

პრაქტიკულ შემთხვევაში, დასაქმებულის თანამდებობაზე გამწესებისა და მისი გამონვევის თარიღების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა სრულად ექცეოდა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული მონესრიგების ზემოხსენებულ სტანდარტში და კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრული „ჯილდოს“ გამოანგარიშების წესი ასახული იყო სშკ-ის 26-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

## 9.5. პროცედურული საკითხები

### 9.5.1. მტკიცების ტვირთის გადანაწილება

არაერთი საკასაციო პრეტენზია შეეხება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებას. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა შრომითი დავების თავისებურება, დამსაქმებლისა და დასაქმებულის თავდაცვის საპროცესო საშუალებები, პრინციპები, რომლებიც ამ სამართალურთიერთობას უდევს საფუძვლად და, რომლებიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ურთიერთობის მატერიალურ მონესრიგებაზე, არამედ, დავის სასამართლოში განხილვის ეტაპზე პროცედურული საკითხების განსხვავებულად რეგულირებაზე და ა.შ.

სამართალწარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ორი ძირითადი წესი: **ზოგადი წესი**, რომელიც, სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, ეკისრება თითოეულ მხარეს და **სპეციალური წესი**, რომელსაც თავად გამოსაყენებელი მატერიალური ნორმა აწესებს. მოცემულ შემთხვევაში, სადავოა რა სამსახურიდან განთავისუფლების (შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა) მართლზომიერება, რომელიც უნდა შე-

მონმდეს შრომის სამართალში მოქმედი ნორმებით, უნდა ვიხელმძღვანელოთ მტკიცების ტვირთის განაწილების სწორედ იმ სტანდარტით, რომელსაც შრომის სამართალი აწესებს და რომლის თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული, ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან განთავისუფლების (შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის) კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. საკასაციო პალატის ამგვარი დასკვნის საფუძველია პრინციპი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა არაჯეროვნად შეასრულა დაკისრებული მოვალეობები ან, რომ მას არ გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია, ან არ ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს, რაც კონკრეტული ქმედებებით გამოიხატა, ვიდრე დასაქმებული, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას იმაზე, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა ან რომელ უნარ-ჩვევებს არ ფლობს, **მით უფრო, რომ ამა თუ იმ საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობის საკითხი შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება.**

ერთ-ერთ საქმეში<sup>206</sup> საკასაციო პალატამ იმსჯელა სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის სამართლებრივ საფუძველზე, რომლის წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევისას, დამსაქმებელი მიუთითებდა შემდეგზე: ა) მოსარჩელე ვერ ასრულებდა ბანკის მიერ დადგენილ სამუშაო ფინანსურ გეგმას; ბ) მის მიერ ჩატარებული პრეზენტაციები იყო ცუდი; გ) კლიენტებთან ურთიერთობაში იყო ზედმეტად შინაურული, ფამილიარული.

შესაბამისად, ამ შემთხვევაში, დამსაქმებელი იყო (მოპასუხე) ვალდებული, სათანადო მტკიცებულებებით დაედასტურებინა მოსარჩელის მიერ შრომითი მოვალეობების დარღვევისა და უნარ-ჩვევების არქონის ფაქტები, რაც სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველით მას სამსახურიდან განთავისუფლების მართლზომიერ საფუძველად შეეარაცხებოდა, რაც დამსაქმებელმა ვერ უზრუნველყო (განთავისუფლების „ა“ და „ბ“ საფუძველები), ხოლო, რაც შეეხება „გ“ საფუძველს, ეს გამოიხატებოდა ბანკის თანამშრომლის მხრიდან კლიენტებისადმი მიმართვით – „ღმერთმა დაგლოცოთ“ და ასახავდა ფამილიარულ დამოკიდებულებას, კლიენტების მომსახურების სფეროში მუშაობისას, მუშაკს განსაკუთრებით მართებს სიტყვების მაქსიმალურად სწორად შერჩევა, ვინაიდან კლიენტი თითოეულ სიტყვას აღიქვამს იმ ორგანიზაციის ნათქვამად, რომელსაც მუშაკი წარმოადგენს, თუმცა, საკასაციო პალატამ მიიჩნია, მიმართვა „ღმერთმა დაგლოცოთ“ ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ურთიერთობის სტანდარტებიდან და ფორმებიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა, შეფასებულიყო კლიენტებთან ფამილიარულ დამოკიდებულებად<sup>207</sup>.

<sup>206</sup> იხ. სუსგ №ას-151-147-2016, 19 აპრილი, 2016 წელი

<sup>207</sup> შტრ: საქმესთან Ivanova v. Bulgaria, N:52435/99, 12/04/2007, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში [ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა მე-14 მუხლთან მიმართებით]. აღნიშნულ საქმეში მომჩივანი დირექტორმა გაათავისუფლა სამსახურიდან თანამდებობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზით. როგორც მომჩივანი აცხადებდა, იგი გაათავისუფლეს მისი რელიგიური რწმენების გამო. მოვლენების თანმიმდევრულობის მთლიანობაში შეფასებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანი სამსახურიდან გაათავისუფლეს, სინამდვილეში, მისი რელიგიური რწმენის გამო, ის ფაქტი, რომ მომჩივანი სამსახურიდან სათანადო შრომით კანონმდებლობის შესაბამისად დაითხოვეს – მისი თანამდებობისათვის ახალი მოთხოვნების წაყენებით, რომელსაც ის ვერ აკმაყოფილებდა – არ გამოირიცხავს მისი განთავისუფლების არსებით მოტივს.

### 9.5.2. საგნობრივი განსჯადობა<sup>208</sup>

არაერთ საქმეში<sup>209</sup>, მხარეებმა სადავოდ გახადეს საგნობრივი განსჯადობა, იმ არგუმენტით, რომ მოპასუხეს წარმოადგენდა სახელმწიფოს 100%-იანი წილის მფლობელი საზოგადოება, რომლის პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებდა ერთ-ერთი სამინისტრო. აღნიშნული კი, დავის გადაწყვეტის სამართალწარმოების ადმინისტრაციულ წესზე მიუთითებდა. მხარეთა არგუმენტი უარყოფილ იქნა იმ დასაბუთებით, რომ საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების ბრძანება გამოიცემა მენარმეთა კანონის საფუძველზე და იგი შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ გამოსცა არა, როგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ მისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, არამედ – როგორც კერძო სამართლის სუბიექტმა, სამენარმეო საზოგადოების პარტნიორმა. შესაბამისად, საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ აქტი (ბრძანება) თავისი არსით განეკუთვნებოდა მენარმეთა კანონის თანახმად მიღებულ პარტნიორის გადაწყვეტილებას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ეს იყო კერძოსამართლებრივი და არა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ექვემდებარება განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

## თავი IX. საქართველოს ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში უცხო სახელმწიფოთა სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პრაქტიკული საკითხები

### 10.1. მიმოხილვა

სხვადასხვა ქვეყნის მენარმე სუბიექტებს შორის საქმიანი, ბიზნესურთიერთობების დამყარების გააქტიურების ფონზე, აქტუალურია, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობის აღიარების მოთხოვნა<sup>210</sup>. მეტადრე, იმის გათვალისწინებით, რომ აქტიურ ბიზნესურთიერთობებს ახლავს სასამართლო დავები დარღვეული უფლების აღდგენისა თუ სადავოდ გამხდარი უფლების დადგენის მოთხოვნით.

უცხო სახელმწიფოსათვის ამგვარი სამართლებრივი დახმარების განწვევის ამოსავალ პრინციპად ეფექტიანი და სწრაფი ვაჭრობის პრაქტიკული ინტერესი გვევლინება. თავად სამართლებრივი დახმარების არსი კი, ისაა, რომ უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის საფუძველზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებას ენიჭება ლეგიტიმაცია საქარ-

<sup>208</sup> აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო მონესრიგება „საგნობრივი განსჯადობის“ ტერმინს არ იცნობს, თუმცა საჯარო და კერძო სამართლის საფუძველებზე წარმოშობილი დავების განხილვის განსხვავებული სამართალწარმოების აღსანიშნავად, „საგნობრივი განსჯადობის“ ტერმინის მოხმობა განჭვრეტადია. შტრ: ი.გაგუა, „განსჯადობის პრობლემა მეორე ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას“, 2009 (№ 1) ჟურნალი „მართლმსაჯულება“.

<sup>209</sup> იხ. სუსგ №ას-240-228-2016,28 სექტემბერი, 2016 წელი; №ას-23-23-2016, 09 მარტი, 2016 წელი.

<sup>210</sup> ლ. გოთუა, „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“ (სადოქტორო ნაშრომი) 2010, 15. [https://www.tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/levan%20gotua.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/levan%20gotua.pdf). 20.04.20176.

თველოს ტერიტორიაზე უცხოური კომპონენტით დატვირთული სამართალწამოებისას. რა სახის გადაწყვეტილებების აღიარებასთან შეიძლება, ურთიერთობდეს ეროვნული სასამართლო.

აღსრულებადად ცხადდება, როგორც წესი, მიკუთვნებითი გადაწყვეტილებები, რომლის დროსაც საჭიროა გარკვეული ვალდებულებების აღსრულება. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, მეორეულ სახელმწიფოში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულებადად მიქცევას გააჩნია არა მტკიცებითი ფუნქცია, რომელიც უცხოური აღსრულებადადობის ქვეყნის შიგნით განვრცობას დაადასტურებდა, არამედ, საპროცესო ცვლილების დადასტურების ფუნქცია. ამის გამო, გადაწყვეტილებები, რომელთაც დამადასტურებელი და პროცესუალური ცვლილებების დამამტკიცებელი ფუნქციები გააჩნიათ, აღიარებითი გადაწყვეტილებები, მარტივად რომ ვთქვათ, არააღსრულებადა.

ამის გარდა, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა აღსრულებადაი გადაწყვეტილებებისა – „*exequatur sur exequatur ne vult*“, უცხოეთის გადაწყვეტილებები აღსრულდება, თუ ისინი, თავის მხრივ, სხვა სახელმწიფოს გადაწყვეტილებების აღსრულებას ეხება. შესაბამისად. საერთაშორისო პრაქტიკა უარყოფს ორმაგ აღსრულებას<sup>211</sup>. ასევე, აღსანიშნავია, რომ, ცნობისას, სავალდებულოა საბოლოო, საქმის არსებითი გადაწყვეტილების შემცველი აქტის არსებობა, მიუხედავად მისი დასახელებისა (დადგენილება, განჩინება, ბრძანება ა.შ).

აქედან გამომდინარე, უცხოეთის წინასწარი ანუ, შუალედური გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება ცნობას.

უცხოური ყადაღებისა და სხვა სახის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულებადად გამოცხადების შესაძლებლობას ითვალისწინებს სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები.

ლეგიტიმაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, არანაკლებ დასაფიქრებელია „დე ფაქტო“ ტერიტორიების პრობლემა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სახელმწიფოს გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია და ამ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლება მოკლებულია ეფექტიანი კონტროლის მექანიზმს.

უცხოური სახელმწიფო სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებებს ცნობს და აღსრულებადად აცხადებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა [„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: **სპეციალური კანონი**) 68.5 მუხლი].

საქართველოს უზენაესი სასამართლო, აგრეთვე, ახორციელებს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე [სპეციალური კანონის 731-ე მუხლი, სსსკ-ის 356<sup>22</sup> მუხლი და არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე-45-ე მუხლები<sup>212</sup>].

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო პრაქტიკა ამკვიდრებს დოქტრინას, რომელიც ცნობილია „**revizion au fond-ის**“ **აკრძალვის სახელით, რაც ნიშნავს, რომ** უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისას, ამღიარებელი სასამართლო არსებითად, ხელმეორედ არ გადახედავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართლებრივი დახმარების პროცესში არ ხდება უცხოური გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლის კვლევა, არამედ ხორციელდება კრედიტორის სასარგებლოდ უცხოუ-

<sup>211</sup> ლ. გოთუას დასახელებული ნაშრომი, 32.

<sup>212</sup> იხ. სუსგ №ა-1648-შ39-2016, 15 ივნისი, 2016 წელი; №ა-1756-შ-42-2016, 01 ივლისი, 2016 წელი.



რი გადაწყვეტილებისათვის შიდასახელმწიფოებრივი აღსრულებადობის მინიჭება.

წინამდებარე კვლევაში დამუშავებული გვაქვს ზოგიერთი პრინციპული საკითხები, რომლებიც წარმოადგენენ გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველებს.

## 10.2. საერთო და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია

სახელმწიფოების ეროვნულ სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციის საკითხები, როგორც წესი, რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით ანდა სპეციალური კანონებით<sup>213</sup>.

საერთაშორისო კომპეტენციის ცნება იცნობს ისეთ სახეებს, როგორიცაა – საერთო და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

სპეციალურ კანონში სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის საკითხებს დათმობილი აქვს მე-8 – მე-20 მუხლები. სპეციალური კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, „საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“. კანონის მე-9 მუხლი კი, ითვალისწინებს საერთო საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ შემთხვევებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც საქართველოს სასამართლოებს ენიჭებათ საერთაშორისო კომპეტენცია. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ: ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს; ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა; გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ეს ქმედება, ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა; დ) დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია; ე) მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია; ვ) სარჩელის საგანია სამემკვიდრეო უფლების დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და მამკვიდრებლის გარდაცვალებისას, საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.

განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია („specific contracts“) კი, ძირითადად გამოიყენება ცალკეული სახის სამოქალაქო სამართლებრივი დავების მიმართ. მის ცალკეულ შემთხვევებს ითვალისწინებს სპეციალური კანონის მე-10 მუხლი. ნორმის დანაწესით, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება: ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია; ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია; გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას; დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა; ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მოთხოვნა ან აღსრულება საქართველოში მოხდა.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრი-

<sup>213</sup> იხ. სუსგ №ა-842-შ-34-09, 06 ივლისი, 2000 წელი.

სას, ხშირად წარმოიშობა პრობლემა ე.წ. „კონკურირებადი საერთაშორისო იურისდიქციის შესახებ“. ეს იმ დროს ხდება, როდესაც მოდავე მხარეებს კანონმდებლობით ენიჭებათ უფლება, რამდენიმე შესაძლო სახელმწიფო იურისდიქციიდან, თავად ამოირჩიონ ყველაზე უფრო მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია. განასხვავებენ ორი სახის კონკურირებად საერთაშორისო იურისდიქციას – „კომპეტენციური კონფლიქტი“, ესენია: ა) პოზიტიურია კომპეტენციური კონფლიქტი, რომლის დროსაც, ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სასამართლოა კომპეტენტური, განიხილოს ესა თუ ის სამართლებრივი დავა. ბ) ნეგატიური კომპეტენციური კონფლიქტი, რომლის დროსაც გამოირიცხება რომელიმე სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის გამოყენება კერძო სამართლებრივ დავაში.

**კონკურირებადი საერთაშორისო იურისდიქციის შემთხვევაში, არჩევანის უფლებით სარგებლობს მოსარჩელე.** ასეთ დროს, მოსარჩელე ცდილობს, იმგვარად წარმართოს პროცესი, რომ მისი სარჩელი დაკმაყოფილდეს. ამისათვის, პირველ რიგში, მან დავა იმ ქვეყნის იურისდიქციას უნდა დაუქვემდებაროს, რომლის კანონმდებლობა მისთვის უფრო ხელსაყრელია. უცხო კომპონენტის შემცველ დავებთან დაკავშირებით, საქართველოს სასამართლოები საკუთარი კომპეტენციის დადგენისას ხელმძღვანელობენ სპეციალური კანონისა და სსსკ-ის კოდექსის შესაბამისი დებულებებით (თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომლის ხელშემკვრელი მხარეც არის საქართველო, სხვა რამეს არ ითვალისწინებს)<sup>214</sup>.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ შუამდგომლობაზე უარის თქმის საფუძველად საქართველოს განსაკუთრებული კომპეტენციის დარღვევა მიიჩნია, რომელიც განმტკიცებულია მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით (კონვენციის დებულება უპირატესია შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებით, სპეციალური კანონის მე-2 მუხლი) და რომლის ნორმატიული შინაარსი გადაწყვეტილებათა ცნობასა და მათი აღსრულების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველად მიიჩნევს იმგვარ სამართალურთიერთობებს, რომლებიც განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფოს საჯარო დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

დასახელებულ საქმეში მოთხოვნილი იყო სომხეთის რესპუბლიკის, არაგაცის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, რომლითაც დადგინდა, ერთი მხრივ, სომხეთის რესპუბლიკის არქივის 10.05.2007წ. №... საარქივო ცნობის, მეორე მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს 19.11.2007წ. ცნობის კონკრეტული პირისადმი კუთვნილების ფაქტი.

ფაქტის დადგენის ინტერესს, მხარის განმარტებით, წარმოადგენდა მემკვიდრეობის მიღება, მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებით არ ირკვეოდა სამკვიდროს მიღების უდავობა.

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს 110-ე მუხლის ნორმატიული დანაწესი სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებისა და ცვლილების შეტანის უფლებამოსილებას **ანიჭებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს, შესაცვლელი ჩანაწერის ადგილის მიხედვით.**

რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას, დასახელებული კანონის 112-ე მუხლის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერი შესწორდება და იცვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლო-

<sup>214</sup> იხ. სუსგ №ა-2135-შ-46-2015, 26 ოქტომბერი, 2015 წელი.

ბის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი; უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერს საქართველოს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანო არ ასწორებს და არ ცვლის.

ამდენად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა ან შესწორება მიჩნეულ იქნა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციად, რამაც გამოიწვია სხვა სახელმწიფოს ორგანოების ამგვარი უფლებამოსილება. ამავე განჩინებით, განიმარტა, რომ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემომითითებული ნორმებით დადგენილი დანაწესები ვრცელდება იურიდიული ფაქტების დადგენის საკითხებზეც, რამდენადაც უცხო სახელმწიფოს, ისევე, როგორც საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებებით დადასტურებული იურიდიული ფაქტები, გარკვეულ შემთხვევაში, შედეგობრივად უკავშირდება სამოქალაქო აქტების მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სააქტო ჩანაწერებში შესწორებასა თუ ცვლილების შეტანას. აღნიშნული, თავის მხრივ, უკავშირდება მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის ზემომითითებულ მოთხოვნასაც.

სხვა შუამდგომლობის<sup>215</sup> დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საპროცესო-სამართლებრივ საფუძვლადაც, საკასაციო პალატამ 1993 წლის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის **(შემდეგში: მინსკის კონვენცია)** 55-ე მუხლის „დ“ პუნქტი მიიჩნია, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს განსაკუთრებული კომპეტენციის არსებობა კი, დაასაბუთა მინსკის კონვენციის 42-ე მუხლით, რომლის ნორმატიული შინაარსი შეიცავს შემდეგ დანაწესს: „ზიანის ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა; თუ ზიანის მიმყენებელი და დაზარალებული ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქენი არიან, გამოიყენება ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა“.

ამდენად, ზიანის ანაზღაურების შესახებ დავის განხილვის კომპეტენცია გააჩნია იმ ქვეყნის სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც არსებობდა შემთხვევა ან სხვა გარემოება, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა. დაზარალებულს შეუძლია, აგრეთვე, სარჩელი წარუდგინოს იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც საცხოვრებელი ადგილი აქვს მოპასუხეს. კონვენციის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ 42-ე მუხლით მოწესრიგებული შემთხვევები განეკუთვნება ხელშემკვრელი მხარის სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

მოსმობილ საქმეში, შუამდგომლობის ავტორი მოითხოვდა უცხო ქვეყნის სასამართლოს იმ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, რომლითაც საქართველოს ერთ-ერთ სამინისტროს, ფიზიკური პირის სასარგებლოდ, დაეკისრა კომპენსაცია შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო. საქმის მასალებით კი დგინდებოდა, რომ თანხის დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოში მდებარე შახტში მოსარჩელის დასახიჩრების ფაქტი.

ამდენად, ნათელი იყო, რომ რუსეთის ფედერაციის სასამართლომ განიხილა საქმე ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დადგა და, მაშა-

<sup>215</sup> იხ. სუსგ №ა-1323-შ-28-2012, 02 ოქტომბერი, 2012 წელი

სადამე, მის განხილვაზე საქართველოს სასამართლოებს გააჩნდათ განსაკუთრებული კომპეტენცია [მინსკის კონვენციის 42-ე მუხლი].

სხვა საქმეში<sup>216</sup> უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების უარსაყოფად მოპასუხე დაეყრდნო უცხო ქვეყნის სასამართლოს მხრიდან კომპეტენციის დარღვევას და განმარტა, რომ (ა) მხარეთა შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების შესრულების ადგილი საქართველო იყო, შესაბამისად, სპეციალური კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, აღნიშნულ დავაზე სწორედ საქართველოს სასამართლოს გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია და (ბ) მეორე მოპასუხის საქმეში ჩართვის მიზანს სწორედ განსაკუთრებული კომპეტენციის გადალახვა წარმოადგენდა.

მოპასუხის შედავება კომპეტენციის დარღვევასთან მიმართებით (ა) უარყოფილ იქნა ხელშეკრულმხარეთა ნების ავტონომიისა და მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების იმ დათქმის გონივრული და მართებული განმარტების შედეგად, რომელიც მითითებას მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტაზე საქართველოს სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციის შესახებ არ შეიცავდა.

ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატამ, პირველ რიგში, განმარტა ხელშეკრულები მხარეთა ნების – ხელშეკრულების იმ ჩანაწერის სწორად განმარტების აუცილებლობა, რომელიც დავის მოგვარების საკითხებს შეეხებოდა და მიიჩნია, რომ მხარეებს დადებული ხელშეკრულების 12.2-ე მუხლით არ განუსაზღვრავთ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, **ამიტომაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა ექვემდებარებოდა განსახილველად საერთო სასამართლოებს**. განჩინებაში საკასაციო პალატამ ხაზი გაუსვა **ხელშეკრულების განმარტების მნიშვნელობას, განმარტების მეთოდებს, განმარტების მიზანს და** მიიჩნია, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს **მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია, ვინაიდან**, სპეციალური კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით. საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების (ძალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან) 21-ე მუხლის თანახმად, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სასამართლოები კომპეტენტური არიან, განიხილონ სამოქალაქო საქმეები, თუ მოპასუხეს მათ ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი. იურიდიულ პირთა მიმართ წარდგენილ სარჩელებზე ისინი კომპეტენტური არიან, **თუ მხარის ტერიტორიაზე არის იურიდიულ პირთა მმართველობის ორგანო, წარმომადგენლობა ან ფილიალი**. ამავე ხელშეკრულების 40-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ცნობენ და აღასრულებენ იუსტიციის დაწესებულებების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე, ხოლო 42-ე მუხლის თანახმად კი, აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა აღსრულდეს.

„მინსკის კონვენციის“ მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე მოპასუხე, რომელთა საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი) მდებარეობს სხვადასხვა ხელშეკრული მხარეების ტერიტორიაზე, დავა განიხილება ნებისმიერი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფლის მიხედვით) მოსარჩელის არჩევით. საკუთრების უფლებასთან ან სხვა სანივთო უფლებებთან დაკავშირე-

<sup>216</sup> იხ. სუსგ №ა-2135-შ-46-2015, 26 ოქტომბერი, 2015 წელი.



ბულ სარჩელზე კომპეტენტური არიან მარტოოდენ სასამართლოები ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, **გადაწყვეტილება გამოტანილი იყო საქმეში მონაწილე ორი მოპასუხის წინააღმდეგ**, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია, მოსარჩელის არჩევით. მოპასუხის მეორე (ბ) არგუმენტთან დაკავშირებით, რომ მას მეორე მოპასუხესთან რაიმე ურთიერთობა არ გააჩნდა და მოსარჩელე მეორე მოპასუხის პროცესში თავდების სახით ხელოვნურად ჩაერთო, მხოლოდ ერთი მიზნით – გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს გასჩენოდათ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია, საკასაციო პალატამ მიუთითა „revizion au fond“-ის **აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპზე, რომელიც გამორიცხავდა გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამონმების იურიდიულ ვალდებულებას**.

### 10.3. დავის განხილვის ალტერნატიულ წესზე შეთანხმება

საკასაციო პალატის ერთ-ერთი განჩინებით ლონდონში საარბიტრაჟო ტრიბუნალის „adhoc“ (ერთპიროვნული არბიტრის) 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებას უარი ეთქვა<sup>217</sup>. შუამდგომლობის მოპასუხემ **წარმოადგინა მოსაზრება მისი უარყოფის თაობაზე, რომელიც დაეფუძნა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:** (ა) არ არსებობდა მხარეთა შეთანხმება დავის არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტის შესახებ; (ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს, ვინაიდან ხელშეკრულების 5.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმება არ შეიცავდა დავის განმხილველი არბიტრაჟის კონკრეტულ დასახელებას. **იმავედროულად**, დარღვეული იყო მხარეთა თანასწორობის პრინციპი; (დ) დაირღვა მითითება გამოსაყენებელი სამართლის შესახებ.

არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენის მიზნით, საკასაციო პალატამ გამოარკვია ხელშემკვრელ მხარეთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულების იმ დებულების შინაარსი, რომელიც დავის გადაწყვეტის წესს განსაზღვრავდა. დებულების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით: **„ყველა სადავო საკითხს ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მხარეები გადაწყვეტენ, ურთიერთმოლაპარაკების გზით. შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება ინგლისის სამართლის გამოყენებით, იურისდიქციის ადგილი – ლონდონი“**. საკასაციო პალატამ დადგენილი პრაქტიკისა და დოქტრინიორული მითითებების გამოყენებით<sup>218</sup> განმარტა მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება და გამოიტანა დასკვნა, რომ მხარეთა შორის დავის არბიტრაჟის მეშვეობით მოგვარების შესახებ შეთანხმებას მითითებული ნორმა არ შეიცავდა.

დადგენილი პრაქტიკის მიხედვით<sup>219</sup>, ხსენებული საარბიტრაჟო დათქმა (შეთანხმება არბიტრაჟზე) ნამდვილი არ იყო, ვინაიდან ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული და არც იმგვარად არ არის შეთანხმება ჩამოყალიბებული, რომ, მისი შინაარსის მიხედვით, შე-

<sup>217</sup> იხ. სუსგ №ა-887-შ-21-2016, 26 აგვისტო, 2016 წელი.

<sup>218</sup> იხ. სუსგ №ა-2135-შ-46-2015, 26 ოქტომბერი, 2015 წელი.

<sup>219</sup> იხ. სუსგ №ას-804-858-2011, 27 ივნისი, 2011 წელი.

საძლებელი იყოს განსაზღვრა, რომელ არბიტრაჟს ეხება დათქმა. დაუშვებელია, საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის ან ერთობლივად არბიტრაჟისა და სასამართლოს განსჯადობა გამომდინარეობდეს.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, შეთანხმებაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული და არც იმგვარად არ არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები. დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ზოგადი დათქმა დავის კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე არ შეიძლებოდა, მიჩნეულიყო „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო შეთანხმებად, ვინაიდან მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების არსებით პირობაზე – კონკრეტულ არბიტრაჟზე, რომლის კომპეტენციასაც აღიარებს ორივე მხარე (სუსგ №ას-416-389-2010, 28.06.2010წ.). ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 (1) მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია ერთ-ერთი საფუძველი, რომლითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას შეიძლება, უარი ეთქვას იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს მხარე უფლებამოსილ ორგანოს წარუდგენს იმის მტკიცებულებას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება გამოტანილი იყო იმ დავის შესახებ, რომელიც სცილდებოდა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. ხელშეკრულების იმ დებულების განმარტებით, რომელიც ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, ყველა სადავო საკითხს გადაწყვეტდა მხარეთა ურთიერთმოპალარაკების გზით, ხოლო შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, ინგლისის სამართლის გამოყენებით. მუხლის სათაურისა და მისი შინაარსის ერთობლივი გაანალიზებითა და „ვინრო“ ინტერპრეტაციით, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მომავალში წარმოშობილ დავაზე, მხარეებმა გაითვალისწინეს დათქმა, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებდა დამატებით შეთანხმებასა და დაზუსტებას და, ზოგადად, არ კონკრეტდებოდა ინგლისური სამართლის გამოყენების გარდა, რომელიმე არბიტრაჟის, ინსტიტუციური თუ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილი ე.წ. „ad-hoc“ არბიტრის ან სასამართლოს მიერ თუ განიხილებოდა საქმე. უფრო მეტიც, დასახელებული მუხლის რუსულენოვან ტექსტზე დაყრდნობით, მხარეებს, დავის მოლაპარაკების გზით შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობები უნდა მოენესრიგებინათ და განემარტათ ინგლისის სამართლის გამოყენებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ შუამდგომლობის ავტორის პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც, რომ ხელშეკრულების მე-5 მუხლის სათაური „არბიტრაჟი“ საარბიტრაჟო განხილვას ნიშნავს, მხოლოდ იმას ადასტურებდა, რომ მხარეებმა გაითვალისწინეს საარბიტრაჟო დათქმა ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით და არ შეთანხმებულან კონკრეტულ არბიტრაჟზე.

**ამ დავაში, საკასაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მე-5 მუხლის შინაარსი, საარბიტრაჟო დათქმის განმარტების შემთხვევაშიც კი, განიხილებოდა, როგორც ხელშეკრულების ნაწილი და ეხებოდა ჯერ არარსებულ, მომავალში ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავის ინგლისის სამართლისათვის დაქვემდებარებას მხარეთა შეთანხმებით.**

საარბიტრაჟო დათქმისაგან განსხვავებით, საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც ზოგადი ცნებაა, შესაძლოა, საარბიტრაჟო ხელშეკრულებასაც ეხებოდეს, რომელიც იდება მხარეთა შორის უკვე წარმოშობილი დავის გამო და მის, საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, გადანყვეტას.

განსახილველ დავაში დადგენილ იქნა, რომ მოსარჩელემ არა ხელშეკრულების შესრულება, არამედ ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. ამ მოთხოვნაზე იმსჯელა ერთპიროვნულმა არბიტრმა, შესაბამისად, იმის დაშვებითაც, რომ ხელშეკრულების მე-5 მუხლი არის საარბიტრაჟო დათქმა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დათქმა მომავალში, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დავას შეეხებოდა; არბიტრმა კი, განიხილა საკითხი ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მაშასადამე, არბიტრმა იმსჯელა გამყიდველის მიერ წარდგენილ მეორად მოთხოვნაზე, რომელიც ეხებოდა ზიანის ანაზღაურებას, რაც არ გამომდინარეობდა მე-5 მუხლით გათვალისწინებული დათქმიდან.

#### 10.4 აღსრულება

საკასაციო პალატამ საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი შუამდგომლობის<sup>220</sup> დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად საქართველოს ტერიტორიაზე მისი აღსრულების დაუშვებლობა მიიჩნია. გადანყვეტილება, რომლის ცნობასა და აღსრულებას კონკრეტული შუამდგომლობის ავტორი ითხოვდა, ეფუძნებოდა ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადანყვეტილებას. სსსკ-ის 142-ე მუხლი კი, ერთმნიშვნელოვნად ადგენს სასამართლო გადანყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის 10-წლიან ვადას. სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ნორმატიულ შინაარსიც იმას გულისხმობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ექვემდებარება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადანყვეტილება, არამედ – მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადანყვეტილება.

**უცხო ქვეყნის მიერ გამოტანილი გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ნიშნავს, რომ ამ გადანყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე მოჰყვება იგივე სამართლებრივი შედეგი, რასაც გადანყვეტილება მის გამომტან ქვეყანაში ისახავს მიზნად.** სხვა შუამდგომლობა<sup>221</sup> საკასაციო პალატამ განუხილველად იმ არგუმენტით დატოვა, რომ შუამდგომლობის ავტორმა ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ საქართველოში არსებულ მოძრავ ქონებაზე, მოვალეს გააჩნდა საკუთრების უფლება და გადანყვეტილების ლეგიტიმაციის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა მისი აღსრულება (სპეციალური კანონის 70-ე მუხლი). შუამდგომლობაზე თანდართული ერთ-ერთი კერძო კომპანიის ცნობა, რომლის მიხედვით, 2010 წლის 15 თებერვლის მონაცემებით, ბათუმის ტერმინალში მოპასუხის („ტვირთიმბლები“) სახელზე ინახებოდა გარკვეული რაოდენობის გოგირდის დაბალი შემცველობის გაზოილი, პალატამ არ მიიჩნია მოპასუხის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ნავთობპროდუქტების საკუთრებაში ქონის დამადასტურებელ დასაშვებ მტკიცებულებად და განმარტა, რომ სატრანსპორტო დოკუმენტაციაში პირის ტვირთიმბლებად დასახელების ფაქტი, ტვირთზე პირის საკუთრების უფლების დამადასტურებელ მტკიცებულებას როდი წარმოადგენდა [სსსკ-ის 105-ე, 102.3 მუხლები].

<sup>220</sup> იხ. სუსგ №ა-1985-შ-68-09, 26 მარტი, 2010 წელი.

<sup>221</sup> იხ. სუსგ №ა-1302-შ-31-2010, 06 ივლისი, 2010 წელი.

## 10.5. შემოწმების ფორმალური ფარგლები

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო პრაქტიკა ამკვიდრებს დოქტრინას, რომელიც ცნობილია „revizion au fond-ის“ აკრძალვის სახელით და იმაში მდგომარეობს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისას, ამლიარებელი სასამართლო მათ არსებითად, ხელმეორედ არ გადახედავს<sup>222</sup>. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სამართლებრივი დახმარების პროცესში უცხოური გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლის კვლევა არ ხდება, არამედ კრედიტორის სასარგებლოდ უცხოურ გადაწყვეტილებებს შიდასახელმწიფოებრივი აღსრულებადობა ენიჭება. ამის თვალსაჩინო მაგალითია განჩინება: №ა-2135-შ-46-2015, 26 ოქტომბერი, 2015 წელი, რომელშიც, საკასაციო პალატამ უარყო მოპასუხის შედავება სამართალწარმოებაში მეორე მოპასუხის ჩაბმის მიზანშეუნოვნობასთან მიმართებით, იმ არგუმენტით, რომ „საერთაშორისო სამართლებრივ ბრუნვაში მრავალი ქვეყანა მისდევს „revizion au fond“-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას“<sup>223</sup>.

არანაკლებ საინტერესოა, აქვს თუ არა მეორადი სახელმწიფოს მოსამართლეს უფლება, ეჭვქვეშ დააყენოს ის მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნა, რომელიც საფუძვლად დაედო უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებას.

საზღვარგარეთის სახელმწიფოებში ამაზე შედავების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მოპასუხეს (შესაგებელი უცხოური გადაწყვეტილების მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის მიმართ) და მიღებული პრაქტიკაა<sup>224</sup>, იმ პირობით, თუ ეს პრეტენზიები დასაბუთებულია და წარმოიშვა მას შემდეგ, რაც უცხო ქვეყნის სასამართლომ უკვე გამოიტანა თავისი გადაწყვეტილება. ეს პრობლემა ხშირად განიხილება საზღვარგარეთის შესაბამის იურიდიულ ლიტერატურაში, არაერთი ავტორი ემხრობა ასეთი შესაგებლების დასაშვებობას. ეს იმ არგუმენტით საბუთდება, რომ, ნინაალმდეგ შემთხვევაში, ეს იქნებოდა საქმის მოსმენის პრინციპის ხელყოფა. მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით, გაუმართლებელი და არამიზანშეუნოვანია მოპასუხისთვის ერთი და იმავე შესაგებლების ორჯერ წამოყენების შესაძლებლობის მიცემა.

ერთ-ერთი შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხის განხილვისას, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხის განხილვისას, იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეემოწმებინა გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი და განმარტა, რომ შუამდგომლობის განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლო ამომწმებს სპეციალურ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან შუამდგომლობის ფორმალურ შესაბამისობას და არ არკვევს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს. შესაბამისად, მოპასუხის მოსაზრებაში მოყვანილი გარემოებები, გადაწყვეტილებით დადგენილი აღსასრულებელი მოთხოვნის შემცირებასთან დაკავშირებით ვერ გახდება საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი.

<sup>222</sup> იხ. სუსგ №ა-2879-შ-40-2011, 31 ოქტომბერი, 2011 წელი.

<sup>223</sup> აგრეთვე, იხ. სუსგ №ა-952-შ-23-2016, 6 ივლისი, 2015 წელი; სუსგ №ა-2135-შ-46-2015, 26 ოქტომბერი, 2015 წელი.

<sup>224</sup> შდრ: ლ.გოთუას დასახელებული სამეცნიერო ნაშრომი, 56.



## 10.6. პროცესის მონაწილე მხარის ინფორმირებულობა

პროცესის მონაწილე მხარის ინფორმირებულობის წესის დარღვევა არაერთხელ გამოხდარა შუამდგომლობის უარყოფის საფუძველი. მსგავს ვითარებაში, საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, რომლის ნორმატიული შინაარსი ავალდებულებს სასამართლოს, უარი თქვას საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე თუ, გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოცხადების თაობაზე ან სხვა საპროცესო დარღვევები განხორციელდა.

სპეციალური კანონის მე-2 მუხლისა და მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შუამდგომლობას უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების სხვა ხელშემკვრელი ქვეყნის ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მხარე, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია სასამართლო სხდომაზე და რომლის საწინააღმდეგოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, დადგენილი წესით და დროულად იყო მინვეული სასამართლოში. ამავ კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუკი მოპასუხეს მონაწილეობა არ აქვს მიღებული პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის წარმომადგენელს დროულად და შესაბამისი წესით არ ეცნობა სასამართლოში გამოცხადების თაობაზე.

ერთ-ერთ შუამდგომლობაში<sup>225</sup> ირკვეოდა, რომ მოპასუხეს არც უწყება და არც დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაბარდა. გზავნილის ჩაუბარებლობის მიზეზად დასახელებულ მისამართზე ადრესატის არყოფნა დასახელდა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდებოდა ადრესატისათვის კორესპონდენციის უშუალოდ ჩაბარება, საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ 1996 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების მე-11 მუხლით. დასახელებული ნორმით დადგენილია, რომ, თუ სასამართლო ან არასასამართლო დოკუმენტები ეხება პირს, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი გააჩნია ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე, მაშინ ხელშეკრულების მონაწილე მხარის ცენტრალური ორგანო უგზავნის ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ცენტრალურ ორგანოს დავალებას შეტყობინების ან დოკუმენტების გადაცემის შესახებ. ხელშეკრულების 5.2 მუხლის თანახმად, ასეთ ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს შესაბამისი სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტრო. მოცემულ შემთხვევაში, საქმის განმხილველ სასამართლოს ამგვარი წესით მოპასუხე არ მოუწვევია, რის გამოც, მიჩნეულ იქნა, რომ პროცესის თაობაზე მხარე დადგენილი წესით არ გაუფრთხილებიათ, ეს კი, გამორიცხავდა ამგვარი გადაწყვეტილების ეგზეკუტურას საქართველოს ტერიტორიაზე<sup>226</sup>.

## 10.7. ნაცვალგების პრინციპი

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთი შუამდგომლობაზე უარის თქმის საფუძველად ნაცვალგების პრინციპი<sup>227</sup> დაასახელა. საკასაციო პალატის განმარტებით,

<sup>225</sup> იხ. სუსგ №ა-2257-შ-73-09, 02 მარტი, 2010 წელი.

<sup>226</sup> იხ. სუსგ №ა-3548-შ-77-2015, 25 მარტი, 2016 წელი.

<sup>227</sup> იხ. სუსგ №ა-2046-შ-57-2010, 20 დეკემბერი, 2010 წელი.

სპეციალური კანონის 68-ე მუხლის „ე“ პუნქტი ორ სიტუაციას მოიცავს: (ა) საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს შორის არ არსებობს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება, რომლის ძალითაც მხარეებს ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობის ვალდებულება ეკისრებათ; (ბ) უცხო ქვეყანა, გარკვეული მოსაზრებებიდან და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ცნობს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა საერთაშორისო შეთანხმება.

დასახელებულ საქმეში, სასამართლო აქტები, რომელთა ცნობასაც შუამდგომლობის ავტორი ითხოვდა, მიღებული იყო ისრაელის სასამართლოს მიერ. საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის რაიმე ორმხრივი შეთანხმება სამართლებრივი დახმარების განხორციელების ან სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შესახებ არ არსებობს. მხარეები არც რომელიმე მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების წევრები არ იყვნენ, რომლებიც ამგვარ საკითხებს ანეხრივებენ. მაშასადამე, დადგენილ იქნა, რომ ისრაელის სახელმწიფოს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასთან დაკავშირებით რაიმე ვალდებულება არ აქვს ნაკისრი, რაც სპეციალური კანონის 68-ე მუხლის „ე“ პუნქტის სამართლებრივი საფუძვლით საქართველოს სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად იქნა მიჩნეული.

## 10.8. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხთან ერთად იმსჯელა, აგრეთვე, **ამავე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივ პრობლემაზე**<sup>228</sup>.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის პრობლემურობა განაპირობა არსებულმა სამართლებრივმა მოწესრიგებამ; მხედველობაშია, ამ მიმართულებით არსებული ნორმატიული საფუძვლები, რომლებიც პირდაპირ არ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფის ღონისძიების ეროვნული სასამართლოს მიერ გამოყენების შესაძლებლობას.

**ამოსავალი არგუმენტი, რამაც განაპირობა ეროვნული სასამართლოს მხრიდან აღნიშნული სამართლებრივი ვაკუუმის ყველაზე რელევანტური გადაწყვეტა მდგომარეობდა სწორედ იმაში, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მატერიალურსამართლებრივი შედეგის მარტოოდენ ცნობითა და აღსასრულებლად მიქცევით, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, აზრი დაკარგოს, თუკი მხარე, რომლის სასარგებლოდაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული, საპროცესო უზრუნველყოფის მიღმა აღმოჩნდება; ასეთ ვითარებაში, მხარის კანონიერი უფლებები და ინტერესები მნიშვნელოვნად დაზიანდება, რაც კანონმდებლის ინტერესს, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება.**

**ამ მოცემულობაში, საკასაციო პალატამ არსებული სამართლებრივი პრობლემა გადაჭრა სპეციალური კანონის მე-20 მუხლის ფართოდ განმარტების გზით და აღნიშნა**

<sup>228</sup> იხ. სუსგ №ა-4330-შ-121-2016, 09 დეკემბერი, 2016 წელი

შემდეგი: „აღნიშნული მუხლის ნორმატიული მოწესრიგების პირობებში საქართველოს უზენაესი სასამართლო აღჭურვილია უფლებით უცხო ქვეყნის სასამართლოში მიმდინარე საქმეზე გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ნორმით განსაზღვრულ შემთხვევებში. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ნორმის რეგულირების ქვეშ სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფასაც უნდა ვიგულისხმოთ, რამდენადაც სწორედ სასამართლოა ის ორგანო, რომელსაც შეუძლია, მხარე გადაწყვეტილების აღსრულებლობის რისკისგან დაიცვას. ამასთან, რამდენადაც კანონმდებელმა ეროვნულ სასამართლოს უცხო ქვეყანაში არსებული დავიდან გამომდინარე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლება მიანიჭა, უპრიანია ეს უფლება უკვე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნებისათვისაც იქნეს რელევანტური. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სპეციალური კანონის მე-20 მუხლის იმგვარად განმარტება, რომ მისი რეგულირების ქვეშ სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად იგულისხმებოდეს, უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების უზრუნველყოფაც“.

საგულისხმოა, ზემოთდასახელებული კანონის მე-20 მუხლის მიზნებისათვის სარჩელის უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილების უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობების დაცულობაც, რომლებიც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას შემდეგი ორი ფაქტობრივი მოცემულობისას ითვალისწინებს: ა. თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი; ბ. საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია გააჩნია.

**განსახილველ შუამდგომლობაში ზემოაღნიშნული პირობები სახეზე იყო.** შედეგად განცხადება აშშ-ის ნიუ ჯერსის შტატის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების (ბრძანების) აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასა და საბანკო ანგარიშებს განჩინებაში მითითებული რეკვიზიტებისა და თანხის ფარგლებში.

## 10.9. სამართლებრივი ანალიზი

პრინციპული საკითხების პრობლემატიკის კვლევასთან ერთად, განხორციელებული საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის სფეროში ქართული სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, დროული და მნიშვნელოვანია საქართველოს დასავლეთის სახელმწიფოებთან სამართლებრივი ინტეგრაციის თავალსაზრისითაც.

განხილული პრაქტიკული მაგალითები საფუძველს გვაძლევს, ჩამოვაცალიბოთ სამართლებრივი დასკვნა იმის მიხედვით, თუ რა შემთხვევაშია საქართველოს სახელმწიფო უფლებამოსილი, უარი თქვას უცხო ქვეყნის სასამართლო თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე.

სასამართლო უარს იტყვის ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე თუ:

(1) იმ ხელშეკრული სახელმწიფოს სასამართლოს არ გააჩნდა საქმის განხილვაზე საერთაშორისო განსჯადობა და ამასთან, არ არსებობს მხარეთა შორის არსებული დოკუმენტი, ხელშეკრულება, რომელიც მას ამის უფლებას მიანიჭებდა. მაშასადამე, ეს ის საქმეებია, რომლებიც საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება.

აღნიშნული დებულება ეყრდნობა სპეციალური კანონის მე-10 მუხლს, რომლის ნორმატიული შინაარსი აგებულია „numerous klausus“ პრინციპზე და, ამდენად, ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს იმგვარი სამართალურთიერთობებისა, რომელთა არსებობის შემთხვევაში, საქმე განსახილველად ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს სასამართლოს. ამგვარ საქმეთა რიცხვს მიეკუთვნება სარჩელები, რომლებიც ეხება: ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია; ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის, ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია; გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას; დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა; ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

(2) გადაწყვეტილებას არ გააჩნია კანონიერი ძალა გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით;

(3) შუამდგომლობა არ არის წარმოდგენილი დასაშვებ ენაზე. საგულისხმოა, რომ მითითებას შუამდგომლობის ენაზე, ითვალისწინებს როგორც მინსკის კონვენცია, ასევე, ჰააგის კონვენციებიც. მაგ. მინსკის კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, შუამდგომლობის შემსრულებელი იუსტიციის დაწესებულება დოკუმენტებს გადასცემს თავისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესების თანახმად, თუ ისინი შედგენილია სახელმწიფო ენაზე ან რუსულ ენაზე, ან/და თარგმნილია ერთ-ერთ მათგანზე.

(4) დოკუმენტების ნამდვილობა ეჭვს იწვევს. დოკუმენტების ავთენტურობას შეეხება მინსკის კონვენციის მე-13 მუხლი, რომლის დანაწესი დოკუმენტების ნამდვილობის მიზნებისათვის საკმარისად მიიჩნევს, იგი გამოცემული იყოს მისთვის დადგენილი ფორმით, ხელმოწერილი იყოს უფლებამოსილი პირის მიერ და დასმული ჰქონდეს გერბიანი ბეჭედი. „ასეთ დოკუმენტს, რომელიც მიღებულია ხელშემკვრელი ქვეყნის ტერიტორიაზე და განიხილება როგორც ოფიციალური, სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როგორც საჯარო დოკუმენტს, გააჩნია მტკიცებულებითი ძალა. ნორმის შინაარსი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მსგავსი საბუთები არ მოითხოვს არც ლეგალიზაციას<sup>229</sup> და არც აპოსტილით<sup>230</sup> დამოწმებას“<sup>231</sup>.

(5) სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, აღიარებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ, გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები. ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია ყურადღების მიღმა დავტოვოთ ენობრივი ბარიერის პრობლემა.

დაისმის კითხვა: მხარეს, რომელსაც ჩაჰბარდა უწყება კანონით გათვალისწინებული წესის თანახმად, მაგრამ არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე, აქვს თუ არა უფლება,

<sup>229</sup> ლეგალიზაცია – სპეციალური პროცედურა, რომლის თანახმად დოკუმენტის ნამდვილობას ადასტურებს იუსტიციის სამინისტრო, შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბოლოს კი – იმ ქვეყნის საკონსულო, სადაც უნდა გაიგზავნოს საბუთი. ამის შემდეგ ენიჭება დოკუმენტს იურიდიული ძალა.

<sup>230</sup> apostille – სახელმწიფოს ოფიციალური დაწესებულებების მიერ გაცემულ დოკუმენტებზე გაკეთებული სპეციალური აღნიშვნა, რომლითაც დასტურდება ამ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნამდვილობა. ასეთ სახის საბუთი შემდგომში აღარ მოითხოვს ლეგალიზაციას.

<sup>231</sup> ბ. ლილუაშვილი, „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში“ (სადოქტორო დისერტაცია), 2009, 47. [https://www.tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/bakur%20li-luashvili.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/bakur%20li-luashvili.pdf). 20.04.2017.



განაცხადოს, რომ იგი სათანადოდ არ იყო ინფორმირებული.

სამართალწარმოების ენასთან დაკავშირებით, საინტერესოა ეროვნული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც მართალია შეეხება საერთო სასარჩელო წესით განსახილველ დავას, თუმცა, პრაქტიკული შემთხვევა საინტერესოა: პროცესის მონაწილე მხარემ, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში, უშუალო კომუნიკაციის ეტაპზე (სასამართლო სხდომა) მონაწილეობდა თარჯიმნის მეშვეობით, სადავოდ გახდა სააპელაციო საჩივრის მისთვის გასაგებ ენაზე ჩაუბარებლობა და ამ არგუმენტით, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება (სსკ-ის 232<sup>1</sup> დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო). კონკრეტულ საქმეში, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პროცესის მონაწილე აპელანტის მონაწილეობა მხარეს წარმოადგენდა ერთ-ერთი სსიპ-ი, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობდა მოპასუხედ. მაშასადამე, მას გონივრული მოლოდინი ჰქონდა, რომ საქმის განხილვა გაგრძელდებოდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოშიც. შესაბამისად, თუნდაც თეორიული თვალსაზრისით, ენობრივი ბარიერის გამო, მას ვერ გაერკვია ჩაბარებული საპროცესო დოკუმენტის შინაარსი, გააჩნდა იმისი ლეგიტიმური ვალდებულება, გამოცხადებულიყო სასამართლოში, გონივრულ ვადაში და მოეთხოვა საპროცესო დოკუმენტის მისთვის გასაგებ ენაზე ჩაბარება. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, აპელანტის მონაწილეობა მხარის – სსიპ-ის ინტერესებს სააპელაციო სასამართლოში წარმოადგენდა დირექტორი, რომელიც ვალდებული იყო მესამე პირებთან, მათ შორის, სასამართლოში, ჯეროვნად დაეცვა წარმომდგენის ინტერესები<sup>232</sup>. სხვა სამოქალაქო საქმეზე კი, საკასაციო პალატამ გაიზიარა პროცესის მონაწილე მხარის (ფიზიკური პირი) პრეტენზია მისთვის გასაგებ ენაზე საპროცესო დოკუმენტის (ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება) ჩაუბარებლობისა და, აქედან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე და მიიჩნია, რომ, ვინაიდან ზემდგომის სასამართლოსათვის ცნობილი იყო, რომ აპელანტი პირველი ინსტანციის სასამართლოში სარგებლობდა თარჯიმნის დახმარებით, არსებობდა იმისი ლეგიტიმური მოლოდინი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს საპროცესო დოკუმენტები გაეგზავნა აპელანტისთვის გასაგებ ენაზე. განჩინების ამოსავალ დებულებას წარმოადგენს სამართალწარმოების ენობრივი ბარიერის გადალახვაში სასამართლოს პოზიტიური ვალდებულების შესრულება არამხოლოდ უშუალო კომუნიკაციის ეტაპზე, არამედ ვერბალური კომუნიკაციის ეტაპზეც, მით უფრო, როდესაც პროცესის მონაწილე მხარეს ფიზიკური პირი წარმოადგენდა, რომელიც ადვოკატის კვალიფიციური დახმარებით არ სარგებლობდა [სსკ-ის მე-9 მუხლი, ევროკონვენციის მე-6 მუხლი]<sup>233</sup>.

(6) სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში<sup>234</sup>.

(7) ნაცვალგების პრინციპის მიხედვით, საქართველოს სასამართლო უარს ამბობს გადაწყვეტილების ცნობაზე, თუ უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გა-

<sup>232</sup> შდრ: სუსგ №ას-217-209-2013, 20 სექტემბერი, 2013 წელი.

<sup>233</sup> შდრ: სუსგ №ბს-720-712(კს-16), 8 დეკემბერი, 2016 წელი.

<sup>234</sup> პრობლემის გადასაჭრელად, თუ რომელი გადაწყვეტილება უნდა იქნეს აღიარებული, იურიდიულ თეორიაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით „აღიარებული უნდა იქნეს უფრო გვიან გამოტანილი გადაწყვეტილება, (last-in-time-rule), რადგან ეს უკანასკნელი ემყარება დროში შედარებით უფრო საბოლოო და, მაშასადამე, უფრო სარწმუნო გარემოებებს“. შდრ: ბ. ლილუაშვილის მითითებული სა-დოქტორო დისერტაცია, 103.

დანყვეტილებებს [სპეციალური კანონის 68-ე მუხლის „ე“ პუნქტი].

(8) გადანყვეტილება ვარგისი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად. ამ ასპექტში, დასაშვებია მოპასუხის იმგვარი შესაგებლების განხილვა, რომლებსაც მეორეულ ქვეყანაში მათ აღსასრულებლად მიქცევის დამაბრკოლებელი გარემოების როლიც კი შეუძლიათ, შეასრულონ, მაგალითისათვის მოვიყვანოთ, მოპასუხის მითითებას გადანყვეტილების იძულებით აღსრულების ხანდაზმულობაზე, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების სადავობაზე და ა.შ.. და ეს შესაგებლები არ განიხილება, როგორც „revizion au fond-ის“ აკრძალვის ხელყოფა. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ეს მოსამართლე, როდესაც უცხოური სასამართლო გადანყვეტილების ყველა პირობა არ არის ზუსტად განსაზღვრული იმისთვის, რომ იძულებითი აღსრულება განხორციელდეს? აქვს თუ არა მას შესაძლებლობა, მცირეოდენი დამატებები შეიტანოს ამ გადანყვეტილებაში იმ მიზნით, რომ იგი აღსასრულებლად ვარგისი გახდეს? დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, უცხოური სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებადად გამომცხადებელი მოსამართლე ვალდებული ან უფლებამოსილი არ არის რაიმე დამატებები, ცვლილებები ან მსგავსი მოქმედებები განახორციელოს.

(9) უცხო ქვეყნის სასამართლო და უცხოური საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულებადად გამომცხადების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს საჯარო წესრიგის დათქმა. ასეთ დროს ხდება გამოყენებული კანონის, სამართლის ნორმის შეფასება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან. ვინაიდან კონკრეტულ საჯარო წესრიგის ცნებას არც ეროვნული და არც საერთაშორისო სამართალი არ იცნობს, მისი დაცულობის სფეროში შესაძლოა, გაერთიანდეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წესების დარღვევა. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, „საჯარო წესრიგი“ და „ძირითადი სამართლებრივი პრინციპები“ თავისუფლად შეგვიძლია, განვიხილოთ, როგორც იდენტური ცნებები<sup>235</sup>. ერთ-ერთ გადანყვეტილებაში, საკასაციო პალატამ „საჯარო წესრიგი“ შემდეგნაირად განმარტა<sup>236</sup>: „საჯარო წესრიგის“ ცნება სსკ-ში მორალურ იმპერატივებთანაა დაკავშირებული. საჯარო წესრიგი ხელს უწყობს ზნეობრივი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ვინმეს კერძო ინტერესები, არამედ საჯარო ინტერესები. ეს იმიტომ, რომ საჯარო წესრიგით დაცული სიკეთე საზოგადო ფასეულობისაა და მისი დარღვევა ძირს უთხრის საზოგადოების არსებობის საფუძვლებს. სსკ-ის 54-ე მუხლი ბათილად მიიჩნევს ამ წესრიგის სანინაალმდეგო გარიგებას. აქედან აშკარა ხდება, რომ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება შებოჭილია და გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებშია მოქცეული. მამასადაამე, ყოფილა ურთიერობანი, რაც არ შეიძლება იყოს მხოლოდ „კერძო ავტონომიის საქმე“. ამას თან შეიძლება დაემატოს ამლიარებელ სახელმწიფოში გაბატონებული მორალური თუ ზნეობრივი შეხედულებები, რომლებიც გამოხატული არ არის სამართლის ნორმებში. არ არსებობს ზუსტი ჩამონათვალი ან რაიმე წესები, რომლებიც ადგენენ, თუ რა სახის უცხოური სასამართლო გადანყვეტილებები ენიინაალმდეგება საჯარო წესრიგის მოთხოვნებს. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ასეთი ნორმა რომც არსებობდეს, იგი აზრს მოკლებული იქნებოდა, რადგან „Order Public -ის“ დათქმის მიზანი სწორედ ის არის, რომ მოსამართლეს გარკვეული თავისუფლება მიანიჭოს, რათა ამ უკანასკნელმა გადანყვიტოს, თუ რომელი კონკრეტული უცხოური სასამართლო გადანყვეტილება არ აკმაყოფილებს საჯარო წესრიგის მოთხოვნებს. საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან შესაბამისი უცხო ქვეყნის სასამართლო გადან-

<sup>235</sup> იხ. ლ.გოთუას მითითებული სადოქტორო დისერტაცია, 55.

<sup>236</sup> იხ. სუსგ №ას-15-15-2016 ,01 მარტი, 2016 წელი.

ყვეტილებების სახეების ზუსტი ჩამონათვალის დადგენა კანონის ტექსტში წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც არ იქნებოდა გამართლებული. საქმე ისაა, თანამედროვე ცხოვრებაში, წარმოიშობა ახალი ტიპის სამართლებრივი ურთიერთობები და, შესაბამისად, შინაარსობრივად ახალი დეტალების შემცველი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა ცნობისა და აღსრულების საკითხი ხშირ შემთხვევაში, სადავო შეიძლება იყოს, ამგვარ რეგლამენტაციას აზრი არა აქვს და სწორედ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსამართლის შეფასებაა ოპტიმალური გამოსავალი.

იმავედროულად, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ქვეყნის საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო აქტად აღიარება დასაშვებია მაშინაც, როცა მის სარეზოლუციო ნაწილში ან დასაბუთებაში ზუსტად არ არის მოცემული თვით აღსრულების მოთხოვნა, ან იგი ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივ და სააღსრულებო შედეგებს, რომლებსაც მეორე სახელმწიფოს სამართალი არ იცნობს. ამასთან, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარება შედეგობრივი თვალსაზრისით, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, სახელმწიფოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს [სპეციალური კანონის 68-ე, პ. 2 „ზ“]<sup>237</sup>.

(10) არანაკლებ პრობლემურია საკითხი – უცხო ქვეყნის რომელი დანესებულების გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება ექვემდებარება საქართველოს სასამართლოს. საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იყოს სახელმწიფო სამართლო ხელისუფლების ორგანოს – სასამართლოს მიერ. მიუხედავად იმისა, რა ფორმით გამოდის იგი, გადაწყვეტილების, დადგენილების სახით თუ სხ. მთავარია, მხარეებს შორის დავა მიიჩნეოდეს გადაჭრილად და გარკვეული იყოს მათი უფლებები და მოვალეობები. იმავედროულად, დასაშვებია საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღიარება და აღსრულება. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებების ეგზეკუტურას უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ევროპაში ვაჭრობის სფეროში. ამ საკითხს აწესრიგებს ნიუ-იორკის კონვენცია<sup>238</sup>. ეს საერთაშორისო ხელშეკრულება ვრცელდება დავებზე, რომელთა მხარეები შეიძლება, იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე – იურიდიული პირები. იგი გამოიყენება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართაც, რომლებიც არ მიიჩნევა იმ სახელმწიფოს შიდა გადაწყვეტილებებად, რომელშიც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება. ეს დებულება გულისხმობს, რომ უცხო გადაწყვეტილების ცნება და არსი კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობითა და დოქტრინით განისაზღვრება [ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლი]. ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გააკეთოს დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ ისეთ სახელშეკრულებო ან სხვა სამართალურთიერთობათა საფუძველზე წარმოშობილი დავების მიმართ, რომლებიც განმცხადებელი სახელმწიფოს ეროვნული კანონით სავაჭრო ურთიერთობად მიიჩნევა.

საარბიტრაჟო შეთანხმებად მიიჩნევა ყველა წერილობითი შეთანხმება ან ხელშეკრულების დამატებითი შენიშვნა, ან მხარეების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება, რომელსაც შეიცავს წერილებისა და დეპეშების გაცვლა. ცნობისა და აღსრულების შესახებ შეამდგომლობის აღმძვრელი მხარე წარადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანს ან მის სათანადოდ დამოწმებულ ასლს და ასევე – საარბიტრაჟო შეთანხმების დედანს, ან სათანადოდ დამოწმებულ ასლს [ნიუ-იორკის კონვენციის მე-4 მუხლი]. იურიდიულ

<sup>237</sup> აგრეთვე, განასხვავებენ იმის მიხედვითაც დარღვეულია ძირითადი პრინციპები საპროცესო სამართლის კუთხით („საპროცესო-სამართლებრივი საჯარო წესრიგი“) თუ მატერიალური სამართლის კუთხით („მატერიალურ-სამართლებრივი საჯარო წესრიგი“). იხ. ლ.გოთუას მითითებული სადოქტორო დისერტაცია, 55.

<sup>238</sup> საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით.

ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, „თუ უფლებამოსილ სასამართლოში აღიძრა შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან აღსრულების შეჩერების შესახებ, მაშინ იმ ორგანოს, რომელსაც მიმართეს თხოვნით ამ გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, შეუძლია, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, გადადოს ამ გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის გადაწყვეტა. მას, აგრეთვე, შეუძლია იმ მხარის შუამდგომლობით, რომელიც ითხოვს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას, დაავალდებულოს მეორე მხარე, წარადგინოს ჯეროვანი უზრუნველყოფა“<sup>239</sup>.

რაც შეეხება ცნობას, ამ საკითხზე სასამართლო მსჯელობს მხოლოდ აღიარების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობების არსებობისას. ერთ-ერთ განჩინებაში, საკასაციო პალატამ აღნიშნა: სასამართლო აღარ იმსჯელებს მოპასუხის სხვა არგუმენტებზე, რომლებიც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების უარყოფის საფუძვლებს ეხება, რადგან დაადგინა, რომ შუამდგომლობა უარყოფილ იქნა გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის ნაწილში. შესაბამისად, აღარ განიხილება გადაწყვეტილების აღსრულების საკითხიც<sup>240</sup>. საგულისხმოა, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს. საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას, მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედება ფართოვდება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები<sup>241</sup>.

<sup>239</sup> ციტი: ლ.გოთუას მითითებული სადოქტორო დისერტაცია, 129.

<sup>240</sup> იხ. სუსგ №ა-2135-შ-46-2015, 26.2015

<sup>241</sup> იქვე.





საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 299 04 45  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

The Supreme Court of Georgia  
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 299 04 45  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)